ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტონ
კელენჯერიძე

თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონ
კელენჯერიძე

ნაკადები

ქართველები
ირანის
1905-1911 წლების
რევოლუციაში

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი—1975

9(45)+9(C41)
9(55 : 47 . 922)
კ 395

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომში მოკლედ და ზოგადად გაშუქებულია ირანის 1905—1911 წლების რევოლუციის ისტორია და მასში ქართველი მოხალისე სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების მონაწილეობა. ამასთან ახსნილია ის გარემოება, თუ რის გამო წავიდნენ სხვა კავკასიელ რევოლუციონერებთან ერთად ქართველი ბოლშევიკები შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებული ირანელი ხალხის ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად. ბოლოს მოთხრობილია იმ მოხალისე რევოლუციონერებზე, რომელთაგან ზოგიერთმა სიცოცხლე შესწირა ამ ბრძოლას.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1975

0133—014
К————————23—74
М—606 (02)—75

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათქმა

წარმოდგენილი შრომა ირანის 1905—1911 წლების რევოლუციაში ქართველი მოხალისე-რევოლუციონერების მონაწილეობას შეეხება. ეს რევოლუცია ისტორიოგრაფიაში ირანელი ხალხის კონსტიტუციურ მოძრაობადაც არის ცნობილი. მას ქვეყანაში დიდი სოციალური ცვლილებანი არ მოჰყოლია. ამ მოძრაობის შედეგად შაჰის აბსოლუტური ძალაუფლება ცოტაოდენად შეიზღუდა მეჯლისით, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას და არსებითად ყოფილი მეფის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უფრო მოგვაგონებს.

ირანელი ხალხის ეს მოძრაობა საკმარისად არის შესწავლილი და გაშუქებული როგორც ჩვენი საბჭოური, ისე საკუთრივ ირანელი და დასავლეთევროპელი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსების მიერ. მისი ცალკეული პერიპეტიების კვლევა კვლავ გრძელდება. პირველი ნაშრომები ამ მოძრაობის შესახებ 900-იანი წლების დასასრულს გამოქვეყნდა.

30 წლის შემდეგ ამ თემით დაინტერესდნენ საბჭოელი აღმოსავლეთმცოდნე ირანისტი ისტორიკოსები და 40—70-იან წლებში ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდა მთელი რიგი სერიოზული, ფუნდამენტური გამოკვლევები ირანელი ხალხის რევოლუციური მოძრაობისა და მასში კავკასიელი მოხალისე-რევოლუციონერების მონაწილეობის შესახებ.

ჟურნალი „ისტორიკ-მარქსისტი“ 1940 წელს აქვეყნებს ე. ბორ-რომანოვსკის მეტად საინტერესო სტატიას — „ირანის 1905—1911 წლების რევოლუციაში ამიერკავკასიის ბოლშევიკების როლის საკითხისათვის“, რომელიც არსებითად დოკუმენტებზე და ამ რევოლუციის მონაწილეთა მოგონებებზე დაყრდნობით ამ თემაზე დაწერილ პირველ მეცნიერულ შრომად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

ე. ბორ-რომანოვსკის შემდეგ ირანის რევოლუციასა და მასში ამიერკავკასიის ბოლშევიკების მონაწილეობაზე შრომებს აქვეყნებენ: პროფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ს. ივანოვი, რომელმაც 1957 წელს გამოსცა დიდტანიანი მონოგრაფია „ირანის 1905—1911 წლების რევოლუცია", რომელსაც შემდეგ მოჰყვა მისივე სხვა სტატიები, პროფ. ნ. კ. ბელოვა, ზ. ზ. აბდულაევი, გ. ს. არუთინიანი, ა. მ. აგაჰი, ს. მ. ალიევი, გ. მ. ჰასანოვი და სხვები, რომლებიც ცალკე წიგნებისა და სტატიების სახით აქვეყნებენ შრომებს. ფრიად მდიდარ და საინტერესო მასალებს გვაწვდიან ირანის რევოლუციაზე ვ. პავლოვიჩი (ვოლონტერი) და ს. ირანსკი* ერთობლივ შრომაში — „სპარსეთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში". ირანის რევოლუციის საკითხს შეეხო შრომაში—„ვ. ი. ლენინი და ირანელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა" ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. ს. ჭიპაშვილიც, აგრეთვე მ. ა. აგაჯანოვი საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შრომების მე-17 კრებულში გამოქვეყნებულ სტატიაში — „რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში თბილისის „ჰუმმათის ისტორიის ზოგიერთი საკითხი", ასევე მოსკოველი ირანისტი ვ. ნ. პლასტუნი სტატიაში — „ქართველები ირანის 1905—1911 წლების რევოლუციაში"** და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შრომების — „აზიისა და აფრიკის ხალხების" მე-2 კრებულში გამოქვეყნებულ მისსავე გამოკვლევაში — „ირანელი მშრომელების მონაწილეობა რუსეთის სამოქალაქო ომში".

ე. ბორ-რომანოვსკის, მ. ს. ივანოვისა და ნ. კ. ბელოვას გამოკვლევებზე დაყრდნობით ირანის რევოლუციის შესახებ მოკლედ მოვუთხრეთ მკითხველს ჩვენც ნარკვევში — „სერგო ორჯონიკიძე — ჟურნალისტი" 1966 წელს ქართულად და 1969 წელს — რუსულად.

მხატვრულ ლიტერატურაშიც ჰპოვა ასახვა ირანის 1905—1911 წლების რევოლუციამ. მხედველობაში გვაქვს ირანელი ბელეტრისტების ფენაჰი მაკულუს ორტომიანი, მეტად საინტერესო რომანი „სათარ-ხანი" და მოჰამედ სეიდ ორდუბადის მიმზიდველად დაწერილი რომანი „ჯანღიანი თავრიზი", რომლებიც თარგმნილია რუსულად.

---

* პავლოვიჩი (ვოლონტერი) — მ. ლ. ველტმანის ფსევდონიმია, ს. ირანსკი კი — ს. კ. პასტუხოვისა, ზოგს კი ირანდუსთი ჰგონია, რაც სწორი არ არის. ირანდუსთი სხვა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსის ვ. პ. ოსეტროვის ფსევდონიმია.

** „ლიტერატურნაია გრუზია", № 4, 1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანის რევოლუციაზე ვრცელი გამოკვლევები და მონოგრაფიები აქვთ დაწერილი ირანელ მკვლევარ-ისტორიკოსებსაც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად არის აღიარებული ამ მოძრაობის ცოცხალი მოწმის და თვითმხილველის აჰმად ქასრავის სამტომიანი შრომა —„ირანის კონსტიტუციური მოძრაობის ისტორია", დაწერილი მაღალი მეცნიერული კეთილსინდისიერებით, სადაც არავინ და არაფერი დავიწყებული არ არის, კერძოდ, ამიერკავკასიელი რევოლუციონერების, მათ შორის ქართველების მონაწილეობა და როლიც. აჰმად ქასრავის გარდა ირანის კონსტიტუციურ მოძრაობაზე გამოკვლევები დაუწერიათ შემდეგ ირანელ ავტორებს: ი. ამირ-ჰიზის (იგი ირანის რევოლუციის ბელადის სათარ-ხანის მდივანი იყო), კ. თაჰირ-ზადე ბეჰზადეს, მ. მელიქ-ზადეს, ი. სეფაის, მ. ჰარავისა და სხვ.

ირანის კომუნისტური პარტიის შემქმნელი, ცნობილი ირანელი რევოლუციონერი ჰაიდარ-ხან ამუ-ოღლიც (თარიველდიევი) მრავალჯერ გამოსულა პრესაში, მათ შორის ქართულ პრესაშიც სტატიებითა და მოწოდებებით — დახმარებოდნენ ირანის რევოლუციურ მოძრაობას.

დასავლეთ ევროპელი ავტორებიდან გამოჰყოფენ ფრეზერის შრომას —„სპარსეთი და თურქეთი რევოლუციაში" (ინგლისურ ენაზე).

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ლიტერატურის სიმცირე არ იგრძნობა. იმისაგან, რაც გამოქვეყნებულია ამ თემაზე, თავისუფლად შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა ირანის კონსტიტუციურ მოძრაობაზე. ჩვენი ირანისტები კვლავაც განაგრძობენ ამ საკითხის კვლევას და ვიმედოვნებთ, რომ ისინი უფრო გაამდიდრებენ მას ახალი ფაქტებითა და აღმოჩენებით, უფრო დააზუსტებენ ამ მოძრაობის ზოგიერთ გარემოებებს და მაშინ დაინტერესებული მკითხველი მიიღებს ყოველმხრივ დამუშავებულ, მეცნიერულ გამოკვლევას ჩვენი საუკუნის ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე, როგორიც იყო ირანის რევოლუციური მოძრაობა 1905—1911 წლებში, რომელსაც თავის დროზე მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს. პროგრესულ კაცობრიობაში იგი დიდ სიმპათიებსა და თანაგრძნობას იწვევდა და უსურვებდა მას წარმატებას, რეაქციული ძალები კი ქვა-გუნდას აყრიდნენ და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მის ჩახშობას, რასაც კიდევაც მიაღწიეს თვითმპყრობელური მეფის რუსეთისა და იმპერიალისტური ინგლისის ირანის საქმეებში ჩარევით.

დასაზუსტებელი კი ამ მოძრაობაში ცოტა არ არის.

კერძოდ, გასარკვევია საკითხი იმის შესახებ იმყოფებოდა, მუშაობდა ამიერკავკასიაში და იყო თუ არა „ჰუმმათის“ წევრი ირანის რევოლუციის ბელადი სათარ-ხანი.

აქამდე გაბატონებულია ის აზრი, რომ ის ყოფილა ამიერკავკასიაში, აქ ზიარებია რევოლუციურ იდეებს, მონაწილეობა მიუღია ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციურ გამოსვლებში და შინდაბრუნებული სათავეში ჩადგომია უზურპატორი შაჰის დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლას.

ეს ვერსია პროფ. მ. ს. ივანოვიდან* მოდის და საკმაოდ გავრცელებულადაც ითვლება. კერძოდ, ჩვენც გავიმეორეთ იგი ჩვენს ნარკვევში ს. ორჯონიკიძის ჟურნალისტური მოღვაწეობის შესახებ.

ახლა კი ირკვევა, რომ სათარ-ხანი არასოდეს არ ყოფილა ამიერკავკასიაში. ირანის რევოლუციის თვით ისეთი დაუძინებელი მტერიც კი, როგორიცაა იბრაჰიმ საფაი, რომელიც თავის წიგნში „კონსტიტუციური მოძრაობის ბელადები“, სადაც ყველას და ყველაფერს, ვინც და რაც დაკავშირებული იყო ამ მოძრაობასთან, ლაფში სვრის და 25 გვერდზე აღწერს სათარ-ხანის ბიოგრაფიას, არცერთი სიტყვით არ ადასტურებს სათარის ამიერკავკასიაში ყოფნას[1]. აჰმად ქასრავიც, ირანელ ისტორიკოსთა შორის ყველაზე ობიექტური და დაკვირვებული მკვლევარი, ზემოთდასახელებულ თავის შრომაში, როცა ირანის რევოლუციის ბელადს ეხება, არ ადასტურებს მის ამიერკავკასიაში ყოფნას. იგი წერს, რომ ირანის რევოლუციამდე სათარი ეწეოდა ჰარტიზანულ ბრძოლას შაჰის ძალაუფლებისა და ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ, იჯდა ციხეში, ბოლო წლებში თავრიზში ეწეოდა ცხენების ყიდვა-გაყიდვას[2]. გამოჩენილი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი ნ. კ. ბელოვა კი თავის სტატიაში — „XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ-დასავლეთის ირანის საშოვარზე წასულთა შესახებ“ პირდაპირ წერს: „იგი (სათარ-ხანი) არ ყოფილა მუშად ამიერკავკასიაში, როგორც ამას მიაწერდა მას სანკტ-პეტერბურგის ტელეგრაფის სააგენტო (ჩანს აქედან მოდის ეს ვერსია. — ა. კ.), მაგრამ ახლოს

---

* იხ. М. С. Иванов. Иранская революция 1905—1911 годов. М., 1957.

1 ი ბ რ ა ჰ ი მ ს ა ფ ა ი. კონსტიტუციური მოძრაობის ბელადები, ტ. I, გვ. 387-412.

2 ა ჰ მ ა დ ქ ა ს რ ა ვ ი. ირანის კონსტიტუციური მოძრაობის ისტორია, ტ. 2, გვ. 280.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო იმ ხალხთან, ვინც საშოვარზე მიდიოდა სარეწებზე".[1] მეორე თავის სტატიაში — „სათარ-ხანი და თავრიზის 1908—1909 წწ. აჯანყების სხვა ბელადები" ნ. კ. ბელოვა მიუთითებს, რომ „რუსკიე ვედომოსტის" 1908 წ. 16 ნოემბრის ნომერში სათარ-ხანის ბიოგრაფიის გამოქვეყნებისთანავე, რომელშიაც მტკიცდებოდა სათარ-ხანის საქმიანობა „ჰუმმათში", უკვე 1902 წ. დეკემბერში გაზეთ „ვესტნიკ ბაკუ"-ში გამოქვეყნდა ჰ. პეტროვიჩის მიერ ხელმოწერილი სათარის ამ ბიოგრაფიის უარყოფა".[2] ამ სტატიაში ნათქვამია, რომ სათარ-ხანს არ უცხოვრია რუსეთში, არ ყოფილა ამიერკავკასიაში საშოვარზე ჩამოსულ მუშად და არ უმუშავნია ბაქოში. ამ უარყოფის ძირითადი მონაცემები მთლიანად დასტურდება ირანის რევოლუციის მონაწილეების მოგონებებით, არქივის ზოგიერთი მასალებით[3] და ირანელი ავტორების ა. ქასრავის, ჰ. ფარზადის, კ. თახირ-ზადეს, მ. მოჯტაჰედისა და ი. ამირჰიზის შრომებით, კერძოდ, ი. ამირჰიზი, რომელიც თავრიზის აჯანყების დროს სათარის მდივნის მოვალეობას ასრულებდა და დაწერილი აქვს სათარ-ხანის ყველაზე სრული ბიოგრაფია, წიგნში „აზერბაიჯანის აჯანყება და სათარ-ხანი" აშკარად წერს სათარის ყოფნა ამიერკავკასიაში მოგონილიაო. სათარის ქალიშვილი ხანუმ სათლან სათარიც არ ამბობს თავის წიგნში — „მამაჩემი სათარ-ხანი", რომ სათარი ამიერკავკასიაში იყოო. გაზეთ „ალში" სათარ-ხანის შესახებ დაბეჭდილ „გურჯის" სტატიაშიც არ არის დამოწმებული სათარის ამიერკავკასიაში ყოფნა.[4]

ჟურნალ „სოვეტსკოე ვოსტოკოვედენიეში" მოთავსებულ თავის რეცენზიაში მ. ს. ივანოვის წიგნზე — „1905—1911 წლების ირანის რევოლუცია" ზ. ზ. აბდულაევი უსაყვედურებს წიგნის ავტორს, რომ იგი უკრიტიკოდ მოეკიდა გაზეთ „რუსკიე ვედომოსტის" მასალებს და გაავრცელა ის აზრი, თითქოს სათარს ეცხოვროს და ემუშაოს ამიერკავკასიაში, მაშინ, როცა ბაქოს მაშინდელი გაზეთი „ვესტნიკ ბაკუ" კატეგორიულად უარყოფდა ამ ქალაქში სათარის ყოფნასო. „თავრიზის ამბების თვითმხილველნი ა. ქესრავი და ვიჯუეი,—განაგრძობს რეცენზენტი,—თავის შრომებში არ მიანიშნებენ სათარის ყოფნას ამიერკავკასიაში"

---

1 ნ. კ. ბ ე ლ ო ვ ა. დასახ. სტატია, ჟურნ. „ვოპროსი ისტორიი", № 10, გვ. 121, 1956 წ.

2 „ვესტნიკ ბაკუ", № 18, 1908 წ. 20 დეკემბერი.

3 აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 132, აღწ. 1, საქ. 21, ფ. 17.

4 „ალი", № 1, 2, XI, 1910 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაასკვნის, ეს დამოწმება უფრო ავტორიტეტული წყაროთა ,,ვედომოსტი" ,,რუსკიე ვედომოსტი".[1]

თვით მ. ს. ივანოვიც, იმოწმებს რა მ ხ ო ლ ო დ გაზეთს ,,რუსკიე ვედომოსტი", წერს: ,,საბოლოოდ გადაწყვეტა კითხვისა სათარის ამიერკავკასიასა და, კერძოდ, ბაქოში ყოფნის საბუთიანობის შესახებ, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდება დამატებითი, უდაო ცნობები სათარის ცხოვრებისა ირანის 1905—1911 წლების რევოლუციის წინა პერიოდში".[2]

როგორც ვხედავთ, თვით ავტორიც ვერსიისა სათარ-ხანის ამიერკავკასიაში ყოფნის შესახებ, არ ამტკიცებს უკვე კატეგორიულად ამას, ამბობს დამატებითი, უდაო ცნობებით შეიძლება ამის დამტკიცებაო.

ზოგიერთმა ავტორმა და, მათ შორის მეც, ეს ჰიპოთეზა ჭეშმარიტებად მივიჩნიეთ, უთუოდ იმ აზრით, რომ გაუნათლებელი სათარი ალბათ იმიტომ ჩაუდგებოდა სათავეში ირანის ხალხის რევოლუციურ აჯანყებას, რომ მას ამიერკავკასიაში, კერძოდ, ბაქოში ჰქონდა მიღებული რევოლუციური წრთობაო, რაც უდაოდ მომხიბლავია.

მაგრამ, როგორც ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან დავინახეთ, ამ ვერსიას საფუძველი არ ჰქონია. ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს, ვნახოთ მომავალი რას გვიჩვენებს.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სადაო გახდა. ეს გახლავთ გაზეთ ,,ახალი სხივის" 1910 წლის 6 თებერვლიდან 17 მარტამდე, სხვადასხვა დროს ,,გურჯი სერგოს" ფსევდონიმით დაბეჭდილი ნარკვევების — ,,სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან" — ავტორობის საკითხი.

ჩვენ ეს ნარკვევები, როცა სერგო ორჯონიკიძის ჟურნალისტურ მოღვაწეობას ვიკვლევდით, სერგო ორჯონიკიძეს მივაწერეთ. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა იმ ხანად სერგო ორჯონიკიძის მიერ სხვადასხვა ქართულ სოციალურ-დემოკრატიული მიმართულების ლეგალურ გაზეთებსა და ჟურნალებში ,,სერგო კლდისპირელისა" და ,,სერგო კლდისძირელის" ფსევდონიმებით დაბეჭდილი ირანიდან გამოგზავნილი წერილებისა და კორესპონდენციების და ,,გურჯი სერგოს" ფსევდონიმით გამოქვეყნებული

---

1 ზ. ზ. ა ბ დ უ ლ ა ე ვ ი. დას. სტატია. „სოვეტსკოე ვოსტოკოვედენიე", № 5, ბ., 1958, გვ. 163-166.

2 მ. ს. ი ვ ა ნ ო ვ ი. ირანის 1905-1911 წწ. რევოლუცია, მ., 1957, გვ. 290.

ხსენებული ნარკვევების ენობრივ-სტილისტურმა ანალიზმა და იმანაც, რომ როგორც ი. დუბინსკი-მუხაძე წერს „მოლოდაია გვარდიას“ მიერ 1963 წელს გამოცემულ მის წიგნში —„ორჯონიკიძე“, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ამ გამოჩენილი მოღვაწის ადრინდელ ლიტერატურულ ფსევდონიმებს შორის მოიხსენიებოდა „გურჯი სერგოც“. ირანიდან გამოგზავნილი სერგოს წერილების, კორესპონდენციებისა და „გურჯი სერგოს“ ნარკვევების სტილის, წერის მანერისა და ზოგიერთი იქ აღწერილი ამბების ანალიზითა და შეჯერებით დავასკვენით, რომ „გურჯი სერგოც“ სერგო ორჯონიკიძე უნდა ყოფილიყო, რადგან ძალიან იდენტურია ამ მასალების სტილი, ენა, თხრობის მანერა, საკითხებში ჩაწვდომის უნარი და მათი გაშუქების ლიტერატურული ხერხი. ეს გვაფიქრებინა აგრეთვე ნარკვევებში ბლომად გავრცელებულმა იმერიზმებმა და, კერძოდ, ზემო-იმერულმა გამოთქმებმა. ვინც ნარკვევს წაიკითხავს, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ მისი ავტორი უთუოდ ზემო-იმერელი ჩანს.

ჩვენ ამ საკითხში შემოგვედავა ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული ამხ. გ. ს. ჭიპაშვილი, რომელმაც ნარკვევების—„სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“—ავტორად ირანის რევოლუციის მონაწილე, ქართლელი სერგო გამდლიშვილი მიიჩნია და ამის შესახებ კიდევაც დასტამბა სტატია ჟურნალ „დროშის“ 1969 წ. მე-10 ნომერში სათაურით „ვინ იყო გურჯი სერგო“. მკვლევარს არგუმენტად ის მოჰყავდა, რომ ნარკვევები დაწერილია პირველ პირში და აღწერილ ამბებში მონაწილე პირის დღიურებს წარმოადგენსო. ამასთან, იმოწმებდა ირანის რევოლუციის ცოცხალი მონაწილის აპოლონ ჯაფარიძის მისთვის მიცემულ მოგონებას და აგრეთვე სერგო გამდლიშვილის ძმის, იასონის, ვარაუდს, თითქოს ეს ნარკვევები მისი ძმისა ყოფილიყო.

ჩვენ ვფიქრობთ ამხ. გ. ს. ჭიპაშვილის ეს არგუმენტები საფუძვლად ვერ გამოდგება და, აი, რატომ:

1. როდესაც პატივცემული ავტორი ბრძანებს, რომ სერგო ორჯონიკიძე ვერ დაწერდა ამ ნარკვევებს, რადგან მას იქ აღწერილ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიაო, შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ სერგო ირანში ჩავიდა 1909 წლის შემოდგომაზე და დარჩა 1910 წლის შემოდგომამდე, ე. ი. ერთი წელი, რაც საკმარისი გახდა იმისათვის, რომ იგი კარგად გარკვეულიყო ქვეყნის ვითარებაში და ეგზავნა „ღრმად გააზრებული, ცოცხლად და ტემპერამენტიანად დაწერილი სტატიები და „ნ ა რ კ ვ ე-

ვ ე ბ ი“ (ხაზს ვუსვამთ ამ სიტყვას, — ა. კ.)[1]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ ჟურნალისტ-ლიტერატორს შეუძლია დაწეროს ნარკვევები ისეთ ამბებზეც, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია. ამის მაგალითი საერთოდ ლიტერატურაში და კერძოდ ჟურნალისტიკაში ცოტა არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამასთან დაკავშირებით მახსენდება მაქსიმ გორკისა და მარშალ ს. მ. ბუდიონის ერთი დიალოგი:

1928 წ. 26 ოქტომბერს „პრავდაში“ გამოქვეყნდა ს. მ. ბუდიონის წერილი მ. ა. გორკისადმი მწერალ ბაბელის წიგნის „კონარმიის“ თაობაზე, სადაც წითელ ცხენოსანთა არმიის ყოფილი სარდალი ლანძღვა-გინებით მოიხსენიებს წიგნის ავტორს (ბაბელს) და წერს — არასწორად აღწერსო ამბებს და იქვე მიუთითებს, ვერ აღწერდა, რადგან სადღაც კუდში მისჩანჩალებდაო, ე. ი. ამბები, რაზედაც წერს, უშუალოდ არ უნახავსო.

ამაზე იმავე გაზეთის 27 ნოემბრის ნომერში გორკიმ უპასუხა მარშალს: იმისათვის, რომ წვენი მოხარშოს, მზარეულისათვის არ არის საჭირო ქვაბში ჩაჯდომა, რომ „ომისა და მშვიდობის“ ავტორს მონაწილეობა არ მიუღია ნაპოლეონის ომში, გოგოლი არ ყოფილა ზაპოროჟიელიო.

კარგი ავტორისათვის არ არის აუცილებელი უშუალო მხილველი, ან მონაწილე იყოს იმ ამბებისა, რაზედაც წერს. მაშასადამე, სერგო ორჯონიკიძესაც შეეძლო ირანში მის ჩასვლამდე მომხდარი ამბების შესწავლა და თუ მოისურვებდა, პირველ პირშიც აღწერა. მაგრამ დავუშვათ, რომ სერგო ორჯონიკიძე არ არის ავტორი ნარკვევებისა. ჩვენ არ მოვერიდებოდით გვეღიარებინა ეს, პატ. გ. ჭიპაშვილის მტკიცება რომ დასაბუთებულად მიგვაჩნდეს.

გიორგი ჭიპაშვილი იმოწმებს აპოლონ ჯაფარიძეს და იასონ გამდლიშვილს, რომლებმაც თითქოს დაუდასტურეს, რომ ნარკვევები სერგო გამდლიშვილისაა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩემს შეკითხვაზე (მაშინ იასონ გამდლიშვილი ცოცხალი იყო) ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ დამისახელა რომელ გაზეთში იბეჭდებოდა ეს ნარკვევები და როდესაც მივანიშნე „ახალი სხივი“ იყო-მეთქი, მიპასუხეს არ ვიცოდით ასეთი გაზეთის არსებობაო. (ამის წერილობითი საბუთები ჩემთან ინახება).

შეიძლება ამის შემდეგ მივიჩნიოთ საბუთად ჭიპაშვილთან არსებული აპ. ჯაფარიძის მოგონება და იასონ გამდლიშვილის ვარაუდი? ვფიქრობ, არ შეიძლება. არ შეიძლება მათი საბუთად მიღება ისევე, რო-

---

[1] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე (სერგო). ბიოგრაფია, თბ., 1964, გვ. 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ვერ მივიჩნევთ საბუთად სერგო ორჯონიკიძის ძმის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ჩვენთვის მოწერილ წერილში იმის დამოწმებას, რომ ნარკვევები — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ მისი ძმის კალამს ეკუთვნისო, რადგან არც ის მიუთითებს წყაროს, სად იბეჭდებოდა ეს ნარკვევები.

სერგო ორჯონიკიძის ჟურნალისტური მოღვაწეობის კვლევის პროცესში ჩვენ ირანის რევოლუციის ისტორიის შესწავლაც მოგვიხდა და ამისათვის აპოლონ ჯაფარიძესთანაც გვქონდა არა ერთი შეხვედრა და საუბარი, ირანის რევოლუციური ბრძოლების მეორე მონაწილე მისივე გვარის დავით ჯაფარიძესთანაც, შემდეგ მოსკოვში მცხოვრებ, ასევე ამ მოძრაობის მონაწილესთან (მაშინ ცოცხალი იყო) მიხეილ ბოგდანოვ-მარიაშკინთანაც და ყველას ცალ-ცალკე ვეკითხებოდი ნარკვევების ავტორის ვინაობას. ვერც ერთმა ვერ მითხრა თუ ვინ იდგა „გურჯი სერგოს“ ფსევდონიმის მიღმა. არც სერგო ორჯონიკიძე დაუსახელებიათ და არც სერგო გამდლიშვილი. ვეკითხებოდი კი იმიტომ, რომ როცა „კომუნისტის“ 1963 წ. 17 ნოემბრის ნომერში ჩვენი სტატია — „სერგო ორჯონიკიძე— ჟურნალისტი“ წაეკითხა, სადაც „გურჯი სერგოს“ ნარკვევებსაც ვეხებოდი, ხაშურიდან იასონ გამდლიშვილის წერილი მომივიდა — ეს ნარკვევები ჩემი ძმის სერგოსი ხომ არ იქნება, ისიც იყო ირანში და გაზეთებში წერდაო. ამ საკითხის გარშემო მას შემდეგ ცხოველი მიმოწერა გაიშალა ჩვენს შორის. აწ განსვენებულმა იასონმა ბევრი კარგი ცნობა მოგვაწოდა იმ ქართველ რევოლუციონერებზე, რომლებიც ირანში იბრძოდნენ, რისთვისაც უღრმესი მადლობა მოვახსენეთ ოფიციალურად პრესის საშუალებით. გულწრფელად მოვინდომე გამერკვია ნარკვევების მისი ძმისეული ავტორობა, ბევრიც ვიზრუნე ამაზე, მივაკითხე იასონის მიერ მინიშნებულ პირებს და რომ დადგენილიყო მისი ავტორობა, იქვე აღვნიშნავდი ამას, მაგრამ ამაო აღმოჩნდა ეს ჩვენი ცდა. საქართველოს პარტარქივში დაცულ აპოლონ ჯაფარიძის ოფიციალურ მოგონებაშიც ვერ აღმოვაჩინეთ, რომ ის სერგო გამდლიშვილს მიაწერდეს ნარკვევებს.

ამრიგად ნარკვევების — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ — ავტორობის საკითხი, როგორც ჩანს, შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ამ ნარკვევების დიდი ღირსება ის გახლავთ, რომ მის ავტორს ყველაზე გამოკვეთილად აქვს აღწერილი ქართველი მოხალისე-რევოლუციონერების მონაწილეობა ირანის რევოლუციაში. ესაა მთავარი, რასაც ამ შემთხვევაში ავტორობის საკითხი მეორე პლანზე გადააქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ ნებას მივცემ ჩემს თავს მოგახსენოთ ის, თუ რაზე გვიამბეს მოიწვია კავკასიელი რევოლუციონერების ლტოლვა აჯანყებულ ირანში და იმ ქართველი მოხალისე-რევოლუციონერების შესახებ, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის დაძახილზე უყოყმანოდ და წარბშეუხრელად წავიდნენ უცხო ქვეყანაში, რათა დახმარების ხელი გაეწოდებინათ თავისი კლასობრივი ძმების — შაჰის მძიმე რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული, დაბეჩავებული მშრომელი ირანელი ხალხისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები სპარსელების დასახმარებლად მიდიან

აქედანვე ვამჩნევ ზოგიერთი ჩემი თანამემამულის გაოცებულ სახეს, — როგორ, ქართველები ირანელთა დასახმარებლად წავიდნენ, მაშინ, როდესაც ირანი საუკუნეების განმავლობაში მოსვენებას არ გვაძლევდა, არაერთხელ ააოხრა ქართლი და კახეთი, ათასობით ქართველი მოსწყვიტა მშობლიურ კერას, აჰყარა და ირანში გადაასახლა, ბოლოს სახელმწიფოებრიობაც დაგვაკარგვინა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაგვიბრუნა!?

დიაღ, ასე იყო. ეს ფრაზა როდია, იგი ისტორიული სინამდვილეა. 1905 წელს, როცა ირანის დესპოტი შაჰისაგან განაწამები ირანელი ხალხი აღდგა ტირანიის დასამხობად და ბრძოლა გამოუცხადა აბსოლუტიზმსა და ჩაგვრას, იყო მომენტი, როდესაც ამ აჯანყებას გაუჭირდა, შაჰმა და მის გარშემო დარაზმულმა რეაქციულმა ძალებმა შეუტიეს აჯანყებულებს. რევოლუციას საფრთხე დაემუქრა. ამ დროს ირანელმა რევოლუციონერებმა დახმარება სთხოვეს ამიერკავკასიის რევოლუციურ ორგანიზაციებს, რომლებმაც არ დააყოვნეს და დახმარების ხელი გაუწოდეს თავის კლასობრივ ძმებს.

ამიერკავკასიის რევოლუციურმა ორგანიზაციებმა — ბაქოს, თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტებმა იწყეს მოხალისე რევოლუციონერების შეგროვება ირანელი რევოლუციონერების დასახმარებლად. იმ მოხალისე კავკასიელ რევოლუციონერთა შორის, როშლებიც ირანში წავიდნენ, უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ, რის გამოც ყველას „გურჯებს“ უწოდებდნენ, უმეტესობა მათ შორის კი ბოლშევიკები იყვნენ. მოხალისეებთან ერთად ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ირანელ რევოლუციონერებს უგზავნიდნენ საბრძოლო იარაღს: ბომბებს, თოფებს, რევოლვერებს, ფეთქებად ნივთიერებას და თავიანთ წევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს შორის შეგროვილ შეწირულებებსაც. თვით ირანში ბომბების ხელოსნო მოაწყეს.

შეიძლება ზოგიერთს მაინც დაებადოს კითხვა, რატომ მიდიოდნენ ქართველები და კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენლები, მაგალითად, სომხები, ირანელების დასახმარებლად?

იმიტომ, რომ ისინი პროლეტარული ინტერნაციონალისტები და უმეტესობა მარქსისტ-ლენინელები იყვნენ, რომელთათვისაც უცხოა ფეოდალური, ბურჟუაზიული შუღლი და მტრობა ერებს შორის.

ეროვნულ საკითხს ორგვარი გადაწყვეტა აქვს — რევოლუციური, კლასობრივ-პროლეტარული, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება უდევს საფუძვლად, და ბურჟუაზიული.

პირველი ერთა და ხალხთა შორის ძმობასა და სრულ სოლიდარობას ქადაგებს და გამორიცხავს რომელიმე ერის უპირატეს მდგომარეობას მეორის მიმართ, ერთი ერის მიერ მეორისადმი ქედმაღლობას, დაპყრობას, სპობს შუღლსა და მტრობას ერებს შორის, გვასწავლის ურთიერთ ჭირისა და ლხინის ძმურად გაზიარებას, ერთმანეთისათვის დახმარების გაწევას, გულისხმობს ყველა ერის — დიდისა და პატარის თანასწორუფლებიანობას, სრულ დამოუკიდებლობას და თვითგამორკვევას.

ამის ანტიპოდია, პრინციპულად საწინააღმდეგოა, ეროვნული საკითხისადმი ბურჟუაზიული, იმპერიალისტური მიდგომა, თეორია, რომელიც პრაქტიკაში ერთა შორის ანტაგონიზმს, ქიშპობას, ეროვნულ კარჩაკეტილობას და ქედმაღლობას, დიდი ერის მიერ პატარის დაჩაგვრასა და დაპყრობას, პატარა ერის მოსპობას ქადაგებს და ამის მისაღწევად იმპერიალისტურ ომებს აჩაღებს.

ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტის, მისი პრაქტიკული განხორციელების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს დიდი ლენინის მიერ შექმნილი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, სადაც განხორციელებულია და კონსტიტუციით განმტკიცებულია ჩვენს დიდ მრავალერიან ქვეყანაში მცხოვრები ყველა დიდი და პატარა ერისა და ეროვნების სრული თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა და დამოუკიდებლობა. ჩვენი სახელმწიფო — სსრ კავშირი არის ნიმუში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტისა, ისეთი გადაწყვეტისა, როგორიც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ სამყაროში. ჩვენში ერის ღირსებასა და თანასწორუფლებიანობას კანონი იცავს.

ეროვნული საკითხის ლენინურმა გადაწყვეტამ უზრუნველჰყო ჩვენს დიდ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ისეთი უმაგალითო აყვავება, როგორიც მათ არ ახსოვთ თავისი არსებობის მთელ მანძილზე, რომ ყოველი მათგანი ცალცალკე და ყველანი ერთად აქტიურად მონაწილეობენ დღეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით არის განპირობებული და მისი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ შეუქმნა თავისი ნიჭის, უნარისა და შესაძლებლობის ფართოდ გაშლის საშუალება და შემოქმედების ფართო გზაზე გამოიყვანა ყოფილი მეფის რუსეთის ყველა ჩაგრული და დაბეჩავებული დიდი თუ პატარა ერი და ეროვნება, ძმურად შეაკავშირა ისინი ერთმანეთთან, მაშინ, როცა ცარიზმი მათ შორის შუღლსა და მტრობას თესავდა, ერთმანეთისაგან სთიშავდა, რათა უფრო იოლად ებატონა მათზე.

საბჭოთა წყობილებამ, ლენინის მიერ შექმნილმა, მსოფლიოში ყველაზე რევოლუციურმა მუშათა პარტიამ — საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მტკიცე პროლეტარული დუღაბით შეამტკიცა და სალ კლდედ აქცია საბჭოთა ხალხების ეს ძმური მეგობრობა, რომელმაც გაუძლო ყველა განსაცდელს და ბრწყინვალედ ჩააბარა მკაცრი გამოცდები მძიმე ისტორიულ ქარტეხილებში, და უფრო მტკიცე გახადა.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის საბჭოთა ხალხების ეს მეგობრობა.

განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე მომხდარი ღრმა და ყოველმხრივი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების საფუძველზე ახდა ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველება, რომ „სოციალიზმი ქმნის ადამიანთა თანაცხოვრების ახალ, უმაღლეს ფორმებს“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 29-30), რომ ჩვენში დამკვიდრდა, რეალურ სინამდვილედ იქცა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

ამ ერთობას საფუძვლად უდევს ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი როგორც მატერიალური, ისე სულიერი, ღრმა ობიექტური ცვლილებანი, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ერების წარმოშობა და განვითარება, რომელთა შორის ახალი ტიპის ურთიერთობა დამყარდა“[1].

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი, თბ., 1972, გვ. 24-25.

ამიტომ არის, რომ ჩვენს დიად, მძლავრ და უძლეველ საბჭოთა სოციალისტურ სამშობლოს დღეს უნარი შესწევს უხვი და უანგაროდ დახმარება გაუწიოს კოლონიური უღლისაგან თავდახსნილ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ახლა თვითონ განაგებენ საკუთარ ბედს.

ამიტომ არის სწორედ თავისთავად გასაგები, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღზრდილი ქართველი და სხვა კავკასიელი რევოლუციური ინტერნაციონალისტები ისე გულმხურვალედ რომ გამოეხმაურნენ სამოცდაცხრა წლის წინათ თავისი რევოლუციური პარტიის — ბოლშევიკების მოწოდებას — წასულიყვნენ ირანში, ჩაბმულიყვნენ იქ გაჩაღებულ რევოლუციურ ბრძოლებში და თავისი ინტერნაციონალური ვალი მოეხადათ თავისუფლებისათვის ამხედრებული ირანელი მშრომელი ხალხის წინაშე, წინასწარვე იცოდნენ რა, რომ ბევრი მათგანი მსხვერპლად შეეწირებოდა ირანელი ხალხის ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

მათ მაშინ, რასაკვირველია, არ გახსენებიათ ის შუღლი და მტრობა, რაც უხსოვარი დროიდან იყო დანერგილი ქართველებსა და სპარსელებს შორის ძველი ფეოდალური წყობილების ბატონობის ხანაში.

ეს იყო მშრომელთა მიერ ჭეშმარიტი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამოხატვა საქმით გასაჭირში ჩავარდნილი თავისი კლასობრივი ძმებისადმი, ნიმუში ეროვნული საკითხის ნამდვილი პროლეტარული, ლენინური, ინტერნაციონალური გაგებისა.

ირანელებმაც იცოდნენ, რომ ქართველები და სხვა კავკასიელები მათთან სამტროდ არ მიდიოდნენ, ისინი სასიკეთოდ, ფეოდალური წესწყობილების მძიმე უღლისაგან მშრომელი ირანელების გასათავისუფლებლად იყვნენ ჩასული.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „გურჯი სერგოს“ ნარკვევების ის ადგილი, სადაც აწერილია ბრძოლებში დაღუპული შალვა დოლიძის დასაფლავება. (სტილს უცვლელად ვტოვებთ—ა. კ.).

„29 იანვარს (1908 წ.) ასაფლავებენ შალვა დოლიძეს, — წერს ავტორი. — რაც რეშთში ევროპელები მოიპოვებოდა, ყველას თავი მოეყარა იმ ქუჩებში, საითაც ცხედარი უნდა გაეტარებიათ. სპარსელები დიდად იყვნენ დაინტერესებული, რომ მოკლული ქართველი იყო...

12 საათზე ცხედარი გამოასვენეს და ზარბაზნის ლაფეტზე დაასვე-

ნეს... ტრიბუნაზე ავიდა ცნობილი ორატორი ქემსაი, რომელმაც გრძნობით საკუთარ სიტყვა წარმოსთქვა:

„ირანელებო! ირანის თავისუფლებას თავი შესწირა იბერიის შვილმა, რომელსაც ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ... გურჯები ყველას ჩვენი მტრები გვგონია. მაგრამ ხომ ყველა პხედავთ ვინა ლევს უსულოდ თქვენს წინაშე. ეს არის გურჯი შალვა, შვილი გურჯისტანისა. დღეიდან ერთხელ კიდევ უნდა დავინახოთ და დავრწმუნდეთ, რომ თუ ჩვენ სამშობლო ირანს მრავალი მტერი ჰყავს, მოყვარეც საკმაოდ მოეპოვება. ეს ჩვენი მოყვარე ხალხი ირანისა გურჯებია და გაიგეთ კარგად, რომ დღეიდან ვერავითარი ძალა და შური ვერ შეარყევს ჩვენს და გურჯებს შორის მეგობრობას და თავისუფალი ირანიც ღირსეულ პატივს სცემს გურჯისტანის შვილებს“.

ირანელი ორატორის ეს სიტყვები სინამდვილედ იქცა ჩვენს დღეებში. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანად შესცვალა ხალხთა და ერთა შორის დამოკიდებულება. ირანთან ჩვენს ქვეყანას კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს, ყოფილი შუღლი და მტრობა ისტორიას ჩაბარდა.

ამბავი კი, რისთვისაც ქართველი და კავკასიელი რევოლუციონერები წავიდნენ ირანს, ასე დაიწყო:

„რუსეთის 1905 წლის მოძრაობის შემდეგ დემოკრატიული რევოლუცია მოედო მთელ აზიას — თურქეთს, სპარსეთს, ჩინეთს“[1].

„სპარსეთში მოხდა რევოლუცია, რომელმაც თავისებურად შეაერთა რუსეთის პირველი სათათბიროს გარეკვა რუსეთის 1905 წლის დამლევის აჯანყებასთან“[2].

რუსეთის პირველი რევოლუცია მძლავრ ექოდ გაისმა მთელ მსოფლიოში. მან აამოძრავა აღმოსავლეთის ხალხები, რომლებიც, მსგავსად რუსი მუშებისა და გლეხებისა, დაირაზმნენ დესპოტური, თვითმპყრობელური რეჟიმის დასამხობად. განსაკუთრებით ძლიერი იყო ეს მოძრაობა ირანში, სადაც იგი 1905—1911 წლების განმავლობაში გრძელდებოდა და ბოლოს შაჰის აბსოლუტური ხელისუფლების მცირეოდენი შეზღუდვით, კონსტიტუციის შემოღებით დამთავრდა.

მართალია, კუდბაწარა იყო ეს კონსტიტუცია, მაგრამ მაინც კონსტიტუცია ერქვა. იგი სავსებით აკმაყოფილებდა ბურჟუაზიას, სამღვდე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 9, გვ. 79.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 15, გვ. 209.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოებას და მსხვილ ფეოდალებს, რაც შეეხება მშრომელებს, რევოლუციის ამ მთავარ მამოძრავებელ ძალას, მისთვის ამ კონსტიტუციას არსებითად არაფერი არ მოუტანია, იგი ისევე უუფლებო, მოტყუებული დარჩა, როგორც იყო. ამ შემთხვევაშიც მოხდა ისე, როგორც ყოველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ხდება ხოლმე.

ეს მოძრაობა იმით დაიწყო, რომ 1905 წლის დეკემბერში ირანის დედაქალაქ თეირანსა და სხვა ქალაქებში შაჰის რეჟიმის საწინააღმდეგო სტიქიური საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები დაიწყო. მასში მშრომელ ელემენტებთან ერთად მონაწილეობდნენ შაჰის რეჟიმით უკმაყოფილო პრივილეგირებული კლასებიც — ვაჭრები, სამღვდელოება, ხელოსნები. რუსეთის მეფის მსგავსად, ამ მოძრაობით შეშინებულმა ირანის მაშინდელმა შაჰმა მოზაფარ-ედინ ყაჯარმა 1905 წ. 5 აგვისტოს კონსტიტუცია გამოაცხადა და აგვისტოში მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევა ბრძანა. დაიწყო ადგილობრივი სახალხო დემოკრატიული ორგანოების (ენჯომენების) შექმნა.

მაგრამ მოხუცი, დასნეულებული მოზაფარ-ედინ-შაჰი მალე გარდაიცვალა (1907 წ. 8 იანვარს).

ტახტზე ავიდა მისი შვილი მოჰამედ-ალი.

რევოლუციური მოძრაობის თანდათანობით განვითარებით შეშფოთებულმა შაჰმა გადაწყვიტა ჩაექრო ეს მოძრაობა და გაეუქმებინა კონსტიტუცია.

რუსეთის მეფის მსგავსად შაჰს ჰყავდა ტახტის ერთგული დამცველი კაზაკთა ბრიგადა, რომელსაც რუსულ ყაიდაზე წვრთნიდა რუსი პოლკოვნიკი ლიახოვი, სხვა რუს ოფიცრებთან — კაპიტნებთან: პერებინოსოვთან, ბლაზნოვთან და უშაკოვთან ერთად. სწორედ ეს შავბნელი ძალები მიუსია შაჰმა 1908 წ. ივლისში მეჯლისს და ბარბაროსულად დაარბია იგი. მეჯლისის შენობა დაანგრიეს, ხოლო მის წევრებს დევნა დაუწყეს, ზოგიერთი სადისტური სიმკაცრით ამოჟლიტეს. ამაზე წერდა მაშინ ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ სტატიაში „ფიცხი მასალა მსოფლიო პოლიტიკაში“: „რუსეთში ხალხის მასობრივი დახვრეტის, დამსჯელი ექსპედიციების, ცემა-ტყეპისა და ძარცვის საგმირო საქმეებს მოსდევს იმავე კაზაკების საგმირო საქმეების ჩადენა სპარსეთის რევოლუციის ჩასახშობად“[1].

ვლადიმერ ილიას ძე ამას რომ წერდა, იქვე შენიშნავდა, რომ „სპარ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 15, გვ. 209.

სეთის რეაქციის ეს ტრიუმფი ახალ სახალხო აჯანყებათა შესავალი მოჩნდებაო"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელი ხალხის ბრძენი ბელადის ეს წინასწარმეტყველება იშვიათი სიზუსტით ასრულდა.

მეჯლისის ბარბაროსულმა დარბევამ და მისი წევრების დევნამ უკიდურესად აღაშფოთა ხალხი. ახლა ირანის აზერბაიჯანის ცენტრში თავრიზში და გილიანის პროვინციაში (რეშთი) იფეთქა რევოლუციურმა აჯანყებებმა. თავრიზის აჯანყებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ამ პროვინციის ამიერკავკასიასთან და კერძოდ პროლეტარულ ბაქოსთან სიახლოვემ, სადაც იმ დროს ბლომად ჩამოდიოდნენ საშოვარზე წამოსული გაღატაკებული ირანელები, რომლებიც ბუნებრივად ექცეოდნენ აქ გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობის ორბიტაში, მონაწილეობდნენ რევოლუციურ გამოსვლებში, ეწერებოდნენ რევოლუციურ ორგანიზაციებში („ჰუმმათი", „ადალიათი"), ითვისებდნენ რევოლუციურ, სოციალ-დემოკრატიულ იდეებს და შინ დაბრუნებულები ავრცელებდნენ მათ თავის თანამემამულეებში.

ამან უდაოდ იქონია გავლენა თავრიზის აჯანყებაზე, რომელმაც პირველი მეჯლისის დარბევისთანავე იფეთქა და რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ირანელი მშრომელი ხალხის სახელოვანი შვილები სათარ-ხანი, „ხალხის მიერ არჩეული სარდალი", როგორც ის თავისთავს უწოდებდა და მისი ერთგული მეგობარი, თანამოსაგრე და თანამებრძოლი ბაღირ-ხანი — ორივე მდაბიო მშრომელი ხალხის შვილები.

პირველს ადრეც ჰქონდა მიღებული ერთგვარი პირველი რევოლუციური ნათლობა, ჰყავდა მცირერიცხოვანი რაზმი და პარტიზანულ ომს ეწეოდა შაჰის ხელისუფლების წინააღმდეგ. მეორე — ბაღირი კი კალატოზი იყო, რომელსაც ამ ბრძოლებში გარკვეულად მხედართმთავრული ნიჭი გამოაჩნდა. ისინი დიდი პოპულარობით, სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ მშრომელი ხალხის ფართო მასებში, რაც იმით გამოიხატა, რომ პირველს სარდარე-მელის (ხალხის ბელადი), ხოლო მეორეს სალარე-მელის (ხალხის მხედართუფროსი) საპატიო სახელები დაუმკვიდრეს. ვ. ი. ლენინი სათარს „სპარსეთის რევოლუციური ჯარის მეთაურს" უწოდებდა, ბურჟუაზიულ წრეებში კი — ზოგი სპარსეთის ჰარიბალდის უწოდებდა, ზოგიც აზერბაიჯანელ პუგაჩოვს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 15, გვ. 210.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრიზის აჯანყებას კრიტიკული მომენტი დაუდგა. შაჰმა მთელი ძალებით შეუტია აჯანყებულებს და ქალაქი მტრის რკალში მოექცა. ამ კრიტიკულ მომენტში გაისმა ირანელი რევოლუციონერების მოწოდება კავკასიელი რევოლუციონერებისადმი — დაგვეხმარეთო და ქართველ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს სხვა კავკასიელ რევოლუციონერებთან ერთად, არ დაუყოვნებიათ, სასწრაფოდ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და წავიდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ირანელი მშრომელი ხალხის დასახმარებლად. მათ შორის ბევრმა დასდო თავი ამ ბრძოლაში და თავისი სისხლით წაშალა წარსული მტრობა, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა პროლეტარულ ძმობასა და სოლიდარობას.

„საერთოდ ცნობილია, რომ ირანის რევოლუცია დაიწყო და მიმდინარეობდა იმ რევოლუციური ამბების ზეგავლენით, რასაც იმ დროს ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ბოლშევიკები ირანის რევოლუციის პერიოდში დიდ დახმარებას უწევდნენ სამხრეთ აზერბაიჯანის რევოლუციონერებს. თბილისში შექმნილი იყო ირანის რევოლუციონერების დამხმარე სპეციალური კომიტეტი, მუსულმანთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „ჰუმმათი“, პარტიის თბილისისა და ბაქოს ორგანიზაციები წარმოადგენდნენ ამიერკავკასიელი ბოლშევიკების ირანის რევოლუციონერებთან დამაკავშირებელ რგოლებს. 1909 წლის შემოდგომაზე რსდმპ თბილისის კომიტეტმა ერთ-ერთ თავის სხდომაზე განიხილა ირანელი რევოლუციონერებისათვის იარაღის შეძენის საკითხი.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები და თბილისის „ჰუმმათის“ ბოლშევიკური ჯგუფი სისტემატურად უგზავნიდნენ იარაღს და მარქსისტულ ლიტერატურას ირანის აზერბაიჯანის რევოლუციონერებს და ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ“[1].

„სწორედ ამ პერიოდში თბილისში შექმნილი იყო აჯანყებული ირანელი მშრომელებისათვის დახმარების ორი ორგანიზაცია — ერთი რსდმპ თბილისის კომიტეტთან, ი. ბ. სტალინის მეთაურობით, და მეორე მუსულმანთა ორგანიზაცია „ჰუმმათთან“ (რომელსაც გამოჩენილი ბოლშევიკი, შემდგომში ჩვენი სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე ნარიმან ნარიმანოვი მეთაურობდა. — ა. კ.). ირანის რევოლუციას დახმა-

---

1 მ. აგაჯანოვი. „თბილისის „ჰუმმათის“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში“, საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, № 17, გვ. 157, თბ., 1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას უწევდნენ აგრეთვე თბილისელი და ბაქოელი კომუნისტები: სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე, სერგო ორჯონიკიძე, მეშედი აზიზ-ბეკოვი, მირ-ბაშირ ყასუმოვი, აგრეთვე თბილისელი ჰუმმათელები ჰაიდარ ალი თაღი-ზადე, აშრაფ იუზბაშევი და სხვ".[1]

ჟანდარმერიაც ადასტურებდა, რომ ირანის რევოლუციონერთა (მოჯაჰიდების) დამხმარე ცენტრი იმყოფებოდა თბილისში და მისი მთავარი წევრები იყვნენ ირანის ქვეშევრდომები: ექ. ნარიმანოვი (ნარიმან ნარიმანოვი), ხალიჩების ვაჭარი სადიხოვი, ტყავის ვაჭარი ალექფეროვი და რიზაევი, თერძი მაშადი მაჰმუდი, ხილის ვაჭრები თაჰირ-ზადე და ახუნდოვი[2].

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ი. ჭავჭანიძის მოწმობით, ირანის რევოლუციონერებს ეხმარებოდა აგრეთვე გამოჩენილი ქართველი ბოლშევიკი მიხო ბოჭორიძე, რომლის რევოლუციური მოღვაწეობა 1907—1908 წლებში ბაქოში მიმდინარეობდა, სადაც ასევე ცნობილ ბოლშევიკებთან სტეპკო ინწკირველთან, თომა ჩუბინიძესთან და თავის დასთან, მაროსთან, ერთად მონაწილეობდა საიდუმლო შტაბის მოწყობაში, რომელიც იარაღს აგზავნიდა სპარსეთში.

კავკასიელი რევოლუციონერები ირანში ჩავიდნენ პირველი მეჯლისის დარბევის შემდეგ, ე. ი. შაჰის კავშირს მეფის რუსეთის მთავრობასთან სიმბოლურად დაუპირისპირდა ამ ორი ქვეყნის რევოლუციონერთა კავშირი. საუკუნეობით მტრობაში მყოფი ერები, კერძოდ, ქართველები და სპარსელები, სომხები და სპარსელები, საერთო რევოლუციური დროშის ქვეშ გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

სხვადასხვა ავტორი ირანის რევოლუციაში მონაწილე ქართველებისა და საერთოდ კავკასიელების სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს. კერძოდ, ირანის რევოლუციის ისეთი უდაოდ საიმედო მკვლევარი, როგორიც იყო მ. პავლოვიჩი (ვოლონტერი) თვლის, რომ ირანის რევოლუციაში 180 ქართველი მონაწილეობდაო, რაც ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია.

ქართველი მოხალისე-რევოლუციონერები ირანში გენერალ სრანსკის სარდლობით საოკუპაციო რუსის ჯარის იქ შესვლამდე იბრძოდნენ

---

[1] თ. მ ინ დ ი ა შ ვ ი ლ ი. „რევოლუციისათვის ბოლომდე მიცემული სიცოცხლე". „ზარია ვოსტოკა", 3. IX. 1972.

[2] მ. ა გ ა ჯ ა ნ ო ვ ი. დასახ. სტატია, გვ. 157-158.

და ამის შემდეგ გახდნენ იძულებულნი დაეტოვებინათ ეს ქვეყანა და უკან გამობრუნებულიყვნენ ისე, რომ მათგან 6 თუ 8 კაცის გარდა უკვე ალბათ მისცემია შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ირანის დედაქალაქ თეირანზე ლაშქრობაში.

კავკასიელი, კერძოდ, ქართველი მოხალისე-რევოლუციონერების მონაწილეობა ირანის რევოლუციაში ზოგიერთ ბურჟუაზიულ, რეაქციულ ისტორიკოსს უნდა მახინჯი სახით წარმოადგინოს. ისინი იმის ნებასაც კი აძლევენ თავის თავს, რომ თქვან, თითქოს თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი რევოლუციონერები ფულის გულისათვის წასულიყვნენ იქ.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამაზე მეტი ცინიზმი? ვის გაუგონია კაცი სასიკვდილოდ დებდეს თავს ფულის გულისათვის? ან კი რა ფულზე შეიძლებოდა ლაპარაკი, ვისგან უნდა მიეღოთ ეს ფული, როცა თვითონ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ეხმარებოდნენ მატერიალურად ამ მოძრაობას?

საფუძველი არა აქვს ასეთ „მტკიცებას". მხოლოდ მტერს, გულღვარძლიან კაცს შეუძლია ილაპარაკოს ასე.

სინამდვილეში ჩვენი თავისუფლებისმოყვარე რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელთა შორის ყველაზე უხნესი 25 წლისა იყო, კლასობრივი, რევოლუციური თვითშეგნებით მიდიოდა შაჰის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ამხედრებული ირანელი მშრომელი ხალხის დასახმარებლად. მხოლოდ პროლეტარული ძმობა და სოლიდარობა ამოძრავებდათ მათ, სხვა მისწრაფება არ ჰქონიათ. აი, რას წერს ამის შესახებ თავის მოგონებაში ამ რევოლუციის აქტიური მონაწილე მ. ბოგდანოვ-მარიაშკინი:

„ჩვენი მატერიალური მდგომარეობა მძიმე იყო. არავითარი ორგანიზებული მომარაგება... ტანსაცმელიც ჩვენი გვეცვა, მხოლოდ რეშთის აღებისას მოგვცეს მთელ ჯგუფს (30 კაცს) ჯიბის ფულად 2 თუმანი (4 მანეთი), ეს იყო და ეს. იკითხავთ, რა გვამოძრავებდა, რა გვაკავშირებდა ჩვენ? — მეგობრობა, დიდი პატივისცემა ერთმანეთისადმი და საერთო მისწრაფება შაჰის ძალებზე გამარჯვებისა. ჩვენ გვაკავშირებდა აგრეთვე თვითდისციპლინა. ჩვენს შორის არ მოიპოვებოდა არცერთი, რომელსაც სურდა განსაკუთრებული მდგომარეობა ეძებნა თავისთვის. ჩვენი „გურჯების" ჯგუფიდან თითოეული თავის მუდმივ დევიზად თვლიდა მხოლოდ ბრძოლაში მისწრაფებას, ამხანაგისათვის მხარის მიცემას. მხდალები ჩვენს შორის არ ყოფილან. ჩვენი მონაწილეობა ირანის რევოლუცი-

ურ მოძრაობაში ყველას მიგვაჩნდა ჩვენს რევოლუციურ ღირსებად, ჩვენს სიამაყედ და სინდისად!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიელი რევოლუციონერების ლტოლვას ირანში, უნდა ვიფიქროთ, გარკვეულად შეუწყო ხელი ჩვენში 1905—1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებამ და იმ მკაცრმა შავრაზმულმა რეაქციამ, რაც მას მოჰყვა კვალდაკვალ. უდაოდ, ამ რევოლუციაში მონაწილე ჩვენს ბევრ რევოლუციონერს აღარ დაედგომებოდა შინ. იგი ან ემიგრაციაში უნდა წასულიყო, ან ღრმა იატაკქვეშეთში გადამალულიყო. სწორედ ამ დროს მოვიდა ირანელი რევოლუციონერების მოწოდება დახმარების შესახებ, რასაც რევოლუციურ ბრძოლებში გამოვლილი კავკასიელი სოციალ-დემოკრატები ხალისით გამოეხმაურნენ და მოხალისეებად წავიდნენ იქ.

სხვანაირად ახსნა ამ ფაქტისა ირანის მიწაში დამარხული ქართველი და სხვა კავკასიელი რევოლუციონერების ხსოვნის შეურაცხყოფა იქნებოდა.

ირანის რევოლუციის ისტორიის ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ მოგახსენებთ იმ ქართველი მოხალისე რევოლუციონერების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ ირანის რევოლუციაში და რომლების დადგენაც შევძელით. მანამდე კი გთავაზობთ ამ რევოლუციის მონაწილეების მ. ა. ბოგდანოვ-მარიაშკინისა („მიშა ურიას“) და ს. ს. გაგოშიძის მოგონებებს, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმ რევოლუციურ ბრძოლებზე, რაც „გურჯებს“ გადაუტანიათ ირანში და რა დახმარებაც გაუწევიათ ირანელი ხალხისათვის კონსტიტუციის მოპოვებაში.

ბარე ხუთ წელზე მეტია, რაც ჩვენი ერის ამ სახელოვანი შვილების ცხოვრებისა და მოღვაწეობის დადგენაზე ვმუშაობ. ბევრის დადგენა მოვახერხე, მაგრამ ბევრი დასადგენია და ეს კვლევა არ უნდა შენელდეს.

რატომ გახდა ძნელი საქართველოდან ირანში საბრძოლველად წასული ყველა რევოლუციონერის ვინაობის დადგენა?

იმის გამო, რომ ისინი თვითონ მალავდნენ თავის ვინაობას და ბევრი გამოგონილი გვარით ან ფსევდონიმით ცხოვრობდა და იბრძოდა იქ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ყველა ისინი მონაწილენი იყვნენ რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციისა და ამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ არალეგალურად ცხოვრობდნენ როგორც შინ, ისე გარეთ და კერძოდ, ირანშიც, სადაც ჩვენში რეაქციის გამარჯვების შემდეგ წავიდნენ, მაგრამ მათ დევნას არც იქ ანებებდა თავს მეფის ჟანდარმერია.

იმდროინდელი გაზეთი — „გოლოს კავკაზა“ წერდა, რომ ახლა უკვე სავსებით დადგენილია, რომ თავრიზელ ფიდაებს (რევოლუციურ ჯგუფებს-კაცებს), რომლებიც თავს დაესხნენ რუსეთის ჯარს (იმის პროვოკაციული საბაბით, ვითომ რუსეთის ჯარს, რომელიც იმ ხანად გაგზავნილი იყო ირანში იქ მცხოვრები რუსი ქვეშევრდომების დასაცავად, თავს დაესხნენ ირანელი რევოლუციონერები, მეფის მთავრობამ საოკუპაციო ჯარი შეიყვანა თავრიზში გენ. სრანსკის მეთაურობით — ა. კ.), მეთაურობდნენ რუსეთიდან გაქცეული ქართველები და სომხები, რომ სპარსეთში ისინი მოგონილ გვარებს ატარებდნენ, რადგან რუსეთის ხელისუფლებას უნდოდა მათი ვინაობის დადგენა და ამისათვის რუსეთის თავრიზელი გენერალური კონსული საიდუმლოდ თხოვდა თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ამ მიზნით მიევლინებინა მასთან რამდენიმე გამოცდილი საიდუმლო აგენტი.

ახლა კი იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ის ქართველები, ვინც მონაწილეობდა ირანის რევოლუციაში. ამის თაობაზე ჯერ ისევ მ. ბოგდანოვ-მარიაშკინს მოვუსმინოთ:

„ჩვენი „გურჯების“ ჯგუფი მტკიცედ შეკრულ კოლექტივს წარმოადგენდა. უმეტესი ჩვენგანი იმ დროის რევოლუციურ პარტიებს ვეკუთვნოდით, ბევრს მონაწილეობა გვქონდა მიღებული 1905 წ. აჯანყებაში, ბევრს გამოვლილი ქონდა ციხეები და გამოქცევები, კატორღები და ციმბირი. არალეგალურად მცხოვრები იატაკქვეშელებიც იყვნენ ჩვენს შორის. უმეტესობას ფარული წრეების მსმენელი მუშები შევადგენდით, სადაც გვასწავლიდნენ კ. მარქსის „კომუნისტურ მანიფესტს“, მისსავე „კაპიტალს“, ლენინის „რა ვაკეთოთ?“, გვიკითხავდნენ „ისკრას“, პროკლამაციებს, პლეხანოვის, ჩერნიშევსკის, გერცენისა და სხვ. ნაწარმოებებს. უმეტესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ, შედარებით ნაკლები იყვნენ მენშევიკები, თითო-ოროლა ესერები, ანარქისტები. დაშნაკები ვერ შეუთვისდნენ ჩვენს ჯგუფს. ეროვნების მიხედვით ყველაზე მეტი ქართველები იყვნენ, შემდეგ მოდიოდნენ რუსები, ებრაელები და სომხები ასაკით 18—20 წლისანი ვიქნებოდით“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქოშრა ბაკო



ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იყო აღებული რეშთი და ყაზვინი

(ირანის 1905—1911 წლების რევოლუციური მოძრაობის მონაწილის მ. ა. ბოგდანოვ-მარიამკინის მოგონება)

1907 წელს, ირანის სახელოვანი შვილების სათარ-ხანისა და მისი უახლოესი მეგობრის ბაღირ-ხანის მეთაურობით, აჯანყებული თავრიზელები წინ აღუდგნენ შაჰის 40-ათასიან არმიას ირანელი ხალხის ჯალათის ეინ ოდ-დოულეს სარდლობით. თავრიზი ბლოკირებული იყო, შაჰის რაზმები ცდილობდნენ ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა. მამაცი თავრიზელები, მრავალი მსხვერპლის მიუხედავად, იგერიებდნენ იერიშებს. მწვავე და დაუნდობელი იყო ბრძოლა. თავრიზს სული ეხუთებოდა, ხალხი შიმშილობდა, სურსათის შესაზიდ გზებს ხშირად მტერი ჰკეტავდა, თავრიზელი აჯანყებულები სასწრაფო დახმარებას საჭიროებდნენ.

ამ დახმარების ხელი გაუწოდეს მათ ამიერკავკასიელმა რევოლუციონერებმა. ისინი ადგენდნენ მოხალისე ამხანაგების მებრძოლ ჯგუფებს, რომლებიც სურვილს აცხადებდნენ მიეღოთ მონაწილეობა ირანში მოჰამედ-ალი შაჰის რეაქციული ძალების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში.

ზოგიერთი ჩემი ამხანაგი — გამოცდილი მებრძოლი-ბოლშევიკები კოლია ტეტიუცკი და ვანო კარაპეტოვი („დავახეთქე"), პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ესერი გრიგოლ ემხვარი და სხვები პირველები იყვნენ, რომლებიც გაიგზავნენ სათარ-ხანთან იარაღით რეშთის ასაღებად და შემდგომ ყაზვინსა და თეირანზე სალაშქროდ, რაც იძულებულს გახდიდა ეინ ოდ-დოულეს ჩამოეცილებინა თავისი ჯარები თავრიზისათვის და ამით საშუალება მიეცა სათარ-ხანისათვის გაერღვია გარემოცვა და დაეწყო შეტევა მტრის წინააღმდეგ.

ჩემს მოგონებას მე იქიდან ვიწყებ, თუ როგორ მოვხვდი იმ ოცდა-თერთმეტ ამხანაგს შორის, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოჰამედ-ალი შაჰის მთავრობის წინააღმდეგ 1908—1909 წლებში მიმართული აჯანყებისა და საბრძოლო მოქმედებების მოწყობაში და ქალაქ რეშთის აღებაში.

ერთხელ, დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის იუბილეს წინა დღეს (1908 წლის 6 დეკემბერს, — ა. კ.) ერთმა ჩემმა ამხანაგმა მითხრა, რომ ირანელი რევოლუციონერების თხოვნით მიღებულია გადაწყვეტილება დახმარება გავუწიოთ რევოლუციურ ირანს გამოცდილი მებრძოლებით შაჰის არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო და დასძინა, რომ მთელი რიგი ჩვენი ამხანაგებისა უკვე იმყოფებიან იქ და იბრძვიან სათარ-ხანის რევოლუციურ რაზმებში, კერძოდ ჩვენი ამხანაგი ემხვარი კიდევაც დაიღუპაო. მკითხა წავიდოდი თუ არა ირანში. რა გაიგო ჩემი თანხმობა, დამავალა თან წამეღო ბომბები. ამასთან ისიც მითხრა, რომ იარაღს — მაუზერის სისტემის რევოლვერებს, დაშლილ თოფებსა და ბომბებს მივიღებდი სოციალ-დემოკრატებისაგან და ორ კალათში ჩალაგებული ამ ტვირთით წავიდოდი ბაქოში.

თამამშვილის ქარვასლასთან (იგი ლენინის მოედანზე იდგა 1935 წლამდე—ა. კ.) მე შევხვდი სტეფანე შაუმიანსა და დათიკო ცაგარეიშვილს, დათიკოს ჰქონდა დავალებული მოეცა იარაღი. ეს სწორედ აკაკის იუბილეს დღეს (1908 წ. 7 დეკემბერი. — ა. კ.) მოხდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ დიდ სახალხო ზეიმში საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული აუარებელი ხალხი მიიღებდა მონაწილეობას, რაც ჩვენ ძალიან გვაწყობდა, რადგან პოლიციის მთელი ყურადღება მისკენ იქნებოდა მიპყრობილი, ჩვენ მგზირავი არ გვეყოლებოდა და იოლად ჩავჯდებოდით მატარებელში. ჩვენ ჩვენი ორგანიზაციის ეტლი გვყავდა, მეეტლეც (ნიკოლოზი ერქვა, გვარი მაშინაც არ ვიცოდი) ჩვენი ორგანიზაციის წევრი იყო. მან და მებარგემ აიტანეს კალათები ვაგონში და ამ ტვირთით დავიძარით ბაქოსაკენ.

სტეფანე შაუმიანმა გამაფრთხილა, რომ ბაქოს სადგურში შემხვდებოდა კოლია ტეტიუცკი, ჩემი ძველი თბილისელი ამხანაგი, რომელიც წინა დღით ჩასულიყო იქ თავრიზიდან, სადაც იგი სათარ-ხანის რაზმში იბრძოდა. ჩემთან ერთად ვაგონში მოდიოდნენ ამხანაგები ბათუმიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიიდან და ქუთაისიდან. მათაც მოჰქონდათ კალათები ბომბებით, მარ-ზერებითა და დაშლილი თოფებით.

კოლია ტეტიუცკი მართლაც შეგვხვდა ბაქოს სადგურში და ჩვენი ბარგით მოგვათავსა სასტუმრო „ევერიაში", ვაგზლის ახლოს. ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ ვალიკო ბათუმიდან, ჟღენტი—ქუთაისიდან, ვარდო და პეტრე — გურიიდან. მეორე დღეს, კოლია ტეტიუცკის მითითებით მთელი ჩვენი ტვირთი გადავიტანეთ ტაგიევის სანაოსნოს ნავმისადგომში, სადაც იგი ჩაიბარეს აქ მომუშავე ჩვენმა აზერბაიჯანელმა ამხანაგებმა. ჩავაბარეთ ტვირთი და შევუდექით ირანში გასვლისათვის მზადებას. ჩემთან ჩამოსული ამხანაგები ჩვენს ჯგუფში არ შეუყვანიათ, ისინი ჩვენს შემდეგ გადმოვიდნენ. შეადგინეს ახალი ჯგუფი 7 კაცისაგან, რომელშიც შედიოდნენ: „ვახანა" პეტრე, მეტ სახელად „ოქროყანის დეპუტატი", გიორგი — „მეწაღე", „კოჭლი" — ვასო, „გიჟი" — გიგო (მათიაშვილი), მე — „მიშა-ურია" (ბოგდანოვ-მარიაშკინი), იოსები—ყველანი თბილისიდან და ფაშა-ხანი—პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ბაქოდან.

როგორ მოეწყო ჩვენი გამგზავრება ირანში და ვინ იყო მისი მომწყობი არ მახსოვს. შესაძლოა პარტიათაშორისო კომიტეტი, რომელშიაც ირანელი რევოლუციონერებიც შედიოდნენ. დილით ადრე მივედით რუსულ ასთარაში და დავდექით პატარა სასტუმროში, რომლის ქართველი მეპატრონე ჩვენი კაცი იყო. მან გვაცნობა, რომ ჩვენ ადგილობრივი პოლიცია საეჭვოდ გვიყურებს, თვალყურს გვადევნებს და აუცილებლად გაგვჩხრეკენ. იგივე დაგვიდასტურა ირანის რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელმაც, რომელიც, რაც ბაქოდან გავედით, ლანდივით თან დაგვდევდა, მან გვირჩია მაუზერის რევოლვერები ჩაგვებარებინა სასტუმროს მეპატრონისათვის, რომელიც დაგვიბრუნებდა მათ საზღვარზე გადასვლისას და ისიც გვითხრა, რომ თვითონ მიიღებდა ყველა ზომას ჩვენი უშიშროებისათვის. ჩვენმა მზრუნველმა ირანელმა იმ დღესვე დაგვირიგა ფული და რკინიგზის საბუთები, რომელთა მიხედვით „ვახანა" — პეტრე თევზის ვაჭარი გამოდიოდა, „კოჭლი" — ვასო — მისი ნოქარი. „მეწაღე" — გიორგი თავისი „ოსტატით", „გიჟი" — გიგოთი და ქარგლით იოსებით რუსულ ასთარაში რჩებოდნენ, სადაც „დაიქირავეს" შენობა და „სახელოსნო გახსნეს", შეიტანეს საჭირო გადასახადი, დაიქირავეს მუშები და შეუდგნენ ფეხსაცმლის რემონტს, მე მომეცა საბუთი, რომლის თანახმად რომელიღაც საწარმოო ფირმის წარმომადგენელი ვხდებოდი და თით-

ქოს აქ ჩამოვედი შეკვეთების გასაფორმებლად. ეს საბუთები და პასპორტები პოლიციამ ჩამოგვართვა და წაიღო. ჩვენთვის ხელი არ უხლიათ, მაგრამ ვგრძნობდით, რომ შეუწყვეტლად გვადევნებდნენ თვალ-ყურს. „ვახანა"-პეტრე და „კოჭლი"-ვასო ლეონოზოვის თევზის სარეწებზე წავიდნენ „თევზის შესასყიდად". ყველაფერი ეს დილით, გაჩხრეკვამდე გაკეთდა და პოლიცია იმ ფაქტის წინაშე დადგა, რომ გიორგი—„მეწაღე" უკვე იჯარით აღებულ შენობას არემონტებდა, თევზის „ვაჭრებმა" შეისყიდეს თევზის პირველი პარტია, ხოლო მე შეკვეთები გავაფორმე. ასე გრძელდებოდა, ვიდრე პოლიცია არ დარწმუნდა, რომ ჩვენ მართლაც საქმისათვის ვიყავით ჩასული. ფაშა-ხანი იმავე დღეს, გაჩხრეკამდე, გადავიდა საზღვარზე, რაც მან ირანის ასთარიდან შეგვატყობინა. ლეონოზოვის სარეწთა მმართველი მიხვდა, რომ „ვახანა" არაფერი თევზის ვაჭარი იყო, რაც კიდევაც უთხრა. პეტრემაც არ დაუმალა, უთხრა: „ჩვენ თევზის ვაჭრები არა ვართ, ჩვენ რევოლუციონერები ვართ, მაგრამ ვი შენი ბრალი თუ გაგვამხელ. გაავრცელე ხმა, რომ შენგან თევზის დიდი პარტია შევისყიდეთ და აგზავნი ჩვენი მისამართებით". ისიც ავრცელებდა ხმას, რომ ჩვენ თბილისელი თევზის მსხვილი ვაჭრები ვიყავით. პოლიციამაც დაიჯერა. რაც ასთარაში ვიყავით არავითარი საბაბი არ მიგვიცია ეჭვისათვის. ქუჩაში ერთმანეთს არ ვხვდებოდით და არ ველაპარაკებოდით, უბრალოდ, ერთ სასტუმროში მცხოვრებნი ვიყავით. ერთხელ ჩვენთან სასტუმროში მოვიდა ირანიდან გადმოსული და ბაქოში მიმავალი აპოლონ ჯაფარიძე. მისთვის საზღვარზე ეთქვათ, რომ ასთარაში დაკავებულია ამხანაგების ჯგუფი, რომელთაც საბუთები ჩამოართვეს, მუდამ თვალყურს ადევნებენ, ხოლო სასტუმროს, სადაც ცხოვრობენ, ჩაფრები დარაჯობენ, რათა არ მისცენ საზღვარზე გადასვლის საშუალებაო. გავაცანით აპოლონს ჩვენი მდგომარეობა და ვთხოვეთ შეხვედროდა ირანის რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელს და დაეჩქარებინა ჩვენი საზღვარზე გადაყვანა. აპოლონი გაბრუნდა უკან, შეხვდა ირანელ ამხანაგებს და დაარწმუნა, რომ საჭირო იყო ჩვენი გადასვლის დაჩქარება, რადგან ჩვენს შორის რამდენიმე არალეგალურ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით.

აპოლონ ჯაფარიძის ჩარევამ დააჩქარა ჩვენი საზღვარზე გადასვლა. ბოლოს, როგორც იყო დაგვიბრუნეს პასპორტები. შესაძლოა ქრთამიც მისცა ჩვენმა ჩრდილივით ადევნებულმა ირანელმა. როცა სასტუმროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვა მოხსნეს, ჩვენ მივიღეთ ჩვენი იარაღი და გამყოლით საზღვრისაკენ გავემართეთ.

სასაზღვრო მდინარის (არეზი-არაქსი.— ა. კ.) გადასვლისას ჩვენ შევეჩეხეთ ირანელ მცველებს, რომლებმაც ხელები აგვაწევინეს. ხელები კი ავწიეთ, მაგრამ გაჩხრეკის დროს ვეტაკეთ და გავაიარაღეთ.

ამნაირად მოვხვდით ირანის ასთარაში მკერდამდე დასველებულები, რადგან მდინარის ფეხით გადასვლა მოგვიხდა. მოგვათავსეს კეთილმოწყობილ პატარა სახლში, რაზედაც ასევე ჩვენს მფარველ ირანელს ეზრუნა. ასთარაში დავრჩით მანამდე, ვიდრე რეშთში ბინებს მოგვიმზადებდნენ.

ერთ საღამოს, როდესაც ქალაქში გამოვედით, გარს შემოგვერტყა რომელიღაც ყაჩაღთა ბანდის შეიარაღებული ჯგუფი და წინადადება მოგვცა წავყოლოდით მათს ატამანთან ჩაიხანაში. მან დამტვრეული რუსულით გაგვიცხადა, რომ დიდი ხანია თვალს გვადევნებს, მიაჩნია, რომ ფულიანი ხალხი ვართ და ვიდრე არ მივცემთ გამოსასყიდს, მთებში წაგვიყვანენ და იქ გვიყოლიებენ. ჩვენ შეიარაღებულები ვიყავით, მაგრამ არ გვინდოდა მათთან შეტაკება, რათა არ გაგვემჟღავნებია თავი და არ ჩაგვეგდო ის საქმე, რისთვისაც ჩასული ვიყავით. ატამანის შეკითხვაზე რას ვაკეთებთ, ვუპასუხეთ, რომ ლეონოზოვის სარეწების შეიარაღებული დაცვა ვართ. ასეთმა პასუხმა ის დააფიქრა. ამ დროს ყველგანმყოფი ჩვენი ირანელიც მოვიდა და ინციდენტი ამოიწურა.

როცა რეშთში ჩავედით, იქ სომხის ბინაში დაგვაბინავეს. მართალია, პროდუქტები ცოტა გვქონდა, მაგრამ ეს არ გვაღონებდა. ერთი, რაც ჩვენ გვსურდა, ეს იყო კონსპირაციულ ბინაში რაც შეიძლება მალე გადასვლა, რათა დაგვეწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება, რისთვისაც საჭირო იყო ბომბებისა და ვაზნების დასამზადებელი ლაბორატორიის გამართვა და სამხედრო საქმის შესწავლა. ჩვენ ყველანი ასე თუ ისე გაცნობილი ვიყავით ბომბების დამზადებას, რადგან მას ირანამდეც ვაკეთებდით შინ.

ჩვენ კონსპირაციულ ბინაზე ვიმყოფებით. 30-ზე მეტი კაცი ვმუშაობდით დიდ დარბაზში, სადაც იდგა სპეციალურად გაკეთებული უზარმაზარი თახჩებიანი განჯინა. დამზადებულ ბომბებს ამ თახჩებში ვაწყობდით. დილიდან საღამომდე ვმუშაობდით. თითოეული ჩვენგანი უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა. რეშთში კონსპირაციულად ვცხოვრობდით

ჯგუფ-ჯგუფად ისე, რომ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. განსაკუთრებულად დაკონსპირირებული იყო ირანული ხელმძღვანელობა, რომელთანაც კავშირს აპოლონ ჯაფარიძე ანხორციელებდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ერთ-ორ თვეში, იმის მიხედვით თუ როგორ წარიმართებოდა ვითარება, შევუტევდით რეშთს და თუ გავიმარჯვებდით, წინ ყაზვინისა და თეირანის ასაღებად დავიძრებოდით.

რეშთში თავმოყრილი იყო სამხედრო გარნიზონი ქურთი ჯარისკაცებისა და კაზაკების, ჟანდარმერიისა და პოლიციელებისაგან შემდგარი. იდგა კიდევ რომელიღაც ცხენოსანთა რაზმი, იყო აგრეთვე მტრულად განწყობილი მსხვილი სამღვდელოება თავისი შეიარაღებული დაცვით და მდიდარი ვაჭრები. ასეთი იყო ის ძალა, რომელსაც უნდა შევებრძოლებოდით, მგარამ რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ჩვენ მზად ვიყავით გვებრძოლა ირანელი ხალხის თავისუფლებისათვის.

გაძლიერებით ვემზადებოდით აჯანყებისათვის, უკვე დაგვიგროვდა ყოველნაირი იარაღის საკმაოდ დიდი მარაგი. ხელმძღვანელობა არ იშურებდა ძალ-ღონეს, ენერგიასა და ფულს იარაღის შესაძენად. იარაღი მოგვდიოდა აგრეთვე ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციებისგანაც.

ბოლოს სალაშქროდ მომზადების სანატრელი დროც მოახლოვდა. ფარულად ვიწყებთ რეშთის გაცნობას, სამხედრო ობიექტების შესწავლას, ვამუშავებთ საბრძოლო მოქმედების გეგმებს, ვსწავლობთ მოწინააღმდეგის ჯარების განლაგებას. ვიგებთ ყაზარმებისა და გუბერნატორის სასახლის ადგილსამყოფელს. ქალაქში უამრავი ღარიბთა ქოხებია. საშინელი სიღატაკის გვერდით ვხვდებით მდიდრულ ვილებს შესანიშნავი აუზებით, ხეხილის მდიდარი ბაღებით, აჟურული ორნამენტებით და ბრჭყვიალა ფერებით მოხატულ, აღმოსავლურ სტილზე აგებულ მდიდრულ შენობებს. საინტერესოა რეშთის აბანოები, მოგებული მრავალფერი ფილებით. მობანავეები ზოგჯერ ქუჩებში დარბიან ზეწრებშემოხვეულები, ქუჩებში ჩაცუცქულნი ყალიონს ეწევიან და დაუსრულებლად მასლაათობენ. ქალაქში ბევრია მეჩეთი. არის დიდი ბაზარი. ვაჭრობენ იქვე მიწაზე. უხვად იყიდება ბოსტნეული და ხილი. იქვე მუშაობენ ფეხმორთხმული ხელოსნები—მეწაღეები, მესაათეები. დალაქებიც ასევე ფეხმორთხმულები სხედან მიწაზე და პარსავენ კლიენტებს. ხელში ჭუჭყიანი ჭიქები უჭირავთ ჭუჭყიანი საპნის ქაფით, რომლითაც თითებით უთხუპნიან სახეს, ხოლო თუ წყალი ვერ იშოვეს და საპონი ვერ ააქაფეს, ნერწყვით ულბობენ წვერს. ასე პარსავენ ის-

ეთსავე ღატაკებს, როგორც თვითონ დალაქები არიან. ასეთ სურათებს მე ხშირად ვხვდებოდი ქუჩაში. ქალაქში და ბაზარში აუარებელი ღატაკები, ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი დერვიშებია. ისინი მოწყალებას ითხოვენ. შემაძრწუნებელი სურათია. ამ ფონზე განსაკუთრებულად გამოიყურებიან უცხოელების კვარტალები ერთი და ორსართულიან კოტეჯებით, თავისი განსხვავებული მდიდრული არქიტექტურით, რაც ასე მკვეთრად გამოირჩევა. აქვეა მოთავსებული ბანკები, საბითუმო კანტორები, საქონლით სავსე უზარმაზარი საწყობები, საავადმყოფოები, სკოლები, საკონსულოები თავიანთი მცველებით, მდიდარი მაღაზიები და სხვ. ეს ცალკე სახელმწიფოა სახელმწიფოში და ყველაფერი ეს ეკუთვნის რუს, ინგლისელ, გერმანელ ვაჭრებს, რომლებიც წურბელივით ჩაფრენიან განაწამები ირანელი ხალხის სხეულს და სისხლსა სწოვენ.

გამოსვლებისათვის, რასაკვირველია, ვითვალისწინებდით შესაძლებლობას, რომ ისინი ჩაებმებოდნენ ბრძოლაში შაჰის გვირგვინის დასაცავად. ეს ჩვენ გვახსოვდა და ფხიზლად ვიყავით.

საჭირო იყო ჩვენ მიერ დამზადებული ბომბების გამოცდა მათი აფეთქებით და აგრეთვე ვაზნებისა და სხვა იარაღის შემოწმებაც.

ამისათვის ხუთნი წავედით და ენზელის (ფეჰლევი) მოშორებით გავსინჯეთ თოფები, ავაფეთქეთ ბომბები და ვნახეთ, რომ ყველაფერი ჩინებულად გაგვიკეთებია.

ერთხელ, როცა ლაბორატორიაში ვმუშაობდით, ჩვენთან შემოვიდა ირანის კონსტიტუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მოეზ ოს-სულთანის ძმა ქერიმ-ხანი, რომელმაც რა ნახა გრძელ მაგიდაზე გაშლილი თოფის წამალი, აიღო ერთი ფიერო, გვერდით დაჰყარა და ასანთი გაჰკრა პაპიროსის მოსაკიდებლად. მყისვე აფეთქება მოხდა. აფეთქებისაგან დაიჭრა აპოლონ ჯაფარიძე, თვით ქერიმ-ხანი და ყველაზე მეტად მე. ბედად არ დავბნეულვართ, დაუყოვნებლივ შევესიეთ ცეცხლს და ჩავაქრეთ, თორემ, თქვენს მტერს, ყველაფერი ნაცარტუტად იქცეოდა. ფეთქებადი მასალა იმდენი გვქონდა, რომ იგი საკმარისი იყო მოესპო ყველაფერი ჩვენიანად. რასაკვირველია, ეჭვი არ შეგვპარვია, რომ ქერიმ-ხანს ეს განზრახ არ გაუკეთებია და ვაპატიეთ ეს გაუფრთხილებლობა, მაგრამ მას შემდეგ კაცი სულიერი აღარ შემოგვიშვია ლაბორატორიაში.

დაშავებულთა სამკურნალოდ მოვიწვიეთ ექიმი, რომელიც აღარ გაგვიშვია უკან, ჩვენთან დავიტოვეთ და მხოლოდ ჩვენი გალაშქრების შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ გავათავისუფლეთ, ასევე მოვექეცით პატარა ბიჭუნასაც, რომელიც ერთ-გორღაც აღმოჩნდა ჩვენს საიდუმლო ბინაში. აფეთქების შემდეგ გავა-ძლიერეთ ჩვენი სახლის დაცვა, რადგანაც ვვარაუდობდით, რომ ძლიერი აფეთქების ხმა მიაღწევდა ხელისუფალთა ყურამდეც, დაიწყებოდა კვლე-ვა-ძიება და მოსალოდნელი იყო თავდასხმა. ასეც მოხდა, აფეთქების შემ-დეგ ქალაქში გასულმა მოეზ ოს-სულთანმა მოიტანა ამბავი, რომ ჩვენი სახლი ეჭვმიტანილია, მოსალოდნელია გაჩხრეკა და თუ ეს მოხდებოდა, ყველას დაგვაპატიმრებდნენ. არ აჯობებს, დასძინა მან, დავასწროთ მო-სალოდნელ საფრთხეს და პირველებმა ჩვენ გავილაშქროთ, თუგინდ იმ მცირე ძალით, ვინც აქ ვიმყოფებით? იგი დარწმუნებული იყო, რომ ხალხი მხარს დაგვიჭერდა. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ჩამოსულები ვართ ირან-ში ხალხისათვის რევოლუციური დახმარების გასაწევად შაჰის ხელისუფ-ლების წინააღმდეგ და სავსებით საკმარისნიცა ვართ პირველი დარტყ-მისა და ქალაქის ხელში ჩაგდებისათვის, მხოლოდ ის გვაფიქრებდა აღების შემდეგ შევინარჩუნებდით თუ არა ქალაქს. ბოლოს და ბოლოს გადაწყდა გალაშქრება. ჩვენი ჯგუფი მცირე იყო და უაღრესად დიდ პა-სუხისმგებლობას ვიღებდით ირანელი ხალხისა და ჩვენი იქ გამგზავნი პარტიების წინაშე.

მოველაპარაკეთ ადგილობრივი დაშნაკების წარმომადგენელს ეფრემს (დავიდიანცი, — ა. კ.), რომელსაც ადრეც ვიცნობდით. გვინდოდა გამო-გვერკვია მიიღებდა ჩვენთან ერთად მონაწილეობას შეიარაღებულ გამო-სვლებში თუ არა და რა ძალებით. მოლაპარაკებაში მოეზ ოს-სულთანიც მონაწილეობდა. მაგრამ ეფრემმა იმის ნაცვლად, რომ ეცნობებინა რა ძა-ლები გააჩნდა, შემოგვთავაზა ჩვენ შევერთებოდით მის დაშნაკურ ჯგუფს, და მათი სახელით გამოვსულიყავით. ამის გაგონება და მისი ჩვენგან და-უყოვნებლივ განდევნა ერთი იყო. მოეზ ოს-სულთანი შეცბა, მაგრამ და-ჟინებით არ მოუთხოვია დაშნაკებთან მოლაპარაკების გაგრძელება. იგრძ-ნო, რომ ეს შედეგს არ მოიტანდა. მისი ასეთი ტაქტიკური საქციელი ყვე-ლას მოგვეწონა.მოეზ ოს-სულთანს ჩვენს გარდა ჰყავდა კიდევ ერთი პა-ტარა ჯგუფი ადგილობრივი მოჯაჰიდებისა (თავისუფლებისათვის მებრ-ძოლებისა—ა. კ.), რომლებიც ჩვენთან ერთად უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით რას წარმოადგენდნენ ისინი, რა საბრძოლო მომზადების ან პოლიტიკური შეხედულებისანი იყვნენ, არც იმაში ვიყავით დარწმუ-ნებული, წამოვიდოდნენ ისინი ჩვენთან ერთად თუ არა. ის კი ვიცოდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შეტაკება მოგვისდებოდა შაჰის ერთგულ, კარგად შეიარაღებულ, გაწვრთნილ, დისციპლინირებულ და მებრძოლ ქურთებთან და კაზაკებთან, რაშიც მართლაც დავრწმუნდით შემდეგში, მათთან არაერთი გააფთრებული შეტაკების დროს. ამ ძალების გარდა რეშთთან იდგნენ ცხენოსანთა ჯგუფი და შაჰის დაცვა.

გადაწყდა მეორე დღეს, დილის 10 საათზე, სასიგნალო ბომბის აფეთქებისთანავე, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ, ელვის სისწრაფით უნდა გავჩენილიყავით ყაზარმების კედლებთან. ამისათვის თოფის გაუსროლელად უნდა გაგვერბინა ქალაქის ცენტრალური ნაწილი, თავს დავსხმოდით ყაზარმებს და გაგვეჩაღებინა ბრძოლა. ჯარისკაცებისათვის არ უნდა მიგვეცა გარეთ გამოსვლის საშუალება. ექვსი კაცი თავს უნდა დასხმოდა და მოესპო სამხედრო შტაბი გუბერნატორიანად და ამის შემდეგ შემოგვერთებოდა.

„სიკვდილი ან გამარჯვება!" — ასეთი იყო ჩვენი დევიზი.

არაფრისა არ გვეშინოდა, არც ვეჭვობდით, რომ გავიმარჯვებდით, ყველანი მხიარულ, აღგზნებულ გუნებაზე ვიყავით იმის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს მივდიოდით სალაშქროდ. ვგონებ, ეს დღე 1909 წლის 26 თებერვალი იყო (სწორია, — ა. კ.).

ჩვენი ხელმძღვანელობაც არ იჯდა გულხელდაკრეფილი, იგი ეწეოდა აგიტაციას, ავრცელებდა პროკლამაციებს და ჩვენი რევოლუციური დროშის გარშემო რაზმავდა თანამგრძნობებს. მოეზ ოს-სულთანი გვარწმუნებდა მოჰამედ-ალი შაჰი და მისი მთავრობა არ არიანო პოპულარული ხალხში, პირიქით, ხალხი მტრულადაა განწყობილი შაჰისადმი, მიზეზი ამისა კი ბევრიაო.

მართლაც, უწიგნური და უუფლებო ხალხი უკიდურეს სიღატაკეს განიცდიდა. უდიდესმა უმრავლესობამ არ იცოდა რა იყო მედიცინა, კანტიკუნტად შეხვდებოდით ექიმს, ხალხს მკბენარი ჭამდა, მძვინვარებდა ათაშანგი, ქოლერა, შავი ჭირი, შავი ყვავილი და სხვა ავადმყოფობანი. განწირული ხალხი თავდავიწყებას თრიაქის წევაში პოულობდა. სოფლად ფეოდალური წესები იყო გამეფებული. ხანები როგორც მოესურვებოდათ ისე ეპყრობოდნენ გლეხებს, აიძულებდნენ ემუშავათ მათს მამულებში და ამაში მოსავლის მეოთხედს უტოვებდნენ. ქალაქად და სოფლად გამეფებული იყო მექრთამეობა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები ძალზე დაბალი იყო, სამრეწველო საქონელი კი, რომელიც ინ-

გლისიდან, გერმანიიდან და რუსეთიდან შეჰქონდათ — ძვირად ეყიდებოდა. ხელოსნები უსაქმოდ ისხდნენ. ასეთი იყო ვითარება ირანისა იმ-ხანად. მდიდარი თუ იყო იგი, მდიდარი იყო თავისი სიღატაკით. ადგილობრივი და მოსული, უცხო ბურჟუაზია არ აბანდებდა კაპიტალს მრეწველობის განვითარებისათვის. მთავრობა ხელს არ უწყობდა წიაღისეულის დამუშავებას, ნავთი რუსეთიდან შეჰქონდათ. ვაჭრობის საგანს სოფლის მეურნეობის პროდუქტები და უცხოური საქონელი შეადგენდა. ერთადერთი კონცესია, რომელიც მაშინ ჰყვაოდა ირანში, იყო ლეონოზოვის თევზჭერის რუსული კონცესია. გასაოცარი უმუშევრობა იყო გამეფებული ქვეყანაში. უმუშევრები უმეტესად ბაქოში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში მიდიოდნენ საშოვარზე. მათს რუსული ენის უცოდინარობას კარგად იყენებდნენ სამრეწველო საწარმოთა მეპატრონეები. ერთსა და იმავე სამუშაოს საფასურად საშოვარზე ჩამოსულებს გაცილებით ნაკლებს უხდიდნენ, ვიდრე ადგილობრივ მუშებს. მაგრამ ბოლოს ისინიც იხარშებოდნენ საერთო მუშურ ქვაბში და ებმებოდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მონაწილეობდნენ გაფიცვებში, დემონსტრაციებში, ირაზმებოდნენ რევოლუციურ მებრძოლთა რიგებში, ხოლო უკან სამშობლოში დაბრუნებულებს თან მიჰქონდათ თავისუფლებისმოყვარე იდეები და ავრცელებდნენ თავიანთ ხალხში, უზიარებდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლის გამოცდილებას, ქმნიდნენ ადგილებზე რევოლუციურ ორგანიზაციებს.

მეფის რუსეთის მთავრობამ ირანისათვის მიცემული სესხის ასანაზღაურებლად თეირანში გაგზავნა თავისი დამქაში — პოლკოვნიკი ლიახოვი, რომელიც სათავეში ჩაუდგა შაჰის კაზაკთა ბრიგადას. ლიახოვი ასრულებდა რუსი მეფის ბრძანებებს და როგორც მოესურვებოდა, ისე განაგებდა ამ ბრიგადას. სესხის ასანაზღაურებლად მეფის ხელისუფლება ბეგრავდა ხალხს გადასახადებით. მაგალითად, წერილებს, ქვეყნის შიგნით იგზავნებოდა იგი, თუ მის გარეთ, აკრავდნენ რუსულ 7 კაპიკიან საფოსტო ნიშანს. გადასახადებს ახდევინებდნენ მექარავნეთ გზატკეცილებსა და ხიდებზე გავლისას, აგრეთვე პირუტყვსა და მგზავრებს. გადასახადებს რუსი ამკრეფები აგროვნებდნენ, რუს ვაჭრებს შეჰქონდათ შინ ჩაწოლილი საქონელი და ცეცხლის ფასად ჰყიდდნენ. შარტო მეფის მთავრობა როდი ყვლეფდა ირანელ ხალხს, არანაკლებად სძარცვავდა მას ინგლისი, რომელიც ამაში პირდაპირ ეჯიბრებოდა თვითმპყრობელურ რუსეთს.

ასეთი იყო ირანი მაშინ. იგი მოგვაგონებდა დენთით სავსე კასრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ელოდა ნაპერწკალს, რათა დანთებულიყო რევოლუციის დიდი კოცონი.

ეს კოცონიც დაანთო იქ ჩასულმა „გურჯების“ ჯგუფმა.

მათ მიერ დანთებული რევოლუციური ბრძოლის ალი მთელ ქვეყანას მოედო აჯანყებების სახით მოჰამედ-ალი შაჰის სულისშემხუთავი რეჟიმის წინააღმდეგ.

რევოლუციური ბრძოლების ჟამიც დადგა.

ჩვენი ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი რევოლუციური გამოსვლა აამოძრავებდა უუფლებო ირანელი მშრომელი ხალხის ძირითად მასებს, რომ იგი გვერდში ამოგვიდგებოდა.

არც უიმედო გამოდგა ჩვენი ვარაუდი.

1909 წლის 26 თებერვალს, ადრე დილით მოვიდა სიხარულისაგან აღგზნებული მოეზ ოს-სულთანი და გვაცნობა რეშთის გენერალ-გუბერნატორი და მისი სამხედრო შტაბი 6 კაცის შემადგენლობით ქალაქგარეთ, გუბერნატორის ბაღში თათბირობენ, სასწრაფოდ უნდა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, თავს დავესხათ და მოვსპოთო. ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად მან გვთხოვა მიგვეცა 5 კაცი. წაჰყვნენ განუყრელი ბათუმელი ვალიკო და გურულები პეტრე და ვარდო, თბილისელი გიორგი—„მეწაღე“ და ბაქოელი კოლკა (კოლია ტეტიუცკი). ასე შეიქმნა ტერორისტთა ჯგუფი მოეზ ოს-სულთანის მეთაურობით, შეიარაღებული მაუზერებითა და ბომბებით. ადგილზე დარჩენილი 26 კაცი გამოვედით დილის 10 საათზე, ჩვენი ტერორისტების წასვლიდან 1 საათის შემდეგ. მათი წარმატების სიგნალი უნდა ყოფილიყო აფეთქებული ბომბის ხმა.

სასიგნალო ბომბის ხმაც გაისმა. აფეთქების ხმამ ყველა აღგვაფრთოვანა. ჩვენც ელვის სისწრაფით ჩავსხედით წინასწარ გამოგზავნილ ეტლებში და ქალაქის ცენტრალური ნაწილის გავლით გავექანეთ ყაზარმებისა და გუბერნატორის სასახლისაკენ.

გზაში სროლა აგვიტეხეს ჩასაფრებულმა ჯარისკაცებმა, რომლებიც სწრაფად შევმუსრეთ. ყაზარმებთან ზარბაზნებისა და თოფების მასირებული სროლით შეგვხდვნენ. გაშლა ვერ მოვასწარით, რომ მოგვიკლეს ბაქოელი სტუდენტი ფაშა-ხანი, თბილისელი გიორგი, დაიჭრა მატროსი თედორე ჯავშნოსანი „პოტიომკინიდან“. ამ მსხვერპლმა უზომოდ გაგვარისხა და გააფთრებით ვეკვეთეთ მტერს, ვაყრიდით ბომბებს და ამით ვიძიებდით შურს ჩვენი ამხანაგებისათვის. მოწინააღმდეგე შეუწყვეტელი ცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლის ქვეშ გვყავს, ვუშვენთ ბომბებს და ვცდილობთ არ გამოვუშვათ ყაზარმებიდან, ძვირად დავუსვათ ჩვენი ამხანაგების სიკვდილი მტერს.

ამასობაში ის 5 ამხანაგიც შემოგვიერთდა, რომლებსაც სამხედრო შტაბი მოესპოთ გუბერნატორიანად. ეფრემიც მოვიდა თავისი ჯგუფით და ჩაება ბრძოლაში. დასახმარებლად მოვიდა ადგილობრივი მოსახლეობაც მოჯაჰიდებთან ერთად. ჩვენი ზარალი მატულობს, მაგრამ არა ნაკლებ ზარალს განიცდის მტერიც. რამდენიმე საათს გაგრძელდა გააფთრებული შეტაკება. ბოლოს შევძელით ყაზარმებისა და გუბერნატორის სასახლის რკალში მოქცევა. ვიჭრებით ყაზარმებში, სადაც ხელჩართულ ბრძოლას ვაჩაღებთ. გაისმის ყვირილი, დაჭრილთა კვნესა, თითქმის პირდაპირი დამიზნებით ვისვრით და ვაყრით ბომბებს. მტერი მაინც არ გვნებდება. მაშინ ყაზარმებს და გუბერნატორის სასახლეს ცეცხლი წავუკიდეთ. გვიან საღამოს მტერი ცეცხლის რკალში მოექცა. ასე გრძელდება მეორე დილამდე. ბოლოს მტერი ვეღარ უძლებს საერთო იერიშს და თანდათან გვნებდება, უიარაღოებს არ ვატყვევებთ, ვუშვებთ, მათთვის არ გვცალია, სადილობისათვის ყველაფერი მოთავდა — ქალაქი ჩვენია, ჩვენ გავიმარჯვეთ. ვაყენებთ დაცვას და დაუყოვნებლივ ვსპობთ ძარცვა-გლეჯას. ცხოვრება ქალაქში ჩამკვდარია — დაწესებულებანი, ბანკები, დუქნები დაკეტილია. გაიცა ბრძანება აღსდგეს ქალაქში ნორმალური ცხოვრება.

ასეც ხდება.

მიგვაქვს ზარბაზნები, უამრავი თოფები. ვიკავებთ ხაზინას, ფოსტას, ფულს ორ ფრონტზე ვაწყობთ და რევოლუციურ შტაბს ვაბარებთ. იცემა ბრძანება, რომ მოსახლეობამ ჩაგვაბაროს იარაღი. ვართმევთ იარაღს მსხვილ მემამულეებს, ხანებსა და ვაჭრებს. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს, მაგრამ დაყოვნება არ შეიძლება, რევოლუცია არ ითმენს. ჩვენ ყაზვინზე გასალაშქრებლად ვემზადებით. გვიერთდებიან ბაქოდან ჩამოსული აზერბაიჯანელები, გვემატებიან მუშები, ხელოსნები, ახალგაზრდობა, ისინიც რევოლუციონერთა რიგებში დგებიან. მათ სამხედრო საქმეს ასწავლიან.

უკვე საკმაოდ დიდი ძალებით ვვარაუდობთ ერთი თვის შემდეგ ვილაშქროთ ყაზვინზე. ყაზვინის აღებისას ჩვენი რევოლუციური მხედრობა თავის რიგებში ათი ათას კაცს ითვლიდა.

სახსრები, რაც რეშთის აღების დროს ჩვენს ხელში გადმოვიდა, არ იყო საკმარისი მასობრივი ლაშქრობისათვის. გადაწყდა მსხვილი ბურჟუ-

აზიისათვის მისი წართმევა, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევდა, მათ მიმართ ძალა უნდა გვეხმარა. ამგვარად შეგროვდა 500 ათასი თუმანი. რეკვიზიცია არ ყოფილა გამოყენებული, მოსახლეობას პროდუქტებში ნაღდ ფულს ვუხდიდით. რევოლუციურ მხედრობას უკვე საშუალება მიეცა რაზმებიც შეენახა და იარაღიც შეეძინა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰამედ-ალი შაჰი ლამობდა ჩაეხშო რევოლუციის ახალი კერა, კონტრშეტევისათვის ემზადებოდა. ამ მიზნით ერთ-ერთმა მისმა ძმამ (გვარი აღარ მახსოვს)[1] გერმანიაში შეისყიდა მაუზერის ტიპის ახალი გერმანული კარაბინი-შაშხანების დიდი პარტია იმისათვის, რომ ნაწილი გადაეცა აზერბაიჯანელი და მაზანდარელი ხანებისათვის რევოლუციური არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ნაწილი კი გაეგზავნა თეირანში. მთელი ეს იარაღი არბედილის მთებში ხელთ ვიგდეთ უფლისწულიანად, თანმხლებ მცველ ხანებთან ერთად. ეს იარაღი შემდეგ იმის ნაცვლად, რომ კონტრრევოლუციას მოხმარებოდა, პატიოსნად ემსახურებოდა რევოლუციას.

დიდი პატივით დაასაფლავეს განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაცემული რევოლუციონერები. ამხანაგების დასაფლავებაზე უამრავი ხალხი მოვიდა — ჩადრიანი ქალები, მამაკაცები, ბავშვები, რომლებიც დიდი თანაგრძნობითა და ტირილ-გოდებით აცილებდნენ მათ საფლავის კარამდე. დაკრძალვაზე სიტყვებით გამოვიდნენ როგორც ჩვენი ამხანაგები, ისე ირანელები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა აბულყასემ ლახუტი — რევოლუციონერი პოეტი, რომელმაც წაიკითხა დაღუპულთადმი მიძღვნილი თავისი ლექსი და ფარსულ ენაზე მგზნებარედ უხსნიდა ხალხს აჯანყების მიზეზებს, ააშკარავებდა მოჰამედ ალი-შაჰის ხელისუფლების გამყიდველ ბუნებას და მოუწოდებდა შესულიყვნენ რევოლუციურ რაზმებში ყაზვინზე გასალაშქრებლად. პასუხად გაისმოდა საზეიმო დაპირება, რომ შევიდოდნენ რაზმებში რევოლუციის დასახმარებლად და შაჰის ტირანიის

---

1 სან-ოდ-დოულე მოჰკლეს 1911 წ. თებერვალში, ამის შესახებ წერდნენ ირანული გაზეთები და ასახელებდნენ ვინმე ქვათაძეს, რომელიც ასოთამწყობად მუშაობდა გაზეთ „ირანე ნოუ“-ში. იგი ამ ტერორისტული აქტის დროს შეიპყრეს და ბორკილებდადებული რუსეთში გაგზავნეს. ასთარასთან გადახტა ზღვაში და დაიხრჩო. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამ ქვათაძეს რქმევია ილარიონი. მის გარდა ამ გაზეთში მუშაობდა კიდევ მეორე ქართველი ასოთამწყობი ივანე ბერბერაშვილი.

წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდგომ, 20-იან წლებში ამხ. ლახუტი, როგორც ემიგრანტი, საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა და 1926 წელს ბოლშევიკურ პარტიაში შევიდა, იგი მეტად პოპულარული პოეტი იყო როგორც ირანში, ისე საბჭოთა კავშირში. 47 წლის შემდეგ ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს უკვე მოხუცები, იგი 1960 წელს გარდაიცვალა 70 წლისა. სიცოცხლეში ჩვენ კარგი მეგობრობა გვაკავშირებდა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩვენს კავკასიელ ჯგუფს „გურჯები" შეარქვა, ქართველების უმეტესობის გამო.

ჩვენი რევოლუციური ძალები გაიზარდა. რეშთი ჩვენგან ღრმა ზურგში დარჩა. მარტში უკვე ყაზვინისაკენ მივემართებოდით. დავიკავეთ პოზიციები მენჯილის ხიდთან. გავაწყვეთ არტილერია, მთებში და გზატკეცილებზე მოვაწყეთ საგუშაგოები, წინ გავუშვით მზვერავები, ველოდებით მტრის შემოტევას. ამ დროს ჩვენს დასახმარებლად რეშთში მზადდება ახალი მებრძოლი რაზმები, მენჯილში მარტო პოზიციები როდი გვეკავა, მთებში და ყაზვინის მხარეს ვაწარმოებდით ღრმა დაზვერვას. ვაგზავნიდით შეიარაღებულ ამხანაგებს, ვამზადებდით თვით ყაზვინელების აჯანყებას.

ერთხელ, შორს წასულმა ჩვენმა დაზვერვამ აცნობა სარდლობას, რომ მენჯილის მთებში იმაღება ცხენოსანთა ჯგუფი ქიაზ-ნიზამის მეთაურობით, რომელიც ყაზვინზე ჩვენი თავდასხმის შემთხვევაში უნდა ჩამოვიდეს მთებიდან და ზურგში დაგვარტყას. ჩვენმა სარდლობამ მხედველობაში მიიღო ეს შესაძლებელი დივერსია. მის ჩასაფშად გაიგზავნა რაზმი ჰამიდ ოს-სულთანის მეთაურობით, რომელიც შემდეგ უნდა შემოერთებოდა ყაზვინისაკენ მიმავალ ჩვენს მთავარ ძალებს. მოწინააღმდეგისათვის გვერდის ავლით ჩვენ ღამით დავიძარით წინ მაღალი მთის ბილიკებით, ხშირად ცხენების კუდებს ჩაბღაუჭებულნი. ყველაზე გასაოცარი ის აღმოჩნდა, რომ ამ გადასვლის დროს, მიუხედავად მთელი ღამის გადაუღებელი, კოკისპირული წვიმისა, რის გამოც ფეხს ვერ ვიმაგრებდით ტალახში, არავითარი ზარალი არ მოგვსვლია. როცა ინათლა და დავინახეთ რა ციცაბებზე გვევლო, თვითონ გავვოცდით, როგორ დავძლიეთ ასეთი სიძნელე. მცირე შესვენების შემდეგ, იმავე ღამეს ისევ წვიმა-თქეშში ჩამოვედით დაბლობში, სადაც შევეჯახეთ მტრის ცხენოსნებს. ასე გრძელდებოდა ორ კვირაზე მეტხანს. რამდენიმე შეიარაღებული შეტაკების შემდეგ მოწინააღმდეგემ მძიმე დამარცხება განიცადა. მტერმა ღამით უეცრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიატოვა პოზიციები და ყაზვინისაკენ დაიხია. ბრძანება შესრულებული იყო. ჩვენ მთავარ ძალებს შევუერთდით.

რევოლუციური ძალები ყაზვინს უტევენ. ერთ-ერთი შესვენების ადგილას აღმოჩნდა ღვინით სავსე რამდენიმე კასრი, „გურჯებმა" დაუყოვნებლივ დავხვრიტეთ ეს კასრები და დავღვარეთ ღვინო, რითაც თავიდან იყო აცილებული მტრის მიერ წინასწარ გააზრებული პროვოკაცია. დაზვერვამ გვაცნობა ყაზვინი უფრო გამაგრებულია, ვინემ რეშთიო. გამაგრებული პოზიციები ისე იყო განლაგებული, რომ ჩვენ შეუნელებელი დაშენის ქვეშ უნდა მოვქცეულიყავით. მტერი ლამობდა შევეტყუებინეთ ტომარაში და მოვესპეთ. მას საკმაოდ მოხერხებულად გაემაგრებინა ჭალა-ტყე, რომელიც მარცხენა მხრიდან იცავდა ქალაქს. მტრის ჯარები ჩვენზე უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ. ამაზე თავის დროზე ეზრუნა არა მარტო ადგილობრივ ხელმძღვანელობას, არამედ თეირანის ხელისუფალთაც, რომელთაც დამხმარე ძალები გამოეგზავნათ აქ.

ყაზვინს შაჰის მრავალრიცხოვანი ლაშქარი იცავდა, მათ შორის იყვნენ მეომარი კაზაკები და ქურთები. მათ წინააღმდეგ მიდიოდნენ რევოლუციური ძალები, რომლებსაც უკვე მიღებული ჰქონდათ პირველი საბრძოლო ნათლობა რეშთში და ირანის სხვა ადგილებში. ეს ძალები შედგებოდა ცხენოსანი ჯგუფების, „გურჯების", ეფრემის რაზმისა და აზერბაიჯანელებისაგან. დაყოფილი ვიყავით ჯგუფებად. პირველი ჯგუფი უნდა შეჭრილიყო ქალაქში და გაემართა პირველი ბრძოლა მტერთან, მეორე ჯგუფის ამოცანას შეადგენდა თავისკენ მიექცია მტრის ყურადღება, რათა შეეჩერებინა იგი და არ მიეცა პირველი ჯგუფისათვის ზურგიდან შემოვლის საშუალება, მესამე ჯგუფი მარქაფში იდგა. ასეთი იყო ჩვენი შეტევის გეგმა.

ღამდება. მოეზ ოს-სულთანი ბრძანებას იძლევა, საყვირი სალაშქროდ უხმობს ლაშქარს და ჩვენც ოთხზე ჭენებით მივეშურებით ყაზვინისაკენ. დაზვერვა დრო და დრო უგზავნის ცნობებს სარდლობას, გზაში არაფერი საფრთხე არ გვემუქრება. რაც გზად გვხვდება—აქლემების ქარავნები, ვაჩერებთ და ჩვენი მოჯაჰიმების დაცვის ქვეშ ვტოვებთ, რათა მტერმა არ შეიტყოს ჩვენი მოძრაობა. ჩვენი დაზვერვა უკვე შეხვდა მტრის დაზვერვას, სროლის ხმა ისმის. ამავე დროს დაიწყო ლაშქრობა ჭალა-ტყეზეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მთავარ ნაწილებს ქალაქზე მიაქვთ იერიში, ვიჭრებით ქალაქში. გაისმის ბომბების გრიალი და თოფის სროლის ხმა. ბრძოლაში ებმებიან აჯანყებული მოსახლეობა და ჩვენი ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ჩვენი ამხანაგები. რაზმი ცალკეულ ნაწილებად იყოფა, ურტყამს ჩასაფრებული მტრის ბუდეებს და ერეკება მათ იქიდან. ჩვენი მთავარი ძალები უტევენ გუბერნატორის სასახლეს, სადაც იმყოფება შტაბი და მსხვილი სამხედრო ნაწილები. მთელ ღამეს არ ცხრება ბრძოლა. ღამით შევძელით სასახლისათვის ალყის შემორტყმა. თანდათან ვავიწროებთ მტერს. ვაყრით ბომბებს, უშენს ჩვენი არტილერიაც, რომელსაც პოტიომკინელი თედორე მეთაურობს. გაისმის მტრის საყვირის ხმა, დაფდაფების ბრახუნი, გაჰყვირიან — „ვალა მოჰამედ-ალი შაჰ!“ (დიდება მოჰამედ-ალი შაჰს!“) — კონტრშეტევისათვის ემზადებიან. ჩვენ „მარსელიოზას“ და „ვარშავიანკას“ ვმღერით, ვაყრით ბომბებს, არ ვაძლევთ მტერს საშუალებას წამოვიდეს კონტრშეტევაზე. მტერს დიდი ზარალი მოსდის. მიუხედავად იმისა, რომ სასახლესთან შესანიშნავი სიმაგრეები გვიკავია. ჩვენც გვყვანან დაჭრილები — ილიკო ბაქოდან (მეჩოხე), აბრამი (ყაზვინელი ბერძენი), რომელიც გამომყავს ბრძოლის ველიდან უსაშიშრო ადგილზე. „დუმ-დუმის“ ტყვიით მოჰკლეს მეორე აბრამი, მძიმედ დაიჭრა აპოლონ ჯაფარიძე, იგი უგრძნობელ მდგომარეობაშია, მე მასთან ვარ, ჩამოვაღებინე დუქნის კარი, ზედ დავაწვინეთ და გადავიყვანეთ საავადმყოფოში. ვაბარებ მას ექიმს და ვბრუნდები უკან, ჩვენ გვემატება დაჭრილები და დახოცილები, მტერი გვიძალიანდება, მაგრამ სულით არ ვეცემით, მხნედ ვართ და ვუტევთ. ინათლა. ჭალა-ტყე და მტრის საბრძოლო წვრტები შემუსვრილია, ბევრი გვბარდება ტყვედ, რომელსაც ვანიარაღებთ და ვუშვებთ, იარაღს აჯანყებულ ხალხს ვურიგებთ. ტყვე ოფიცრები ჩაკეტილი გვყავს. ჩვენი საქმე ურიგოდ არ მიდის, მტერმა დასთმო ჭალა-ტყე, საიდანაც უკვე შეიძლება დაარტყა მას ზურგიდან. ქალაქში მოწინააღმდეგეს რამდენიმე საყრდენი პუნქტი აქვს, რომლებსაც მისი აზრით მარწუხში უნდა მოვექციეთ და გავენადგურებინეთ. მაშინ იგი თავს დააღწევდა გარემოცვას და გაგვიმართავდა ქუჩის ბრძოლას. ერთ-ერთი მორიგი ნახტომით ჩვენ ხელთ ვიგდეთ მაღლობები სასახლის გარშემო, სადაც მტკიცედ გავმაგრდით და დავუშინეთ ჩვენს წინ გადაშლილ ბევრ ღია სამიზნოს. საომარი მასალის სიმცირეს არ განვიცდით, მას საკმარისი რაოდენობით ვიღებთ, რადგან საფუძვლიანად მოვემზადეთ ამ ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შქრობისათვის და საჭირო მარაგი დავაგროვეთ. ყაზვინში ნაალაფარ იარაღსაც ვიყენებთ, ზედმეტს კი ხალხს ვურიგებთ. რეშთიდან მოგვდის ამაფეთქებელი მანქანები, რაც ადრე არ გვქონდა, აგრეთვე ბევრი დინამიტი. გადაწყდა სხვადასხვა ადგილას სასახლის გალავნის აფეთქება და ამრიგად ეზოში შეგრა. ბრძოლა გრძელდება — სროლა, ბომბების გრიალი არ წყდება, ჩვენი არტილერიაც უშენს. საღამოსათვის შაპის რეჟიმის დამცველთა ზოგიერთი ჯგუფი თანდათან იწყებს იარაღის დაყრას, გვაძლევენ ცნობებს რა ძალებია სასახლეში და როგორ არიან განლაგებული. მტერს ვურჩევთ დაგენებდეს. უარს ამბობენ, ერთგულების ფიცით ვართო შეკრული შაჰთან. ჩვენ კვლავ თავს ვესხმით, ვაყრით ბომბებს, ვაძლიერებთ სროლას, არტილერია თავის საქმეს აკეთებს. უკვე მეორე ღამე იწურება. ჩვენ მხნედა ვართ—ვიცით, რომ ვიბრძვით ჩვენი კლასობრივი ძმების განთავისუფლებისათვის, შაჰის ტირანიის დასამხობად. დრო და დრო პოზიციებზე ჩნდებიან მოეზ ოს-სულთანი, ეფრემი და სხვა ხელმძღვანელები, გვამხნევებენ, გვარიგებენ ფრთხილად ვიყოთ. იოლი სათქმელია ფრთხილად ვიყოთ. ჩვენ საბრძოლოდ აღტკინებული, თავისუფლებისმოყვარული ახალგაზრდები ვართ, მტერი კი აქვეა კედლის მიღმა, ხელისგულზე მოჩანს ზევიდან, საკმარისია ადგე, შეესიო და შემდეგ დაინახავ ვინ—ვის. ჩვენ პარტიზანები ვართ, ბრძოლის ყველა დაშვებულ და დაუშვებელ ხერხს ვიყენებთ, რათა თავი დავიცვათ და მზად ვიყოთ დარტყმისათვის. ველოდებით შეტევის ბრძანებას, მაგრამ იგი ყოვნდება, დრო კი მიდის. ბრძოლა არ წყდება. ვითარება იძაბება. გაძლიერებით ურტყამს ჩვენი არტილერია. მოდის ბრძანება ერთი წუთითაც არ მოუსვენოთ მტერს, ვესროლოთ ბომბები, თავი მოვიყაროთ სასახლის გალავნის ჩამონგრეულ ადგილებთან, მზად ვიყოთ საერთო მასირებული იერიშისათვის და ველოდოთ განკარგულებას. დრო მიდის, გრძელდება მოლაპარაკება დანებებაზე. საღამოვდება და შეთანხმებაც მიღწეულია. მოწინააღმდეგე მცირე ნაწილებად გამოდის სასახლის ჭიშკრიდან მოედანზე, სადაც მას იარაღს ჰყრიან და ატყვევებენ. სროლა წყდება. ასე, ამ მძიმე ბრძოლების შემდეგ ყაზვინიც აჯანყებულთა ხელშია. ჩვენ გავიმარჯვეთ, ბევრია მოკლული და დაჭრილი ორივე მხრივ. ხალხი ქუჩებში გამოეფინა, სასიხარულო საზეიმო განწყობილებაა!

მეორე დღეს გაიხსნა ჩაიხანები და პატარ-პატარა დუქნები. ხალხი ზეიმობს. ჩაიხანებში ეწევიან ყალიონს, თამაშობენ ნარდს, დომინოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარის აკომპანიმენტით მღერიან გულში ჩამწვდომ ირანულ მელოდიებს. ძალიან ბევრია ტყვედ წამოყვანილი, წამოღებულია დიდძალი იარაღი და სამხედრო ქონება, ცხენები. ყველაფერი ეს სამხედრო ბაზებში გადააქვთ.

ზარბაზნებსა და ყუმბარებს ჩვენი კეთილი, მშვიდი პოტიომკინელი ფედია იბარებს. ქალაქს რევოლუციური პატრულები იცავენ.

მეორე დღეს დაღუპულთა დასაფლავებაა. როგორც რეშთში, აქაც აუარებელი ხალხი მოვიდა ყაზვინის განთავისუფლებისათვის თავდადებულთა ხსოვნისათვის უკანასკნელი პატივის მისაგებად. ბავშვები, ჩადრიანი ქალები, მამაკაცები—ყველანი ტირიან. ასეთი მასობრივი ტირილი მე არ მენახა და არ გამეგონა. ამ საერთო განწყობილების ქვეშ ექცევი და ნებაუნებლიედ შენც უერთდები მომტირალთა ქოროს. ასაფლავებენ დიდზეიმურად, კუბოებს გვერდით მოჰყვებიან დაღუპულ მებრძოლთა ძაძებგადაფარებული ცხენები, მოაქვთ მათი იარაღები. ჩვენ რევოლუციური სიმღერებით მოვყვებით პროცესიას, საფლავში ჩაშვების წინ ვაცხადებთ — „ან გავიმარჯვოთ, ან ჩვენც მათსავით დავიღუპოთ!“ გაისმის უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვები ჩვენი ამხანაგების, დაღუპული ამხანაგების პატივსაცემად ზალპებს აძლევენ.

გულში ძვირფასი თანამებრძოლი ამხანაგების დაკარგვის მწარე განცდებით ვტოვებთ მათ საფლავებს და მოვდივართ მძიმე გრძნობით, რომ შეიძლება შენც შეღებო შენი სისხლით ირანის მიწა თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ვეღარ იხილო შენი ახლობლები, ამხანაგები, სამშობლო.

„გურჯები“ დაგვასვენეს. აღარსად გვგზავნიან. მონახეს და დააპატიმრეს დამალული ჟანდარმერიის უფროსი, რევოლუციურმა ტრიბუნალმა მას დახვრეტა მიუსაჯა და განაჩენი ყაზვინის მთავარ მოედანზე მოიყვანეს სისრულეში. ჩვენ უკვე წამოსული ვიყავით, როცა ჩამოეხრჩოთ ყაზვინის გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც ტყვეობაშიც არ მოეშალა შაჰის ქომაგობა.

„გურჯები“ ისევ ვისვენებთ, ყაზვინის ქუჩებში დიდძალი ცნობისმოყვარენი გვაკვირდებიან. ახალგაზრდობის სამხედრო მომზადება მიდის, მზადდება ლაშქრობა თეირანზე. ჩვენ ძალიან გვაღონებს, რომ ენის უცოდინარობის გამო არ შეგვიძლია აქტიურად ჩავებათ ადგილობრივ ცხოვრებაში — შევქმნათ პარტიული უჯრედები და გავაჩაღოთ მუშაობა, უჩვენოდ რომ ეს მუშაობა მიდიოდა, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა. ვიცოდით,

რომ აზერბაიჯანიდან და საქართველოდან მარტო მებრძოლი ჯგუფები და საბრძოლო იარაღი როდი იგზავნებოდა აქეთ, პროპაგანდისტებსაც აგზავნიდნენ ხალხში სამუშაოდ.

აზრად როგორ მოგვივიდოდა, რომ მეფის მთავრობა ჩაერეოდა ირანის შინაურ საქმეებში და ჩვენი ირანელი კლასობრივი ძმების აქ დასახმარებლად მოსულ კავკასიელებს, თეირანზე გალაშქრების წინ მოგვიხდებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგების დატოვება და უკან მაშინ გამობრუნება, როცა შაჰის ცნობილი ბანდიტის ქიაზ-ნიზამის ცხენოსანთა ჯგუფის განადგურება მენჯილის მთებში, ყაზვინის, არდებილისა და მთელი რიგი სხვა ადგილების აღება პირდაპირ გზას გვიხსნიდა თეირანისაკენ. თავრიზშიც ხომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული იყო ამ დროისათვის. ეინ ოდ-დოულე იძულებული გახდა მოეხსნა თავრიზის ალყა და თავისი ჯარების ნაწილი გაეგზავნა თეირანის დასაცავად.

ყველაფერმა ამან საბოლოოდ ააფორიაქა თურმე რუსეთის რეაქცია და რეაქციული პრესა. „ნოვოე ვრემიას“ რედაქტორ-გამომცემელი, ცნობილი მონარქისტი სუვორინი, მისი წამყვანი კორესპონდენტი თავადი მეშჩერსკი, გაზეთ „კიევლიანინის“ რედაქტორი, თავისუფლების ცნობილი ჯალათი შულგინი თავიანთ დამქაშებთან ერთად რეაქციული ბანაკიდან ლაფში სვრიდნენ ირანის რევოლუციურ მოძრაობას და განსაკუთრებით „გურჯების“ ჯგუფს, მეფის მთავრობისაგან მოითხოვდნენ ირანის საზღვრების სასწრაფოდ დაკეტვას და გადამჭრელი ზომების მიღებას ირანის საქმეებში შეიარაღებული ჩარევითაც კი. ისინი წერდნენ, რომ თუ არ იქნება მიღებული ზომები, ეს კავკასიელი „კატორღელები“, როგორც ჩვენ გვიწოდებდნენ, ირანში თუ რევოლუცია გაიმარჯვებს, შეეცდებიან სამშობლოში გაიმეორონ თავისი საყვარელი 1905 წელიო.

შიშით შეპყრობილთა ამ მხეცურ ღრიანცელს ხელი ჩასჭიდა სტოლიპინ-ჩამომხრჩობელის მეფის მთავრობამ და დახმარების ხელი გაუწოდა მოჰამედ-ალი შაჰს. რუსეთის მთავრობამ, ინგლისის თანხმობით, დაუყოვნებლივ გაგზავნა თავრიზში ხუთათასიანი ჯარი გენერალ სრანსკის მეთაურობით, რომელიც გადავიდა საზღვარზე ჯულფაში და სწრაფად მიადგა თავრიზს. პირველი ულტიმატუმი, რომელიც მან წაუყენა ენჯუმენს, იყო ის, რომ დაუყოვნებლივ უარი ეთქვათ რუსი ქვეშევრდომი კავკასიელების დახმარებაზე. ენჯუმენი იძულებელი გახდა დასთანხმებოდა. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგად, მოათავა თუ არა ეს და სხვა სათავრიზო საქმეები, გენერალი შეუ-
სვენებლად დაიძრა ყაზვინისაკენ იმავე მოთხოვნილებით. ჩვენი სარდლო-
ბაც იძულებული იყო მიეღო ულტიმატუმი.

ეს გახდა მიზეზი ჩვენი უკან წამოსვლისა ისე, რომ უკვე აღარ მო-
გვიხდა მონაწილეობის მიღება თეირანზე ლაშქრობაში.

ჩვენც დავემორჩილეთ რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებას,
დავტოვეთ თავისუფლებისათვის ამხედრებული ირანი და მცირე ჯგუფე-
ბად ვიწყეთ უკან დაბრუნება, სადაც ვუერთდებოდით მეფის თვითმპყრო-
ბელობის წინააღმდეგ ფარულად მებრძოლთა რიგებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანჯურიიდან სათარ-ხანთან

(სერგო გაგოშიძის მოგონება)

იაპონიასთან ომში მეფის რუსეთის დამარცხების შემდეგ, 1905 წელს დავბრუნდი მანჯურიიდან.

გზას ორი თვე მოვუნდი. რუსეთში უკვე რევოლუციური ალი გიზგიზებდა და დიდ ციმბირის გზაზე რკინიგზელების ხშირი გაფიცვები ხდებოდა.

ბევრი დაბრკოლების შემდეგ ძლივს ჩამოვედი რაჭაში, სადაც ქუთაისიდან გაქცეული ჩემი მეუღლე ორი პატარა შვილით დამალვოდა რეაქციას.

რამდენიმე დღის დასვენების შემდეგ გავსწიე ქ. ბათუმში, სადაც საარტილერიო ასეულის მეთაურის თანაშემწედ ვიყავი გამწესებული სტეფანოვკის ფორტში.

გაზაფხულის პაპანაქებაა, ასეულის მეთაური შვებულებაშია, მე მას ვცვლი. ჯარისკაცების მორიგი მეცადინეობის შემდეგ ჩემს კარავში შევედი დასასვენებლად. ამ დროს შემოვიდა ჩემთან ფელდფებელი (ზემდეგი). მომესალმა ამხანაგურად, მეგობრულად. მეც მესიამოვნა ასე უბრალო მისი მოქცევა და ვსთხოვე დამჯდარიყო შინაურულად, თანაც ვეუბნები, ვანია, აი იქ, კუთხეში ორი ბოთლი ლუდია, ამოიღე, დავლიოთ. მადლობელმა გახსნა ერთი ბოთლი, დავლიეთ, გახსნა მეორე, დავლიეთ.

— ყველაფერ სასმელს სჯობია, ბატონო პროპორშჩიკო, ეს ლუდი ამისთანა სიცხეში, — ამბობს ფელდფებელი.

— რა საჭიროა აქ ბატონი, დამიძახე უბრალოდ სერგო, — ვეუბნები მე.

— როგორ მიყვარს და მომწონს თქვენი ასეთი უბრალო მოქცევა ჩვენდამი. ჯარისკაცები ყველანი გაღმერთებენ, — მეუბნება ვანია.

მე კი ვფიქრობ ჩემთვის, რომ არაფერი ასეთი არ დამიმსახურებია.

— ეჰ! — ამოიხვნეშა ფელდფებელმა.

— რა იყო, რა გახვნეშებს, ვანია, — შევეკითხე.

— როგორ თუ რა მახვნეშებს, იცით, სერგო სოფრომის ძევ, მეც გლეხი ვარ, თუმცა თქვენოდენი სწავლა არა მაქვს, მაგრამ ყველაფერი მესმის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, როგორ იტანჯება გლეხობა, როგორ იყვლიფება, ამავე დროს მუქთამჭამელების ხროვა კი უამრავია.

— ვინ მუქთამჭამელი? — ვეკითხები.

— განა არ იცით, დიდი მთავრები, მათი ურიცხვი ცოლ-შვილი, დედოფალი — ხელმწიფის ქვრივი დედა... რა დიდ ჯამაგირებს ღებულობენ, ამას კი სულ გლეხობა ანაზღაურებს. ყველა ერთ დღეს უნდა გაჭლიტოს კაცმა.

— სწორია, — დავუდასტურე მეც.

თურმე ნუ იტყვით, ჯამშს ველაპარაკები.

მეორე დღეს ფორტიდან ადრე წამოვედი ქალაქში, სადაც ცოლ-შვილი მყავდა. საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, რომ ცხენიანი ჯარისკაცი მოადგა ჩვენს ჭიშკარს, შევკრთი, ვიფიქრე, ადრე რომ დავტოვე ფორტი, ვაითუ ამისათვის მეძახიან შტაბში-მეთქი და გულის ფანცქალით გავსწიე. შევედი თუ არა არტილერიის უფროსის კაბინეტში, ვხედავ შუაში ზის გენერალი და ჩინების მიხედვით გარს უსხედან მთელი ციხე-სიმაგრის არტილერიის ოფიცრები.

კარის შეღებისთანავე გენერალმა პატაკის მიცემაც არ მაცალა, ისე მომაყვირა:

— შენ, გაგოშიძე, თუ იცი, რას ჩადიხარ, რევოლუციას მივრცელებ ჯარში? ეხლავე სახრჩობელაზე გაგგზავნი!

— რას ბრძანებთ, ბატონო გენერალო, რა რევოლუცია, რის რევოლუცია, ვერ გამიგია, მიბრძანეთ რა დავაშავე, — ვუპასუხე და ვატყობ მუხლები მიკანკალებს.

— ვითომ არ იცი რას ჩადიხარ?! — მითხრა ნიშნის მოგებით და მომიყვანა წინადღის მე და ჩვენი ფელდფებელის ნალაპარაკები დაწვრილებით, მაგრამ შეცვლილად, თითქოს მე მეთქვას, მთელი მთავრობა ამოსაჟლეტიაო. (თურმე მანჯურიის ომიდან დაბრუნებულ ყველა ოფი-

ცერს მიჩენილი ჰყოლოდა ჯაშუშები, რათა გაეგოთ მათი პოლიტიკური კეთილსაიმედობა).

„ახლა კი დავიღუპე", — გავიფიქრე.

— ამოიღე ხმა, რას დადუმებულხარ! — მიყვირა უფროსმა.

— მე იმ ფელდფებელს ეხლავე წავაცლი თავს-მეთქი. ვიძრე ხმალი და რადგან ქვედა სართულში იყო არტილერიის უფროსის კაბინეტი, გადავხტი ფანჯრიდან, გავიქეცი სტეფანოვკის მიმართულებით, გავლილი არ მექნებოდა ასი საჟენი, უკან მოვიხედე და ვხედავ — მომდევენ კაპიტანი ცალიკოვი და რევაზოვი — ჩემი კარგი მეგობრები, ჩვენებური ოსები, მეძახიან: „სერგო, მოიცა კაცო, სად გარბიხარ!".

გავჩერდი, გონს მოვედი, ხმალი ქარქაშში ჩავაგე.

— სერგო, რას ჩადიხარ, დაფიქრდი, დაწყნარდი,—მეხვეწებიან,— გენერალი დარწმუნდა შენს უდანაშაულობაში, წამოდი უკან.

გამოვბრუნდი და მორცხვად შევედი გენერლის კაბინეტში. ყველანი იცინიან. გენერალი მეუბნება: „სამწუხაროა ასეთი მამაცი ოფიცრის მოშორება, მაგრამ რა ვქნა, უნდა დატოვო სამსახური".

— რა გაეწყობა, — ვუპასუხე მე.

დამითხოვეს მგლის ბილეთით და გავეცალე არტილერიას.

ვერსად სამსახური ვეღარ ვიშოვე. ჩამოვედი თბილისში და ვისაც არ მივაკითხე სამუშაო მოეცათ, ყველამ ცივი უარით გამომისტუმრა. ერთ დღეს ვდგავარ ავლაბრის ხიდზე (იმ დროს მეტეხის ძირში, იმ ადგილას, სადაც ახლა დიდი რკინა-ბეტონის ხიდია გადებული, ორი პატარა ხიდი იყო ერთმანეთის პარალელურად, მათ ავლაბრის ხიდებს ეძახოდნენ. — ა. კ.) გადავჩერებივარ მტკვრის მბორგავ მორევს, გადაწყვეტილი მაქვს თავის დახრჩობა და, რომ უნდა გადავეშვა მდინარეში, ამ დროს ჩერქეზულად გამოწყობილი სპარსელი მოვიდა, ხელი დამადო ბეჭზე და მეუბნება — „მე თქვენი სახელი და ამბავი ვიცი. მენდეთ, წამომყევით, მე გიშველით". მეც ცხვარივით ავედევნე, სად მივყავდი არც მიკითხავს, ისე ვიყავი გაოგნებული. მიმიყვანა სადიხოვის ქარვასლაში, სადაც აუარებელი ნოხები იყო გამოფენილი და დარბაზებშიაც დიდძალი ნოხები ელაგა. (ეს შენობა ახლაც დგას ლესელიძის ქუჩაზე, იქ „სელხოზტექნიკის" სამმართველოა მოთავსებული — ა. კ.). ამიხვია თვალები, მომკიდა ხელი და ამიყვანა ზედა სართულში. შემიყვანა ერთ ოთახში და ამიხილა თვალები. ვხედავ ანთებულ სანთლებს, ძვირფასი ნოხები ჰკიდია

კედლებზე, იატაკზეც ერთი დიდი უძვირფასესი ნოხი აფენია, რომელზეც
დაც 10-12 სპარსელი მდიდარი ვაჭარი ზის ფეხმორთხმული, ჩაის სვა-
მენ. ჩვენს შესვლაზე ყველანი ფეხზე წამოდგნენ, მიმიპატიჟეს. მეც და-
ჯექი ნოხზე, მაგრამ, რადგანაც მათსავით ფეხმორთხმულ ჯდომას ჩვეუ-
ლი არ ვიყავი, მომართვეს აბრეშუმის რბილი მუთაქა. შემდეგ გავიგე,
სპარსეთის რევოლუციის დამხმარე საიდუმლო კომიტეტში მივეყვანეთ.
ჩემს ბიძაშვილს, რევოლუციონერ ფილიპე პეტრეს ძე გაგოშიძეს ეამბნა
მათთვის ჩემი თავგადასავალი, ისიც ეთქვა, რომ არტილერისტი ვარ, სან-
დო ვარ და ჩემთან შეიძლება ყველაფრის თქმა. ერთ-ერთმა, რომელიც
რუსულად კარგად იყო გამოწყობილი, მომმართა და მეუბნება:

— ბატონო სერგო, ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენ კარგად გცოდნიათ არ-
ტილერია, თქვენ მანჯურიის ომიდან ეხლა დაბრუნებულხართ, რომ რე-
ვოლუციასაც თანაუგრძნობთ, რისთვისაც რუსის მთავრობა გდევნით და
არსად სამსახურს არ გაძლევენ.

— დიახ, ასეა, — დავუდასტურე.

— ამიტომაც ჩვენ უნდა გაგვიწიოთ დახმარება, იკისრეთ რასაც
გთხოვთ და თქვენი ამაგი არ დაიკარგება, თქვენი სახელი უკვდავი იქნება
სპარსეთის ისტორიაში, — მეუბნება.

— ბრძანეთ, ბატონო, რას მავალებთ. — ვუპასუხე.

— აი რაშია საქმე, მეგობარო, — განაგრძო მან, — ჩვენს სპარ-
სეთში დღეს რევოლუციაა, შაჰის ჯარები ჩვენს რევოლუციურ ჯარებს გარს
ერტყმიან, მოსვენებას არ აძლევენ. ჩვენ ჯარებს წინ უძღვის სათარ-ხანი,
მას არტილერია და ყუმბარები ბევრი აქვს, მაგრამ არტილერიის მცოდნე
არავინა ჰყავს, სწორედ ამისათვის მოგიწვიეთ თქვენ და გთხოვთ ეს საქ-
მე იკისროთ, წახვიდეთ და დაეხმაროთ ჩვენს ბელადს, — ერთხმად მომ-
მართა ყველამ.

დავთანხმდი, არც კი მიკითხავს სად უნდა წავსულიყავი და ვისთან.

ისევე იმან განაგრძო, რომელიც მელაპარაკებოდა:

— მეგობარო სერგო, ჩვენ გაგატანთ ორ წერილს სათარ-ხანისა და
ბაღირ-ხანის სახელზე. ეს უკანასკნელი მომარაგების უფროსია, ის ყვე-
ლაფერში ხელს შეგიწყობთ.

ვიდრე ჩაის დავლევდი გაამზადეს წერილები, მომცეს ორასი მანე-
თი ფული და წერილები რომ გადმომცეს, ასეთი დარიგება მომცეს:

— ჩახვალთ ჯულფაში, იქ დაბინავდებით სასტუმროში, სასტუმრო ერთია მხოლოდ, დაელოდებით კაცს, რომელიც თქვენთან მოვა, გაპყვებით მას, ის გაგიყვანთ გაღმა ჯულფაში, მიგიყვანთ „ზაეზჟი დვორში“, იქიდან კი წახვალთ ქ. თავრიზში. გზაში, სოფელ სოფიანში, 10 კილომეტრზეა თავრიზიდან, დაბანაკებული არიან შაჰის ჯარები, ისინი შეეცდებიან არ გაგიშვან, მაგრამ უნდა მოახერხოთ, რომ გაგიშვან. სამ ვერსზე რომ მიუახლოვდებით თავრიზს, შეგხვდებათ სათარ-ხანის რევოლუციური მებრძოლები, ისინი გამოწყობილი არიან ქართველებივით — მკერდზე ჯვარედინად აქვთ გადაკიდებული სავაზნეები და თავზე ხურავთ ნაბდის ქუდები, ჯვარედინი თეთრი სირმებით. მათი ნუღარ შეგეშინდებათ, თავრიზში მშვიდობით მიგიყვანენ.

გამოვემშვიდობე ჩემს მასპინძლებს, გამოვართვი წერილები, რომლებიც გამოვიკერე ნაბდის სარჩულქვეშ, ვიყიდე რკინიგზის ბილეთი და წავედი ჯულფაში.

ჯულფაში ოთხი დღე ვუცადე იმ უცნობს, ვინც ჩემთან უნდა მოსულიყო. მეოთხე დღეს შუაღამე გადასული იქნებოდა, საშინელი ქარი ქროდა. მე იმედი დავკარგე, ასეთ ამინდში ვინ გაბედავს-თქო მოსვლას. გარეთ საშინელი ჭექა-ქუხილი იყო, ქარი სილის კორიანტელს აყენებდა. სწორედ ასეთ ამინდს ირჩევენ თურმე გამყოლები საზღვარზე გადასასვლელად.

დაუკითხავად შემოვიდა უზარმაზარი მაღალი სპარსელი და მეუბნება: „სერგო, აბა მოემზადე, წავიდეთ!“.

— ასეთ ამინდში?

— სწორედ ასეთი ამინდია კარგი, — მიპასუხა მუსტაფა ფირი ოღლიმ (ასე ერქვა გამყოლს). გავწიეთ ჯულფის დასავლეთისაკენ, ორი ვერსი გავიარეთ, არაქსი არ ჩანდა, მაღლობ ადგილს მივადექით, გადავიხედე და დავინახე დასავლეთისაკენ ნელა მიიზლაზნება მდ. არაქსი. „ჩუმად, არ ილაპარაკო, რომ დაელავს, გაშეშდი, არ გაინძრე, თორემ გუშაგები შეგვამჩნევენ“, — მაფრთხილებს მუსტაფა. ჩავედით მდინარის პირას, გავიძვრეთ ტანსაცმელი, მუსტაფამ გამაფრთხილა, აქ ფონია, ფეხით გავალთო. ვიფიქრე, ეს კი გავა, მაღალი კაცია, მაგრამ მე რა მომივა, დაბალი ვარ. ტანისამოსი ნაბადში შევახვიე, კისერზე დავიდე და შევედი წყალში. მუსტაფას ბეჭებამდე შემოსწვდა წყალი, მე კი ცურვით გავყევი. მშვიდობიანად გავედით გაღმა. ჩავიცვით ტანსაცმელი, ფეხზე არ ჩაგვიცვამს, ფეხის

ხმისა გვეშინოდა რიყეზე. ასეთ მდგომარეობაში ოთხი ვერსი გავიარეთ
და მივედით სპარსეთის ჯულფაში, შევედით ერთ ფართო ეზოიან შენობა-
ში. ეს ყოფილიყო ის „ზაეზჟი დვორი“ თბილისში რომ მითხრეს. დილის
ხუთი საათი იქნებოდა, წინ ანთებული ჭრაქით შემოგვეგება სადგურის
პატრონი. ქართულად მომმართა: „მობრძანდით, ბატონო სერგო, მობრძა-
ნდით, ახლავე გაგაგზავნით“. „სალამ ალეიქუმ, ყარდაშ“, —მიესალმა
გამყოლს. „ბატონო სერგო, — მომიბრუნდა ახლა ისევ მე, — მობრძანე-
დით ოთახში, ფეხზე ჩაიცვით, გათბით და მალე გაგამგზავრებთ“
(ეს კაცი უნდა ყოფილიყო რაჟდენ შარაშიძე, რომელსაც დუქანი ქონდა
ირანის ჯულფაში, ცხენებს აქირავებდა და ეხმარებოდა კავკასიელი მო-
ხალისე-რევოლუციონერების ირანსა და უკან გადაყვანა-გადმოყვა-
ნაში. — ა. კ.).

ნახევარი საათი არ გასულა, რომ ეტლში შეაბეს ოთხი ცხენი, ჩავ-
ჯექი მარტო მე და გავუდექი გზას. ეტლი ისეთი სისწრაფით მიდიოდა,
რომ ბეტი აღარ შეიძლებოდა. 30 ვერსი გავიარეთ, სულ აღმართ-აღმართ
მივდიოდით. გზაში სულ ველები ჩანდა, ერთი ხე არსად არ დამინახავს.
მივადექით ძალიან ლამაზ სოფელ მარანდს, ხეხილითა და მაღალ ხეებზე
ასული ვენახებით სავსეს, მშვენივრად მოწყობილი სარწყავი არხით, რო-
მელშიც ანკარა წყალი მორაკრაკებდა. როგორც კი მივადექით საფოსტო
სადგურს, ჩვენმა მეეტლემ რაღაცა მუნჯურად ანიშნა შემხვედრს და ფი-
ცხლად გამოცვალეს ცხენები. გავსწიეთ ისევ აღმართ-აღმართ, მივუახლოვ-
დით მაღალ შიშველ კლდეებიან მთას, საიდანაც ისეთი წყალუხვი ანკა-
რა წყარო მოსჩქეფდა, რომ წისქვილს აბრუნებდა. გადავიარეთ უღელ-
ტეხილი. იქეთ მხარესაც ასეთივე წყალი მისჩქეფდა. სადგურებზე უსიტ-
ყვოდ, სწრაფად გვიცვლიდნენ ცხენებს. მივადექით სოფ. სოფიანს. შეგვ-
ხვდნენ შაჰის ჯარისკაცები, გააჩერეს ეტლი, გადმოვედი, გადავიწერე ნაბად
და როგორც კი დაინახეს პაგონები, უკანვე დაიხიეს. პირველად თითქ
მოინდომეს გაჩხრეკა და დაკავება, მაგრამ მე თამამად შევძახე: „მე რუ-
სის ოფიცერი გახლავართ, ჩვენს საკონსულოში მივდივარ, დავალება მაქვ
თქვენი სასარგებლო და ჩემი დაყოვნება თქვენთვის საზიანო იქნება“
ეს ვუთხარი თუ არა, მაშინვე მიმითითეს ეტლისაკენ—გზამშვიდობისა მ
სურვეს და გავუდექი გზას. საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როცა მივუ
ახლოვდი თავრიზს, 3 ვერსი-ღა დაგვრჩენოდა ქალაქამდე, ეტლი გადახ
რული მქონდა, მეეტლე მომიბრუნდა და სპარსულად რაღაც მითხრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვერ გავიგე და ცოტა არ იყოს შევკრთი, გავიხედე და ვხედავ წინ, გზაზე ხალხი გადადის და გადმოდის ჩირაღდნებით ხელში. მივუახლოვდი, თუ არა, თოფებმოღერებული სამ-სამი მეომარი შემომიდგა აქეთ-იქიდან. ეტლი გააჩერეს. ჯერ შევშინდი, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდი და ვნახე სავაზნეები ჯვარედინად ქონდათ გადაკიდებული და ნაბდის კახური ქუდები ეხურათ, გამეხარდა. ფეხზე ავდექი და შევძახე: „მენ ჩაუშ სათარ-ხანა!..“ გაიგონეს თუ არა ეს, ყველამ ერთხმად შემომძახა: „ხოშ გელდი, ყარდაშ!.. ხოშ გელდი, გურჯი!!!... იალა იეთიმ!“

მთელ ქალაქს ფიცხლად მოედო ამბავი, რომ ჩამოვიდა იაპონიის ოფიცერი (ასე შემარქვეს) და ახლა ყოფას უტირებთ შაჰის ჯარებსო.

სათარ-ხანს თავრიზში წინასწარ გაეცა განკარგულება და მე ქართველებთან მიმიყვანეს. იქ ოცდაათამდე ქართველი დამხვდა, მათგან დამამახსოვრდნენ ვანო კარაპეტოვი (დავახეთქე), გოგია გურული, სანიკიძე და გრიგოლ ემხვარი (სტუდენტი).

ათი საათი იქნებოდა, შემოდის პერანგის ამარა (ძლიერ ცხელოდა) ახალგაზრდა, ლამაზი, შავგვრემანი, მაღალი კაცი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, მეც ავდექი, ვიფიქრე ეს ვიღაცა პატივსაცემი პიროვნება იქნება მეთქი, თურმე თვითონ სათარ-ხანი ყოფილიყო. შემოვიდა თუ არა, მე მომესალმა. გავხსენი ნაბადი და წერილები გადავეცი. ერთი კონვერტი გახსნა, აანთო სანთლები და კითხვა დაიწყო, როცა კითხვა დაამთავრა, მაღლა ააპყრო ხელები, მომიბრუნდა, გადამკოცნა და მითხრა: „ალლაჰმა გამომიგზავნა შენი თავიო“.

მეორე დღეს, დილა ადრიანად, სათარ-ხანმა საჩუქრად გამომიგზავნა ორი არაბული ცხენი, ისეთი რუხი იორღები, რომ ფასი არ დაედებოდა. თან მომიტანეს ბრძანება — მაშინვე წავსულიყავი და დამეთვალიერებინა პოზიციები, მენახა არტილერიის საწყობი, ზარბაზნები და მათი დასადგმელი ადგილები შემერჩია. ქართველებში ამომერჩია ვინც მომეწონებოდა და მესწავლებია სროლა. ჩემდა იღბლად სანიკიძე არტილერისტი გამოდგა, რომელიც ჩემს თანაშემწედ დავაყენე. შევჯექი ერთ ცხენზე, მეორეზე ჩემი თარჯიმანი შევსვი და ხუთი კაცის თანხლებით წავედი შაჰის ჯარების პოზიციების გასაგებად. აღმოჩნდა, რომ მთავარ მათ ძალას სამხრეთ-აღმოსავლეთით, თავრიზიდან 15 კილომეტრის დაშორებით ეკავათ პოზიცია და აგრეთვე ჩრდილოეთით მდებარე მაღალ მთაზე დაედგათ რამდენიმე ზარბაზანი, რომლებიც ხანგამოშვებით ესროდნენ ქალაქში

სათარ-ხანის ჯარებს, უმეტესად კი უმიზნებდნენ არტილერიის საწყობს, ვნახე არტილერიის საწყობიც, სადაც 1877 წლის ნიმუშის სამდიუმიანი ზარბაზნები და აუარებელი ყუმბარები ეწყო, თურმე რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ყველაფერი ეს რუსებს წაერთმიათ ოსმალებისათვის და იმის გამო, რომ ომში სპარსელები რუსებს უწყობდნენ ხელს, მათთვის დაეტოვებინათ საჩუქრად. არტილერიის საწყობში ვიყავით, რომ სათარ-ხანიც მოვიდა თავის ამალით და სიხარულით შემომეგება, როცა მე და სანი-კიძე რამდენიმე სპარსელის დახმარებით ზარბაზანს ვწმენდდით.

— როგორაა საქმე, ბატონო სერგო, — მეკითხება.

— ცუდად, ჩემო ბატონო, — მივუგე.

— როგორ თუ ცუდად?— განცვიფრებით და ნაწყენი კილოთი შემეკითხა.

ავუხსენი მდგომარეობა, მოვახსენე, რომ ზარბაზნები კარგია, მხოლოდ გაწმენდა და დაზეთვა უნდა, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ზოგიერთი ნაწილები აკლია ყუმბარებს,

— რა ნაწილები? — შემეკითხა.

რადგანაც სპარსულად ვერ მოვახერხე ამეხსნა, რომ აკლია საბრძოლო ხრახნები და სადისტანციო მილაკი, ქაღალდზე დავუხატე.

სათარ-ხანმა მოიხმო საწყობის გამგე, აჩვენა ნახაზები. ისიც გაიქცა, ბნელი კუთხიდან მოარბენინა ყუთი, გავხსენით და ჩვენს იღბლად აღმოჩნდა შრაპნელის სადისტანციო მილაკები, ყუმბარის ხრახნები არ იყო. დამპირდნენ დავამზადებთო. მომიბრუნდა სათარ-ხანი და მეუბნება.

— ბატონო სერგო, არ გეწყინოთ და აწი ეგ პაგონები უნდა აიხსნათ, მოგეხსენებათ, რევოლუციაა.

— კი ბატონო, რა საწყენია!, — ვუპასუხე მე და იქვე ავიძვრე პაგონები.

— ბატონო სათარ-ხან, — ახლა მოგახსენებთ ჩემს გეგმას: ორი საუკეთესო ზარბაზანი მოვაწყოთ საველედ, სადაც დაგეჭირდება, შევაბამთ ცხენებს და იქით გავაქანებთ, ორ ზარბაზანს დასავლეთით ხიდთან დავდგამთ, ორს საწყობთან და კიდევ ორს ჩვენს შტაბთან, მაღალ ადგილზე, საიდანაც ვესვრით გორაზე მყოფ შაჰის ჯარებს.

სათარ-ხანი სიამოვნებით დამეთანხმა.

სწრაფად შევუდექით ზარბაზნების წმენდას. ორი ზარბაზანი სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუმბარითა და სამი შრაპნელით მაშინვე დააყენეს შტაბთან. არ გასულა სამი საათი, რომ სწრაფად გამიკეთეს ხუთი საბრძოლო ხრახნიც.

საწყობიდან სათარ-ხანმა ყველანი თავისთან წაგვიყვანა სადილად ყველას უხარია, რომ არტილერია აუმოქმედდებათ.

თავრიზში რევოლუციონერებთან ჩემი ჩასვლა მტერსაც გაეგო. ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ჩრდილო გორაკიდან, სადაც შაჰის ჯარებს ძველი ციხე-კოშკი ეკავათ, გავარდა ზარბაზანი და ყუმბარა იქ დაეცა, სადაც ქართველებს გვქონდა ბინა. დაეცა, მაგრამ არ გასკდა. დავრწმუნდი რა, რომ მტრის ყუმბარები არ სკდებოდა, ახლად მოწყობილ ბატარეიაში ყუმბარებს გავუკეთე სასკდომი ხრახნები, თვითონ დავაცვი შრაპნელს სადისტანციო მილაკი, დავაყენე მანძილზე, გავისროლე და შრაპნელი მტრის ციხის თავზე გასკდა ჰაერში. შეხედეს თუ არა ამას სპარსელებმა, სიხარულით ცაში იშვერდნენ ხელებს, გაიძახოდნენ: „ალლაჰ, ალლაჰ, იახში გურჯი, მრედუმ, ყარდაშ!...“

მეორე ხრახნგაკეთებული ყუმბარა შიგ ციხეში ჩავაგდე, რომელმაც დიდი აფეთქება გამოიწვია. შევხედეთ, რომ შაჰის ჯარები იმ ციხიდან აღმოსავლეთისაკენ დაჭრილებს მიათრევდნენ და გარბოდნენ. სათარ-ხანი მომვარდა და გადამკოცნა...

— ბატონო სათარ-ხან, დაიკავეთ ახლა ის მაღლობი ციხე-კოშკი, ხომ ხედავთ, გარბიან, — ვეუბნები მე.

სათარ-ხანი ჭენებით გაექანა. მას სამოცზე მეტი ცხენოსანი გაჰყვა, თანაც თავის მაუზერ-კარაბინას მარცხენა ხელით ისროდა. ექვსი-შვიდი საათი იქნებოდა, როცა იმ ციხე-კოშკზე რევოლუციონერების დროშა ააფრიალეს. მეც და ჩემი თარჯიმანიც მოვახტით ჩვენს არაბულ ცხენებს და ციხისაკენ გავაქანეთ. მივედით თუ არა, სათარ-ხანი ისევ მომეგება და ისევ დიდი მადლობა გადამიხადა.

— ეს შესავალია, დანარჩენს აწი გიჩვენებთ. ეს გორაკი მთელ თავრიზს დაჰყურებს, აქედან ადვილად შეიძლება აღმოსავლეთით შაჰის მთავარი ძალების გარეკვა-მეთქი, — მოვახსენე.

მეორე დღეს ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მყოფი შაჰის ჯარები მართლაც შემოესივნენ ქალაქს. ჩვენი, ქართველების ბინა და სათარ-ხანის შტაბი ტელეფონით იყვნენ დაკავშირებული. სათარ-ხანმა გამოუძახა გოგია გურულს. ტელეფონით ლაპარაკი რომ გაათავა, გოგიას ეკითხე — რა ამბავია-მეთქი.

— შაჰის ჯარები დიდ კედლამდე მისულან, უნდათ შემოანგრიონ
და ქალაქში შემოიჭრან, სათარ-ხანმა ხელით სასროლი სამი ბომბი წა
მოიღე და მოდიო.

— ალბათ ცოტანი ყოფილან, რომ სამ ბომბს მოითხოვს მხოლოდ
გავიფიქრე ჩემთვის.

— ბატონო სერგო, წამობრძანდით და ნახავთ, ორი ათასზე მეტ
იქნებიან, სათარ-ხანი ასაფეთქებელი მასალის ეკონომიას ეწევა, — მიპა
სუხა გოგიამ.

წავედით ხუთი თუ ექვსი ქართველი, წინ გოგია მიგვიძღვის, მა
გვერდით გ. ემხვარი ამოსდგომია თავისი დიდი სმიტავსონის სისტემი
რევოლვერით. მივედით თუ არა, სათარ-ხანი ჩვეულებრივად კარგ გუნ
ბაზე დაგვხვდა, გაღიმებული მოგვესალმა. ვკითხე ზარბაზნები ხომ იქნე
ბა-მეთქი საჭირო.—არა, ადვილად გავაქცევთო,—მიპასუხა და მიმანიშნა
იმ კედლის უკან არიან ამოფარებული, უნდათ კედელი შემოანგრიონ და
შეტევაზე წამოვიდნენო.—ერთი ბომბი შენ ესროლე, გოგი,—ეუბნება გუ
რულს,—მეორეს ესვრის გრიშა (ემხვარი) ასი მეტრის დაშორებით. ქართ
ველებო, ვისაც თოფები გაქვთ, წამოდით ჩემთან. თქვენ, ბატონო სერგო,
აქ მოიცადეთ და როცა ხელი დაგიქნიოთ, მაშინ მოდით, გაჩვენებთ მათ
სეირსო, — მეუბნება. გრიშამ და გოგიმ მოიმარჯვეს ბომბები, დაიკა
ვეს ნაჩვენები ადგილები, მათ შორის კედელთან ჩასაფრდა თვითონ სათარ
ხანი ექვსი თოფიანი ქართველით და ორმოცი სპარსელით. როცა კარგად
მოემზადნენ, სათარ-ხანმა ასწია ხელი და მაშინვე გოგიმ და გრიშამ ერთ
დროულად გადაისროლეს ბომბები. ისეთი ქუხილი გაისმა, რომ გეგონე
ბოდათ ათდიუმიანი მორტირი დასცალესო. შეიქმნა საშინელი ყვირილი
და ალიაქოთი კედლის მეორე მხარეს, თოფის სროლა და აურზაური. ამ
დროს სათარ-ხანი თავის მცირე რაზმით ფეხზე წამოიჭრა, სამჯერ მია
ცემინა ზალპი და კედელს იქით გადაგვახედა. გადავიხედეთ და შემზარავი
სურათი დავინახეთ — სამოცზე მეტი კაცი დაეგლიჯა და დაესახიჩრები
ნა გოგიას ნასროლ ბომბებს, თითქმის ამდენიმე ემხვარისას, სამჯერად
ზალპსაც ბევრი ჯარისკაცი ემსხვერპლა. დაჭრილები ყვიროდნენ, კვნესო
დნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, დანარჩენები კი თოფებს ყრიდნენ და უწე
სრიგოდ გარბოდნენ, მართლაც ორი ათასზე მეტი იქნებოდნენ.

დავბრუნდით ბინაში გამარჯვებულნი. გოგია გურულს შევეკითხე, სა
იდან ისწავლე ასეთი ძალის ბომბის კეთება, ან საიდან ღებულობთ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამზადებელ მასალას-მეთქი. გოგიამ ყველაფერი ამიხსნა და სხვათაშორის საიდუმლოდ ისიც მითხრა, რომ ასაფეთქებელ მასალას ვღებულობდა ცნობილ რევოლუციონერ ამხანაგ კობასაგანო, ის გვიგზავნის ყველა საჭირო მასალას და ინსტრუქციას მათ დასამზადებლადო.

ასეთი შეტაკებები თითქმის ყოველდღე გვიხდებოდა, მტერი მოსვენებას არ გვაძლევდა, მაგრამ ყოველთვის ვიგერიებდით მის შემოტევებს და დიდ ზარალს ვაყენებდით. გამარჯვებულები ჩვენ გამოვდიოდით.

ქართველები ერთ სახლში ვცხოვრობდით, რომელსაც წინ დიდი ხეხილის ბაღი ქონდა. თუ ბრძოლა არ იყო, სპარსელებს ვასწავლიდით თოფის სროლას, სამწყობრო და სხვა სამხედრო საქმეს. ოთხი ქართველი გოგია გურულის ხელმძღვანელობით ყოველდღე აკეთებდა ხელის ბომბებს. მე და ამხ. სანიკიძე კი ერთად ზარბაზნებს ვაწყობდით და სპარსელებსაც ვასწავლიდით მათ მატერიალურ ნაწილებსა და სროლას. ორი საველე ბატარეია თავის ცხენებით უკვე გაწყობილი მქონდა, შეტევის დაწყებას ვაპირებდით, რომ ერთ დღეს სათარ-ხანმა გვაცნობა რუსეთს გადაუწყვეტია დაეხმაროს შაჰს და მოსპონ ჩვენი რევოლუციაო. ჩვენ ყველა შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყოთ, მე დაზვერვა უკვე გავაგზავნე ჯულფის უღელტეხილზეო.

ერთ დღეს ძლიერი პაპანაქება სიცხე იყო, ჩვენ, ქართველები პერანგის ამარა ეზოში მწვანე მოლზე ვიყავით წამოწოლილები. უცბად თავრიზის დასავლეთიდან მოისმა ზარბაზნის ხმა. მეორედ რომ გაისროლეს, ყუმბარა პირდაპირ ჩვენს ეზოში დაეცა, ბედად აგვცდა, იქვე ვირი ბალახს ძოვდა და დაგლიჯა. მაშინვე წამოვცვივდით, ალბათ რუსები თუ მოგვეპარნო, — გავიფიქრეთ. უთუოდ ვინმემ გვიჯაშუშა, თორემ ასე პირდაპირ სპარსელები ზარბაზანს ვერ ისროდნენ-მეთქი, ვუთხარი ამხანაგებს. ფიცხლად ჩავიცვით ტანსაცმელი. სათარ-ხანმაც დაგვირეკა: „დასავლეთით შარაგზაზე დიდძალი ჯარი მოდის, ორჯერ ზარბაზანი გვესროლეს, სერგო, საჩქაროდ გაიქეცი ხიდთანო“. „სასწრაფოდ გამოგზავნეთ ყუმბარები“, — დავუძახე მე. „ყუმბარები იქ საკმარისია“, — მიპასუხა. „სამი ყუმბარა რას გვეყოფა, თუ ბევრი ჯარი მოგვადგა“.

გულმოსული გავექანე ხიდისაკენ, სადაც ბატარეია მედგა. ქართველებმა კარაბინები გადიკიდეს, გოგიამ ორი ბომბი წამოიღო. მე ბინოკლი ჩამოვიკიდე. კილომეტრ-ნახევარი სირბილით გავირბინეთ და ხიდთან მივედით. ძველი, აქლემივით კუზიანი ქვითკირის ხიდია. იქ მივაგორეთ

ორი ზარბაზანი, იქიდან კარგად მოჩანდა ჩვენსკენ მომავალი ჯარი. მე ვედი თუ არა, სათარ-ხანიც მოვიდა თავისი ამალით და ასამდე ცხენოსა ნი ჯარით. გავიხედე ბინოკლში და დავინახე, რომ მოდის მტვერში გახ ვეული ათიათასზე მეტი ჯარი, ზარბაზნებაკიდებული აქლემებითა და თა აუარებელი სახედარი მოჰყვება.

მივუბრუნდი ყველას და ვუთხარი, რომ ეს რუსის ჯარი კი არა, შაჰი ჯარია-მეთქი და მოვემზადე ზარბაზნის სასროლად. სათარ-ხანმა მითხ რა: „მოიცა, ნუ ჩქარობ, ცოტა დაგვიახლოვდნენ". როცა ორ კილომეტრ ნახევარზე მოგვიახლოვდნენ, გავისროლე ზარბაზანი, ყუმბარა ჯარის ბო ლოში დაეცა და გასკდა, გავისროლე მეორე, ყუმბარა წინ მომავალ არი ერგარდს დაეცა, მესამე ყუმბარა შიგ შუაში უამრავ ურდოდ მომავალ ჯარს დაეცა და ადამიანთა ნაფლეთები აქეთ-იქით გადატყორცნა. მტრის ბანაკში აურ-ზაური ატყდა. ვინ საით გარბის და ვინ საით, აქლემები დ სახედრები მიატოვეს, ყველა ცდილობს თავს უშველოს. სათარ-ხანმა მაღ ლა ასწია ხელი და სპარსულად დაიძახა: „აბა ბიჭებო!", შემოახტა ცხენს და მტრისაკენ გაექანა. ცხენოსნებიც თან გაჰყვნენ მარცხენა ფლანგისაკენ მე მაშინვე ორასზე მეტი მსროლელი სპარსელი მარჯვენა ფლანგისაკენ გავგზავნე ქართველების მეთაურობით.

არ გასულა საათ-ნახევარი, რომ მტრის რაზმს რკალივით შემოერტ ყნენ ჩვენები, კანტი-კუნტად ისმოდა სროლის ხმა. უცბად შეწყდა ხმაური და მოძრაობა. მტერმა იარაღი დაყარა და ხელები ასწია. ჩვენმა რაზმე ლებმა ცხვრებივით გამოირეკეს ტყვეები. ას ორმოც კაცამდე ბრძოლის ველზე დარჩა. ხელთ ვიგდეთ სურსათით დატვირთული ას ორმოცდაათი აქლემი. ტყვედ წამოყვანილი ოთხი ათასი ჯარისკაცი გაიძახოდნენ, რომ ძალით წამოეყვანათ. ყველაზე ძვირფასი ღავლა აღმოჩნდა ორას სახე დარზე აკიდებული ოთხ-ოთხი ფუთი ვერცხლის ფული, რომელიც ურმიის ხანს გამოეტანებინა შაჰისათვის გადასაცემად, აგრეთვე ოთხი კარგი ზარბაზანი.

ჩვენი ბიჭები გამარჯვებას მილოცავდნენ, მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ. ქალაქს რომ მივუახლოვდით ჩვენებმა მე და სათარ-ხანი ხელში აგვიტაცეს და ასე, სიმღერით შევედით ქალაქში. ალაყაფის კარს რომ მივუახ ლოვდით, იქ უამრავი ხალხი შემოგვხვდა, ტაშს გვიკრავდნენ, გვილოცავდნენ გამარჯვებას. მათ შორის შევამჩნიე ინგლისურ სამხედრო ფორ მაში, მაგრამ უპაგონოდ კარგად გამოწყობილი კაცი, რომელსაც ხელში

ფოტოაპარატი ეკავა, ჩიკ და მე და სათარ-ხანი ხალხის თავზე სელებზე მჯდომი გადაგვიღო. მე მაშინ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ამ სურათმა ბოლოს დიდ განსაცდელში ჩამაგდო.

ამ გამარჯვებამ საბოლოოდ გადაწყვიტა სპარსეთის რევოლუციის ბედი. ჩვენ, ქართველობა,სათარ -ხანი და მისი შტაბის წევრები, ყველანი დავრწმუნდით, რომ მთელი ირანის გლეხობა ჩვენ მხარეზე იყო. საკმარისი იყო ერთი კარგი შებერვა და მთელს ირანს აჯანყების ხანძარი მოედებოდა.

დავიწყეთ მზადება შემდგომი შეტევისათვის სატახტო ქალაქ თეირანზე. მზადებას ორი თვე მოვუნდით. გავაწყვეთ ოთხი საველე ბატარეა. თავის ცხენებით. თითო ბატარეაში ორ-ორი ზარბაზანი იყო ოთხ-ოთხი ცხენით, ათი ათასზე მეტი ქვეითი ჯარი გვყავდა, ათას ხუთასამდე ცხენოსანი. თუმცა ყველას თოფები არა ქონდა, მაგრამ იმედი იყო გზადაგზა ვიშოვიდით.

ერთ მშვენიერ დღეს შაჰის იმ ჯარიდან, რომელიც აღმოსავლეთით ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდა, ხუთი შეიარაღებული ჯარისკაცი ჩვენს მხარეზე გადმოვიდა და გვიამბო: „სეიდ-დოვლე ხანის ბანაკში ჯარისკაცები სულ მთლიანად გლეხები არიან, არცერთი მათგანი შაჰის ერთგული არ არის, ხშირად იპარებიან სახლებში. თქვენი ძალიან ეშინიათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თქვენ უმაღლესი წერტილი დაიკავეთ და იქიდან ნასროლი თქვენი ზარბაზანი დიდ ზარალს გვაყენებსო, იმის შემდეგ, რაც თქვენ დაამარცხეთ ურმიის ხანის ჯარი, რომელიც ჩვენს დასახმარებლად მოდიოდა, სულ მთლიანად დავკარგეთ თქვენი დამარცხების იმედიო.

მე თითო ბატარეაში ოთხ-ოთხი ქართველი მყავდა, პოლკებსაც ქართველები მეთაურობდნენ.

15 აგვისტოს, ჩემი რჩევით, ღამის ორ საათზე გავემზადეთ სალაშქროდ. ქალაქს რომ 3 ვერსით გავცდით, ორი ბატარეა გორაკზე გავაჩერე. ოთხი ზარბაზნიდან ერთად იელვა ცეცხლმა. მტრის ბანაკში, რომელიც გზას გვიღობავდა, ატყდა ერთი ალიაქოთი, შეიქმნა ყვირილი, ერთი-მეორეს ეჩხუბებიან, შევხედეთ ბნელში სამი ცხენოსანი მოეშურება ჩვენსკენ თეთრი ბაირაღით. შევაჩერეთ სროლა, შორიდან გვეძახიან — „ყარდაშ, იოლდაშ სათარ-ხან!“ მოგვიახლოვდნენ. სათარ-ხანი შეეგება, მეც მივუახლოვდი კარაბინამოღერებული. შიკრიკები ცხენებიდან ჩა-

ეროვნული

მოხტნენ და სათარ-ხანის წინაშე გაერთხნენ მიწაზე. სათარ-ხანმა ადგომა უბრძანა და ჰკითხა რა გნებავთო.

შიკრიკებმა მოახსენეს—გავარდა თუ არა თქვენი ზარბაზნები, რამოდენიმე კაცი ჰაერში ნაფლეთ-ნაფლეთებად აისროლა, ჩვენ გაქცევა დავაპირეთ, მაგრამ უკან ხანის მეთაურობით გვედგა ათი-ხუთმეტი კაცი, მოკვლას დაგვემუქრნენ თუ ადგილიდან დავიძრებოდით. გვიბრძანეს თქვენსკენ წამოვსულიყავით იერიშზე, მაგრამ ამან ჯარში უთანხმოება გამოიწვია, მეთაურები დავხოცეთ, ხანი სარდალი რამოდენიმე კაცით უკან გაიქცა. ჩვენ გადავწყვიტეთ თქვენს მხარეზე გადმოსვლა. ჩვენი სურვილია შეწყდეს ძმებს შორის სისხლისღვრა. ამისათვის დაჩაგრული ქვეყნის მხსნელო, უფალო სათარ-ხან, ინებეთ ჩვენი თავი, გვერდში ამოგვიყენეთ. გეფიცებით ალაჰს (მაღლა აიშვირეს ხელები), თქვენი ერთგული ვიქნებით, თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, მტარვალებისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვისო".

— თანახმა ვარ. ერთი თქვენგანი წავიდეს უკან, ორი ჩვენთან დარჩეს, შეატყობინეთ ჯარს დაჰყარონ იარაღი და თუ შემომფიცავენ ერთგულებას, გვერდში ამოვიყენებ ყველას, — უპასუხა სათარ-ხანმა.

— გმადლობთ, ქვეყნის მხსნელო! — ძირს თავები დახარეს.

— აბა გასწი საჩქაროდ, — უბრძანა ერთს სათარ-ხანმა. ისიც შემოახტა ცხენს და თეთრი ბაირაღით ხელში გაქუსლა უკან შაჰის ჯარებისაკენ.

ვხედავთ — შიკრიკი მიუახლოვდა ჯარებს. გარს შემოეხვივნენ. მხიარული ჟრიამულია. იარაღს ერთ ადგილას აწყობენ. ჩვენ მათკენ დავიძარით, მივედით, ყველამ თავები დახარა. გასწორდნენ თუ არა, ერთხმად დაიძახეს — სათარ-ხანს გაუმარჯოს, ძირს შაჰი! გაუმარჯოს ბაღირ-ხანს. იალაჰ! ჩვენი და მათი ჯარისკაცები ერთმანეთს ესალმებიან, ჰკოცნიან, ეხვევიან, გვილოცავენ გამარჯვებას. სათარ-ხანი ხელში აიტაცეს.

— მისმინეთო, — დაიძახა სათარმა და წარმოსთქვა ისეთი სიტყვა, რომ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა:

„ძმებო! თქვენ კარგად იცით ვინა ვართ ჩვენ და ვინა ხართ თქვენ. ერთი სისხლის ძმები, ერთი სარწმუნოების ხალხი, ერთს უღელში შებმულნი დღე და ღამეს ვათენ-ვაღამებთ, ოფლსა ვღვრით მონებად ქცეულნი. შაჰი და მისი დამქაშები კი ჩვენი ნაშრომით ფუფუნებით ცხოვრობენ, ჩვენ ხმას არ გვაღებინებენ. თუ ვინმეს მოეწონება ჩვენი ქალიშვილები, დები, ცოლები, უკითხავად ხასებად იხდიან, თუ ხმა ამოიღო ვინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბემ, ცემით მოკლავენ. გადავიგდოთ ეს მძიმე სატანჯველი უღელი, მოვ-სპოთ ტირანები, ძირს შაჰი და მისი დამქაშები, გაუმარჯოს რევოლუ-ციას, გაგიმარჯოთ თქვენ. შემოგვფიცეთ, რომ ბოლომდე არ უღალატებთ რევოლუციას!"

„ვფიცავთ ჩვენს რჯულს, იალაჰ! ძირს შაჰი! ძირს მტარვალები! გა-უმარჯოს სათარ-ხანს!" — ერთხმად იგრიალა ჯარმა.

ამრიგად შემოგვიერთდა თორმეტი ათასზე მეტი შაჰის ყოფილი ჯარისკაცი ოთხი საუცხოო ზარბაზნით — ცხენებიანად, სურსათითა და თოფ-იარაღით. ჩვენ უკვე ძალად ვიქეცით.

გზადაგზა სულ გვემატებოდნენ ახალ-ახალი ჯარისკაცები, გლე-ხები სხვადასხვა ძველებური იარაღით.

ქ. ყაზვინამდე არ ვიყავით მისული, რომ მოგვვიდა ცნობა შაჰი გაიქცაო. მე მივულოცე სათარ-ხანს ეს ამბავი და თან გამოვეთხოვე, რად-გან ცნობა მომივიდა, სასწრაფოდ მიბარებდა უკან ოჯახი.

წამოვედი და ისეთივე ეკლიანი გზა გამოვიარე, როგორც პირველად იქით წასვლისას.

დავბრუნდი თუ არა თბილისში, ნაძალადევში (ლენინის რაიონი) წავედი, სადაც ჩემი მეუღლე მეგულებოდა ორი პატარა ბავშვით. გადა-ვედი თუ არა რკინიგზის ხიდზე, სოხაძის და დვალის სარდაფის წინ აუ-არებელ ჯარისკაცებსა და პოლიციელებს მოეყარათ თავი. გავიგე, რომ ორი ჯარისკაცი მოეკლათ. მივედი სარდაფთან და დავინახე დაჭერილი და ნაცემი დვალი. დამინახა თუ არა, შემომძახა — სერგო, მომეშველე, წყალიო. მე მაშინვე გავიქეცი და ჭიქით მივუტანე წყალი, ხელი რომ გა-მომიწოდა, რიჟა კაცმა ხელი ამიკრა და წყალი დამაღვრევინა, თან შე-მომძახა: „მაგას წყალი კი არა, შხამი უნდა დავალევინო, ამ კაცის სარ-დაფში მთელი თბილისის რევოლუციონერების ბუდეა და თვითონაც რე-ვოლუციონერიაო". ვეღარ შევიკავე თავი და ისეთი სილა გავაწანი, რომ კინაღამ წაიქცა.

შეღამდა თუ არა, ჩემს ბინას ჟანდარმები მოადგნენ, ბინა გაჩხრი-კეს და წამიყვანეს. გრიბოედოვის ქუჩის ზევით ისეთ სარდაფში ჩამაგ-დეს, სადაც მაღლიდან წყალი წვეთავდა. თურმე ის რიჟა კაცი, რომელსაც მე სილა გავაწანი, ჟანდარმების აგენტი ყოფილიყო. არ გასულა ორი სა-ათი და შემომესმა: „სად არის ის ოფიცერი, როგორ გაბედეთ და იმ სარდაფში მოათავსეთ, ეხლავე ამოიყვანეთ მაღლა ოთახში!".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიყვანეს მეორე სართულზე, შემიყვანეს ერთ პატარა ოთახში, სადაც ელექტრონი ენთო და მაგიდა და საწოლი იდგა. ვიფიქრე, ალბათ ხუთი წელიწადიც რომ მამყოფონ, გაუძლებ-მეთქი. ამ დროს ჩხარაჩხარით დეზებიანი ჟანდარმის პოლკოვნიკი შემოვიდა. შემოსვლისთანავე შემომძახა: «Твое дело швах!» და სამჯერ გამიმეორა. «Почему швах?» — შევეკითხე მე.

— იმისათვის, რომ თქვენ რევოლუციონერებს თანაუგრძნობთო — მიპასუხა.

— რას ბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო, მე და რევოლუციონერობა, განა ოფიცერს ვინმე ენდობა?

— ნუ მატყუებთ, მე ყველაფერი ვიცი. იმ ორი ჯარიკაცის სიკვდილიც ხომ თქვენი მოწყობილი იყო?

— რას ბრძანებთ, ბატონო, ის ჯარისკაცები გლეხები იყვნენ უთუოდ და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რევოლუციონერები საწყალ გლეხებს არ კლავენ.

მან გულის ჯიბიდან სურათი ამოიღო, ცხვირწინ მომიტანა და მითხრა: ეს ვინ არის აბა, იცანი?

შევხედე და რას ვხედავ, ის სურათია, ქ. თავრიზში ინგლისელმა რომ გადამიღო სათარ-ხანთან ერთად ხელში აყვანილი. ცივმა ოფლმა დამასხა, ვფიქრობ, როგორ მოვიქცე. მოვედი თუ არა გონს, თამამად ვუპასუხე: „მართალია, მე ვიყავი სპარსეთში სათარ-ხანთან, მაგრამ, ერთი ის მითხარით, სჯის ჩვენი კანონი კაცს საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის?“ „არაო“—მიპასუხა. „მაშ რას მერჩით?—შევესიტყვე ისევ. „ალბათ აქაც ღებულობთ მონაწილეობას რევოლუციაშიო“—მითხრა, ადგა და წავიდა. კართან მოიხედა უკან და მითხრა: „კარგად დაფიქრდით, გამოტყდით და გაძლევთ სიტყვას მალე გაგანთავისუფლებთო“.

გადამიღეს სურათი, აიღეს თითების ანაბეჭდი, რამდენიმე დღის შემდეგ ამხადეს პაგონები და გამიშვეს.

თურმე ჩემს მეუღლეს გახსენებოდა ჩემი არტილერიის ბრიგადის გენერალი თავადი ხიმშიაშვილი, რომლის ძმას ჩემი ნათესავი ქალი ჰყავდა ცოლად, მასთან წასულიყო, ეთხოვა ჩემი შველა, მასაც დაერეკა და გამომიშვეს.

გავსწიე ჩემი ცოლ-შვილით ბაქოში. იქ გავეცანი ალიოშა ჯაფარიძეს. გავიგე, რომ სპარსეთში ბევრი ქართველი დაეხოცათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ ეუბნება ასეთ



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სათარ_ხანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბალირ-ხანი

ირანის რევოლუციური მხედრობა. 1908 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანის 1905—1911 წლების რევოლუციის მონაწილე ქართველების ჯგუფი: დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): გრიშა შამუგია, ლუკა ქოლავა (ძვ. აბაშა), პეტრე (ივლიანე) ფოჩხუა, აპოლონ კუჭავა (სოფ. ეკი, ცხაკაიას რ.). წამოწოლილია ავქსენტი ნადარეიშვილი (სოფ. ონტოფო, აბაშის რ.).

სურათი გადაღებულია ირანში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო ორჯონიკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლონ ჯაფარიძე

ვალიკო გაჭრაძე
(ტელეზნი)

ლადო დუმგაძე

ჩიტო ცერცვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგო მათიაშვილი

კოლია ლორთქიფანიძე

გულჩინა (გულა)
ლორთქიფანიძე

სერგო გამდლიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ (ფირუზა)
ნასარიძე

გრიგოლ ემხვარი

სილოვან ივანიაძე

ვარდენ თიკანაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიხეილ ბოგდანოვი
(მარიაშკინი)

სერგო გაგოშიძე

იაკობ მეტრეველი

მიშა ქაგანია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ჯაფარიძე

ბახო კარაპეტოვი
(დავახეთაძე)

მიხეილ ასათიანი

ალექსანდრე ჩადუნელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ მალლაკელიძე

სეფე გაგიჩვაძე

სიმონ სალარიძე, რომელმაც
ირანში პატიმროგიდან იხსნა
სერგო ორჯონიკიძე

დავით კილაძე
(პატარა დათიკო)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათიკო კალანტაროვი
(ავლაბრელი)

პეტრე მარტიროსოვი
(ოქროყანელი, ვახანა)

კირილე ნადირაძე

გიორგი მენაბდიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ორჯონიკიძე

საქართველოდან ირანის რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად წასული რევოლუციონერების ვინაობის შესახებ თხრობა ჩვენ მაინც ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, დიდი ინტერნაციონალისტისა და მგზნებარე რევოლუციონერის გრიგოლ კონსტანტინეს ძე (სერგო) ორჯონიკიძით გვინდა დავიწყოთ. მაინცო, იმიტომ ვამბობთ, რომ მისი მოღვაწეობა ირანში ჯეროვნად აქვთ გაშუქებული ირანის რევოლუციის მკვლევარებს: ე. ბორ-ნომანოვსკის, ს. ალიევს, გ. არუთინიანს, გ. ჭიპაშვილსა და სხვებს. ჩვენც მოკლედ გვაქვს ეს ამბავი გადმოცემული ჩვენს ნარკვევში — „სერგო ორჯონიკიძე — ჟურნალისტი". ხოლო თუ ერთხელ თქმულს აქაც ვიმეორებთ, ეს იმიტომ, რომ სერგო ორჯონიკიძე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ირანის რევოლუციის ხელმძღვანელობაში და გარკვეულად დიდი კვალი დასტოვა მის განვითარებაში, განსაკუთრებით გილანის პროვინციაში (რეშთი) მუშაობის დროს.

ირანის რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან წასულ მოხალისე-რევოლუციონერებს შორის აბსოლუტურ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, ხოლო მათ შორის უმეტესობა ბოლშევიკები იყვნენ. თითო-ოროლა იყო ესერი და ანარქისტი.

სერგო 24—25 წლის ჭაბუკი იყო, როცა იგი, ციმბირის პირველი გადასახლებიდან გამოქცეული და ბაქოში ჩასული, პარტიის ბაქოს კომიტეტმა ირანს გაგზავნა 1909 წლის შემოდგომაზე, როგორც ხელმძღვანელი იქ მიმავალი მოხალისე-რევოლუციონერების მორიგი ჯგუფისა.

მართალია სერგო ჭაბუკი იყო, მაგრამ ამ დროისათვის მას უკვე გამოვლილი ქონდა რევოლუციური ბრძოლის გარკვეული სკოლა და მიღებული ქონდა გარკვეული წრთობაც გუდაუთის რაიონში ფერშლად მუშა-

ობის დროს მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობიდან, რისთვისაც ის პირველად შეიპყრო მეფის ხელისუფლებამ, გაასამართლა და გაგზავნა, საიდანაც მალე გამოიქცა, ბაქოში ჩამოვიდა და მთლიანად ჩაება ამიერკავკასიის ამ დიდ პროლეტარულ ცენტრში გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობაში.

ირანში ჩასულმა მტკიცე ლენინელმა სერგო ორჯონიკიძემ იქაც არ უღალატა თავის თავს და გააჩაღა მისთვის ჩვეული რევოლუციური მოღვაწეობა, დაინახა რა ის სიდუხჭირე, რომელსაც ირანელი მშრომელი ხალხი და კერძოდ ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას მოკლებული, უუფლებო ღატაკი გლეხობა განიცდიდა. ასეთი გარემოება ნაყოფიერი ნიადაგი გამოდგა მგზნებარე ბოლშევიკი-აგიტატორის მართალი, რევოლუციური სიტყვის, თავისუფლებისმოყვარე აზრების გავრცელებისათვის.

სერგომ მისთვის ჩვეული ფართო, ენერგიული მოღვაწეობა გააჩაღა ჩრდილოეთ ირანში, გილანის პროვინციაში (რეშთი, ენზელი, არდებილი), სადაც შექმნა სათანადო კლუბები, რომელთა საშუალებითაც ეწეოდა მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდას, ანათლებდა სიბნელით მოცულ ხალხს, აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნაში, ეხმარებოდა მათ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის თარგმნაში. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ითარგმნა სპარსულად კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი". ამასთან სერგო აწყობდა და ხელმძღვანელობდა გლეხთა გამოსვლებს შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ, რისთვისაც გლეხთა სპეციალური კომიტეტები შექმნა. ერთი სიტყვით, არაფერს არ იშურებდა ეს ახალგაზრდა რევოლუციონერი-კომუნისტი იმისათვის, რომ რითიმე სასარგებლო ყოფილიყო და ეშველა ბეჩავი ირანელი მშრომელი ხალხისათვის მის უთანასწორო ბრძოლაში შაჰის დესპოტური თვითმპყრობელური რეჟიმისა და ფეოდალური წესწყობილების წინააღმდეგ.

. აქედან, რეშთიდან დაამყარა სერგომ კავშირი მაშინ ემიგრაციაში მყოფ დიდ მასწავლებელთან ვ. ი. ლენინთან, რომელიც იმჟამად პარიზში ცხოვრობდა, აგრეთვე—პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსთან, რომლებთანაც ცხოველი მიმოწერა გააჩაღა, ატყობინებდა ირანის რევოლუციური მოძრაობის ამბებს, ხოლო იქიდან მიღებულ მითითებებს რუსეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გზავნიდა. ამ დროსვე მოაწყო მან ბოლშევიკური ლიტერატურის ტრანსპორტირება რუსეთში ენზელისა და ბაქოს გზით.

აქ ჩვენ აღარ შევჩერდებით სერგოს იმ ფართო ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ სალიტერატურო მოღვაწეობაზე, რასაც ის ირანში ეწეოდა,. სისტემატურად აშუქებდა რა ირანის მაშინდელ ვითარებას ლეგალურ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, როგორც მათი საკუთარი კორესპონდენტი, რასაც ჩვენ სპეციალური გამოკვლევა მივუძღვენით, მაგრამ არ შეგვიძლია არ გავახსენოთ მკითხველს იმ ხანად ირანში ემიგრანტად მყოფი ანარქისტ-კომუნისტის სიმონ სალარიძის მოგონება, რომელიც გადმოცემული აქვს თავის შრომაში — „ამიერკავკასიელი ბოლშევიკების როლის შესახებ ირანის რევოლუციაში“ ამ საკითხის შესანიშნავ მკვლევარს ე. ბორ-რომანოვსკის[1]. (ამხ. გ. ჭიპაშვილი ჩვენს მიერ დასახელებულ მის შრომაში ს. სალარიძეს ფედერალისტს უწოდებს, რაც არ არის სწორი, იგი ანარქისტ-კომუნისტი იყო და ეს კიდევაც დაგვიდასტურა მისმა შვილმა, პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა სოსო სალარიძემ — ა. კ.).

ეს მოგონება ჩვენ თავის დროზე გავაცანით ქართველ მკითხველს ჩვენს ნარკვევში სერგო ორჯონიკიძის ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე, ისევე, როგორც ამხ. გ. ჭიპაშვილმა თავის ხსენებულ ნაშრომში, მაგრამ იმდენად კოლორიტული და დამახასიათებელია იგი მგზნებარე გულის სერგო ორჯონიკიძის ხასიათისათვის, რომელიც მწვავედ განიცდიდა ღატაკი ხალხის ჩაგვრას, რომ გადავწყვიტეთ ამჯერადაც გავიმეოროთ იგი:

ერთ დილით, თურმე ქ. ენზელში (ახლა ამ ქალაქს ფეჰლევს უწოდებენ) მყოფ სერგოს, როდესაც იგი ნავსადგურში მიდიოდა უცხოეთიდან გამოგზავნილი ლიტერატურის მისაღებად, კაცის ყვირილი შემოსმია. ბუნებრივია, სერგო ნაცხადევად ვერ იცხოვრებდა იქ და გარკვეულ კონსპირაციას იცავდა, მაგრამ ამჯერად დაურღვევია კონსპირაციის წესი, შეჭრილა იმ ეზოში, საიდანაც კაცის ყვირილი მოისმოდა, და დაუნახავს, რომ ფეოდალს ფეხებით ჩამოუკიდებია თავისი ყმა გლეხი, რომელსაც ორი ჯალათი მისდგომოდა და მათრახსა სცემდა. აივანზე გადმომდგარი მებატონე კი აქეზებდა უფრო ძლიერად ეცემათ. ამ შემაძრწუ-

---

[1] «Историк-марксист» № 11, 1940 г.

ნებელ სურათს თავქვედაკიდებულის მწარედ მოტირალი პატარა შვილები შესცქეროდნენ.

სერგომ ვერ მოითმინა თურმე ადამიანის ღირსების ასეთი ველური შებღალვა, იძრო რევოლვერი, ეცა ჯალათებს, გარეკა, ჩამოხსნა გლეხი და გაათავისუფლა...

სერგო, რასაკვირველია, შეიპყრეს და საპყრობილეში ჩასვეს.

სიმონ სალარიძე, რომელიც რეშთის ვიცე-გუბერნატორის ორ ქალიშვილს რუსულსა და ფრანგულ ენებს ასწავლიდა, სერგოსაც კარგად იცნობდა და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა მასთან, ამ დროს სამკითხველოში მჯდარა და გაზეთებს ათვალიერებდა. მასთან მიურბენია ერთ ღატაკ ირანელს და ყურში ჩურჩულით შეუტყობინებია მოჯაჰიდი დაატიმრესო (მოჯაჰიდებს ირანში თავისუფლებისათვის მებრძოლებს უწოდებენ). რომელი მოჯაჰიდიო,—უკითხავს სალარიძეს. აი, ის, რომელსაც ღარიბებთან საუბარი უყვარსო,—უპასუხნია ღატაკს. სალარიძე მყისვე მიხვედრილა, ვინც უნდა ყოფილიყო დაპატიმრებული და გაქცეულა ციხეში სერგოს სანახავად. მისულა ციხეში, გრძელულვაშა დარაჯს შეუშვია სერგოსთან, რომელიც ბნელ, პატარა, ჭუჭყიან, ბაღლინჯოებითა და სხვა პარაზიტებით სავსე საკანში ჩაემწყვდიათ, სადაც იგი, ბრაზმორეული, გალიაში მოთავსებულ ლომს ჰგავდა.

— როგორც კი საკანში შევედი, — იგონებს სალარიძე, — სერგომ მითხრა — დარაჯმა გამჩხრიკა და საიდუმლო საბუთები ჩამომართვა, შეეცადე რუს კონსულს არ გადამცენო.

ს. სალარიძე მყისვე გაქცეულა ნაცნობ ვიცე-გუბერნატორთან და უამბნია საქმის ვითარება. ვიცე-გუბერნატორს განკარგულება გაუცია მასთან მიეყვანათ სერგო. მიუყვანიათ კიდეც.—სერგოს თავი ამაყად ეჭირა, — იგონებს სალარიძე და განაგრძობს — იუპიტერივით განრისხებული, სმოკინგში და შავკაკარდიან ქუდში გამოწყობილი ვიცე-გუბერნატორი, ეს „თვალნი შაჰისანი“ ენზელში, ამ დროს სერგოს შესახებ წერდა წერილს რუს კონსულს.

აქ იწყება მეტად საინტერესო დიალოგი ვიცე-გუბერნატორსა და სერგოს შორის:

— მოჯაჰიდო, რატომ იყენებთ ბოროტად ჩვენს სტუმართმოყვარეობას? — ეკითხება ვიცე-გუბერნატორი და განაგრძობს: შეხედეთ შაჰინშაჰის ამ პორტრეტს, რომლის ფეხთაქვეშ გასუდრულია მთელი ირანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც თქვენც იმყოფებით და ამავე დროს ამ ბედნიერ ქვეყანაში ცოდ-ვებსა და ბოროტებას თესავთ?

სერგომ გრუზა თავი გადაიქნია და ომარ ხაიამის რუბაიით უპასუხა:

„ვინ არის უცოდველი ამ ქვეყნად, მითხარი?
როგორ შეუძლია იცხოვროს მან უცოდველად, მითხარი?
თუ მე ბოროტებას ჩავდივარ, ხოლო შენა მსჯი, —
რით განსხვავდები შენ ჩემგან, — მითხარი?

(ჩვენ ეს ბწკარედი უფრო მიახლოებულად გვეჩვენება ორიგინალ-თან).

ვ ი ც ე-გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი: ბიჭოს! ჩვენივე მახვილით გვგმირავ, ყმაწვილო, საიდანა ხარ შენ?

ს ე რ გ ო: მე ერთი ღარიბი კაცი ვარ, რომელსაც არაფერი არ მაბა-დია ამ დუნიაზე, გარდა ირანელი ხალხის მხურვალე სიყვარულისა, რო-მელმაც გაამდიდრა მსოფლიო ისტორია საუკეთესო ფურცლებით.

ვ ი ც ე-გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი: რაში გამოიხატება თქვენი სიყვარული ჩვენი ხალხისადმი, იმაში, რომ სახელს უტეხთ და ამცირებთ მთელი ქვე-ყნის წინაშე შაჰის ძალაუფლებას?

ს ე რ გ ო: ირანელები ცნობილი იყვნენ ვაჟკაცობით, სამართლიანო-ბითა და ჰუმანურობით. მე კაცთმოყვარეობა მამოძრავებს. ჩაგრულთა მი-მართ ღრმა სიყვარულმა გამოიწვია ჩემში უსაზღვრო მრისხანება გულ-ქვა დამსჯელისადმი, გადავწყვიტე მეშველა ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი დასჯილისათვის, რომლის თვალთაგან აუტანელი ტანჯვა იცქირებოდა, ხოლო ტიტლიკანა მისი ბავშვების ტირილმა ისე ამაფორიაქა, რომ მსაგავ-სად პელიკანისა, მზად ვიყავი ამომეგლიჯა ჩემი გული და მიმეცა ამ ღატაკი ბავშვებისათვის, „ბავშვები ხომ მომავალი მამებია“. მე არ დავე-რიდე მომესპო მოძალადენი, რათა ბავშვებისათვის სიხარული მიმენიჭე-ბინა.

სერგოს სიტყვებმა იმოქმედაო ვიცე-გუბერნატორზე, — განაგრძობს ს. სალარიძე, — მომიბრუნდა და გაღიმებულმა ინგლისურად მითხრა: ასეთი აზრებითა და სიფიცხით შენი მეგობარი სიბერეს ვერ მიაღწევ-სო, რუსი კონსულისათვის მისაწერი წერილი დახია და კალათში **გადა-**ყარა, მიუბრუნდა სერგოს და ეუბნება — აჰა, წაიღე შენი საბუთები, ნაგა-ნიც (რევოლვერი) და გირჩევ, რაც შეიძლება მალე გაეცალო ირანსო.

ოთახიდან რომ გამოვედით, სერგო მეუბნება — ამ ძაღლებს შორი-საც ყოფილან სიმართლის მცველებიო.

ასე ამთავრებს თავის ამ საინტერესო მოგონებას სიმონ სარკარიძე, რომელმაც უეჭველად გადაარჩინა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მომავალი დიდი მოღვაწე დაღუპვას მაშინ.

ამიტომაც ვათავსებთ აქ მის პორტრეტს. შთამომავლობა უნდა იცნობდეს ამ კაცს.

სერგო ორჯონიკიძემ ირანში თითქმის ერთი წელი დაჰყო და ნიადაგ გილანის პროვინციაში მოღვაწეობდა. იგი იქ ჩავიდა 1909 წლის შემოდგომაზე, იმავე წლის დამლევს იძულებული გახდა ბაქოში დაბრუნებულიყო და 1910 წლის თებერვალში ისევ წავიდა იქ და იმავე წლის შემოდგომამდე დარჩა. იგი არც თავრიზში ყოფილა და არც თეირანში და მაშასადამე არც თავრიზის აჯანყების ბელადს სათარ-ხანს შეხვედრია პირადად. ის უმეტესად გილანის რევოლუციური მხედრობის მეთაურ მოეზ-ოს სულთანთან (სარდარ მუჰისთან) იყო დაკავშირებული და მასთანვე ცხოვრობდა.

ამიტომ სარწმუნო არ არის გაზეთ „კომუნისტის“ 1972 წ. 15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული ფოტოსურათი, რომელზედაც გამოხატულია სერგო სათარ-ხანთან და მის თანამებრძოლ ჰასან-ხანთან. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ იგი სათარს არასოდეს არ შეხვედრია და მეორეც, სურათზე აღბეჭდილი სერგო 1918 წლის პერიოდისაა, როცა ის უკვე რუსეთის ფედერაციის ცაკის წევრი, სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი და მე-16 არმიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო. ირანში კი იგი 24—25 წლისა მოღვაწეობდა და ისეთნაირი იყო, როგორც ჩვენს მიერ აქ მოტანილ ფოტოზე გამოიყურება.

მაგრამ ისტორიისათვის, ირანის რევოლუციაში სერგოს ღვაწლისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის გახლავთ, რომ ირანის პერიოდი სერგოს ბიოგრაფიაში ბრწყინვალე ფურცლადაა ჩაწერილი, რასაც ვერ დაივიწყებს ხალხთა რევოლუციური ბრძოლების ისტორია და, კერძოდ, თავისუფლებისმოყვარე ირანელი ხალხი.

აპოლონ ჯაფარიძე

ირანის რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო აპოლონ გლახოს ძე ჯაფარიძე, ბოლშევიკური პარტიის წევრი 1905 წლიდან. იგი ამ რევოლუციის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი მონაწილეა დღეს. აპო-

ლონიც უმეტესად გილანის პროვინციაში იბრძოდა და აქტიურად მონაწილეობდა ქალაქების რეშთის, ყაზვინის, არდებლისა და სხვ. განთავისუფლებაში. მას მრავალი შერქმეული სახელი ჰქონდა. უმეტესად კი „პატარა მიშად“ იცნობდნენ.

აპოლონ ჯაფარიძე რაჭველი ღარიბი აზნაურის შვილია. დაბადებულია 1888 წელს, ე. ი. დღეს 86 წლის ჭარმაგი მოხუცია. აპოლონს მშობლები ადრე დაეხოცა, დაობლებული ხუთი მცირეწლოვანი და-ძმა სრულიად უსახსროდ დარჩნენ. აქედან იწყება აპოლონის ბრძოლა ლუკმა-პურისათვის — მოჯამაგირეობა, შეგირდობა მხატვრის სახელოსნოში და ა. შ.

1905 წელს იგი ჩამოჰყავთ თბილისში და აყენებენ შეგირდად სამხატვრო სახელოსნოში, სადაც უახლოვდება მოწინავე მუშებს და რევოლუციურ მუშაობაში ებმება. 1905 წლის დამლევს შედის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და მაშინვე ბოლშევიკებს ემხრობა. ასრულებს პარტიის ტექნიკურ დავალებებს, ავრცელებს პროკლამაციებს და სხვა არალეგალურ ლიტერატურას, აწყობს მღებავთა კრებებს, აქტიურად მონაწილეობს შეიარაღებული გამოსვლების მომზადებაში.

1907 წლამდე თბილისში მონაწილეობა აქვს მიღებული თერთმეტ ტერორისტულ აქტში ჟანდარმერიის, პოლიციელების, მათი ჯაშუშებისა და პროვოკატორების წინააღმდეგ, რისთვისაც ოთხჯერ იყო დაპატიმრებული, საიდანაც ოთხჯერვე გამოიქცა.

1907 წელს პარტიის თბილისის კომიტეტი აპოლონს სხვა ამხანაგებთან ერთად გზავნის ირანში იქაური რევოლუციონერების დასახმარებლად. იგი იქ ერთგვარი მეკავშირის როლს ასრულებდა — ეზიდებოდა ბაქოდან ბომბებს, იარაღს, ასაფეთქებელ მასალებს, გადაჰყავდა ამხანაგები საზღვარზე, აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლებში 1907 წლიდან 1909 წლამდე ქალაქების ენზელის, რეშთის, ყაზვინის, სადგურების — მენჯილის, იუზბაშჩაის, ამბოსა და სხვადასხვა სოფლების აღებაში. სამჯერ დაიჭრა ამ ბრძოლებში. 1909—1910 წლებში მუშაობდა რეშთში ჩასული სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით და ასრულებდა მის დავალებებს, სამჯერ დაიჭირეს და სამჯერვე მოახერხა პატიმრობიდან თავის დაღწევა, ბოლოს მაინც დაიჭირეს და 4 წლის კატორღა მიუსაჯეს. 1913 წელს გაიქცა ბაქოს ბაილრვის ციხიდან.

აი როგორ ახასიათებს მას სპარსეთის რევოლუციის მონაწილე მ. ა. ბოგდანოვ-მარიაშკინი.

„ლენინურად აღზრდილი აპოლონ გლახოს ძე ჯაფარიძე („პატარა მიშა“) იმ ხანად 20 წლისა იქნებოდა. მას განსაკუთრებული მდგომარეობა ეჭირა ირანის მაშინდელი ამბების განვითარებაში. იგი მეკავშირე იყო, მას ხშირად უხდებოდა რუსეთ-ირანის საზღვრის გადასვლა ბაქოსთან და თბილისთან დასაკავშირებლად და უკანვე გადმოსვლა, რაც მეტად სარისკო იყო. ის არ ჰგავდა ისეთებს, რომლებიც განსაცდელის ჟამს გაურბოდნენ რევოლუციას და მყუდრო ცხოვრებას ამჯობინებდნენ. ფარულად მუშაობის დროს იგი რამდენჯერმე იყო გამოქცეული ციხეებიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ამბავი, როდესაც ამხანაგების ჯგუფმა ვანო კარაპეტოვის („დავახეთქე“) მეთაურობით ხელიდან გამოგლიჯა იგი პოლიციას სომხის ბაზარში (ახლა კოლმეურნის მოედანი). ამ საქმეს რამდენიმე კაზაკი შეეწირა მაშინ. ასეთ ჭაბუკს ჰქონდა დავალებული უაღრესად გასაიდუმლოებული საქმეები. აპოლონი უშუალოდ იყო დაკავშირებული ირანის, საქართველოს, აზერბაიჯანის სააჯანყებო ცენტრებთან, ატარებდა კონსპირაციულ საბუთებს, გადაქონდა იარაღი, გადაყავდა მებრძოლები, რასაც ხშირად მშიერ-მწყურვალი აკეთებდა. ასეთი იყო ჩვენი „პატარა მიშა“ — აპოლონ გლახოს ძე ჯაფარიძე. როცა მას უაღრესად პასუხსაგებ დავალებებს აძლევდნენ, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ის საქმეს არ ჩააგდებდა, ხოლო თუ ჩავარდებოდა, მოკვდებოდა და არავის და არაფერს არ გასცემდა. ასეთი იყო ჩვენი უბრალო, მოკრძალებული მიშა. ამიტომაც დავავალეთ მას, რომ ყოფილიყო ირანის რევოლუციურ შტაბში ჩვენი—„გურჯების“ ჯგუფის წარმომადგენელი“.

1913 წელს აპოლონი თურქეთში მიდის. კონსტანტინეპოლში ნახულობს ცნობილ ბოლშევიკ პარტიულ მოღვაწეს სამუილ ბუაჩიძეს და ასრულებს მის დავალებებს. თურქეთში რჩება 1916 წლამდე, ბუაჩიძის იქიდან წასვლამდე, რის შემდეგაც ბრუნდება ისევ საქართველოში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გახდა ცნობილი აპოლონი თავისი გვარით, მანამდე სხვადასხვა გვარით იმალებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო თანამდებობაზე. ამჟამად საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია, დაჯილდოებულია ლენინის, წითელი დროშის ორდენებით და მედლით 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში სასახელო შრომისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიკო ბაქრაძე („ჟელეზნი“)

ირანის რევოლუციაში მონაწილე ქართველ ბოლშევიკ-სოციალ-დემოკრატებს შორის უდაოდ გამოსარჩევი პიროვნებაა ვალერიან ტარასისძე ბაქრაძე, რომელიც ცნობილი იყო „ჟელეზნის“ შერქმეული პარტიული სახელით.

იგი დაბადებულია 1886 წელს ჭიათურის რაიონის სოფ. დარკვეთში ღარიბი სოფლის მღვდლის ოჯახში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთ-იაპონიის ომის საწინააღმდეგო მოსწავლეთა დემონსტრაციაში და საერთოდ აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა, რისთვისაც 1900 წელს გარიცხეს გიმნაზიიდან და ამის შემდეგ მთლიანად რევოლუციური ბრძოლა აირჩია თავის სამოღვაწეო ასპარეზად. უმთავრესად ჭიათურის მუშებს შორის ეწეოდა მეფის რეჟიმის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდას. პარტიის მე-2 ყრილობის შემდეგ იგი მტკიცედ დადგა ბოლშევიკების მხარეზე და ლენინის მოძღვრების ერთგული დარჩა ბოლომდე.

პარტიის მოწოდებას — დახმარებოდნენ ირანელებს მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ვალიკო ბაქრაძე მხურვალედ გამოეხმაურა. იგი ამ დროს პროლეტარულ ბაქოში მუშაობდა და იქიდან წავიდა ირანში, სადაც სათარ-ხან — ბაღირ-ხანთან ერთად იბრძოდა აზერბაიჯანის პროვინციაში, კერძოდ თავრიზში.

ირანში იმ ხანად ნაცხოვრები და რევოლუციური ამბების კარგად მცოდნე, ბოლოს კი ბათუმში მცხოვრები, აწ განსვენებული ლ. ნ. გამყრელიძის მოწმობით, ვ. ბაქრაძე, შედიოდა თავრიზის რევოლუციურ კომიტეტში და 1908 წელს დაიღუპა სოფელ ალინჯში (55 კილომეტრის დაშორებით თავრიზიდან) რაჰიმ-ხანის რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში (რაჰიმ-ხანი შაჰის ჯარების სარდალი იყო — ა. კ.), საიდანაც ჩამოასვენეს თავრიზში და დაკრძალეს სომხური ეკლესიის ეზოში ამ ბრძოლებში დაღუპულ ქართველთა საძმო საფლავში.

* * *

ჩვენი კვლევა-ძიების პროცესში მოვახერხეთ ვლადიმერ დუმბაძის, გიორგი ემუხვარის, ჩიტოსა და ნაცვალაძის ვინაობის დადგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ ი ტ ო

აღმოჩნდა, გორის რაიონის სოფ. ზეღდულეთელი გლეხის ექვთიმე ცერცვაძის ვაჟი.

წარმოშობით მისი წინაპრები ჭინჭარაულები ყოფილან თიანეთის რაიონიდან. ჩიტოს პაპის პაპას თავადი შემოკვდომია, გამოქცეულა, სოფ. ზეღდულეთში დასახლებულა და გვარად წეწვაძე დაურქმევია, შემდეგ ამ გვარს ერთგვარი სახეცვლილება განუცდია და საბოლოოდ ცერცვაძედ ჩამოყალიბებულა. მისი ჩამომავალი ამ გვარს ატარებს.

ჩიტო დაბადებულია 1881 წელს. სამი თვისას დედა გარდაცვლია და დეიდას კეკე კოჩუაშვილს უშვილებია, გორში წაუყვანია თავისთან და იქ გაუზრდია, უსწავლებია საქალაქო სასწავლებელში. სრულიად ახალგაზრდა ჩიტო დაკავშირებია იქაურ რევოლუციონერებს იაკობ მეტრეველსა და სხვებს და ჩაბმულა რევოლუციურ მოძრაობაში. ხშირად ჩადიოდა სოფელში და გლეხებს ამხედრებდა მეფისა და მებატონე-მემამულეების წინააღმდეგ.

მისი ადრინდელი რევოლუციური მუშაობის ერთი ასეთი ეპიზოდი გვიამბეს: 1901 წელს, ჩიტოს სოფელში ყოფნის ერთ დღეს, თავად ამილახვარის მოურავი მისულა სოფელ ზეღდულეთში და დაუწყია გლეხების აწიოკება — ღალის წართმევა. ეს გაუგია ჩიტოს, შეუგროვებია გლეხები და უთქვამს — არავითარი ღალა არ მისცეთ, მიწაც თქვენია და მოსავალიცო. გლეხები აგულიანებულან და მოურავი სოფლიდან გაუძევებიათ. როცა ეს ამბავი თავადამდე მისულა, მას უცნობებია ხელისუფლებისათვის და ჩიტოს დევნა დაუწყიათ. ჩიტო არალეგალურ ცხოვრებაზე გადასულა. მის მაგიერ ხშირად აპატიმრებდნენ თურმე მის ძმას ალექსის.

1907 წელს ჩიტო თბილისში გადასულა საცხოვრებლად და დაუწყია მუშაობა იარალოვის ქარხანაში ზეინკლად. აქ იგი ებმება მუშათა რევოლუციურ წრეში და მონაწილეობას იღებს ხელყუმბარების (ბომბების) კეთებაში. კაზაკებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1906 თუ 1907 წლებში მან ერთი ყუმბარა ყაზახთა ჯგუფში გადააგდო, რის გამოც იძულებული ხდება არალეგალურად იცხოვროს. მაგრამ ძნელი შეიქმნა მისთვის ასეთი ცხოვრება და სპარსეთში წავიდა. იქ იბრძოდა რევოლუციონერთა რიგებში და იქვე დაიღუპა.

ასეთი ცნობა მოგვაწოდა ჩიტოს ძმის, ალექსის შვილმა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძის დაღუპვის ამბის მიღების შემდეგ დაბადებულა 1910 წელს და ხელოვანი ბიძის პატივსაცემად მისი სახელი — ჩიტო დაურქმევიათ, იგი დღესაც თავის მამა-პაპეულ სოფელში ცხოვრობს.

გარდა ამისა ზოგიერთი ცნობა ამოვკრიფეთ ჟურნალ „.რევოლუციის მატიანეში" (№ 1, (6) 1924 წ.) ჩიტოზე მოთავსებული არჩილ რუხაძის წერილიდან (არჩილ რუხაძე ძველი ბოლშევიკი იყო, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს შრომის სახალხო კომისრად მუშაობდა — ა. კ.).

ა. რუხაძე წერს, რომ მან ჩიტო თბილისში ვახნიანსკის ქარხანაში გაიცნო.

— ერთხელ ჩიტო მეუბნება, — წერს რუხაძე, — არჩილ, შენ პარტიის წევრი ყოფილხარ... ჩვენ კი არაფერს გვეუბნები.

— იმიტომ, რომ აქ არავის არ ვიცნობ, — ვუპასუხე.

ამის შემდეგ მე და ჩიტო ძალიან დავმეგობრდით, შევადგინეთ ქარხანაში პატარა წრე, სადაც დადიოდა პროპაგანდისტი ამხ. ავგუსტ (ავგუსტელა, ამ ფსევდონიმით ცნობილი იყო პარტიული მოღვაწე მელიტონ ფილია — ა. კ.). შემდეგ ვახნიანსკის ქარხანა შეუერთდა იარალოვისას, ჩვენი წრეც შეუერთდა იარალოველების წრეს, ამ წრეში ჩიტო ერთი აქტიური მომუშავე იყო.

ჩიტო იღებდა აქტიურ მონაწილეობას ტერორისტულ აქტებში.

1908 წლის დასაწყისში მე მიჭერენ და 2 წლით და 8 თვით კატორღას მისჯიან. ჩიტო რამდენჯერმე მოვიდა ციხეში ჩემს სანახავად, ერთხელ მან რჩევა მკითხა — ვაპირებ სპარსეთში წასვლას რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად და შენ რას მირჩევო. მე ვურჩიე წასვლა. გავიდა რამდენიმე თვე. ჩიტოსი არაფერი მესმოდა. შემდეგ გავიგე, რომ ჩიტო დაღუპულიყო სპარსეთში, ხელში ყუმბარა აფეთქებოდა.

იმავ „რევოლუციის მატიანეში" ჩიტო ცერცვაძეზე უხუცესი მუშა ბოლშევიკი არაქელა ოქრუაშვილი წერდა:

„1907 წლის გასულს სპარსეთში გაჩაღდა რევოლუცია, ჩვენი საწყობიდან (ნაძალადევში მას ბოლშევიკების არსენალსაც უწოდებდნენ) ბომბები და დინამიტი გაუგზავნეთ სათარ-ხანს ჩვენივე ტერორისტის ხელით. (იგულისხმება ჩიტო ცერცვაძე, რადგან იქვე ავტორს ფრჩხილებში აქვს აღებული შემდეგი სიტყვები: „ამხ.. ჩიტო ზეინკლად მუშაობდა იარალოვის ქარხანაში, რომელიც სპარსეთში დაიღუპა ბომბის გადაგდების დროს" — ა. კ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტო ცერცვაძე დიდის პატივით დაუსაფლავებიათ თავრიზში. ამის შესახებ ასეთ ვრცელ კორესპოდენციას ვკითხულობთ გაზეთ „ალის“ 1908 წლის 5 დეკემბრის 27 ნომერში:

„კავკასიელი მებრძოლის დასაფლავება

9 სექტემბერს (1908 წ.), როდესაც ყველა მხრიდან რეაქციონერებმა იერიში მოიტანეს ამირ-ხიზის უბანზე (უბანია თავრიზში), სადაც მათ კედელს დაუწყეს ნგრევა და საიდანაც რევოლუციონერების სიმაგრეებში აპირებდნენ შეჭრას, ამ დროს გამოდის კავკასიელი მებრძოლი ჩიტო ორი ყუმბარით ხელში, უახლოვდება რეაქციონერებს და ესვრის ერთს, რომელმაც დიდი ძალით იგრიალა და ბრძოლის გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ამ დღეს. ყუმბარის გრიალი და მტრის უკან დახევა ერთი იყო. ამ დროს ჩიტომ მეორეს გადასროლაც მოინდომა მტრის ბანაკში, მაგრამ უეცრად ყუმბარა ხელში გაუსკდა და მძიმედ დააშავა იგი მარჯვენა მკერდში და ფეხში. რევოლუციონერებმა ყოველივე ზომა იხმარეს, რომ ჩიტო როგორმე გადაერჩინათ სიკვდილისაგან, მაგრამ ექიმებმა მძიმე ჭრილობის გამო ვერ მოარჩინეს. ჭრილობის გარდა ჩიტოს კისრის დამბლა გაუჩნდა, ვეღარ გაუძლო და 29 სექტემბერს გარდაიცვალა. რევოლუციონერები ძალიან დააღონა ჩიტოს სიკვდილმა. მეორე დღესვე სათარ-ხანმა დანიშნა კომისია, რომელსაც მიენდო დასაფლავების მოწყობა. კომისიამ გამოაცხადა ჩიტოს დასაფლავების დღედ 2 ოქტომბერი,. სომხების სასაფლაოზე, ხეივანში. ორი ოქტომბერი. ქუჩები აუარებელი ხალხით გაივსო. ელოდნენ ჩიტოს გამოსვენებას. სათარ-ხანმა დილიდანვე ბრძანება გასცა, ორწყებად დამწკრივებულ ორი ათას შეიარაღებულ რევოლუციონერს სამხედრო მუსიკის თანხლებით და საომარი დროშით გაეცილებიათ.

ჩიტო გამოასვენეს დილის 10 საათზე. პროცესიას წინ მიუძღოდა წითელი დროშა და ათასი ცხენოსანი შეიარაღებული და ათასი ქვეითი რევოლუციონერ ქალბალაი-უსეინის მეთაურობით. ამათ მისდევდა სამხედრო მუსიკა, სხვადასხვა პარტიის დროშები და გვირგვინები. კუბოს შოასვენებდენ, მას მოყვებოდა მომღერალთა სამი წყება, რომლებიც ფრანგულათ, სომხურათ და რუსულათ მარსელიოზას და პოხორონი (სამგლოვიარო) მარშს მღეროდენ. ბოლოს მოსდევდა აუარებელი ხალხი — კაცი და ქალი არა ნაკლები 15 ათასისა. პროცესიაში ნახავდით ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციის ხალხს: გერმანელს, ინგლისელს, ბერძენს, სომეხს და თათარს, სომხები და თათრები ერთი მეორეს გაშტერებული უყურებდენ და გაიძახოდნენ — ეს რა დღეს მოვესწარით, დღემდის მტრათ ვთვლიდით ერთმანეთს, დღეს კი ერთათ მივდივართ ხელი-ხელ ჩაკიდებულიო. ერთმა ორატორმა მოლამ არაბულ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა. მან აუხსნა ხალხს — ვინ იყო ჩიტო და სხვათა შორის თქვა: ჩიტო კავკასიიდან ჩამოვიდა ჩვენში საბრძოლველად, მას არაფერი ინტერესი არ ქონია ჩვენს სახელმწიფოში იმის გარდა, რომ მოშველებოდა დაჩაგრულ ხალხს, რომელიც დღეს იბრძვის შაჰის წინააღმდეგ. ჩიტო არ არჩევდა არც ერთ რჯულს, მისთვის სულ ერთი იყო თათარი და ქართველი. აი სწორედ ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ ყველანი, ყველა რჯულისანი. ჩიტო დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის, — დაათავა მოლამ. წარმოითქვა მრავალი სხვა სიტყვებიც. სხვათა შორის, ერთმა სომეხმა ორატორმა წარმოთქვა: ჩვენ, სომხები, თათრები, რომლებიც დღემდის მტრულათ ვუყურებდით ერთმანეთს, დღეს დიდებულმა რევოლუციამ შეგვაერთა; ამის მიზეზი გახდა, სხვათა შორის, ამხ. ჩიტო, რომლის სახელი დაუვიწყარი იქნება ჩვენთვისო. ჩიტო დაასაფლავეს სომხის სასაფლაოზე ხორჯოვან ხეივნის განაპირას".

ამგვარად, ჩიტოს ვინაობა გარკვეულია.

გრიგოლ ემხვარი

გიორგი ემუხვარი სინამდვილეში გრიგოლ ემხვარია (ემხვარები ემუხვარებადაც იწოდებიან), ყოფილი სამურზაყანოელი თავადის მელიტონ ემხვარის ვაჟი გალის რაიონის სოფელ ოქუმიდან. მისი ფსევდონიმი იყო „გრი", შინაურობაში გრიშას ეძახდნენ. მის მშობლებს ოთხი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდათ. გრიგოლის და მართა — დამსახურებული მასწავლებელი და უმცროსი ძმა — მცხეთის კონფეტების ქარხნის მთავარი ბუღალტერი მიხეილი შარშანწინ გარდაიცვალნენ.

გრიგოლმა დაწყებითი სწავლა კერძო სასწავლებელში გაიარა, შემდეგ თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში სწავლობდა და მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა გამოსვლებში. სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში წავიდა. მაგრამ როგორც არაკეთილსაიმედო არ მიიღეს უნივერსიტეტში, რის გამოც შემდეგ ნოვოსიბირსკში მოეწყო.

გრიგოლმა უღალატა თავის კლასს, დაჰგმო მინიჭებული პრივილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიები, რევოლუციური იდეებით გაიმსჭვალა და მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმის სამსახური აირჩია თავისი მოღვაწეობის გზად და მიზნად. იგი ესერი იყო პოლიტიკური მრწამსით. რევოლუციური იდეებით გატაცების გამო დიდ კონფლიქტში იმყოფებოდა ფეოდალ მამასთან.

1908 წელს სხვა ქართველ რევოლუციონერებთან ერთად გრ. ემხვარიც ირანში წავიდა იქაური ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად და დაეცა ამ ბრძოლაში 21 წლის ასაკში. ასე, რომ იგი 1887 წელს დაბადებული ჩანს.

აწ განსვენებულმა ქალბატონმა მართამ სიცოცხლეში გვიამბო თუ რა გულშემატკივარი იყო მისი სახელოვანი ძმა ღარიბებისა და გაჭირვებულებისა. „როცა პეტერბურგში გავისტუმრეთ სასწავლებლად, დედა-ჩვენმა 12 ხელი თეთრეული გაატანა თან და დაარიგა სუფთად შეინახე თავიო. როგორც მოგახსენეთ, პეტერბურგის უნივერსიტეტში არაკეთილსაიმედობისათვის არ მიიღეს და უკან რაც ტანზე ეცვა მხოლოდ იმის ამარა დაბრუნდა.

— ბიჭო, რა უყავი ამდენი თეთრეული, — კითხა დედამ.

— შენი ჭირიმე, დედაჩემო, არ გამიჯავრდე, პეტერბურგში აუარებელი ჩვენებური სტუდენტი სწავლობს, ბევრს უჭირს, მე ხომ იქ აღარ ვრჩებოდი, უკან ვბრუნდებოდი, მათ დავუტოვეო— უპასუხა.

დედას ძალიან უყვარდა თავისი უფროსი ვაჟი, არაფერი არ უთხრა“.

გრიგოლ ემხვარის ნათელ ხსოვნას ბრწყინვალე ნარკვევი მიუძღვნა ნიჭიერმა პუბლიცისტმა-ჟურნალისტმა ვლადიმერ ალფენიძემ გალის რაიონულ გაზეთში, რაც შემდეგ მთლიანად შეიტანა თავის მეტად საინტერესო წიგნში „ფიქრიანი გზები“ სათაურით „სათარ-ხანის ოქუმელი ჯარისკაცი“.

ვლადიმერ დუმბაძე

დაღუპულ ქართველ რევოლუციონერებს შორის იხსენიებენ ვლადიმერ დუმბაძეს, როგორც გამოირკვა, იგი ყოფილა ვლადიმერ ფარსადანის ძე დუმბაძე მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედიდან. როგორც ყველა დასარჩენი სპარსეთის რევოლუცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მონაწილე კავკასიელი მოხალისე-რევოლუციონერი, ისიც დაბადებული ჩანს გასული საუკუნის 80-იან წლებში. 24 წლისა დაღუპულა.

ჩვენ ხელთა გვაქვს ვლადიმერის(მას შინაურობაში ლადოს უწოდებდნენ) ძმისშვილის პლატონ გიორგის ძე დუმბაძის—სოფ. შემოქმედის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი აგრონომისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოგონება, რომლის თანახმად ვლადიმერს, წარმოშობით აზნაურს, დამთავრებული ჰქონია ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია. გიმნაზიაშივე გაცნობია რევოლუციურ იდეებს და გიმნაზიის დამთავრების შემდეგ აქტიურად ჩაბმულა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც სდევნიდნენ. იმალებოდა ყოფ. ოზურგეთის მაზრის სოფლებში შემოქმედში, გომში და სხვ.

— მახსოვს ერთი ასეთი მომენტი,—იგონებს პლატონი, — როცა ბიძაჩემი სახლში მოვიდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად, საიდანღაც მეფის სტრაჟნიკებიც მოჰყვნენ და სახლს ალყა შემოარტყეს. სახლში ბავშვები ვიყავით — მე, ჩემი ორი და, ორი ძმა და ჩვენზე უფროსი თვით ლადოს ერთადერთი ვაჟი ბორისი, რომელიც ჩვენთან იზრდებოდა (ბორისი დიდ სამამულო ომში დაიღუპა — ა. კ.). ბიძაჩემი, რომელსაც სტრაჟნიკების მოსვლამდე ერთი საათით ადრე ღომის ნალიაში ეძინა, უკვე აღარ აღმოჩნდა იქ, ჩანს, გაიგო პოლიციის მოსვლა და გაიპარა. სახლი გაჩრიკეს და თოფი და ვაზნები აღმოაჩინეს. რამდენიმე თოფი იმ ნალიაშიც იპოვეს, სადაც ბიძაჩემს ეძინა.

ლადოს უკვე აღარ დაედგომებოდა გურიაში და ის ხან ქუთაისში იმალებოდა, ხან თბილისში და ხანაც ბაქოში, ბოლოს კი გავიგეთ, რომ სპარსეთში გასულიყო მოხალისედ იქაურ რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად და როგორც ამბობდნენ, იქ რევოლუციურ შტაბს ხელმძღვანელობდაო. ისიც გვითხრეს, რომ სპარსეთში ახლაც ერთ-ერთ გორას „ლადოს გორას“ უწოდებენო. ლადოს ზედმეტ სახელად შერქმეული ჰქონდა „გრძელი ლადო“, რადგანაც მაღალი, კარგი შესახედაობის ვაჟკაცი იყო. დადიოდა ჩოხა-ახალოხში გამოწყობილი, ნაბდით. იმასაც ამბობენ, ლადო დუმბაძის საფლავს თავრიზში ქვა ადევსო წარწერით—„გრძელი ლადო“.

ვლადიმერ ფარსადანის ძე დუმბაძის ოჯახში (ცოცხალია მისი ცოლი ბრილიანტა ჩხარტიშვილის ქალი, რომელიც რძალთან და შვილიშვილებთან ერთად მახარაძის რაიონის სოფ. ურეკში ცხოვრობს — ა. კ.) ინახება ოზურგეთის რაიონის მუშათა და გლეხთა მილიციის მიერ 1921 წ. 21 მაისის თარიღით გაცემული ცნობა, რომ ბრილიანტა დუმბაძის ქმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ დუმბაძე, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, 1906 წელს რეაქციის გამარჯვების შემდეგ გაიქცა ოზურგეთიდან სპარსეთში, სადაც დაიკარგა უგზოუკვალოდ.

მახარაძის რაიონის მხარეთმცოდნეობის, აგრეთვე ბათუმის რევოლუციის მუზეუმებში დაცული მასალებიდან კი ვიგებთ, რომ ვ. ფ. დუმბაძე ადრევე ჩაბმულა გურიის მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაში, აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო ირაღისა და ფეთქებადი მასალების დამზადებაში, რასაც აწარმოებდნენ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ადგილებზე მოწყობილ სახელოსნოებში. ერთ-ერთი ასეთი ფარული სახელოსნო-ლაბორატორია მოწყობილი ყოფილა ოზურგეთის მაზრის სოფ. ზვანის უბანში მოსე ცომაიას სახლში, სადაც სხვებთან ერთად ვლადიმერ დუმბაძეც მუშაობდა.

აქ დამზადებულ ყუმბარებსა და სხვა საბრძოლო მასალას მასობრივად იყენებდნენ ადგილობრივი წითელრაზმელები მეფის პოლიციისა და სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ. სახელოსნომ მუშაობა შეწყვიტა 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, რეაქციის პერიოდში, როცა საქართველოს გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია შემოესია. ცნობილია, რომ ალიხანოვს სურამის უღელტეხილზე გზა გადაუღობეს რევოლუციურმა წითელრაზმელებმა, ერთ-ერთ რაზმში აქტიურად იბრძოდა ვ. ფ. დუმბაძეც.

როგორ მოხდა ირანში ლადო დუმბაძე?

ჩვენში 1905 — 1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როცა კავკასიის სოციალ-დემოკრატების წინაშე დაისვა ირანის რევოლუციისათვის დახმარების საკითხი, რსდმპ გურიის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა 15-კაციანი რაზმი, რომელიც ირანს უნდა წასულიყო. ამ რაზმის ხელმძღვანელობა კომიტეტმა ვლ. დუმბაძეს დააკისრა. რაზმი ფეხით წასულა გურიიდან თავრიზში ახალციხის, ახალქალაქის, ერევნისა და ჟულფის გავლით. ქ. თავრიზში იგი შეერთებია ვ. ბაქრაძის („ჟელეზნის") რაზმს.

შაჰის ჯარებთან თავრიზელი რევოლუციონერების გააფთრებულ ბრძოლებში, რაც სამ დღეს გრძელდებოდა, რევოლუციონერების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა და შაჰის ჯარების სარდალი რაჰიმ-ხანი შეეწირა, ლადო დუმბაძის რაზმსაც გამოუჩენია თავი გმირობითა და მამაცობით. სხვა ბრძოლაში, რომელიც გაუმართა რეაქციამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციონერებს, ლადო დუმბაძეს ბედმა უმუხთლა — შეუპოვარი ქართველი რევოლუციონერი მისი მსხვერპლი გახდა.

მამაცი ქართველი მოხალისე რევოლუციონერების ცხედრები, რომლებიც თავრიზისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ (მათ შორის ვ. დუმბაძეც) დაკრძალული ყოფილან თავრიზში სომეხთა ეკლესიის ეზოში ქართველების მიერ გაკეთებულ საძმო სასაფლაოში.

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ჩვენს მიერ ნახსენები ლევან ალექსანდრეს ძე გამყრელიძის მოგონება, რომელიც ბათუმის რევოლუციისა და მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ინახება.

მოგვაქვს ეს მოგონებაც მცირეოდენი შემოკლებით.

„1905 წელს დროებით გამარჯვებულმა რეაქციამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა რევოლუციის ჩასახშობად. საქართველოში გამოიგზავნა ალიხანოვ-ავარსკი, რომლის სიმკაცრემ გადააჭარბა ყოველგვარ ზომას. გაუსამართლებლად ხოცავდა ხალხს, უწვავდა სახლ-კარს, შეურაცხყოფდა ქალებს.

დასავლეთ საქართველოში წამოსულ ალიხანოვის რაზმს სურამის უღელტეხილზე დაუხვდნენ წითელრაზმელები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ოსიკა ინწკირველი, მის რაზმში იყო 10 კაცი გურიიდან და 40-მდე ჭიათურელი მუშა. გურულებს შორის იყო ლადო დუმბაძეც, რომლის სახელს ხშირად ქებით იხსენიებდნენ ჭიათურელი მუშები.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ რევოლუციონერების გადარჩენის მიზნით დადგა მოწინავე, აქტიური რევოლუციური მოღვაწეების ემიგრაციაში გაშვების საკითხი.

ამ დროს სპარსეთში იბრძოდა შაჰის წინააღმდეგ აჯანყებული ხალხი.

სპარსეთში ქ. თავრიზში გაიმარჯვეს აჯანყებულებმა და ხელთ იგდეს ქალაქი და მისი მიდამოები.

. თავრიზის აჯანყებულ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი. აქ იქნა დაარსებული ათი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომლის წევრებიც სათარ-ხანსა და ბაღირ-ხანს გარდა იყვნენ: სიღათურ ისლამი, მირზა აღაბილური, ჰასან-აღა ფიშათი, ჰამირ-ეშმათი, სომეხი პეტრუს-ხან სისაკიანი, აღი-ზადე ერმილი, იბრაჰიმ-ბეგი, კავკასი ჯანგიროვი, სათირ-ზადე, ქართველებიდან კომიტეტში შედიოდნენ ვ. ბაქრაძე, გ. მათიაშვილი.

ამ კომიტეტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ამიერკავკა-

სიის რევოლუციურ კომიტეტთან, განსაკუთრებით კი ბაქოსა და თბილისის კომიტეტებთან.

მათი წარმომადგენლები ორგანიზებულად იღებდნენ ყოველგვარ დახმარებას და მოხალისეებსაც, გაგზავნილებს იქ კომიტეტების რეკომენდაციით.

პირველი მოხალისეები 10 კაცის შემადგენლობით თბილისის კომიტეტმა გაგზავნა სპარსეთში ყარადაღის გზით ვალიკო ტარასის ძე ბაქრაძის ხელმძღვანელობით, რომელიც თავრიზში შეუერთდა სათარ-ხანისა და ბაღირ-ხანის რევოლუციურ რაზმს.

მეორე ჯგუფი გაგზავნა გურიის კომიტეტმა. იგი შედგებოდა 15 კაცისაგან, რომელსაც ხელმძღვანელად დაუყენეს ლადო ფარსადანის ძე დუმბაძე.

ამ შეიარაღებულმა რაზმმა ფეხით გაიარა გზა გურიიდან ახალციხე-დილიჯანისა და ერევან-ჯულფის გავლით ჩავიდა თავრიზში და ისიც ბაქრაძის რაზმს შეუერთდა.

საქართველოდან ჩასულმა რაზმებმა მალე გაითქვეს სახელი თავისი საბრძოლო ტექნიკითა და მამაცობით.

იმ ხანებში თავრიზის რევოლუციონერებს ბრძოლები მოუხდათ რეაქციონერ ხანებთან, რომელთაც დიდ დახმარებას უწევდა მეფის რუსეთის მთავრობა.

რევოლუციონერების გამარჯვებამ სპარსეთში დიდად დააფიქრა მეფის მთავრობა, სასწრაფოდ იქნა მიღებული ზომები იმისათვის,. რომ შეეიარაღებინათ რეაქციული ძალები სპარსეთში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. კიდევაც შეაიარაღეს ბაქოელი თემურ-აღა, რომელსაც ჰყავდა მეფის რუსეთის იარაღით აღჭურვილი ქურთები და აზერბაიჯანელები 20000 კაცის შემადგენლობით, აგრეთვე მარანდის გუბერნატორი სუჯა ნიზამი 10000 კაცით და ყარადაღის ხანი რაჰიმ-ხანი (ჩალაბიანი) 20 000-მდე.

ამ რეაქციონერებიდან პირველად რაჰიმ-ხანმა მიიტანა იერიში თავრიზის რევოლუციონერების წინააღმდეგ 15000 კაცით, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციონერების ძალები გაცილებით ნაკლები იყო, მათმა გაბედულობამ და სიმამაცემ, ქართველი რაზმელების გონივრულობამ და ტექნიკამ (იგულისხმება ბომბები — ა. კ) სამი დღის თავგანწირულ ბრძოლაში დაამარცხა რაჰიმ-ხანის ურდო. ამ ბრძოლაში მოკლულ იქნა თვითონ რაჰიმ-ხანი. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში დიდი სიმამაცე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირობა და თავდადება გამოიჩინა მთა ეინალზე მდგომმა რაზმმა ლადო დუმბაძის მეთაურობით. ეხლაც ამ მთას „გრძელი ლადოს“ მთას (უზუმლადო, ე. ი. გრძელ ლადოს) ეძახიან. ეს მთა მდებარეობს თავრიზიდან სამი კილომეტრის დაშორებით თეირანისაკენ მიმავალ გზაზე.

რაჰიმ-ხანს წაართვეს 10 000 ცხენი, 5000 რუსული შაშხანა — თოფი, 8000-მდე ბერდანის თოფი და მრავალ ტყვია-წამალი.

ამ იარაღით რევოლუციონერებმა შეაიარაღეს 8 ათასამდე თავისუფლებისათვის მებრძოლი და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. თავზარდაცემული რეაქციონერი ხანები შეუერთდნენ მარანდის გუბერნატორს სუჯაი ნიზამს. მარანდის გუბერნატორზე მიტანილი იერიშის დროს პირველი ბრძოლა დაიწყო სოფიანის მთებიდან, სომხების სოფელ ალინჯასთან. აქ რეაქციული რაზმები შეიარაღებული იყვნენ ტყვიამფრქვევებითა და ზარბაზნებით. ამ ბრძოლაში დაეცა ვალიკო ბაქრაძე და ქაჯაია, რომლებიც ლადო დუმბაძემ ფარდაგებში შეხვეული გაგზავნა თავრიზში ცხენებით, თვითონ კი ბრძოლის ველს არ მოშორებია.

მეორე დღეს, გააფთრებული ბრძოლის შედეგად, რევოლუციონერებმა ხელთ იგდეს ზარბაზანი, მრავალი თოფი და ტყვია-წამალი.

1907 წლის 14 თებერვალს, როცა გამარჯვებული რევოლუციონერები ისვენებდნენ, მათ მოულოდნელად თავს დაესხა გუბერნატორის რაზმი და აუტეხა სროლა. ამ ბრძოლაშიც გამარჯვება რევოლუციონერებს დარჩათ. მათ უკუაგდეს რეაქციონერები და დიდი ზარალი მიაყენეს.

ამ ბრძოლას შეეწირნენ ბრძოლებში ნაცადი, შეუპოვარი, თავდადებული მებრძოლი ლადო დუმბაძე და მასთან ერთად გორდელაძე.

ამ ორი ქართველის ცხედარიც საჩქაროდ გაიგზავნა თავრიზში. ოთხივე ერთად დაასაფლავეს ქართველების მიერ გაკეთებულ საძმო სასაფლაოზე, სომხების ეკლესიის ეზოში. დაკრძალვას დაესწრო თავრიზის დიდძალი საზოგადოება.

მათ საფლავზე მრავალჯერ გადაუხდიათ სამოქალაქო პანაშვიდი. 1926 წელს სამოქალაქო პანაშვიდი მოაწყო ირანში ჩასულმა თენგიზ ჟღენტმა.* პანაშვიდს ესწრებოდნენ ექიმი ორახელაშვილი, ანდრო ბებურიშვილი, ალექსანდრე ჩეჩელაშვილი და სხვა ქართველები. სიტყვა წარმოსთქვა თენგიზ ჟღენტმა, რომელმაც მოიგონა ლადოს წარსული და გურიის კომიტეტის ის სხდომა, რომელმაც გადაწყვიტა ირანში რევოლუ-

---

* თენგიზ ჟღენტი — ძველი ბოლშევიკი, საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს ცაკის მდივანი იყო.

ციონერების გაგზავნა ლადო დუმბაძის ხელმძღვანელობით, სადაც მან შესწირა თავისი სიცოცხლე საკეთილო საქმეს.

არაერთხელ შემხვედრიან ლადოს თანამებრძოლი სპარსელი რევოლუციონერები, რომლებიც იგონებდნენ ლადოს, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს, საქმის ერთგულს, ძვირფას ამხანაგს, სპეტაკ რევოლუციონერს".

ივლიანე ნაცვალაძე

თავრიზის ბრძოლებში დაღუპული ნაცვალაძე გახლდათ ივლიანე კონსტანტინეს ძე მახარაძის რაიონის სოფ. ასკანიდან. კონსტანტინე ნაცვლაძე ღარიბი გურული გლეხი იყო, ყავდა 4 ვაჟი. ივლიანე ძმებს შორის გამოირჩეოდა უჩვეულო გამბედაობით, იყო უშიშარი და ფიზიკურად ძლიერი. ოთხივე ძმა ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მტვირთავი მუშები გახდნენ. კერძოდ ივლიანემ, დაამთავრა თუ არა ასკანის ხუთწლიანი სკოლა, ბათუმს მიაშურა, სადაც დაუკავშირდა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობას და პროფესიული რევოლუციონერი გახდა, რისთვისაც პოლიციამ დევნა დაუწყო და იძულებული იყო ფარულად ეცხოვრა. მეფის „ოხრანკა" გაფაციცებით დაეძებდა მას, მაგრამ ვერა და ვერ იგდო ხელთ, რის გამო მშობლების ოჯახს დაუწყეს შევიწროება. ამიტომ ივლიანე სრულებით მოშორდა იქაურობას და უგზოუკვალოდ გადაიკარგა, არავინ იცოდა სად წავიდა.

გავიდა ხანი და მშობლებს მოუვიდათ მისი სპარსეთიდან გამოგზავნილი უმისამართო წერილი. სიხარულისაგან ცას ეწიენ. მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა, მალე მიიღეს სამგლოვიარო ცნობა, რომ ივლიანე ნაცვალაძე გმირულად დაეცა ირანელი ხალხის განთავისუფლებისათვის რევოლუციურ ბრძოლაში. სურათით გამოიტირა ოჯახმა და მთელმა სოფელმა საყვარელი, სახელოვანი მამაცი შვილი.

ივლიანე ნაცვალაძე 1885 წელს ჩანს დაბადებული. იგი 23 წლის ასაკისა დაღუპულა.

ვარდენ თიკანაძე

გარდა იმისა, რომ ვარდენ თიკანაძეზე 1924 წელს ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" (№ 1/16), ხოლო 1960 წელს მახარაძის რაიონუ-

ლი გაზეთი „ლენინის დროშა“ (№ 28 (3373) წერდნენ, მის შესაბამ-
დამატებითი მასალები მოგვაწოდა რევოლუციონერის ძმისშვილმა გი-
ორგი თიკანაძემ.

ამ მასალების მიხედვით ვარდენ ესეს ძე თიკანაძე დაბადებუ-
ლა 1884 წელს მახარაძის რაიონის სოფ. მაკვანეთში ღარიბი გლეხის
ოჯახში. ძუძუთა ბავშვი ყოფილა ვარდენი, როცა დედა გარდაცვლია და
მისი აღზრდა უკისრიათ უფროს ძმას მიხეილს და დედინაცვალ მზეხას—
ლომინაძის ქვრივს, რომელსაც მეორედ გათხოვების დროს თან მიჰყო-
ლია ორი ვაჟი — 5 წლის ელისე და 3 წლის მიხაკო. ელისე და ვარდენი
ტოლები ყოფილან. ელისე ლომინაძეს აქ იმის გამო ვახსენებთ, რომ მას
შემდგომ, როგორც რევოლუციური იდეებით გატაცებულს, გარკვეული გა-
ვლენა მოუხდენია თავის ძმობილზე ვარდენ თიკანაძეზე.

როგორც გაზეთი „ლენინის დროშა“ წერს, ელისე ლომინაძე ყო-
ფილა „ერთ-ერთი ნიჭიერი პროპაგანდისტი და აგიტატორი, მასების ორ-
განიზატორი, არალეგალური სტამბის მომწყობი, არალეგალური ლიტე-
რატურის გამავრცელებელი, აშკარა რევოლუციური გამოსვლების აქტიუ-
რი მონაწილე“. იგი 32 წლისა დაღუპულა 1916 წელს.

ელისე და ვარდენი, ამავე გაზეთის მოწმობით, მხარდამხარ იბრძო-
დნენ. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ძმობილებს საპირველმაი-
სოდ ბათუმიდან მაკვანეთში წითელი დროშა ამოუტანიათ და აუფრიალე-
ბიათ.

დედინაცვალ მზეხას ნამდვილი დედობა გაუწევია თავისი გერისათ-
ვის, საკუთარ შვილებში არ არჩევდაო.

მიხაკო 12—13 წლისა რომ შესრულებულა, ბათუმში წასულა სამუ-
შაოდ ნავთის ჩამოსასხმელ კაპლანის ქარხანაში. შემდეგ ვარდენიც თან
წაუყვანია და მასაც იქ დაუწყია მუშაობა.

ბათუმში ვარდენ თიკანაძე აქტიურად ებმება მუშათა რევოლუციურ
მოძრაობაში. „1903 წლიდან, ვკითხულობთ „რევოლუციის მატიანე-
ში“, ბათუმის მუშები უკვე იცნობენ ვარდენს, როგორც ენერგიულ, აქ-
ტიურ რევოლუციონერსა და მამაც ტერორისტს, რომელიც არ დრკება
არავითარი საფრთხის წინაშე, თამამად ღებულობს პარტიისაგან ყოველ-
გვარ რთულ და სახიფათო დავალებებს და პირნათლად ასრულებს მათ“.

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ
გურიას, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოს, მეფის დამსჯელი ექ-
სპედიცია შეესია გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლს მისცა დაბები და სოფლები. კერძოდ, გურიაში გენერალი კრილოვი მძვინვარებდა, რომელმაც მთელი ოზურგეთი (ახლა მახარაძე) გადაბუგა. უთუოდ იმის შიშით, რომ მასზე შური არ ეძიათ, კრილოვი მალე გაიწვიეს უკან და მის ნაცვლად გაგზავნეს გენერალი ტოლმაჩოვი, უფრო მეტად მძვინვარე სატრაპი, ვიდრე მისი წინამორბედი კრილოვი იყო. მის დროს ოზურგეთის მაზრის უფროსად დაინიშნა კაზაკ-პლასტუნთა ოფიცერი ერმოლოვი, რომელიც დაუნდობლად აწიოკებდა ხალხს.

რევოლუციონერებმა გადაწყვიტეს ამ სისხლიანი ჯალათის თავიდან მოცილება, რაც ვარდენ თიკანაძემ იდო თავს.

ბათუმში ჩასულ ერმოლოვს ვარდენმა ბომბი ესროლა, მაგრამ ააცდინა, ჯალათი გადარჩა, ვარდენი კი შეიპყრეს. მას მძიმე სასჯელი მოელოდა. ეს იცოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტმა და ისე მოაწყო საქმე, რომ ვარდენი 1907 წ. 27 სექტემბერს ციხიდან გააქციეს. მას დევნა დაუწყო პოლიციამ. საქართველოში აღარ დაედგომებოდა და კომიტეტის დავალებით სხვა რევოლუციონერებთან (სილოვან ივანიაძე, ალექსანდრე დგებუაძე, ვლადიმერ ჯიბლაძე) ერთად ირანს წავიდა, იქაურ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად. 1908 წელს ვარდენი ბრუნდება ბათუმში სპარსეთში საბრძოლო იარაღისა და დამხმარე ძალის გასაგზავნად, რასაც ბრწყინვალედ ასრულებს და ბრუნდება უკან, მაგრამ ეჭვით ბაქოში აპატიმრებენ, დიდხანს ირკვევენ მის ვინაობას, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ ადგენენ თუ ვინ არის იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედოს ასტრახანის გუბერნიაში ასახლებენ. აქ ციხეში ვარდენი შეყრია იმ ერმოლოვს, რომელსაც ბათუმში ბომბი ესროლა. (ამ ტერორისტული აქტის შემდეგ კაპიტანი ერმოლოვი მალე მოუშორებიათ ოზურგეთისათვის და შუა აზიაში გადაუყვანიათ. აქ კი მონაწილეობა მიუღია სახაზინო ფულის გატაცებაში, რისთვისაც დაუპატიმრებიათ და ისიც იმ ციხეში იჯდა, სადაც ვარდენ თიკანაძე მიიყვანეს). ერმოლოვმა მაშინვე იცნო ვარდენი და გასცა. ვარდენი 1910 წლის დეკემბერში ბათუმში დააბრუნეს და გაასამართლეს. ორ დღეს მიმდინარეობდა სამხედრო სასამართლოს ღია სხდომა. თავის საბოლოო სიტყვაში ვარდენ თიკანაძეს არ უცდია თავის მართლება, მან ამაყად განაცხადა თურმე: „ღირსეულად მოვიხადე ჩემი რევოლუციური ვალი მშრომელი ხალხის წინაშე და იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი ამხანაგები განაგრძობენ ჩემს საყვარელ საქმეს მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვებისათვის“.

სამხედრო სასამართლომ ვარდენ თიკანაძეს უმაღლესი სასჯელი—ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხრჩობა მიუსაჯა, რაც სისრულეში მოიყვანეს კიდეც ბათუმში 1911 წლის 15 იანვარს.

ასე დამთავრდა ამ 27 წლის ახალგაზრდა უშიშარი რევოლუციონერის სახელოვანი სიცოცხლე, რისთვისაც მის სახელს არ ივიწყებს მადლიერი მუშათა კლასი.

სილოვან ივანიაძე

1905—1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხდა. რეაქციამ გაიმარჯვა, რეაქცია მძვინვარებდა, რეაქცია შურს იძიებდა თავისუფლებისმოყვარე ხალხზე, არბევდა რევოლუციურ ორგანიზაციებს, სდევნიდა რევოლუციონერებს. როგორც ვთქვით, საქართველოში გამოგზავნილი კაზაკთა დამსჯელი ექსპედიცია გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით ცეცხლის ალში ახვევდა იმერეთის, გურიის, სამეგრელოს დაბებსა და სოფლებს, აწიოკებდა ხალხს, ართმევდა სარჩო-საბადებელს. რევოლუციონერებმა გადაწყვიტეს აელაგმათ კაზაკთა თარეში, მოესპოთ გურიიდან ბათუმისაკენ მიმავალი კაზაკების რაზმი და ამ ოპერაციის ხელმძღვანელობა სილოვან ივანიაძეს დააკისრეს. ისიც აწყობს მათზე თავდასხმას მახინჯაურის ბაქანზე. დავალება ბრწყინვალედ შეასრულა, მაგრამ ვერც თვითონ გადარჩა, ექვსი ტყვიით დაჭრეს. სულთმობრძავ სილოვანს თავს წაადგნენ კაზაკები და რა ნახეს, რომ კიდევ სუნთქავდა, ნაჯახის ყუა დაარტყეს თავში, გონებადაკარგული თხრილში გადააგდეს და წავიდნენ. სილოვანი არ მომკვდარა, საბედნიეროდ არცერთი ტყვია არ გამოდგა სასიკვდილო. თხრილში გადაგდებული სილოვანი იქ დაგუბებულმა წყალმა მოასულიერა, თუმცა წამოდგომა ვერ შეძლო. ამ მდგომარეობაში ნახეს იგი რაზმელებმა და ერთი აჭარელი გლეხის ოჯახში მიიყვანეს. აქ მას ექვსი თვის განმავლობაში მკურნალობდნენ ფარულად. სილოვანი ფეხზე დადგა და კვლავ განაგრძო ბრძოლა დასახული მიზნის — მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

გამოჯანსაღებული სილოვანი თავის სამშობლო სოფელში დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რაიონი) მიდის მშობლებთან, მაგრამ დედას ვეღარ ხვდება. შვილის სიკვდილის ამბავი რომ გაუგია, გულშეღონებული დედა იქვე გარდაცვლილა. სილოვანი ღამით მიდის დედის საფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავზე და მხურვალედ დაიტირებს საყვარელ მშობელს. პოლიცია იგებს, რომ სილოვანი გადარჩენილა, სოფელშია და იწყებს მის ძებნას.

სილოვან ივანიაძე სპარსეთში მიდის, სადაც სახელოვანი ხდება, როგორც გამოცდილი ბომბის მტყორცნელი, რითაც დიდ სამსახურს უწევს თავრიზში მებრძოლ სათარ-ხანის რაზმებს.

სპარსეთიდან სილოვანი 1910 წელს ბრუნდება უკან ბათუმში და კვლავ ებმება რევოლუციურ მუშაობაში. მას პროვოკატორი აბეზღებს. სილოვანს აპატიმრებენ, ბორკილებს ადებენ და ციხეში ათავსებენ. საველე სასამართლომ მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა, რაც შემდეგ დახვრეტით, ხოლო ბოლოს სამუდამო კატორღით შეუცვალეს. იგი სასჯელს სარატოვის ციხეში იხდიდა. არც აქ მოისვენა, ებრძოდა ციხის ადმინისტრაციას და დეკლასირებულ ელემენტებს, რისთვისაც დაქირავებულ პირს მოაკვლევინეს 1913 წელს.

სილოვან ივანიაძის დეიდაშვილმა გიორგი არსენის ძე ტორონჯაძემ, რომელმაც ეს ცნობები მოგვაწოდა (რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ), ისიც მოიგონა, თუ რა მედგრად შეხვდა ახალგაზრდა მუშა-რევოლუციონერი თავის ხვედრს.

ბათუმის ციხეში ის უნახავს დეიდას (გ. ტორონჯაძის დედას) და რა დაუნახავს ხელფეხშებორკილი თავისი დისწული, მწარედ ატირებულა. სილოვანს ის დუმშვიდებია: „ნუ სტირი, დეიდაჩემო, მე სატირალი არ ვარ, მე ჩემი ვალი მოვიხადე ხალხის წინაშე, ბევრი გავაკეთე მეფის ტახტისათვის ძირის გამოსათხრელად, ცოტაა კიდევ საჭირო, უბიძგებ, გადაბრუნდება და მუშები გაიმარჯვებენ“.

როდესაც ეს ცნობები მოგვაწოდა, გიორგი ტორონჯაძემ ისიც გვაცნობა, რომ სილოვან ივანიაძის რევოლუციონერად აღზრდაში დიდი როლი შეუსრულებია ჩვენი პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს ვანო სტურუას.

ამის შესახებ კიდევაც წერს თვით ვანო ჟურნალ „რევოლუციის მატიანის“ 1923 წ. მე-5 ნომერში:

„რევოლუციურ ახალგაზრდებს შორის გამოირჩეოდნენ მონტინი და სილოვან ივანიაძე. სილოვანი მეტად ცოცხალი და ჭკვიანი ყმაწვილი იყო. როგორც სოფელში, ისე თბილისში ის ჩემ ხელში გაიზარდა, იგი მე წავიყვანე თბილისში 12 წლისა და ცხოვრობდა ჩემთან იმ ოთახში, სადაც ჩვენი წრეების კრებები იმართებოდა (იგულისხმება სახლი № 194 კლარა ცეტკინის ქუჩაზე. — ა. კ.). ეს იყო 1897 წ. მას არაფერს არ ვუმა-

ლავდით; თუ სადმე საიდუმლო საქმე იყო გასაკეთებელი, მას ვაგზავნიდით; ფურცლებს, წიგნებს და ყველა არალეგალურ გამოცემებს მას ვაგზავნიდით და ვანახვინებდით.

სილოვან ივანიაძე დავაყენეთ ტელეგრაფის ქარხანაში. იქ დიდი ენარი გამოიჩინა როგორც ხელობის შესწავლაში, ისე პოლიტიკაში. შესანიშნავი რევოლუციონერი შეიქმნა. სახელოსნოდან დაითხოვეს, როგორც გაფიცვის მომწყობი. ამის შემდეგ წავიდა ბათუმში და დაიწყო მუშაობა როტშილდის ქარხანაში, სადაც განაგრძობდა რევოლუციურ მუშაობას, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა გამოსვლაში, გაფიცვაში, ტერორისტულ აქტებში".

. ვანო სტურუაც ადასტურებს, რომ ბათუმში ერთი ტერორისტული აქტის დროს სასიკვდილოდ დაჭრეს, ამხანაგებმა გაიტაცეს, მოარჩინეს და ექვსი თვის შემდეგ კვლავ შეუდგა თავის საყვარელ რევოლუციურ მუშაობას... შემდეგ პარტიულმა კომიტეტმა სხვა ამხანაგებთან ერთად გაგზავნა სპარსეთში რევოლუციური მუშაობისათვის, სადაც ის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყოო. სპარსეთიდან ბათუმში დაბრუნდა, სადაც ჯაშუშების წყალობით დაიჭირეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რაც 5 წლის კატორღით შეუცვალეს. გაგზავნეს სარატოვის ციხეში, სადაც არაქელასთან (ოქუაშვილი — ა. კ.) ერთად იჯდა. „არაქელას გადმოცემით, (სილოვანმა) საქმე გაუჭირვა ციხის ადმინისტრაციას. ებრძოდა როგორც ადმინისტრაციას,ისე გარყვნილ სისხლისსამართლის დამნაშავეებს, რის გამოც მას ორივე მხრივ ბევრი მტერი ყავდა და ერთ ღამეს ციხის ადმინისტრაციის მიერ მოსყიდულმა ერთმა ნაძირალამ ძილში დანა ჩასცა მუცელში და მოკლა, ძილში იმიტომ, რომ სიფხიზლეში ყველას ეშინოდა მისი"[1].

ასე ტრაგიკულად დაამთავრა თავისი ლამაზი სიცოცხლე 31 წლის ერთ-ერთმა სახელოვანმა ახალგაზრდა ქართველმა რევოლუციონერმა, დიდჯიხაიშელმა ღარიბი გლეხის შვილმა, პროლეტარულ, მუშურ რევოლუციურ დარჯაკში გამოწრთობილმა სილოვან ალექსის ძე ივანიაძემ, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე უნაკლოდ მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს შესწირა და სამარადისო ძეგლი დაიდგა ხალხის გულში.

---

[1] „რევოლუციის მატიანე" № 5, 1923 წ.

ვიქტორ ნასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ რევოლუციონერებს შორის, რომლებიც ირანის კონსტიტუციურ მოძრაობაში იღებდნენ მონაწილეობას, იყო ვიქტორ რომანოზის ძე ნასარიძე. მას რევოლუციურ მოძრაობაში „ფირუზას“ სახელით იცნობდნენ.

ვიქტორმა თავისი რევოლუციური წრთობა ლადო კეცხოველის, ალ. წულუკიძის, იროდიონ ევდოშვილის, გიორგი თელიას, უშანგი და გრიგოლ ჯაშებისა და მინა აბაიშვილის გარემოცვაში გამოიარა, ჩვენს დღეებამდე იცოცხლა, 1951 წელს გარდაიცვალა 66 წლისა.

ჩვენს ხელთ არის მისი ავტობიოგრაფია, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვჭვრიტოთ ამ ღარიბი რაჭველი გლეხის შვილის მთელი ცხოვრების გზა.

ვიქტორ ნასარიძე დაბადებულა 1885 წელს სოფელ კრიხში (ამბროლაურის რაიონი). რვა წლისა ხელმოკლე მამას თბილისში ჩამოუყვანია და მოჯამაგირედ დაუყენებია მეკონდიტრე ბიძასთან, სადაც უმუშავნია 1900 წლამდე. ეს საკონდიტრო ახლანდელ ბესიკის ქუჩაზე მდებარეობდა, მის პირდაპირ სამიკიტნო ყოფილა, სადაც მეტწილად სტამბის მუშები სადილობდნენ. ჭაბუკი ვიქტორი დაახლოვებია იქ ასოთამწყობებს გრიგოლ და უშანგი ჯაშებს, საშა ობოლაძეს, იროდიონ ევდოშვილს (შემდგომში გამოჩენილ რევოლუციურ პოეტს), რომლებიც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მუშაობდნენ. მათმა თავისუფლებისმოყვარე რევოლუციურმა აზრებმა და აგიტაციამ გაიტაცეს ახალგაზრდა ვიქტორიც. ცნობისმოყვარე, საღი გონების ყმაწვილი მათი შეგონებით სტოვებს ბიძის საკონდიტროს, სტამბაში გადადის და მალე ებმება არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში. აქ ეცნობა იგი ცნობილ რევოლუციონერებს გიორგი თელიას, მინა აბაიშვილს, ალ. წულუკიძეს და სხვ., რომელთა დავალებითაც ავრცელებს პროკლამაციებს, აკრავს მათ კედლებზე, ყრის ჯარისკაცთა ყაზარმებში, გადააქვს შრიფტი საიდუმლო სტამბისათვის მინა აბაიშვილის ბინაზე და ა. შ.

— „ერთ საღამოსო, —იგონებს ვ. ნასარიძე, — როცა მის (აბაიშვილის) ოთახში მივიტანეთ შრიფტი და სასტამბო საღებავი, იქ დაგვხვდა წვერ-ულვაშიანი და შლაპიანი კაცი. ოთახში ბნელოდა. ამ უცხო კაცმა გასავრცელებლად დაგვირიგა ბროშურები და გვითხრა: „მართალია

ამ ოთახში ბნელა, მაგრამ ამ წიგნებში იმდენი სინათლეა, არცერთი ბურჟუის ოთახში არ იქნება იმდენი სინათლეო". კარგად შეგვამოწმებინა ეზო, ჯაშუში არსად გვითვალთვალებდესო და წავიდა".

ეს კაცი ყოფილა რევოლუციის კეთილშობილი რაინდი ლადო კეცხოველი, ხოლო ეს შეხვედრა მომხდარა 1902 წ. ზაფხულში. 1903 წ. 7 აგვისტოს კი ლ. კეცხოველი ვერაგულად მოჰკლეს მეტეხის ციხეში, რამაც მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის საზოგადოებრივი აზრი შესძრა.

ამ ვერაგული მკვლელობის პასუხად სტამბის მუშებმა გადაწყვიტეს გაფიცვისა და დემონსტრაციის მოწყობა, რაც კიდევაც განახორციელეს გიორგი თელიას მეთაურობით. მთაწმინდელი ასოთამწყობები გაემართნენ კრილოვის ქუჩისაკენ, სადაც იყო ლიბერმანის სტამბა და უნდოდათ შემოეერთებინათ მათი მუშებიც, მაგრამ ცხენოსან პოლიციას გაუფანტავს დემონსტრანტები.

დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის ვიქტორს სტამბიდან ითხოვენ. აქედან იგი თავშესაფარს პოულობს აბაიშვილის ბინაზე, სადაც პირველად ლადო კეცხოველს შეხვდა. აქ იკრიბებოდნენ მუშები არალეგალურად და უსმენდნენ პროპაგანდისტებს.

1904 წელს ვიქტორი მუშაობას იწყებს სააკიანცის საკონდიტროში, სადაც აგრეთვე ჩაღდება რევოლუციური მუშაობა, აწყობენ გაფიცვას მუშების შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. საკონდიტროს მუშები ხშირად დაიარებიან ფარულ კრებებზე და თვითცნობიერდებიან. „ერთ-ერთი ასეთი კრება, — იგონებს ვ. ნასარიძე, — მოეწყო ოქროყანის თავზე, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ იროდიონ ევდოშვილი და სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის მუშა ვინმე ტეტუნაშვილი, რომლებმაც გვაცნობეს ქალაქის თვითმმართველობაში კრებაა და იქ წავიდეთო. ეს იყო 1905 წ. აგვისტოში. როგორც ცნობილია, ეს კრება მეფის ხელისუფლებამ დახვრიტა. როგორც თვითონ წერს, ვ. ნასარიძე ამ დროს დაჭრილა. ის ამ საკონდიტროდან დაუთხოვიათ. აღარსად არ აჩერებდნენ დიდხანს, როგორც „ბუნტოვშჩიკს" (მეამბოხეს). „შენ თუ კაი კაცი ხარ, გრძელ თმას რად ატარებ და წელზე კისტი რად გარტყიაო"—ეუბნებიან. (პირველი რევოლუციის დროს მარქსისტები მოშვებული თმით, შავი ფეტრის შლაპითა და წელზე კისტებშემორტყმულები დადიოდნენ. მათ ესდეკებს უწოდებდნენ. — ა. კ.).

ვიქტორს, როგორც რევოლუციონერს აღარ ენდობიან, აღარსად

იღებენ სამუშაოდ და იგი მთლიანად მეფის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ეძლევა, აქტიურად მონაწილეობს მეფის ორხანკის მიერ პროვოცირებული სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის ჩაქრობაში, როცა მთავრობამ თოფები დაურიგა მუშებს იმ მიზნით, რომ ისინიც ჩაეთრიათ ამ პროვოკაციაში, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა, მუშებმა თოფები კი მიიღეს, მაგრამ ხელისუფლებას უკან აღარ დაუბრუნეს და მეფის რეჟიმის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს შემდეგ, როცა 1906 წელს რეაქციამ მთელი ძალებით შეუტია რევოლუციას და მუშათა ორგანიზაციებს თავდაცვაზე გადასვლა მოუხდათ.

ვიქტორ ნასარიძეს კარგად შეუსწავლია ხელყუმბარების კეთება და ბევრი პოლიტიკური ხულიგნის, პროვოკატორისა და ჯაშუშისათვის დაუბნელებია მზე.

თბილისში გამართულ თითქმის ყველა მუშათა საპროტესტო რევოლუციურ დემონსტრაციაში აქვს მიღებული მონაწილეობა ვიქტორს.

მისი სახელი საკმარისად ცნობილი გახდა პოლიცია-ჟანდარმერიისათვის. უკვე ძნელი იყო მისი თბილისში გაჩერება და 1906 წლის მიწურულში თავის შესაფარებლად ბაქოში მიდის, მაგრამ უკანვე, თბილისში უხდება დაბრუნება და მთელ რიგ რევოლუციურ აქტებში მონაწილეობის მიღება.

1907 წლის თებერვალში მას სხვა ამხანაგებთან ერთად აპატიმრებენ და მეტეხის ციხეში სვამენ, ხოლო 1908 წლის იანვარში ვიატკის გუბერნიაში ასახლებენ. გადასახლებიდან გამორბის და ბაქოში ბრუნდება, სადაც ეცნობა ვალერიან ბაქრაძეს („ჟელეზნის"), ლადო დუმბაძეს, კოლია ლორთქიფანიძეს, ლაზარე გაჩეჩილაძეს და სხვ., რომელთაგან პარტიის ბაქოს კომიტეტმა შექმნა ჯგუფი ირანში გასაგზავნად. მაშინ ირანში გაგზავნილ 26 რევოლუციონერს შორის ვიქტორ ნასარიძეც იყო. ამ ჯგუფმა თან წაიღო დიდძალი იარაღი, ბომბები და აქტიურად დაეხმარა სათარ-ხანის რევოლუციურ ჯარებს თავრიზის განთავისუფლებაში.

ვიქტორ ნასარიძე იგონებს, რომ ამ ბრძოლებში დაიღუპნენ გრიგოლ ემხვარი და ჩიტო (ცერცვაძე), ქოლერამ იმსხვერპლა პლატონ სამხარაძე, ხოლო ყვავილმა — ლაზარე გაჩეჩილაძე. მისივე ცნობით სპარსეთში დაიღუპნენ ვ. ბაქრაძე („ჟელეზნი"), დუმბაძე და ბათუმიდან ჩასული ვინმე სვანიძე.

ირანის აზერბაიჯანში გენერალ სრანსკის ჯარების შესვლის გამო უკან დაბრუნებულ კავკასიელ რევოლუციონერებს შორის იყო ვიქტორ

ნასარიძეც. კვლავ იწყება რევოლუციონერის მოუსვენარი ცხოვრება. ეიგი კვლავ თბილისშია, მაგრამ აქ რომ ვეღარ იფარავს თავს, რაჭაში მიდის. 1912 წელს ისევ თბილისში ბრუნდება. აქ იჭერენ და ასახლებენ დონის როსტოვში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხან მტვირთავად მუშაობდა, ხან მზიდავად და ხანაც ოფიციანტად კავკასიურ რესტორნებში.

„როცა როსტოვში წითელი ჯარი შემოვიდა, — იგონებს ვიქტორი,— მას თან ჩამოჰყვა სერგო ორჯონიკიძე, რომელთანაც გამოვცხადდით ყველა იქ მყოფი ამხანაგები. სერგომ ყველას მოგვიჩინა სამუშაო. კერძოდ, მე პიატიგორსკში გამგზავნა მე-11 არმიის მომარაგების უფროსის რწმუნებულად".

ამის შემდეგ ვიქტორ ნასარიძე სხვადასხვა სამუშაოზეა ჯერ ჩრდილო კავკასიაში, ხოლო შემდეგ საბჭოთა საქართველოში. უმეტესად ამბროლაურის რაიონში მუშაობდა საბჭოთა სახელმძღვანელო თანამდებობებზე (თემკომის თავმჯდომარედ, სოფსაბჭოს თავმჯდომარედ, რაიკოოპკავშირის თავმჯდომარედ, სოფ. კრიხის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ). 1942 წელს მისი ინიციატივით სოფელ კრიხის ღარიბი გლეხობა თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ასურეთში გადმოსახლდა, სადაც ვ. ნასარიძე თანასოფლელებმა სოფსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

როგორც ვთქვით, 1951 წელს დაამთავრა თავისი სახელოვანი სიცოცხლე ამ ვაჟკაცური გულისა და შემართების ქართველმა მუშა-ბოლშევიკმა.

გიგო მათიაშვილი

ამ კაცის შერქმეული სახელი იყო „პუხლია". დასცქერით მის სურათს, რომლიდანაც შემოგცქერით მომღიმარი თვალები, მიამიტი ბავშვის ფუნჩულა სახე და ასკვნით, რომ უკეთეს ზედმეტ სახელს ვერ გამოუგონებდა მას კაცი. რა გულკეთილი, რა უწყინარი, სათუთი გულის ადამიანი უნდა ყოფილიყო კაცი, რომელიც ფოტოობიექტივმა შემოგვინახა.

ასეთიც ყოფილა იგი—მოსიყვარულე მეუღლე, გულთბილი მამა თავისი ერთადერთი ქალისა და უზომოდ მზრუნველი და მოჭირნახულე თავისი ნათესავებისა, მეზობლებისა და ამხანაგებისა.

მაგრამ ამასთან გულმრისხანე, დაუნდობელი და შეურიგებელი ხალ-

ხისათვის საძულველი მეფის ხელისუფლებისადმი, მეფის ტახტის წინააღმდეგ ბრძოლაში არაფრის წინაშე რომ არ დრკებოდა ეს სარწმუნოებრივ ღარიბი გლეხის შვილი, რომელიც ნაღველს უსიებდა მეფის ჟანდარმერიასა და პოლიციას.

გრიგოლ (გიგო) იოსების ძე მათიაშვილი იყო ეს კაცი. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე 13 წლის ასაკიდან მან მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს შეალია და კატორღაში დაიღუპა 24 წლისა ჭლექისაგან ისე, რომ დასაფლავებისასაც არ შეუხსნიათ ბორკილები ხელებზე.

გიგო მათიაშვილის რევოლუციური მუშაობის შესახებ ჯერ კიდევ 1963 წლის ივნისში წერდა ქართველი საბჭოთა მწერალი პარმენ ლორია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", ხოლო ცნობილი მოტოსპორტსმენი ვლადიმერ ნავროზაშვილი — გაზეთ „ვეჩერნი თბილისში" 1969 წლის 24 აპრილის 97-ნომერში.

განსვენებულ ვ. ნავროზაშვილის ნარკვევი იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ ქ. ორიოლში ყოფნის დროს, სადაც 1967 წელს ტარდებოდა ჰოტოსპორტსმენთა საკავშირო სემინარი-მეცადინეობა, რომელსაც ქართველი მოტოსპორტსმენებიც ესწრებოდნენ მისი მეთაურობით, გაუგია, რომ იქაურ ციხეში ცარიზმის დროს მჯდარა გრიგოლ მათიაშვილი. ისიც დაინტერესებულა მისი პიროვნებით და ასწერს მას ორიოლისა და თბილისის არქივებში მოპოვებული ცნობების მიხედვით. ამ მასალებში, სხვა რევოლუციურ აქტებში მონაწილეობასთან ერთად, გაკვრით მოხსენიებულია გიგოს მონაწილეობაც სპარსეთის რევოლუციაში.

ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი ზოგადად შევეხები მის მანამდელ რევოლუციურ მუშაობას.

გრიგოლ (გიგო) იოსების ძე მათიაშვილი, დაბადებული 1882 წელს, პროფესიით წყალსადენის მუშა, როგორც აღვნიშნეთ, 13 წლისა იყო, როცა რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება, ხოლო 1905 წლიდან თავისი სიცოცხლე მთლიანად დაუკავშირა ბოლშევიკურ პარტიას. იგი ლეგენდარული კამოს უერთგულესი და საიმედო თანამებრძოლი და თანამონაწილე იყო მის საექსპროპრიაციო თუ სხვა რევოლუციურ აქტებში. ერთადაც დაიჭირეს 1913 წელს, ერთად გაასამართლეს 1914 წელს და ორივეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, რაც 20—20 წლის კატორღით შეუცვალეს. კამო სასჯელს ხარკოვის, ხოლო გიგო ორიოლის საკატორღო ციხეებში იხდიდნენ. კამო გადაურჩა კატორღას, გიგო კი ჭლექმა იმსხვერპლა ციხეში. ავადმყოფობის გამო მისთვის ის შეღავათი მიუციათ, რომ ფე-

ხებზე შეუხსნიათ ბორკილები, ხელისა კი დაუტოვებიათ და ასევე დაუტ-
მარხავთ.

რაში დებდნენ ბრალს გ. მათიაშვილს?

1913 წლის 10 იანვრის ღამეს, როცა მაშინდელ სასახლის ქუჩაზე (რუსთაველის გამზირის მონაკვეთს ლენინის მოედნიდან პიონერთა სასახლემდე წინათ ასე ერქვა — ა. კ) კამო და გ. მათიაშვილი შეიპყრეს, მათ გარდა იმავე ღამეს 18 სხვა პირიც დააპატიმრეს. აღმოაჩინეს ის საიდუმლო ბინა, სადაც ბომბებს ამზადებდნენ და აგზავნიდნენ სხვადასხვა ადგილებში. გამოძიებამ დაადასტურა, რომ ამ დაპატიმრებულთა შორის მთავარი ფიგურები იყვნენ კამო და პუხლია (მათიაშვილი). გამოარკვიეს ისიც, რომ მათიაშვილი კამოს თანამოაზრე და მის „დანაშაულობათა" თანამონაწილეა. ისინი თავს ესხმოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, აწყობდნენ ექსპროპრიაციებს, აგროვებდნენ იარაღს და ფეთქებად მასალებს, აჯანყებდნენ ხალხს და ა. შ.

ერთ-ერთი ბრალდება, რომელიც გიგო მათიაშვილს ქონდა წაყენებული, იყო ის, რომ იარაღს უგზავნიდა ირანელ რევოლუციონერებს და კიდევ ის, რომ ერთ-ერთი მთავარი დამხმარე იყო რევოლუციური ორგანიზაციისა თავრიზში.

როგორც ირკვევა, გიგო მათიაშვილი ყოფილა და უბრძოლია ირანში 1908—1909 წლებში, აქტიური მონაწილეობა მიუღია ჯერ რეშთისა და ყაზვინის ბრძოლებში და ბოლოს შაჰის ჯარებისაგან გარშემორტყმული თავრიზის განთავისუფლებაში. იგი ამ ბრძოლებში თავდავიწყებამდე იბრძოდა, რისთვისაც ამხანაგებმა სიყვარულით „გიჟი გიგოს" სახელიც შეარქვეს. იშვიათი ბომბის მტყორცნელი და უშიშარი, გულადი მებრძოლი იყოო, იგონებს ამ ბრძოლების მონაწილე მიხეილ ბოგდანოვ-მარიაშკინი. „ყოველთვის მომღიმარი გიგო მათიაშვილი — „გიჟი გიგო", — წერს ის, — ხშირად იგონებდა თავის სატრფოს, სონას[1], რომელიც დაეტოვებინა სოფლად. საერთო საქმის გულისათვის უარი ეთქვა პირად ბედნიერებაზე, შესულიყო „გურჯების" ჯგუფში და იბრძოდა ირანელი ხალხის განთავისუფლებისათვის. ბრძოლებში იგი გიჟურ მამაცობას იჩენდა".

გიგო მათიაშვილის შესახებ „გურჯი სერგოც" წერს თავის ნარკვევებში — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან".

---

[1] გიგო მათიაშვილმა შემდეგ ცოლად შეირთო ეს სონა — სოფიო გიორგის ასული, რომლისგანაც დარჩა ქალიშვილი ზინა.

ირანიდან გიგო მათიაშვილი თურქეთში გაიქცა. იგი კონსტანტინეპოლში შეხვდა უცხოეთიდან იარაღით მომავალ კამოს, რომელსაც დაეხმარა, შეუსრულა მეტად სახიფათო დავალებები ამ იარაღის კავკასიაში წამოსაღებად.

ვლ. ნავროზაშვილს თავის წერილში მოაქვს კამოს შემდეგი მოგონება:

„აქ (კონსტანტინეპოლში) მე მითხრეს, რომ ჩემი ნახვა უნდა სპარსეთიდან ჩამოსულ ამხ. გიგოს (გრიგოლ მათიაშვილს). მე მას ვიცნობდი, როგორც საუკეთესო ბოლშევიკს. ხმები დადიოდა სპარსეთში მის ბრწყინვალე მამაცობაზე. მე მასთან წავედი, გავაცანი მოქმედების გეგმა. სიხარულით დამეთანხმა. გადავწყვიტეთ კავკასიაში წასვლა. გამოსაცდელად მე მას რამდენიმე დავალება მივეცი, ბრწყინვალედ შეასრულა ყველა. გავგზავნე ტრაპიზონში ჩვენი ტრანსპორტის მისაღებად. ყველაფერი საუკეთესოდ შეასრულა. შემდეგ კვაკასიაში წავიდა, ბათუმში“.

უკან დაბრუნებული გიგო მათიაშვილი (ჩანს, ამის შემდეგ დაქორწინდა — ა. კ.) კვლავ განაგრძობს რევოლუციურ ბრძოლას. კერძოდ, 1912 წლის 24 სექტემბერს მან მონაწილეობა მიიღო კოჯრის გზაზე მანგლისში მიმავალ ფოსტაზე თავდასხმაში ფულის გატაცების მიზნით. (ფოსტას 5000 მანეთი მოჰქონდა, მაშინ ეს ოპერაცია ვერ განხორციელდა — ა. კ.).

1913 წლის 10 იანვარს კი ის კამოსთან ერთად, როგორც ვთქვით, თბილისში შეიპყრეს, კატორღა მიუსაჯეს და 1916 წლის 13 მაისს დაიღუპა ტუბერკულოზისაგან ორიოლის ციხეში.

ასეთია რევოლუციაში რომანტიკულად შეყვარებული მებრძოლის, მგზნებარე, უდრეკი ბოლშევიკის გიგო მათიაშვილის ლამაზი, მიმზიდველი ბიოგრაფია.

ვლ. ნავროზაშვილი თავის დროზე აყენებდა კეთილშობილურ საკითხს იმის შესახებ, რომ გიგო მათიაშვილის ნეშტი გადმოგვესვენებია მის მშობლიურ სოფელ სართიჭალაში და დაგვედგა ძეგლი იმ ადამიანისათვის, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ჩვენი წყობილების გამარჯვებას.

ეს კარგი განზრახვა აქამდე შეუსრულებელი რჩება.

სასურველი კია განხორციელდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზარე გაჩეჩილაძე

დიდხანს ვეძებდით ცნობებს ირანში წასული ქართველი რევოლუციონერის ლაზარე გაჩეჩილაძის შესახებ. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ იგი ირანში ყვავილის სახადმა იმსხვერპლა. „კომუნისტის" 1971 წლის 24 დეკემბრის ნომერში ჩვენი მეორე წერილის („ვაჟკაცური გული") გამოქვეყნების შემდეგ მოეფინა ნათელი ხალხთა თავისუფლებისათვის თავდადებული ამ მებრძოლი რევოლუციონერის პიროვნებას. მისი ბიოგრაფიაც თითქმის ისეთივეა, როგორც პირველ რევოლუციაში მეფის ტახტის დასამხობად ამხედრებული სხვა რევოლუციონერი მუშებისა და გლეხებისა.

ჩვენი წერილის გამოქვეყნებიდან ხუთი დღის შემდეგ რედაქციაში მოვიდა დ. პ. გაჩეჩილაძის წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ლაზარე მისი მახლობელი და მეზობელი იყო ზესტაფონის რაიონის სოფ. ზედა წევაში. ლაზარე უღარიბესი გლეხის შვილი იყო, ადრე დაობლდა მამით, ობლად დარჩენილ ორ მცირეწლოვან ძმას და დაქვრივებულ დედას ნათესავები და მეზობლები უწევდნენ მზრუნველობას.

სოფ. წევა ყოფილ შორაპნის მაზრაში გამოირჩეოდა თავისი მიუდგომელი მდებარეობით, რასაც პირველი რევოლუციის დროს მოხერხებულად იყენებდნენ მეფის რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმული მებრძოლები. აქ ხშირად იკრიბებოდნენ რევოლუციონერები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: გურიიდან, სამეგრელოდან, აჭარიდან, თვით იმერეთიდან, აწყობდნენ ფარულ კრებებს, ადგენდნენ საბრძოლო გეგმებს და წყვეტდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლების პრაქტიკულ საკითხებს. ცნობისმოყვარე პატარა ლაზარე გაჩეჩილაძე მათ შორის ტრიალებდა. ერთხელ ლაზარე დაიკარგა, გავრცელდა ხმა წითელ რაზმელებს გაჰყვაო. დიდმა ხანმა გაიარა და სოფელში მივიდა წერილი და სურათი. ლაზარე კუბოში წევს, თავს სამი კაცი და ერთი თმაგაშლილი ქალი დასტირის, წერილში კი ეწერა ტიფით გარდაიცვალაო და დედას ანუგეშებდნენ, თქვენმა შვილმა სასახელო საქმეები გააკეთა, მომავლისათვის დასდო თავიო.

დ. პ. გაჩეჩილაძე თავის წერილში დასძენდა, რომ მაშინ ის 9-10 წლისა იქნებოდა, რომ მას ყოველივე ეს სიზმარივით დაამახსოვრდა, ხოლო უფრო მეტი ლაზარეს შესახებ შეიძლება პროფესორმა სიმონ გიორგის ძე გაჩეჩილაძემ (სიმონ წეველი) იცოდესო.

ეროვნული

ჩვენც არ დავაყოვნეთ და მივაკითხეთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს პატივცემულ სიმონს, რომელმაც დაგვიდასტურა ლაზარეს რევოლუციური მოღვაწეობის ამბები, მხოლოდ ზოგადი სახით. მეც პატარა გახლდით იმ დროს და ბევრი არაფერი მახსოვსო, — დასძინა პროფესორმა.

უფრო ვრცელი ცნობები მოგვაწოდა ჭიათურის რაიონის სოფ. ეწერში მცხოვრებმა პენსიონერმა პედაგოგმა შალვა ისმაილის ძე კუპატაძემ, რომელსაც დედა წეველი გაჩეჩილაძის ქალი ყოლია, თვითონაც დედულეთში გაზრდილა და ახსოვს ის ამბავი, რაც იქ 1905—1906 წლებში ხდებოდა.

აი რა გვიამბო პატივცემულმა შალვამ:

„შორაპნის მაზრაში სოფელი წევა გამოირჩეოდა მის მახლობელ სოფლებს შორის პროგრესული ადამიანებითა და ინტელიგენციით. ძლიერი იყო ამ სოფელში რევოლუციისათვის მებრძოლი ჯგუფები და რაზმები, რომლებსაც გრიშა და ლაზარე გაჩეჩილაძეები ედგნენ სათავეში.

წევაში ეწყობოდა ერთთვიანი ბაზრობა პირველი ივლისიდან პირველ აგვისტომდე. მთელი თვის განმავლობაში აქ შემოდიოდნენ ხელოსნები და ვაჭრები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. გრიშა, ლაზარე და ზეინკალი რაჟდენ გაჩეჩილაძეები მათ შორის ავრცელებდნენ პროკლამაციებს.

გრიშას კავშირი ჰქონდა დამყარებული თავის ძმასთან, შემდეგში ცნობილ პროფესორ ივანე ერასტის ძე გაჩეჩილაძესთან, რომელიც მაშინ სტუდენტი იყო, სწავლობდა რუსეთში და აწვდიდა ძმას მუშათა კლასის ბრძოლებისა და აჯანყებების ამბებს.

როდესაც რევოლუციური აჯანყებების ალი საქართველოსაც მოედო, გრიშა და ლაზარე გაჩეჩილაძეებს მჭიდრო კავშირი ქონდათ დამყარებული აფრასიონ მერკვილაძესთან (შორაპნის მაზრის წითელი რაზმის მეთაური იყო — ა. კ.), წევასა და წიფლავაკეში (სოფელია ზესტაფონის რაიონში — ა. კ.). წითელი რაზმელების ძლიერი ჯგუფი მოქმედებდა იქ გრიშა და ლაზარე გაჩეჩილაძეების ხელმძღვანელობით. ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ რთულ ოპერაციებში, როგორიც იყო: ზესტაფონის ხაზინასა და პოლიციაზე თავდასხმა, წიფაში პლასტუნ-კაზაკების განიარაღება და მთელი რიგი სხვა.

როცა რეაქციამ გაიმარჯვა, ეს რაზმებიც დაიშალა, ცნობილ ჯალათს ლავრენტი მახარაძეს (ზესტაფონის პრისტავი იყო — ა. კ.) ყველგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავდა მაზრაში თავისი ჯაშუშები და ერთ მშვენიერ დღეს ჯაშუშ ტარიელა გაჩეჩილაძის (მეტსახელად „მწარე კვახი") დაბეზღებით დააპატიმრეს ლაზარე გაჩეჩილაძე, რომლის მოკვლა გზაშივე უნდოდათ, მაგრამ ვერ გაბედეს, ტერორისა შეეშინდათ. ლაზარე გაასამართლეს პავლე საყვარელიძესთან, არსენ ქარსიძესთან, ანდრია აბაშიძესთან, ვასო კიკნაძესთან, მიხეილ პოდკოლზინთან, საშა (ალექსანდრე) სტეფანოვთან, სიმონ ჟღენტთან, მარკოზ და დიანოზ ცერცვაძეებთან და სხვებთან ერთად და კატორღა-გადასახლება მიუსაჯეს სხვადასხვა ვადით.

ლაზარე გაჩეჩილაძე გადასახლებიდან გამოიპარა და პოლიციის თვალის ასახვევად წევაში გამოგზავნა ზემოხსენებული ფოტოსურათი. ეს ფოტო ხელიდან ხელში გადადიოდა და პოლიციის აგენტებისათვისაც გახდა ცნობილი. ლ. მახარაძემაც გაიგო ეს ამბავი და მანაც მკვდრად ჩასთვალა ლაზარე.

სინამდვილეში ლაზარე გადასახლებიდან ბაქოში ჩადის და ებმება არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში. აქედან კი 1908 წლის აგვისტოში ირანს იგზავნება შაჰის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერის სათარ-ხანის დასახმარებლად 30 სხვა ქართველ რევოლუციონერთან ერთად.

როგორც ცნობილია, ლაზარე გაჩეჩილაძე ირანშივე დაიღუპა.

ინტერესმოკლებული არ არის ამხ. კუპატაძის მოგონების ის ნაწილიც, რომელიც რეაქციის პერიოდს შეეხება.

იმ დროს, როცა ირანში რევოლუცია ბობოქრობდა, ჩვენში ალიხანოვ-ავარსკის შავბნელი ძალები ნადირობდნენ ცოცხალ ადამიანებზე, სახრჩობელებზე კიდებდნენ რევოლუციონერებს და ცეცხლის ალში ახვევდნენ დაბა-სოფლებს.

ლაზარეს თანამებრძოლი გრიშა ერასტის ძე გაჩეჩილაძე არალეგალურად ცხოვრობდა. გაჩნდნენ პროვოკატორები, რომლებიც ძარცვავდნენ ხალხს და ხმას ავრცელებდნენ, თითქოს ამას მერკვილაძისა და გაჩეჩილაძის ჯგუფები აკეთებდნენ, რათა სახელი გაეტეხათ რევოლუციონერებისათვის, კერძოდ, გრიშა გაჩეჩილაძის ჯგუფისათვის.

რევოლუციონერები ყოველნაირად ცდილობდნენ აღეკვეთათ ასეთი პროვოკაციები, ხელთ ეგდოთ პროვოკატორები. ერთ დღეს გრიშამ შეიტყო, რომ საწაბლესა და შროშაში (სოფლებია ზესტაფონის რაიონში — ა. კ.) მოხდა თავდასხმები მისი სახელით. გრიშა სასწრაფოდ გაეშურა იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მცირე რაზმით, შეიპყრო ყაჩაღთა ერთი ჯგუფი, რომელსაც სასა-
ვეში ედგა ვიღაც ტალახაძე (მახსოვს ამ ახმახ კაცს წითელი ჩოხა ეცვა).
გრიშამ ეს შავრაზმელი ბანდიტები, რომლებიც 4 კაცისაგან შესდგე-
ბოდა, შეკოჭილები ჩამოიყვანა წევაში. მეორე დღეს შექმნა სახალხო სა-
სამართლო და უნდოდა მათი ფიზიკურად მოსპობა. მაგრამ ერასტი გაჩე-
ჩილაძე (გრიშას მამა) აღუდგა წინ. მამა-შვილმა ერთმანეთზე მიიწიეს.
ხალხმა გააზავა.

ახლაც თვალწინ მიდგას ბანდიტების სახეები, დაჩოქილები რომ
ემუდარებოდნენ გრიშას პატიებას. გრიშამ მათ ხელები გაუხსნა, თითო-
ოროლა მათრახი უჭირა, იარაღი აყარა და გაუშვა, ტალახაძეს კი
ზურგზე ქაღალდი მიაწება — წარწერით „ჩვენ ვყაჩაღობდით და არა
წითელრაზმელებიო".

ეს ამბავი მთელმა მაზრამ გაიგო. გრიშასაც აღარ უცოცხლია დიდ-
ხანს. 1907 წლის ზაფხულში ისიც ხსენებულმა ჯაშუშმა ტარიელა გაჩე-
ჩილაძემ გასცა. გრიშა პოლიციელებმა მოკლეს პრისტავ კოლია ნემსაძის
მეთაურობით. ჯაშუშ ტარიელას კი ერთ დღეს პოლიციის ტანსაცმელში
გადაცმული ორი წითელრაზმელი მიადგა სახლში და დაარწმუნა, რომ
მას იწვევდა ზესტაფონის მაზრის უფროსი ჯილდოს მისაცემად და ესენი
ვითომ გამოეგზავნა მის დასაცავად. ტარიელაც გაჰყვა. სახლიდან ცოტა
მოშორებით, ღორღნალში ჩააძაღლა გამცემი გრიშა გაჩეჩილაძის რაზ-
მელმა ლავრენტი მუმლაძემ, რომელსაც შემდეგში სამუდამო კატორღა
მიუსაჯეს, პრისტავი ნემსაძე კი უფრო გვიან, 1912 წელს ზესტაფონში
მოკლეს იონა ლორთქიფანიძის რაზმელებმა.

კოლია ლორთქიფანიძე

1905—1907 წლების რევოლუციაში იგი უაღრესად კოლორიტულ
ფიგურას წარმოადგენდა.

რომ იტყვიან საქმისათვის თავდადებულიო, სწორედ მასზე ითქმოდა.
იგი მართლაც თავდავიწყებული იყო რევოლუციისათვის, ხალხის კეთილ-
დღეობისათვის. მართალია ის არ მიეკუთვნებოდა იმ სოციალურ ფენას,
რომელიც ძველად სოციალურ და პოლიტიკურ ჩაგვრას განიცდიდა, იგი
პრივილეგირებული, თავად-აზნაურული წარმოშობისა იყო, მაგრამ რე-

ვოლუციური ბრძოლების ისტორიამ განა იმის ცოტა ფაქტი იცის, როცა პრივილეგირებული კლასების მოწინავე წარმომადგენლებს ზურგი შეუქცევიათ თავისი კლასისათვის, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩამდგარან და სიცოცხლე შეუწირავთ კაცობრიობის მაღალი იდეალებისათვის?!

მაშინდელი პრივილეგირებული კლასების ასეთ პროგრესულ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება კოლია ლორთქიფანიძეც, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშრომელი ხალხის განთავისუფლებას შეალია და თავისი ლამაზი სიცოცხლე ვაჟკაცურად ეშაფოტზე დაასრულა.

რატომ „ვაჟკაცურად", ამას ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი იმას ვიტყვი, რომ დასავლეთ საქართველოში თითქმის არ შესრულებულა არც ერთი ისეთი რევოლუციური აქტი, რომელშიც კოლია ლორთქიფანიძეს არ მიეღოს მონაწილეობა, იყო ეს რევოლუციური იდეების გავრცელება ხალხში, ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, შეიარაღებულ აჯანყებებში მონაწილეობა თუ სხვა. კოლია ლორთქიფანიძის სახელი, როგორც რევოლუციური მებრძოლისა მეტად პოპულარული იყო მაშინდელ ქუთაისის გუბერნიაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ყოველ რევოლუციურ ღონისძიებაში. მათ შორის იყო ირანის რევოლუციონერებისათვის დახმარებაც, საიდანაც დაბრუნებული კოლია ლორთქიფანიძე აფრასიონ მერკვილაძის წითელ რაზმში იბრძოდა და ამ დროს ჩაუვარდა ხელში ჟანდარმებს. მას სხვა ხუთ ამხანაგთან ერთად სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, რასაც მედგარი და უშიშარი რევოლუციონერი ვაჟკაცურად შეხვდა. როდესაც ეშაფოტზე მიჰყავდათ, იგი ამხანაგებს ამხნევებდა: ლაჩრობა და სულმდაბლობა არ შეგვამჩნიონ, როგორც რევოლუციონერებს შეეფერება ისე შევხვდეთ სიკვდილს და ამითაც შევებრძოლოთ მტერსო. ეშაფოტის ფიცარნაგზე რომ აიყვანეს, კოლიამ გადახედა ჯარისკაცებს და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ მართლა ყაჩაღები როდი ვართ, როგორც თქვენი უფროსები გეუბნებიან, ჩვენ ხალხის კეთილდღეობისათვის, თქვენისთანა გლეხების უკეთესი ცხოვრებისათვის ვიბრძოდით და გვინდოდა დაგვემხო ხალხის მჩაგვრელი მეფის ტახტი. ამისათვის გვსჯიან დღეს, მაგრამ ჩვენისთანები აუარებელი არიან, ისინი განახორციელებენ იმას, რასაც ჩვენ ვერ მოვესწარით. სულ მალე თავისუფლების დროშა აფრიალდება მთელ დიდ რუსეთში".

სიკვდილმისჯილი რევოლუციონერის მხნე, გულში ჩამწვდომმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვებმა ჯარისკაცებზე იმოქმედა, ჩოჩქოლი შეიქმნა მათ შორის. ადგილ-მინისტრაცია შეშინდა, ჯარისკაცები არ გადაგვიდგნენო, გაოგნებულებმა აღარ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ და ამ დროს ისევ კოლიამ დაარღვია სიჩუმე, ახლა ის ჟანდარმთა ოფიცერს მიუბრუნდა: „ბატონო უფროსო, მე პირობა მოგეცით, რომ დაგმორჩილდებოდით, ჩემს სიტყვას ვერ გადავალ, я умел жить, сумею и умереть“, — გადასძახა მქუხარე ხმით, სწრაფად შეხტა მისთვის გამზადებულ სკამზე და თვითონ გაუყარა თავი ყულფში. ასევე მოიქცნენ მისი ამხანაგებიც. ყველამ ერთდროულად ჰკრეს ფეხები სკამებს და ექვსი განწირული ვაჟკაცის გვამი ჩამოეკიდა ჰაერში.

ეს მოხდა 1911 წ. 15 ნოემბერს.

დიხაშხოელი (ვანის რაიონი) კოლია ლორთქიფანიძე, რევოლუციაში რომანტიკულად შეყვარებული, რევოლუციის კეთილშობილი რაინდი იყო. იგი ლექსებსა და წერილებსაც წერდა. 1912 წ. 15 ნოემბერს, კოლიასა და მისი ამხანაგების ჩამოხრჩობის წლისთავზე ქუთაისის ციხის პატიმრებს ხელნაწერი ჟურნალი „ციხის გამოძახილი“ გამოუშვიათ, რომელშიც მოთავსებული ყოფილა კოლია ლორთქიფანიძის ლექსი და გამოსათხოვარი წერილი.

ერთი დეტალიც, კოლია ლორთქიფანიძე ჩვენი ღვაწლმოსილი, გამოჩენილი კრიტიკოსის ბესო ჟღენტის ბიძა გახლდათ — დედის ძმა. როგორც თვით ძვირფასმა ბესომ გვიამბო, ბიძამისი ერთხელ იმ დროს წვევია მალულად სოფელ ქვაციხეში თავის დას ნინოს და სიძეს დავითს, როცა მომავალი კრიტიკოსი ჯერ კიდევ აკვანში იწვა. ოჯახში მას შიშნარევი სიხარულით შეხვედრიან და როცა დას ძმისათვის ჭკუისდარიგება დაუწყია — თავს გაუფრთხილდი, მოისვენე, რას იბრძვიო, კოლიას, რომელიც თურმე ამ დროს აკვანში მწოლარე დისშვილს ეალერსებოდა, უპასუხნია — „ამისათვის, ამის უკეთესი მომავლისათვის ვიბრძვიო“.

შესანიშნავად ახდა ძველი რევოლუციონერის ეს ოცნება ჩვენს დღეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ გოგდანოვ-მარიაშკინი

ეს კაცი თავიდანვე ბოლშევიკი როდი ყოფილა. თავდაპირველად, ჭაბუკობის ხანაში იგი ესერების აზრებს იზიარებდა და მათ რიგებში იბრძოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. 1907—1908 წლებში კი, როცა კავკასიის რევოლუციურ ორგანიზაციებში გაიშალა მოძრაობა ირანის რევოლუციისათვის დახმარების გასაწევად, სოციალ-დემოკრატებთან ერთად მას ესერებიც გამოეხმაურნენ და მათთან ერთად თავისი წევრებიც გაგზავნეს იქ. ასეთი იყო კერძოდ ემხვარი, რომელიც თავრიზის ბრძოლაში დაიღუპა, ასეთი იყო მიხეილ ბოგდანოვ-მარიაშკინიც, რომელიც ირანის მოძრაობაში ცნობილი იყო „მიშა-ურიას" შერქმეული სახელით თავისი ეროვნული წარმოშობის გამო. შემდგომ, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში იგი, როგორც მემარცხენე ესერი, აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, ხოლო 1918 წელს სავსებით გაწყვიტა კავშირი ესერებთან, ბოლშევიკების ლენინურ პარტიაში შევიდა, საბჭოთა წყობილების აქტიური მშენებელი გახდა და ასეთად დაამთავრა თავისი სიცოცხლე, როგორც ძველმა ბოლშევიკმა და საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერმა მოსკოვში, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა.

მიხეილ ალექსანდრეს ძე საკმაოდ მოხუცებული ჩანდა, როცა ჩვენ ის ვინახულეთ თავის ბინაზე კუტუზოვის პროსპექტზე. მანამდე ჩვენ ერთმანეთს მიწერ-მოწერით ვიცნობდით. მან 70 ფურცელზე დაწერილი თავისი შესანიშნავი მოგონებებიც გადმოგვიგზავნა, რომელიც პარტარქივს გადავეცით და იქ ინახება.

არასოდეს არ დამავიწყდება კეთილი თვალები და ღიმილდაფენილი სახე მრავალ ქარცეცხლსა და სატანჯველში გამოვლილი ამ სიმპათიური მოხუცისა, რომელმაც აღარ იცოდა როგორ გამოეხატა თავისი სიხარული და აღფრთოვანება მშობლიურ საქართველოდან, როგორც თვითონ ამბობდა, ჩასული სტუმრის მიმართ. ქართულად დამიწყო ლაპარაკი, შიგადაშიგ რუსულსაც იმარჯვებდა, წუხდა, სიყრმის ენა მავიწყდებაო. ბევრი რამ მოიგონა საქართველოში ცხოვრების პერიოდიდან: საშა წულუკიძის დასაფლავება, ლადო მესხიშვილისა და კოტე მესხის თამაში ქუთაისის სცენაზე, შალიაპინის, სობინოვის, კარუზოს, ძმები

ადელჰეიმების გასტროლები, რევოლუციური გამოსვლები. რასაკვირველია, სპარსეთის რევოლუციურ ამბებზეც ბევრი ვისაუბრეთ, ბევრი რამ მოიგონა, განსაკუთრებული სიყვარულით იგონებდა თავის თანამებრძოლს სპარსეთიდან აპოლონ გლახოს ძე ჯაფარიძეს და დიდად ნასიამოვნები დარჩა, როცა ვუთხარი, რომ იგი ჯანმრთელად და კარგად არის-მეთქი. მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. „მაშ ჩემი „პატარა მიშა" ცოცხალია და კარგად არის, ეს რა სასიამოვნო ამბავი გამაგებინეთ!" — ვერ ფარავდა თავის აღფრთოვანებას კეთილი მოხუცი. „აუცილებლად უნდა მივწერო". მისამართიც ჩავაწერინე. მას შემდეგ მათ შორის მიწერ-მოწერა გაიშალა. „ნეტავ ჩემი საყვარელი საქართველოს უნახავი არ მოვკვდებოდეო" — ინატრა მოხუცმა. კიდევაც დავპირდი, რომ ამას მოვუწყობდი, მაგრამ სიკვდილმა შეუშალა ხელი ამ განზრახვის შესრულებას.

როგორც თავის ავტობიოგრაფიაში წერს, მიხეილ ალექსანდრეს ძე ბოგდანოვ-მარიაშკინი დაბადებულა 1889 წელს თბილისში, ებრაელი ტანსაცმლის მკერავი-ქარგლის ოჯახში. მამა მუშაობდა კერძო სამკერვალოში, უჭირდა 10 შვილის პატრონს და 11 წლის მიშა საგრავიურო სახელოსნოში მიუბარებია, მაგრამ 1903 წელს გამოქცევია სახელოსნოს მეპატრონეს სიმკაცრისათვის და ქუთაისში დაუწყია მუშაობა ვრავიორად. „ხუთი ბიჭი ვმუშაობდით ამ სახელოსნოში; მეპატრონე კვირაში 50 კაპიკს გვაძლევდა. მაგრამ იმის გამო, რომ უხეშად გვეპყრობოდა, მოვილაპარაკეთ და გაფიცვა გამოვაცხადეთ, „პოლიტიკური" მოთხოვნები წავუყენეთ — „არ ველანძღეთ", „არ ვეცემეთ", „ზრდილობიანად მოგვქცეოდა". ერთი კვირის შემდეგ მოთხოვნები დაგვიკმაყოფილეს. ჩვენც განვაახლეთ მუშაობა და ამასთან იმასაც მივაღწიეთ, რომ სამუშაო დღეც შევამცირებინეთ" — იგონებს მიხეილ ალექსანდრეს ძე.

ახალგაზრდა ბოგდანოვ-მარიაშკინის პირველი რევოლუციური ნათლობა იყო 1904 წელს ქუთაისში გამართულ ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობა, როდესაც კაზაკებმა 11 დემონსტრანტი დახოცეს. როგორც გრავიორს მას იყენებდნენ ჯერ ქუთაისისა, ხოლო შემდეგ თბილისის პარტიული ორგანიზაციები ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად. „ამ დროს გავეცანი ესერებს, სოციალ-დემოკრატებსა და ანარქისტებსო" — წერს ის თავის ავტობიოგრაფიაში. ტერორისტული აქტების გამო ახალგაზრდას ესერები მოსწონებია. შემდეგ

მ. ა. ბოგდანოვ-მარიაშკინი თბილისში ბრუნდება და აქ უკვე აქტიურად ებმება რევოლუციურ მუშაობაში. საყოველთაო გაფიცვის დროს 1905 წელს მას გრავიორებისა და იუველირებისაგან ირჩევენ საგაფიცვო კომიტეტში. 1906 წელს მიდის ემიგრაციაში, ნიუ-იორკში, სადაც მუშაობდა სპეციალობით, ცხოვრობდა სოციალისტური ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებელში. ამ დროს ნასროლი იყო ლოზუნგი: „სირცხვილი რუსეთის ახალგაზრდობას, რომლებმაც მიატოვეს რევოლუციური ბარიკადები". და ისიც სხვა ემიგრანტებთან ერთად ბრუნდება რუსეთში, მონაწილეობს ხალხმრავალ დემონსტრაციაში, რომელიც 1907 წელს გაიმართა ხარკოვში. აქ ბოგდანოვ-მარიაშკინს იჭერენ და ასახლებენ ციმბირში, საიდანაც გამორბის 1908 წელს და ბრუნდება თბილისში, აქედან კი ცოტა ხნის შემდეგ პარტია აგზავნის ირანში. უკან დაბრუნებული კვლავ მონაწილეობს არალეგალურ რევოლუციურ მოძრაობაში. 1915 წელს აწყობს „შანსონ ჟაკეს" საგრავიორო-მექანიკური ფაბრიკის მუშების გაფიცვას მოსკოვში, სადაც 4 ათასამდე მუშა მუშაობდა, მათ შორის თვითონაც. გაფიცვამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მას წასვლა მოუხდა, რადგან „ოხრანკამ" დაუწყო ძებნა, იმალება სხვადასხვა ადგილებში. ბოლოს სამარაში (კუიბიშევი) ცხოვრობს ფარულად, სადაც მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. აქ მას ირჩევენ მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოს საგუბერნიო პრეზიდიუმის წევრად. საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან კუიბიშევი იყო. სამარიდან მიდის ივანოვოს ოლქის ქ. შუიში, რომელთანაც დაკავშირებული იყო რევოლუციური მუშაობით.

იწყება ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ქ. ივანოვოში ეწყობა ფეიქართა გრანდიოზული გაფიცვა. ბოგდანოვ-მარიაშკინი საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარეა. „ძირს დროებითი მთავრობა!" — ასეთი იყო გაფიცვის მთავარი ლოზუნგი. გაფიცული იყო 3 ათასამდე კაცი. 1917 წლის ოქტომბრის დღეებში ქ. შუიში ეხმარებოდა მ. ვ. ფრუნზეს 2-ათასიანი რაზმის შექმნაში, რომლის პოლიტკომისრად ის დააყენეს და მონაწილეობას იღებდა მოსკოვის შეიარაღებულ ბრძოლებში დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოგდანოვ-მარიაშკინს ირჩევენ მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრად მემარცხენე ესერებისაგან. შემდეგ იწყება მისი მონაწილეობა სამოქალაქო ომში, მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმი ამხანაგების ჯგუფთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად მას აგზავნის სამხრეთის ფრონტზე სერგო ორჯონიკიძის განკარგულებაში, რომელიც ნიშნავს მას სამხრეთ რუსეთის საგანგებო სასურსათო კომიტეტის („ჩოკპროდ“) რწმუნებულად. მთელი სამოქალაქო ომის წლებში იგი ამ ხაზით მუშაობდა, შემდეგ კი სხვა სამეურნეო სამუშაოებზე იყო.

„1918 წლიდან, — წერს თავის ავტობიოგრაფიაში,—გავწყვიტე ყოველგვარი კავშირი ესერებთან, რის შესახებაც გამოვაცხადე ქ. ვლადიკავკაზის (ორჯონიკიძე) გაზეთში და მიღებულ ვიქენი ლენინის კომუნისტურ, ბოლშევიკურ პარტიაში“.

ასეთია ამ სახელოვანი რევოლუციონერის შინაარსიანი ცხოვრება.

რაც შეეხება მის ინტერნაციონალურ ბრძოლას სპარსეთის მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, იგი დაწვრილებითაა მოთხრობილი ზემოთ მოტანილ მის მოგონებაში.

იაკობ მეტრეველი

ფოტოსურათიდან შემოგვცქერის მეოცნებე, რომანტიკული, ოდნავ ჩაფიქრებული, ყელმოღერებული, თმაქოჩორა ახალგაზრდა.

ასეთნაირად წარმოგვიდგება ყოფილი გორის მაზრის უფროსის კანცელარიის ყოფილი საქმის მწარმოებელი იაკობ ბესარიონის ძე მეტრეველის სახე.

ობივატელი იტყვის, რა ერევოლუციონერებოდა ასეთ კაცს, ყოფილიყო თავისთვის, ემსახურა ერთგულად, კარიერას გაიკეთებდა, დიდი კაცი გახდებოდაო.

მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც მკერდში მგზნებარე გული უძგერს, თავზე ნამუსის ქუდი ჰხურავს და ხალხის ჭირი საკუთარ ჭირად მიაჩნია, ასე არ იტყვის.

„ჩინოვნიკის“ მუნდირში გამოწყობილ იაკობ მეტრეველს სწორედ ჩაგრული ხალხის კეთილდღეობისათვის აღგზნებული მებრძოლის გული უძგერდა მკერდში და ამიტომ იყო, რომ მან მოსალოდნელ კარიერას ზურგი შეაქცია, მშრომელი ხალხის მეფის ტირანიისგან განთავისუფლების საქმეს შესწირა თავისი ლამაზი სიცოცხლე და ამით უკვდავჰყო თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი სახელი. ამიტომ ვიგონებთ მას დღეს, როგორც ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ სახალხო გმირს.

ის პროლეტარული წარმოშობისა არ ყოფილა, არც ვინმე მისაბაძი წინამორბედი ჰყოლია იმ გზაზე, რომელიც მან აირჩია. მამამისი სოფლის მეურნე კაცი იყო, იცოდა განათლების ფასი და ყოველნაირად ცდილობდა განათლება შეეტანა ხალხში. ამიტომაც თავისი შვილიც გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა, რის შემდეგაც თბილისში საბუღალტრო კურსები დაამთავრებინა.

იაკობმა (1881—1910) ამის შემდეგ ჯერ გორის სამაზრო სასამართლოში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი გორის მაზრის უფროსის კანცელარიაში გადავიდა საქმის მწარმოებლად. საღი გონების, დაკვირვებული ახალგაზრდა ხედავდა რა უსამართლობანიც ხდებოდა მის გარშემო და სამართლიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით აღივსო. გორი ძლიერი იყო რევოლუციური ნაროდნიკობის ტრადიციებით, რამაც ბევრი ახალგაზრდის გონება დაიპყრო. ვფიქრობთ, თავისუფალი აზროვნების ახალგაზრდა იაკობიც ვერ ასცდა ამ კვთილ გავლენას და უკვე 20-22 წლისა, 1903 წელს ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რაც უკვე საგრძნობი იყო მაშინ მთელ გორის მაზრაში. მისი ასეთი განწყობილება კიდევაც გამოიყენეს რევოლუციონერებმა. რევოლუციური ორგანიზაციის დავალებით იაკობმა მაზრის უფროსის კანცელარიიდან გაიტაცა 130 საპასპორტო ბეჭედდასმული ბლანკი, მიატოვა სამსახური და მთლიანად გადავიდა რევოლუციურ მუშაობაზე, რამაც ისე გაიტაცა, რომ 1907 წელს ტერორისტულ აქტშიც კი მიიღო მონაწილეობა. მას უნდა მოეკლა მაზრის უფროსი, რომელიც სადისტური სიმკაცრით ავიწროებდა გლეხობას. მაგალითად, სოფ. კარალეთში მამასახლისის მოკვლისათვის მან მთელი სოფელი ლიახვში ჩააყენებინა გამოსატეხად.

ამ ტერორისტული აქტის შესრულება იაკობს ვერ მოუხერხდა, რადგანაც პროვოკატორმა გასცა. იგი შეიპყრეს და ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც გამოიქცა და თბილისში ჩამოვიდა. კვლავ დააპატიმრეს 1908 წლის ზაფხულში, კვლავ გადაასახლეს და ამჯერადაც გამოეპარათ. უკანასკნელად 1909 წლის იანვარში იყო თბილისში დასთან და მას შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარავის გაუგია.

ბოლოს ის გახდა ცნობილი, რომ იგი ალექსანდრეპოლში (ლენინაკანი) თავს დასხმია გენერალ ალიხანოვ-ავარსკის, რის შემდეგაც გა-

სულა ირანში და მონაწილეობა მიუღია რევოლუციურ ბრძოლებში, საბ-
დაც დაღუპულა. ამ ცნობას, რომელიც ოჯახმა მიიღო, თან დართული
ჰქონდა ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილი იყო ირანში დახო-
ცილი ქართველი რევოლუციონერები, რომლებსაც დასცქერის ირანის
რევოლუციის ბელადი სათარ-ხანი. ამ მიცვალებულთა შორის იაკობ
მეტრეველიც იცნო მისმა დამ მარიამმა. სამწუხაროდ, ამ სურათის
პოვნა ვეღარ მოხერხდა.

სხვათა შორის, ესაა ის იაკობ მეტრეველი, რომელსაც დაუკავშირ-
და გორში ჩასული ჩიტო ცერცვაძე, როცა ეს უკანასკნელი რევოლუციუ-
რი ბრძოლის გზას დაადგა.

სერგო გამდლიშვილი

სპარსეთის კონსტიტუციურ მოძრაობაში მონაწილე ქართველი რე-
ვოლუციონერები ამ კაცს იცნობდნენ „სერგო გურჯის“ შერქმეული სა-
ხელით. ასევე დაგვისახელა იგი ამ მოძრაობის აქტიურმა მონაწილემ
აპოლონ ჯაფარიძემ, როცა ჩვენ ირანის რევოლუციაში ქართველი მონა-
წილეების ვინაობის დადგენა დავიწყეთ. მაშინ ამხ. აპ. ჯაფარიძემ, რო-
მელმაც ძვირფასი ცნობები მოგვაწოდა ამ მოძრაობაში მასთან ერთად
მონაწილე ქართველების შესახებ და ჩამოგვითვალა მთელი რიგი მისი
თანამებრძოლები ზოგი სახელითა და გვარით, ზოგი მარტო სახელით
და ზოგიც გვარითა და ფსევდონიმებით, ვერ გვითხრა „სერგოს გურჯის“
ვინაობა და სადაურობა.

იგი მხოლოდ „კომუნისტის“ 1963 წლის 17 ნოემბრის ნომერში ჩვე-
ნი სტატიის — „სერგო ორჯონიკიძე — ჟურნალისტი“ გამოქვეყნების
შემდეგ გახდა ცნობილი, როცა ამ სტატიას ხაშურიდან გამოეხმაურა
აწ განსვენებული იასონ გამდლიშვილი და შეგვატყობინა, რომ ეს „სერ-
გო გურჯი“ ჩემი ძმა სერგო გამდლიშვილი იყოო და დასძენდა ნარკ-
ვევები — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ შესაძლოა მისი იყოს,
რადგანაც ისიც პრესაში მონაწილეობდაო.

როგორც თავში აღვნიშნეთ, მიუხედავად ჩვენი დიდი მეცადინეო-
ბისა, ხსენებული ნარკვევების სერგო გამდლიშვილისეული ავტორობის
დადასტურება ვერ მოხერხდა, მისი ვინაობა კი გაირკვა.

„სერგო გურჯი“ ნამდვილად გახლდათ სერგო გიორგის ძე გამდ-

ლიშვილი ქარელის რაიონის სოფელ ავლევიდან, დაბადებული 1882 წლის 15 თებერვალს. სწავლობდა ჯერ გორის საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის კავშირგაბმულობის სკოლაში, საიდანაც გაიწვიეს ჯარში და მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. ამ დროისათვის იგი უკვე თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებით ყოფილა გატაცებული. ამიტომაც ამ ომიდან უკან დაბრუნებულს და გზად მოსკოვში გამოვლილს, მონაწილეობა მიუღია 1905 წლის დეკემბერში იქ მოწყობილ შეიარაღებულ რევოლუციურ აჯანყებაში.

შინ დაბრუნებული სერგო გამდლიშვილი აქაც განაგრძობდა რევოლუციური იდეების ქადაგებას, რაზმავდა ხალხს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რის გამოც კაზაკებთან მოუხდა შეტაკება. იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა სოფელი. თბილისში მიდის ფოსტაში მოსაწყობად, მაგრამ შავრაზმელი ფოსტის უფროსი უარს ეუბნება. მაშინ მიდის ბაქოში და იქაურ ფოსტაში იწყებს მუშაობას, თანაც რევოლუციურ მოძრაობაშიც ებმება. ეტყობა ისეთი აქტიური ყოფილა რევოლუციურ მოძრაობაში მისი მონაწილეობა, რომ მას 1908 წელს აპატიმრებენ და 2 წლით ოლონეცის გუბერნიაში ასახლებენ, მაგრამ იქიდან იგი მალე გამოიქცა და ისევ ბაქოში დაბრუნდა, აქედან კი ირანში გაჰყვა კავკასიელ რევოლუციონერთა ჯგუფს. 1909 წელს, როცა თავრიზში მეფის რუსეთის ჯარი შევიდა, სხვა რევოლუციონერებთან ერთად უკან დაბრუნებულ სერგო გამდლიშვილს განუზრახავს ევროპაში წასვლა, მაგრამ გზად მიმავალი შეუპყრიათ მაშინდელ ეკატერინოგრადში (ახლა კრასნოდარი), გაუსამართლებიათ და ჩამოუხრჩვიათ.

ცნობილი კატორღელი თედო შავიშვილი თავის წიგნში — „მეფის კატორღა“ ამის თაობაზე წერს, რომ კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ ეკატერინოდარში გაარჩია გიორგი ზარიძისა და მისი ამხანაგების სერგო გამდლიშვილის, სედრაქ ყაზაროვისა და არმენაკ არამიანცის საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ 1910 წლის 6 მარტს საღამოს 8 საათზე სტანიცა რომანოვსკაიას ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან 22 ათასი მანეთის გატაცებაში, რისთვისაც სამივეს ჩამოხრჩობა მიუსაჯა და განაჩენი იქვე მოიყვანეს სისრულეში 1911 წლის 24 ნოემბერს. სახრჩობელაზე წაყვანის წინ დავინახეთ, როგორ შეებრძოლა ძალოვანი გიორგი ზარიძე ჯალათებს, როგორ ჩაარტყეს მას თავში და სისხლი ადინესო.

საქმე ისაა, რომ ამ დროს პატიმრობაში მყოფი თედო შავიშვილი

ვოლოგდის ციხიდან ჩაუყვანიათ მაშინდელ ეკატერინოდარში მოწმეები ამ პროცესზე.

ჩვენ მიხეილ ბოგდანოვ-მარიაშკინსაც ვთხოვეთ ეამბნა „სერგო გურჯის“ შესახებ, თუ იცნობდა.

აი რა გვიამბო მან:

„მე მაგონდება ის რეშთის აღების შემდეგ. იგი მოვიდა ჩვენთან, როგორც რომელიღაც გაზეთების კორესპონდენტი და გვთხოვა მიგვეღო ჩვენს „გურჯების“ ჯგუფში. თავი გაგვაცნო, როგორც ფოსტა-ტელეგრაფის ყოფილმა მოხელემ და კორესპონდენტმა. პრანჭიაობა უყვარდა, დადიოდა გაკრიალებული ჩოხა-ახალოხით და ქამარ-ხანჯლით. ყველაფერი უბრწყინავდა, რითაც მკვეთრად გამოირჩეოდა სხვებისაგან. უყვარდა ტრაბახიც, რის გამოც „ტრაბახა კაცი“ შევარქვით. იყო ცნობისმოყვარე, ყველაფერი აინტერესებდა, იმდენად მხიარული გუნებისა იყო, რომ დაუდევარი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გულადი კი იყო, სხვებზე ნაკლებად არ ზიდავდა ბრძოლის ტვირთს. მე განსაკუთრებით მხიბლავდა მასში დიდი სიყვარული სამშობლოსი, ქართველი ხალხისა. ყოველთვის აღტაცებული იყო სამშობლოს ბუნების მშვენიერებით, ხელოვნებით, ლიტერატურით, პოეზიით, ქართველების სტუმართმოყვარეობით. ერთხელ მან მიამბო, რომ დიდი ჯაფის შემდეგ თეირანს იქით ქართველების ორი სოფელი მოენახა და იქიდან რამდენიმე გლეხი წვეოდა, რომელთაც ეამბნათ, მათი წინაპრები არსენას ხელმძღვანელობით როგორ აჯანყებოდნენ თავადებსა და მემამულეებს, როგორ ჩაექროთ ეს ამბოხება და ამის გამო ირანში გადმოხვეწილიყვნენ. შაჰი დაჰპირებოდა მიწების მიცემას, თუ ისლამის რჯულს აღიარებდნენ. ისლამის რჯული კი მიუღიათ, მაგრამ დედაენა არ დაუკარგავთ. მისი ეს ძიება ძალიან მომეწონა. ასეთი დარჩა იგი ჩემს ხსოვნაში. სერგო შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა. იგი 1911 წელს ჩამოახრჩვეს.

ასეთი მახსოვს „სერგო გურჯი“ — სერგო გამდლიშვილი“.

მიშა ძაგანია

მას კი პირადად ვიცნობდი როგორც კოოპერაციულ მუშაკს, ცეკავშირის გამგეობის წევრს. ამ დაწესებულებასთან ჩემი ჟურნალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობის დასაწყისში — 20-30-ან წლებში გარკვეული კავშირი ურთიერთობა მქონდა, პრესაში ვაშუქებდი საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას და ხშირად შევხვედრივარ მ. ძაგანიას ცეკავშირის საბჭოს, გამგეობისა და პრეზიდიუმის სხდომებზე. გაგონილი მქონდა, რომ მიშა ძაგანია ძველი ბოლშევიკი იყო, კარგი რევოლუციური წარსული ქონდა, საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ გაგზავნილი იყო კოოპერაციაში სამუშაოდ. კარგ, საქმიან კაცად ითვლებოდა და ასეთად დარჩა ჩემს ხსოვნაში. რას ვიფიქრებდი მაშინ, თუ მის შესახებ 40 წლის შემდეგ მომიხდებოდა წერა, როგორც ირანის რევოლუციის მონაწილეზე, თორემ გაგიხარიათ რამდენ რამეს ვაამბობინებდი, მაგრამ მაშინ ამ რევოლუციის შესახებ თვითონ არაფერი გამეგონა.

ახლა კი ხელთა მაქვს მიხეილის ავტობიოგრაფიული ცნობები და მის მიხედვით გაგაცნობთ ამ თავმდაბალი, სასიამოვნო, უპრეტენზიო, მებრძოლი ბოლშევიკის მიერ განვლილ ბრძოლისა და შრომის გზას.

მიხეილ (მიშა) ძაგანია დაბადებულა 1890 წელს, ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო 1905 წლიდან. მამამისი პეტრე გამოქცევია ბატონყმობას სამეგრელოდან და თბილისში დასახლებულა. ხელობით მებაღეს თბილისში დაუწყია მუშაობა მანთაშევის კრწანისის ბაღებში. (ამ და სხვა ბაღების ბაზაზე მუშაობს დღეს კრწანისის საბჭოთა მეურნეობა — ა. კ.). მიშა თბილისში დაბადებულა. შეუყვანიათ ხარფუხის ოთხკლასიან სამრევლო სკოლაში, საიდანაც უკანასკნელი კლასიდან გაურიცხავთ იმის გამო, რომ საღვთო სჯულის გაკვეთილზე ეჭვი მიუტანია ღვთისმშობელ მარიამის უბიწობაში. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ნება დაურთავთ და 14 წლისას დაუმთავრებია ეს სასწავლებელი 1901 წელს, მაგრამ სხვა სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება აღარ მიუციათ — „ურწმუნოა და სწავლა რომ გააგრძელოს, სულ გაგიჟდებაო“ — უთქვამთ მშობლებისათვის და არ მიუციათ სასწავლებლის დამთავრების საბუთი.

„ძალიან მინდოდა მესწავლა, მაგრამ უსაბუთოდ არსად არ მიღებდნენ, კერძოდ სწავლის საშუალება კი არ მქონდაო“ — წერს თვითონ. იძულებული ხდება მუშაობა დაიწყოს. აწყობენ ნოქრად ვაჭართან ქარვასლაში, სადაც მუშაობდნენ აგრეთვე მისი ძმები. ქარვასლაში იყვნენ რევოლუციური იდეებით გატაცებული ნოქრები, რომლებმაც დაიწყეს მიშას გამოყენება სხვადასხვა საიდუმლო დავალებებისათვის, ატარები-

ნებდნენ და ავრცელებინებდნენ პროკლამაციებს. ჭაბუკი ხვდებოდა ამ პროკლამაციებს. იყო საქმე. ბიძამისი დედის მხრივ თადეოზ მიქაძე, იმჟამად რკინიგზის დეპოს მუშა, ხშირად დადიოდა სიძესთან, მიჰქონდა პროკლამაციები და აცნობდა მათ შინაარსს. ამავე ბიძის ჩაგონებით უთხრა სამრევლო სასწავლებელში მიშამ ამხანაგებს, რომ მარიამი არაფერი ქალწული არ არის, იგი დურგალ იოსების ცოლიაო. ქარვასლაში მომუშავე თავისუფლებისმოყვარულმა ნოქრებმა მ. ძაგანიაც ჩაბეს თავის წრეში. 1905 წელი რომ დაღგა, ნოქრებშიც დაიწყო რევოლუციური მოძრაობა. აწყობდნენ ეკონომიურ გაფიცვებს, მოითხოვდნენ სამუშაო საათების შემცირებას, ხელფასის გადიდებას, მართავდნენ კრებებს და მონაწილეობდნენ გაფიცვებში. მ. ძაგანიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ნოქრების 1905 წლის ოქტომბრის დიდ გაფიცვაში. რევოლუციის დამარცხების შემდეგ შევიდა წითელ რაზმში, რომელსაც ქალაქის მე-4 რაიონში ხელმძღვანელობდა მისი ამხანაგი, ისიც ნოქარი ვანო კარაპეტოვი („დავახეთქე"), რომელიც ავარჯიშებდა და წვრთნიდა რაზმელებს. რეაქციის დროს მონაწილეობა მიუღია რამდენიმე ტერორისტულ აქტში პოლიციის აგენტებისა და ჯაშუშ-პროვოკატორების წინააღმდეგ.

1908 წლის დამლევს პარტია სპარსეთში აგზავნის თბილისის სამხედრო რაზმის წევრებს სათარ-ხანის დასახმარებლად. ერთი ჯგუფი იგზავნება თავრიზში, მეორე რეშთში. რეშთის ჯგუფში, ვანო კარაპეტოვის მეთაურობით, წავიდა მიშა ძაგანიაც.

სპარსეთში ბრძოლას მ. ძაგანია შემდეგნაირად აგვიწერს: „მონაწილეობა მივიღეთ რეშთის აღებაში, შემდეგ ყაზვინის განთავისუფლებაში. ყაზვინში ბრძოლა ერთ დღე-ღამეს გრძელდებოდა, რის შემდეგ შაჰის ჯარები დაგვნებდნენ და იარაღი ჩაგვაბარეს. ყაზვინის შემდეგ გავილაშქრეთ თეირანზე. 1909 წელს სპარსეთში მოვიდა რუსის ჯარი, ვითომ რუსეთის ქვეშევრდომთა დასაცავად, ნამდვილად კი შაჰის დასახმარებლად. ამის შემდეგ კავკასიელი რევოლუციონერების რაზმები სპარსეთში დაიშალა და ჯგუფ-ჯგუფად იწყო უკან წამოსვლა".

ერთ ჯგუფთან ერთად მ. ძაგანიაც წამოსულა და დაბრუნებულა თბილისში. ცხოვრობდა მამასთან კრწანისში.

სპარსეთიდან დაბრუნებულებმა კვლავ განაახლეს რევოლუციური მუშაობა, რისთვისაც პოლიციამ დევნა დაუწყო. მ. ძაგანიას იჭერენ, ჯერ საგუბერნიო ციხეში ათავსებენ, ოთხი თვის შემდეგ კი უცხადებენ, რომ

ეკრძალება თბილისის გუბერნიაში და დიდ ქალაქებში ცხოვრება. ასახლებენ გეოქჩაიში. 1910 წელს ავადმყოფობის გამო მას ნებას რთავენ წავიდეს საექიმოდ ბაქოში, აქ სხვისი საბუთით იწყებს მუშაობას ნავთობის სარეწაოზე სოფ. ყალაში, სადაც გლეხებს შორის ეწევა საგიტაციო მუშაობას. ძაგანიას კარგად ცოდნია სპარსული ენა, რის გამოც არ უძნელდებოდა ადგილობრივ მოსახლეობაში მუშაობა. უმთავრესად იგი იმას შთააგონებდა, რომ კაპიტალისტებისათვის არ დაეთმოთ მიწები. აგიტაციამ გასჭრა. როცა მეწარმეებმა ჭაბურღილების თხრა დაიწყეს, გლეხები მიუცვივდნენ და არ მისცეს საშუალება დაეწყოთ ბურღვა, ვიდრე ხელშეკრულებას არ დაუდებდნენ და ნათესების ღირებულებას არ აუნაზღაურებდნენ. „ამ მოძრაობამ, — იგონებს მ. ძაგანია, — ფართო ხასიათი მიიღო, რის გამოც გამოიგზავნა ცხენოსანი პოლიციელების რაზმი, მაგრამ გლეხებმა იგი განაიარაღეს და უკუაქციეს“.

ამის შემდეგ მრეწველებს გლეხებთან ხელშეკრულება დაუდევთ.

1914 წლის გაზაფხულზე მ. ძაგანია მონაწილეობას იღებს ბალახანაში მოწყობილ მუშათა გაფიცვაში, რომელიც მუშების გამარჯვებით დამთავრდა, აგვისტოში კი აპატიმრებენ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის ბრალდებით და ოთხ თვეს ციხეში ჯდომის შემდეგ ათავისუფლებენ ბრალდების დაუდასტურებლობის გამო. ასე დარჩა და მუშაობდა იგი ნავთობის სარეწაოს მუშად 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

რევოლუციის შემდეგ მ. ძაგანია სარეწაოზე აყალიბებს ბოლშევიკურ უჯრედს, რომელიც ბალახანის რაიონში შედიოდა. იგი მონაწილეობს ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ბაქო-ბალახანის რაიონის ნავთობის მუშათა დიდ გაფიცვაში. როგორც ძაგანია იგონებს, გაფიცვის ჩასაშლელად ბაქოში ჩასულან მენშევიკები ევგენი გეგეჭკორი — თბილისიდან, სკობელევი — მოსკოვიდან, გაფიცვა გაგრძელებულა და მუშების გამარჯვებით დამთავრებულა.

ნოემბერში მ. ძაგანია თბილისში ბრუნდება და მთელი თავისი არსებით ებმება პარტიულ მუშაობაში. ეწევა ბოლშევიკურ აგიტაციას ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარში, მონაწილეობს ალექსანდრეს (კომუნარების) ბაღში გამართულ მიტინგში, რომელიც მენშევიკებმა დახვრიტეს, ირჩევენ თბილისისა და რაიონული კომიტეტების წევრად. 1920

ეროვნული

წელს მუშაობდა თბილისის მე-4 რაიკომის სამხედრო ორგანიზაციაში, მონაწილეობდა პარტიის პირველი ყრილობის მუშაობაში. მუშაობდა რუსულ გაზეთ „კომუნისტში", 1920 წელს გაიწვიეს მენშევიკურ ჯარში, სადაც აგრეთვე ეწეოდა ბოლშევიკურ აგიტაციას, რისთვისაც სდევნიდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მ. ძაგანია მუშაობდა ჯერ თბილისის კომიტეტის პარტიულ ორგანიზაციაში, შემდეგ თბილისის მაზრის სასურსათო კომისრად და მუშათა კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. 1924 წელს მონაწილეობდა საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის მუშაობაში ბრიუსელში, რის შემდეგ მოიარა გერმანია, ინგლისი, შვეცია, ფინეთი, სადაც გაეცნო კოოპერაციულ მუშაობას და დაბრუნდა უკან. მ. ძაგანიამ მუშათა კოოპერაციაში იმუშავა 1921-დან 1930 წლამდე, რის შემდეგაც გადაიყვანეს მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ. სექტემბერში კი თბილისში დააბრუნეს და სიკვდილამდე (1937 წ.) მუშაობდა ჯერ საქართველოს მომარაგების სახალხო კომისრის მოადგილედ, შემდეგ კი ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის წევრად, საქართველოს სატყეო კოოპერაციის თავმჯდომარედ და ცეკავშირის გამგეობის წევრად. იყო ამიერკავკასიისა და საქართველოს ცაკის წევრი.

„მიშა ძაგანია, სპარსეთის რევოლუციაში მონაწილეობის დროს 18 წლისა თუ იქნებოდა, ნაკითხ ახალგაზრდად ითვლებოდა ჩვენს შორის, გატაცებული იყო მარქსისტული და ფილოსოფიური ლიტერატურით. მონაწილეობდა პროფკავშირულ მოძრაობაში. მეტად გულისხმიერი, სიტყვაძუნწი, სერიოზული ახალგაზრდა იყო. ასეთნაირად დამამახსოვრდა ჩვენი გულკეთილი, კარგი მიშა". ასე ახასიათებს მიშა ძაგანიას მ. ა. ბოგდანოვ-მარიაშკინი.

ვანო კარაპეტოვი

მასაც ვიცნობდი პირადად. ისიც ცეკავშირში მუშაობდა ოცდაათიან წლებში. ერთ-ერთ განყოფილებას განაგებდა. ვიცნობდი, როგორც ძველ ბოლშევიკს, რომელსაც ახასიათებდნენ როგორც უშიშარ, გულად მებრძოლ რევოლუციონერს. მას არაერთ ტერორისტულ აქტში მიუღია მონა-

წილეობა და არაერთი ხალხის მტერი და ორგული, ჯაშუში, პროვოკატორი და პოლიციელი დაუხეთქებია მიწაზე. ამიტომაც შეარქვეს ზედმეტ სახელად „დავახეთქე". მის შესახებ ცნობები მოგვაქვს კრებულიდან — „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში".

ვანო (ივანე) ბაღდასარის ძე კარაპეტოვი დაიბადა 1883 წელს ქ. ახალციხეში ხელოსნის ოჯახში. ყრმობის ხანაში დაიწყო შრომა, მუშაობდა სხვადასხვა სახელოსნოში. 1900 წელს ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, ავრცელებდა პროკლამაციებს, მონაწილეობდა თბილისის მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. 1909 წელს გაიგზავნა ვერის რაიონის ნოქრებს შორის სამუშაოდ. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო საორგანიზაციო ჯგუფი, რომლის მეთაურობითაც ჩატარდა ქალაქში ნოქართა დემონსტრაცია. დემონსტრაციის მოწყობის და მასში მონაწილეობისათვის ვანო დააპატიმრეს. ეს მისი პირველი პატიმრობა იყო რევოლუციური მუშაობისათვის.

1904 წელს ვ. კარაპეტოვი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ფეოდოსიაში იგი დაუკავშირდა ადგილობრივი სამხედრო პარტიული ორგანიზაციის წევრებს და ხელმძღვანელობდა ჯარისკაცთა რევოლუციურ წრეს. 1905 წლის 9 იანვრის ამბების შემდეგ დაბრუნდა თბილისში, საიდანაც მალე გაგზავნეს ჭიათურაში; მიმაგრებული იყო მღვიმევის პარტიულ ორგანიზაციაზე, სადაც ეწეოდა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას და მონაწილეობდა მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905 წლის დეკემბერში შორაპნის მაზრის მშრომელთა შეიარაღებულ აჯანყებაში. 1906 წლის იანვრიდან ვ. კარაპეტოვი თბილისშია და მუშაობს მე-4 რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში, რომლის დავალებით ხელმძღვანელობს მებრძოლ რაზმს. იმავე წელს იგი აირჩიეს რსდმპ თბილისის გაერთიანებულ კომიტეტში. ვ. კარაპეტოვი პირველ ხანებში მენშევიკებს ემხრობოდა, 1906 წლიდან კი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო.

1908 წ. ი. კარაპეტოვი თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ გაგზავნა სპარსეთის რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად. იგი მუშაობდა ლაბორატორიაში, ამზადებდა ფეთქებად ნივთიერებას, ხელმძღვანელობდა რაზმს და შეუდრეკლად იბრძოდა შაჰისა და მემამულეების ხელისუფლების წინააღმდეგ.

1909 წ. ვანო თბილისში დაბრუნდა. მას ირჩევენ რსდმპ თბილი-

სის კომიტეტის წევრად. 1910 წელს დააპატიმრეს და თბილისის ხალ. ოლქო სასამართლომ მას კატორღა მიუსაჯა, რომელსაც 1911 წლიდან 1917 წლის თებერვლამდე იხდიდა ხერსონის საკატორღო ციხეში.

1917 წელს ი. კარაპეტოვი თბილისში ჩამოდის. მუშაობას იწყებს ერობის კავშირის ავტოსახელოსნოში, სადაც აირჩიეს მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ. ვანო კარაპეტოვი აქტიურად იბრძოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. იყო წითელი გვარდიის ერთ-ერთი მომწყობი. 1918 წლის თებერვალში იგი იყო გორის მე-2 პოლკში მომხდარ ჯარისკაცთა აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, რისთვისაც მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა. 1918 წლის ივნისში სამხედრო კომიტეტმა ი. კარაპეტოვი გაგზავნა ვლადიკავკავში (ორჯონიკიძე), სადაც დანიშნეს ბოლშევიკების ჯავშნოსანი რაზმის მეთაურად და აქტიურ მონაწილეობას იღებდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1919 წლის დასაწყისში ი. კარაპეტოვი დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მალე მენშევიკებმა დააპატიმრეს. 1920 წლის მაისში გაათავისუფლეს და ვლადიკავკავში გადაასახლეს. 1921 წლის 25 თებერვალს ი. კარაპეტოვი საბჭოთა არმიის ნაწილებთან ერთად დაბრუნდა თბილისში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ვანო კარაპეტოვი ჯერ საქართველოს საგანგებო კომისიაში მუშაობდა, ბოლოს კი სამომხმარებლო კოოპერაციაში. გარდაიცვალა 1943 წელს.

ვიქტორ მაღლაკელიძე

გამოგვეხმაურა ვიქტორ მაღლაკელიძის ვაჟი დავითი, ვანის რაიონის სოფელ სალხინოს საშუალო სკოლის მასწავლებელი, რომელსაც ახსოვს მამის მიერ ნაამბობი თავგადასავალი.

როგორც დავითმა გვაცნობა, მამამისი ვიქტორ დარისპანის ძე მაღლაკელიძე დაბადებულა 1882 წელს ვანის რაიონის სოფ. დიხაშხოში ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიუღია, რის შემდეგაც ხელმოკლე მშობლებს ხარაზობა უსწავლებიათ.

1899 წელს ჭიათურაში წასულა და აქ უმუშავნია მაღაროებში 1903

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლამდე, სადაც გაცნობია რევოლუციური მოძრაობის მონაწილეებს, რომელთა შორის მამა ი. ბ. სტალინსაც ასახელებდაო, წერს შვილი— „არაერთხელ მინახავს მუშების წინაშე სიტყვით გამოსულიო“ — უთქვამს სტალინზე.

1903 წელს ვიქტორი ჯარში გაუწვევიათ. მთელი სამსახური გენერალ გაბაევის (გაბაშვილი) დენშჩიკობაში გაუტარებია.

1907 წელს ჯარიდან განთავისუფლებული ბაქოში წასულა, საიდანაც 30 ქართველთან ერთად ირანში გაუგზავნიათ. როგორც ამბობდაო, — იგონებს დავითი, — ეს 30 კაცი სამ ათ-ათ კაციან ჯგუფად გაყოფილა და ისე წასულა საზღვარზე გადასასვლელად. თან წაუღიათ თოფები, ბომბები და ტყვია-წამალი, ჩასულან ქალაქ შუშაში, საიდანაც უნდა გასულიყვნენ ირანში. საზღვარზე გადასული ეს ჯგუფები შემდეგ გაერთიანებულან და ისე გაუგრძელებიათ გზა, მისულან თავრიზში, სადაც 6 თვე დარჩენილან და მონაწილეობა მიუღიათ ბრძოლებში. გზად მიმავალთ შეხვედრია თვითონ სათარ-ხანი, რომელთანაც ერთად მიიწევდნენ წინ ბრძოლით. თავზარს სცემდა მოწინააღმდეგეს ჩვენი ბომბებიო,— უთქვამს ვიქტორს. ამ ბრძოლებში დაცემული ქართველებიც დაუსახელებია, მაგრამ შვილი ვერ იგონებს მათ. ვიქტორი სხვა ქართველებთან ერთად სათარ-ხანს მის სოფელშიც ხლებია. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მიახლოებიან ამ სოფელს. „ეხლა ჩემს სოფელში შევდივართ, — უთქვამს სათარს, — და უთხოვია ყუმბარები გააწყვეთ, ჩემს მეზობლებს მინდა ვაჩვენო რა ძალა აქვთ ჩემს მეგობარ — „გურჯებსო“. გაუწყვიათ კიდეც და როცა სოფელში შესულან ყუმბარა აუფეთქებიათ. სპარსელები გაიძახოდნენ თურმე — „გურჯები მოვიდნენ და მეხი მოიტანესო“. სოფელში შესული რაზმელები დაკლული ცხვრების შუა გაუტარებიათ — „მტერშიაც ასე გამარჯვებული გევლოთო“. მცხოვრებლებს დიდი პატივი უციათ ქართველი რაზმელებისათვის. კარგადაც მოუსვენებიათ, ვიქტორს თეირანის განთავისუფლებაშიც მიუღია მონაწილეობა.

უკან დაბრუნებული ვიქტორ მაღლაკელიძე 1914 წელს ჯარში გაუწვევიათ და უბრძოლია 1917 წლამდე. 1917 წელს დაბრუნებულა შინ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქტიურად მონაწილეობდა საკოლმეურნეო მშენებლობაში. გარდაიცვალა 75 წლისა 1957 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჯაფარიძე

ირანის რევოლუციაში მონაწილეობდა უპარტიო დავით ვლადიმერის ძე ჯაფარიძეც. ჩვენს ხელთ არის მისი მოგონება, რომელიც ბევრ რამეში გვიდასტურებს ვიქტორ მაღლაკელიძის ცნობებს და ეტყობა ორივენი იმ 30-იან ჯგუფში შედიოდნენ, რომელზედაც მაღლაკელიძე ლაპარაკობს.

იმდენად საინტერესოდ მივიჩნიეთ დ. ჯაფარიძის მოგონება, რომ იგი მცირეოდენი შემოკლებით მოგვაქვს:

„მე, დავით ვლადიმერის ძე ჯაფარიძე, 1905 წლიდან ძმასთან ალექსანდრესთან და დასთან ნინოსთან ერთად ვცხოვრობდი ქ. ბაქოში.

1907 წელს ჩვენმა ბიძაშვილმა ალიოშა (პაკია) ჯაფარიძემ ჩვენთან მოიყვანა იოსებ (კობა) ბესარიონის ძე სტალინი, რომელმაც რამდენიმე თვე იცხოვრა ჩვენთან თავისი ცოლითა და შვილით. კობასა და პაკიას ხელმძღვანელობით ჩვენს ბინაზე ეწყობოდა ფარული კრებები, რომლებშიც მონაწილეობდნენ: თვით კობა, პაკია და ბუდუ მდივანი, მიხა ცხაკაია, სტეფანე შაუმიანი, სერგო ორჯონიკიძე, გიორგი ელისაბედაშვილი, პავლე (დავითის ძე) საყვარელიძე, გიორგი გიორგობიანი, ივანე ფიოლეტოვი და სხვები.

კონსპირაციის მიზნით ამ ამხანაგების მოთხოვნით ხშირად ვიცვლიდით ბინებს, სადილებს ვუზიდავდით პოლიტიკურ პატიმრებს და ვასრულებდით მათს სხვა დავალებებს. ჩემი და ნინო ბაქოს კომიტეტის მოლარე-მეკუჭნავე იყო. ბინაში ინახავდა ფულს, ლიტერატურას, ბომბებსა და სხვა იარაღს.

დაახლოებით 1908 წლის აგვისტოს მე დამევალა წავყოლოდი ირანში მიმავალ რაზმს, რომელიც იგზავნებოდა იქ შაჰის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერი სათარ-ხანის დასახმარებლად. ბაქოდან წავედით 30 კაცი: დუმბაძე, ბაქრაძე, ორი ბომბისტი—ლაზარე გაჩეჩილაძე და ვიქტორ (ფირუზა) ნასარიძე, დავით მხეიძე, წვერავა. მეუნარგია, მე და სხვ.

რომ არ შევემჩნიეთ, ბაქოდან 10-10 კაცი უნდა გავსულიყავით. წავედით: გაჩეჩილაძე, ნასარიძე, მხეიძე, წვერავა, მეუნარგია, კოლია, ერთი ქართველიც, რომელსაც „ტერორისტს“ ეძახოდნენ. მე და კიდევ ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი. მიგვქონდა ორი ჩემოდანი ავჭალის ბომბები და „მაუზერის“ სისტემის რამდენიმე რევოლვერი.

ბაქოს სადგურში დაგვირიგეს რკინიგზის ბილეთები სადგ. ევლახამდე. ევლახში შემოგვიერთდა ერთი ირანელი გამყოლი, დავსხედით დილიჟნებზე და საღამოს ქ. შუშაში მივედით. ათივენი დავბინავდით ტრაქტირში. ჩანს, მეპატრონემ გაგვცა, დილით ალყაშემორტყმული აღმოვჩნდით. ექვსმა მოვასწარით მეზობელ სახლში იარაღის გადატანა, ოთხი კი (წვერავა, მხეიძე, კოლია და „ტერორისტი“) დააპატიმრეს. საღამოს პოლიციამ მთელ ქალაქს შემოარტყა ალყა, ყველგან სადარაჯო პოსტები მოაწყო. მე და ორ ამხანაგს ქუჩაში შეგვხვდა ჩვენი გამყოლი სპარსელი, რომელმაც სპარსულადვე შეგვკრიჭა წვერები და წაგვიყვანა ქალაქგარეთ ერთ ბეგთან. იქვე მოიყვანეს ჩვენი 3 ამხანაგი, რომლებიც გადარჩენოდნენ დაჭერას, ბაქოდან გამოგზავნილ მეორე ჯგუფს შეხვდნენ ქალაქგარეთ და ისინიც ჩვენთან მოიყვანეს. როცა მესამე ჯგუფიც შემოგვიერთდა და გაიგეს ოთხი ამხანაგის დაჭერა, გადავწყვიტეთ ციხეზე თავდასხმა და მათი განთავისუფლება. მაგრამ პოლიციის შიშით ჩვენი მასპინძელი ბეგი წავიდა წინააღმდეგი, დაგვპირდა სამ დღეში მოვახერხებ მათ განთავისუფლებასო, რაც კიდევაც შეასრულა. მესამე დღეს ყველანი განთავისუფლებულები იყვნენ, მხეიძისა და კოლიას გარდა, რომლებიც გაურკვეველი მიმართულებით წასულიყვნენ, დანარჩენები ირანელი გამყოლის თანხლებით იმავ ღამეს დავადექით გზას თავრიზისაკენ. მესამე ღამეს ფეხით გავიარეთ მდ. არაქსი და უგზო-უკვლოდ გავაგრძელეთ გზა. მეორე საღამოს მივადექით ერთ ირანულ სოფელს, სადაც უკვე ცოდნოდათ ჩვენი ამბავი და ნაბრძანები ქონდათ მოვესპეთ.

შევედით სოფელში, სადაც სახლები გაწყობილი იყო ერთი ფართო ველის გარშემო. ვხედავთ ჩვენს წინააღმდეგ ყოველი მხრიდან დამიზნებული აქვთ თოფები. ჩვენი რაზმის უფროსი იძახის: „ბომბის მტყორცნელებო, წინ!“.

როგორც კი ეს გაიგონეს, ყველამ დაყარა იარაღი და გაიქცნენ. ჩვენ შევკრიბეთ ეს იარაღი, ავკიდეთ ცხენებს და მდინარის ხეობით განვაგრძეთ გზა.

რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ მივედით თავრიზიდან ერთი დღის სავალზე დაშორებულ სოფელში, სადაც ერთ დღე-ღამეს დავისვენეთ. მეორე დღეს მოვიდა სათარ-ხანის მიერ გამოგზავნილი 50 კაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი რაზმი და თან მოიყვანეს ცხენები, სათარს დაევალებინა დაუბრკოლებლად მივეყვანეთ თავრიზში.

ღამის 12 საათზე მოვუახლოვდით თავრიზს. მე, გაჩეჩილაძე, ნასარიძე და მეუნარგია ბოლოში მივყვებოდით რაზმს, მეწინავეებმა ერთბაშად გააჭენეს ცხენები და თვალს მიეფარნენ. ვიგრძენით, რაღაც საშიშროება მოგველოდა და ჩვენც ცხენებზე შევსხედით, მაგრამ სიბნელეში ვერ მოვახერხეთ წინ წასულების ნახვა, თხრილებს წავაწყდით, ჩამოვხსენით ბომბები და სხვა ტვირთი, ცხენები გავუშვით და მთელ ღამეს ვბორიალობდით, ვაწყდებოდით შაჰის სადარაჯოებს. შაჰის დამფრთხალი ჯარისკაცები წამდაუწუმ ისროდნენ, რაც საშუალებას გვაძლევდა გაგვერკვია მათი განლაგება. განთიადისას შევხვდით სათარ-ხანის ბანაკის ერთ რაზმელს, რომელმაც მიგვიყვანა ჩვენს ამხანაგებთან.

სათარ-ხანს თურმე 150 კაცი გამოეგზავნა ჩვენს მოსაძებნად. გაიგო თუ არა ჩვენი მისვლა, მან (სათარ-ხანმა) თავისთან მიგვიწვია საუზმეზე, ბოდიშს იხდიდა, პური რომ ცოტა და უხარისხო იყო. საქმე ისაა, რომ თავრიზი ამ დროს შაჰის ჯარების მიერ იყო გარემოცული და პროდუქტების შეზიდვა გაძნელებული იყო. სათარ-ხანს უნდოდა წართმეული სოფლების განთავისუფლება, რაც მესამე დღეს განხორციელდა. შაჰის ჯარები იძულებული იყვნენ მოეხსნათ თავრიზის ალყა და 20-25 კილომეტრით უკან დაეხიათ. რა მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყვნენ შაჰის ჯარები, ჩვენთან შეტაკების დროს, როგორც კი გაიგონებდნენ სათარ-ხანის მებრძოლის ხმას — „გურჯი-გიალირ, ბომბი გიათირირ“ (ქართველი მოდის, ბომბი მოაქვს), ტოვებდნენ პოზიციებს და გარბოდნენ.

ბაქრაძე, წვერავა და გაჩეჩილაძე თავრიზის ბრძოლაში დაიღუპნენ.

სათარ-ხანის ჯარების მიერ თავრიზისა და მახლობელი სოფლების აღების შემდეგ 1909 წელს საქართველოში დავბრუნდი დაჭრილი და ციება შეყრილი“.

ნიკოლოზ ტეტიუცკი

ეს ის კოლია ტეტიუცკია, რომელსაც მიხეილ ბოგდანოვ-მარიაშკინი იგონებს. მისი ბიოგრაფიული ცნობებიც კრებულიდან „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში“ მოგვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ვასილის ძე ტეტიუცკი თბილისელი იყო, დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. ჯერ კიდევ ვაჟთა 1 გიმნაზიაში სწავლობდა, როცა რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. ნ. ტეტიუცკიმ ჩამოაყალიბა მოწაფეთა არალეგალური წრე. 1902 წელს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა. ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, გადაჰქონდა იგი ბაქოში, ბათუმში, ფოთსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. საagიტაციო მუშაობასაც ეწეოდა ადელხანოვის ქარხანაში, რკინიგზაზე, მესანგრე ჯარისკაცებში, იყო პროპაგანდისტთა საქალაქო კოლეგიის ერთ-ერთი მომზადებული და აქტიური წევრი.

1905 წელს ნ. ტეტიუცკი მებრძოლთა რაზმის წევრი გახდა, მონაწილეობდა დემონსტრაციებში, გამოსვლებში, რისთვისაც გარიცხეს გიმნაზიიდან. ამ დღიდან ის მთლიანად გადადის პარტიულ მუშაობაზე, მისი ბინა მესანგრეთა ქუჩაზე იარაღის საწყობად იქცა. თვითონ მონაწილეობდა ბომბების დამზადებაში, იძენდა და ეზიდებოდა იარაღს; ამ მიზნით მან ფინეთშიც იმოგზაურა.

1907 წლის სექტემბერში ნ. ტეტიუცკის ბინაზე იარაღი და არალეგალური ლიტერატურა უპოვეს, მაგრამ ვერ შეიპყრეს, რადგან მოასწრო მიმალვა. იგი არალეგალურ ცხოვრებაზე გადავიდა, პარტიის დავალებით ჯერ ფოთს გაემგზავრა, შემდეგ კი ერთ ხანს მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრობდა.

1908 წლის ზაფხულში ტეტიუცკი თბილისს დაბრუნდა, ეწეოდა აქტიურ პარტიულ მუშაობას, იყო ირანელ რევოლუციონერთა დამხმარე კომისიის წევრი. ამხანაგების ჯგუფთან ერთად ისიც წავიდა იქ და აქტიურად მონაწილეობდა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნ. ტეტიუცკის დიდ დახმარებას უწევდა მთელი ოჯახი. დედა—იულია ბოლესლავის ასული ინახავდა იარაღს, არალეგალურ ლიტერატურას; დები მეკავშირეები იყვნენ, მათი მისამართით მოდიოდა ლიტერატურა, წერილები; უფროსი და — ელენე 1905 წლის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა დეკემბრის გაფიცვის საოლქო ბიუროს წევრი იყო.

1909 წელს ნ. ტეტიუცკი თბილისს დაბრუნდა, პარტიული ორგანიზაციის დავალებით იგი ხელმძღვანელობდა იატაკქვეშეთის ტექნიკისა და თბილისის ბოლშევიკთა არალეგალური სტამბის მოწყობას. იყო რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი. 1910 წლის ივნისში პოლიციამ მიაგნო მის კვალს, ჩხრეკის დროს უპოვეს პარტიული მიმოწერა, არა-

ლეგალური ლიტერატურა. 1910 წელს სამხედრო სასამართლომ მას ოთხი წლის კატორღა მიუსაჯა. იჯდა ჯერ მეტეხის, შემდეგ ხერსონის საკატორღო ციხეებში. 1914 წელს ჭლექით დაავადებული ვერხოლენსკში (ირკუტსკის გუბერნია) გადაასახლეს.

1915 წელს ნ. ტეტიუცკი ირკუტსკში გადაიყვანეს. იქ ის აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწეოდა. მონაწილეობდა „ციმბირელ მუშათა კავშირის" შექმნაში, ხელმძღვანელობდა არალეგალური სტამბის მოწყობას და ბოლშევიკურ პროკლამაციებს ბეჭდავდა. სტამბის ჩავარდნის შემდეგ ნ. ტეტიუცკი ჰექტოგრაფზე ბეჭდავდა პროკლამაციებს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ნ. ტეტიუცკი თბილისში დაბრუნდა და ჩაება აქტიურ პარტიულ მუშაობაში. ს. თოდრიასა და სხვებთან ერთად შექმნა ბოლშევიკური გამომცემლობა და ეწეოდა სააგიტაციო მუშაობას.

1918 წლის აგვისტოში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით ნ. ტეტიუცკი კავკავს (ორჯონიკიძე) გაემგზავრა, სადაც მუშაობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ სასურსათო საქმეთა სახალხო კომისრად. ნ. ტეტიუცკი დიდ პარტიულ მუშაობას ეწეოდა ქალაქის პარტორგანიზაციაში. როცა 1919 წლის თებერვალში კავკავი თეთრგვარდიელებმა დაიკავეს, ნ. ტეტიუცკი, რომელსაც ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, ავადმყოფობის გამო ადგილზე დარჩა და ფარულად ცხოვრობდა. გარდაიცვალა იმავე წელს.

ლ ე ი ლ ა

დადასტურდა, რომ ლეილა გულჩინა დარისპანის ასული ლორთქიფანიძე იყო. მას „ლოლასაც" უწოდებდნენ, შინაურებში კი „გულოდ" იყო ცნობილი. დაბადებულია 1881 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ ახალბედისეულში. ახასიათებენ, როგორც უაღრესად გაბედულ, ვაჟკაცური შემართების წარმოსადეგ ქალს, ისეთი გრუზათმიანი ყოფილა, რომ თმაში ინახავდაო რევოლვერს. ადრე ჩაბმულა რევოლუციურ მოძრაობაში, 1905—1906 წლების რევოლუციის დროს უმეტესად სამეგრელოში მუშაობდა დავით ასათიანთან, ვლადიმერ დემურიასთან და ისაკი

ჩოჩიასთან ერთად. (ისაკი ჩოჩია გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის საშა აბაშელის სახელი და გვარია — ა. კ.). სპარსეთში გაჰყოლია ბათუმელ მოხალისე რევოლუციონერებს, რომლებიც იქ 1907 წელს გაგზავნა ბათუმის კომიტეტმა. ირანიდან დაბრუნებული კვლავ განაგრძობდა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას, რისთვისაც გააციმბირეს — გადასახლებული იყო ჩელიაბინსკში, საიდანაც დაბრუნებულა 1918 წელს და აქ გარდაიცვალა. განათლებული ქალი ყოფილა, დამთავრებული ჰქონია გიმნაზია, ლექსებსაც წერდაო, გვითხრეს მისმა ახლობლებმა.

სერგო გაგოშიძე

მეფის არმიის ყოფილი არტილერისტი ოფიცრის სერგო სოფრომის ძე გაგოშიძის შესახებ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ამ ჩვენს შრომას თან ვურთავთ მის ვრცელ მოგონებას მისი ცხოვრებისა და იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა იგი ირანში და რა სამსახური გაუწია ირანის რევოლუციური ჯარების მეთაურს სათარ-ხანს.

იმას ვიტყვით მხოლოდ, რომ ირანიდან დაბრუნებული სერგო გაგოშიძე 1908—1914 წლებში მუშაობდა ბაქოში ნავთობის ძიებაზე, ხელმძღვანელობდა ნავთობის საძიებო ბურღვას.

1914 წელს იგი კვლავ დააბრუნეს ჯარში, სადაც იმსახურა 1926 წლამდე, 1926 წლიდან 1938 წლამდე მუშაობდა მადნების ძიებაზე, საერთოდ მაძიებელი გონების კაცი იყო, ქონდა გამოგონებები (მუდმივი შპალები, ვენახის მუდმივი სარები და სხვ.). 1938 წლიდან პენსიაში გავიდა და ღრმა მოხუცებულობას მოესწრო—გარდაიცვალა 1963 წელს.

თავის დროზე ვწერდით და არ შეგვიძლია აქაც არ გავიმეოროთ, რომ სერგო სოფრომის ძე გაგოშიძემ შესანიშნავი შთამომავლობა დაუტოვა ჩვენს ქვეყანას, რაც, ვფიქრობ, მისი ყველაზე დიდი მონაპოვარია.

მისი 4 ვაჟი და ერთი ქალი ყველა ლენინური კომუნისტური პარტიის წევრები არიან და ყველანი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევიან. უფროსი ვაჟი შალვა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის განყოფილების გამგეა, მეორე ვაჟი მიხეილი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესორია, ნიკოლოზი სამთო ინჟინერია, დოცენტი, ვალერიანი - ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, ასწავლის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ქალიშვილი აგრაფინა სტომატოლოგი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმია.

სერგო გაგოშიძე რომ ცოცხალი იყოს, თამამად შეუძლია თქვას, რომ მას ფუჭად არ გაუტარებია თავისი ცხოვრება.

„პატარა დათიკო“

„გურჯი სერგოს“ მიერ ნარკვევებში — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ მოხსენიებული „პატარა დათიკო“ შემდგომში თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკი დ ა ვ ი თ ს ი მ ო ნ ი ს ძ ე კ ი ლ ა ძ ე აღმოჩნდა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში დაცულ მის ბიოგრაფიაში (ფ. 3, აღწ. 1, საქმე 655, ფ. 238—241) ნათქვამია, რომ იგი ბოლშევიკების ფოთის კომიტეტმა 1906 წლის თებერვალში ბაქოში გაგზავნა, სადაც ცოტახნის შემდეგ რაიონის საბრძოლო რაზმის შტაბის წევრად აირჩიეს. ამავე დროს მონაწილეობდა გაზეთ „კასპიის“ სტამბიდან საბეჭდი დაზგის გატაცებასა და პროკლამაცია-მოწოდებების ბეჭდვაში (ადრე ასოთამწყობად მუშაობდა ფოთში). იმავე წელს დავით კილაძე ბაქოს ნავსადგურის მტვირთავი მუშების გაფიცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ეს გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ბიოგრაფიაში იქვე ვკითხულობთ, რომ ბაქოში დ. კილაძე სხვა ამხანაგებთან ერთად ამზადებდა ყუმბარებს, რომლითაც ამარაგებდა ირანელ აჯანყებულებს.

გაზეთ „კომუნისტის“ 1966 წლის 19 იანვრის ნომერში დაბეჭდილ ჩვენს წერილს გამოეხმაურა დავითის ვაჟი — ქ. ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მუშაკი კ. კილაძე, რომელმაც მოგვწერა, რომ მამაჩემის პირადი გადმოცემით, 1906—1907 წლებში იგი რაზმეულის სხვა წევრებთან ერთად ირანელი რევოლუციონერებისათვის ყუმბარებისა და იარაღის ჩასატანად არაერთხელ გადასულა ირანში და პირადად შეხვედრია სათარ-ხანსო.

„პატარა დათიკო“ მას ამხანაგებმა შეარქვეს მომცრო ტანადობის გამო, ის საშუალოზე დაბალი კაცი ყოფილა.

დავით კილაძემ მეტად საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო.

17—18 წლისა იყო (დაიბადა 1885 წ. მახარაძის რაიონის სოფ. მამათში), როცა განმათავისუფლებელ იდეებს ეზიარა და მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელი ხალხის სამსახურს შესწირა. სოფლად დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ღარიბმა მშობლებმა იგი ოზურგეთში (მახარაძე) აზიური ტანსაცმლის სამკერვალოში მიაბარეს შეგირდად. გონიერი, დაინტერესებული ყმაწვილი ბევრს კითხულობდა. 1903 წელს ფოთში წავიდა და კერძო სტამბაში დაიწყო მუშაობა. ფოთში მაშინ ძლიერი იყო ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც მთლიანად დაუკავშირა თავისი ბედი. უფრო ახლოს რომ გაცნობოდა მუშებს, მან მიატოვა სტამბა და ნავსადგურში დაიწყო მუშაობა 1904 წელს. ამ პერიოდში მას ორგანიზაცია მთელი რიგი დავალებების შესასრულებლად იყენებს და რწმუნდება, რომ მისი სახით კარგი პარტიული მუშაკი იზრდება. 20 წლის დათიკო 1905 წელს ბოლშევიკური პარტიის წევრი ხდება და სიკვდილამდე ლენინური იდეების ერთგული რჩება. პირველ რევოლუციაში იგი იარაღით იბრძვის მის გასამარჯვებლად. ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაცია მისი მეთაურობით სოჭში აგზავნის 60 კაცისაგან შემდგარ შეიარაღებულ რაზმს იქაური რევოლუციონერების დასახმარებლად. გაძლიერებული დაცვის გამო რაზმმა ვერ მოახერხა სოჭში გადასხდომა, რის გამოც ნოვოროსიისკში წავიდა, სადაც ცემენტის ქარხნების მუშებთან ერთად განაიარაღა ქალაქის პოლიცია, უკან გამობრუნებულები კი დაეხმარნენ სოჭის აჯანყებულ მუშებს.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ დ. კილაძეს გაფაციცებით ეძებს მეფის ადმინისტრაცია, მაგრამ ხელში ვერ იგდებს. ბოლოს 1906 წელს ფოთის კომიტეტი მას ბაქოში აგზავნის სამუშაოდ. მისი იქ მუშაობის შესახებ უკვე ვთქვით. 1907 წლის აგვისტოში კი მას ბაქოს კომიტეტი ეკატერინოდარში (კრასნოდარი) აგზავნის და ყუბანის კომიტეტისათვის ატანს რამდენიმე ფუთ სასტამბო შრიფტს. დავითი ამ დავალებასაც ბრწყინვალედ ასრულებს და ამასთან მონაწილეობას იღებს პოლიციის უფროსის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტში ვლადიმერ აბაშიძის გვარით. მას აპატიმრებენ, ასამართლებენ და 6 თვის ციხეს უსჯიან. ციხი-

დან გამოსული დავითი ჯერ სოფელში მიდის, შემდეგ კი ფოთში ბრუნ-
დება, სადაც შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის კვლავ აპა-
ტიმრებენ, ასამართლებენ, 4 წლის კატორღას უსჯიან და ციმბირში ასა-
ხლებენ. აქაც აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწევა იგი გადასახლე-
ბულთა შორის.

1917 წლის თებერვლის რევოლუცია ანთავისუფლებს მას და ციმ-
ბირიდან ბაქოში ბრუნდება, სადაც მუშაობას იწყებს კონტრრევოლუციო-
ნერებისაგან ქალაქის დამცველ, მფრინავ შეიარაღებულ რაზმში. 1918—
1921 წლებში დ. კილაძე ფოთის პარტიული კომიტეტის თავმჯდომარეა.
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოციალის-
ტური სახელმწიფოს აქტიური მშენებელი ხდება, მუშაობს სხვადასხვა სა-
ხელმძღვანელო პოსტზე, მათ შორის უშიშროების ორგანოებში. მისი
დამსახურება რამდენჯერმე იყო აღნიშნული მთავრობის მაღალი ჯილდო-
ებით — ორდენებითა და მედლებით. გარდაიცვალა 52 წლისა.

პეტრე ოქროყანელი

სპარსეთის რევოლუციის მონაწილე აპოლონ ჯაფარიძე თავის მო-
გონებაში ასახელებს პეტრე ოქროყანელს, რომელსაც აგრეთვე სხვა შერ-
ქმეული სახელებიც ქონდა — „ვახანა“ და „ოქროყანის დეპუტატი“. სი-
ნამდვილეში გახლდათ პ ე ტ რ ე ა რ ტ ე მ ი ს ძ ე მ ა რ ტ ი რ ო-
ს ო ვ ი.

ჩვენს წერილს „კომუნისტში“ გამოეხმაურა მისი ქალი ეთერი, ცნო-
ბილი ფეხბურთელის შუდრას მეუღლე, რომელმაც მოგვიტანა მამის ავ-
ტობიოგრაფია და სურათი, რომელშიაც აპ. ჯაფარიძემ ნამდვილად იცნო
თავისი თანამებრძოლი.

პეტრე წერს, რომ დაიბადა 1880 წელს სოფ. ოქროყანაში. წარმო-
შობით გლეხი იყო. მამამისი ნახშირს წვავდა, ჩაჰქონდა თბილისში და
ჰყიდდა, პეტრე კი ბავშვობაში მაწონს ატარებდა ეზო-ეზო თბილისში,
დედა დიასახლისი იყო. 10 წლის პეტრე თბილისის ქარვასლაში დააყე-
ნეს ნოქრად, სადაც 16 წლის ასაკამდე იმუშავა. იგი რევოლუციონერმა
ნოქრებმა ჩააბეს თავის მუშაობაში და 16 წლისა უკვე მონაწილეობდა
რევოლუციურ მოძრაობაში, ქმნიდა იატაკქვეშა უჯრედებს, აწყობდა კრე-

ბებს, ავრცელებდა არალეგალურ ბროშურებსა და პროკლამაციებს. ამ მუშაობას ის ასრულებდა ძველი იატაკქვეშელი მინას მელიქოვის მითითებებით, რომელიც ქარვასლაში ხელმძღვანელობდა ფარულ რევოლუციურ წრეებს.

1903 წელს პეტრე ჯარში გაიწვიეს, სადაც 1906 წლამდე იმსახურა. ჯარშიაც აწყობდა ფარულ უჯრედებს და ავრცელებდა რევოლუციურ ლიტერატურას. პოლკი, რომელშიც ის მსახურობდა, ქ. ერევანში მდგარა. მას ფარულად ქალაქიდან 2 კილომეტრის დაშორებით თანამზრახველები შეუკრებია, კრებას ყოველი ასეულიდან თითო კაცი დასწრებია. ერთხელ ეს კრება შეუპყრიათ, გაუჩხრეკიათ და მისი მონაწილეებისათვის 25-25 როზგი დაურტყამთ. მათ უკვე აღარ ენდობოდნენ, აღარც იარაღს ანდობდნენ და არც ყარაულში აყენებდნენ. 1905 წელს კი სავსებით დაუთხოვიათ ჯარიდან, როგორც არასაიმედონი.

ჯარიდან პეტრე თბილისში ბრუნდება. აქაც რევოლუციურ მუშაობას განაგრძობს, ქმნის მებრძოლ ჯგუფს, რომელსაც თოფის სროლას ასწავლის. ერთი ფარული კრება, რომელსაც პეტრეც ესწრებოდა, გაუცია პროვოკატორს. კრების ყველა მონაწილე დაუპატიმრებიათ და ციხეში ჩაუსვამთ. წამების შემდეგ გამოუშვიათ, მაგრამ თბილისში დარჩენა აუკრძალავთ. ამის გამო ვინ სად აფარებდა თავს და ვინ სად.

1908 წლის დეკემბერში პარტიის თბილისის კომიტეტი ირანში აგზავნის ამხანაგების ჯგუფს, პეტრე მარტიროსოვიც მათ მიჰყვება და მონაწილეობს ბომბების დამზადებასა და რეშთის აღებაში.

ირანიდან თბილისში დაბრუნებული პეტრე ოქროყანელი 1914 წელს ჯარში გაიწვიეს. როგორც თბილისში, ისე ჯარში ის ისევ ეწეოდა ფარულ რევოლუციურ მუშაობას, რაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე გრძელდებოდა, შემდეგ სამოქალაქო სამსახური დაიწყო, მუშაობდა რკინიგზაზე, ინვალიდთა არტელში და სხვ. გარდაიცვალა 1950 წელს 62 წლისა, საკუთარი თვალით ნახა თავისი ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლის შედეგი.

აი, როგორ იგონებს მას მ. ბოგდანოვ-მარიაშკინი: „ვახანა-პეტრე მახვილგონიერი, მხიარული, ხალისიანი, ქართული სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი და არაკების იშვიათი მომყოლი, ყოველთვის ნახულობდა ამხანაგების გამამხნევებელ სიტყვებს მეტეხის ციხეშიც, გარეთაც და ირა-

ნშიც. შესანიშნავ, კარგ პეტრეში ყოველთვის იგრძნობოდა კეთილი, ამხანაგის, სასიამოვნო ადამიანის, მახლობელი, მშობლიური გული.

ერთხელ პეტრე დააპატიმრეს, ეს 1907 წელს მოხდა, მიიყვანეს პოლიციის უბანში, ჩააგდეს სარდაფში, საიდანაც მალე გაიქცა. გაქცევით კი გაიქცა, მაგრამ შენობიდან გასვლა ვეღარ მოახერხა, დაიბნა. ქუჩის ნაცვლად პრისტავის სამზარეულოში ამოჰყო თავი. ფიქრობს როგორ მოიქცეს. ამ დროს მოესმა მამაკაცის მძიმე ნაბიჯების ხმა. პეტრემ ონკანს შეუშვირა თავი. თვითონ პრისტავი შესულიყო სამზარეულოში და როცა უცხო კაცი დაენახა დაფეთებულიყო, ეძრო რევოლვერი, მაგრამ ვერც გასროლა მოეხერხებინა და ვერც ახლოს მიკარება, ყვირილი დაეწყო. შეცვენილან გოროდოვოები და პეტრე კინწისკვრით უკანვე კამერაში ჩაუგდიათ.

ერთხელაც თბილისის გუბერნატორი, რომელიც პოლიტიკური პატიმრების მიერ ობსტრუქციის მოწყობის გამო მისულა ციხეში უფროსისა და დაცვის თანხლებით, იმ კამერაშიც შესულა, სადაც პეტრე იჯდა. იგი მისალმებია პატიმრებს. პეტრეს სალამზე არ უპასუხნია, გუბერნატორის შეკითხვაზე პრეტენზიები ხომ არ გაქვსო, პეტრეს იგი სასაცილოდ აუგდია და უთქვამს ციხის უფროსი ქურდიაო. ასეთი „ხუმრობისათვის“ პეტრეს კარცერში უკრეს თავი.

ან ასთარში თევზის შესყიდვის ამბავი აიღეთ, რის შესახებაც დაწვრილებით მოგვითხრობს მ. ბოგდანოვ-მარიაშკინი. ყველაფერი ეს პეტრეს მოსაზრებულობაზე და მახვილგონიერებაზე ლაპარაკობს.

„ასეთი იყო ჭკვიანი, შესანიშნავი ლენინელი პეტრე“, — ამთავრებს თავის მოგონებას პეტრე ოქროყანელზე „მიშა ურია“.

ალექსანდრე ჩრდილელი

ირანის რევოლუციაში გასარკვევ მონაწილე ქართველებს შორის დასახელებული გვყავდა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე.

როგორც გამოირკვა, იგი ყოფილა ალექსანდრე (სანდრო) ჩრდილელი, ძველი რევოლუციონერი, რომელსაც წოიანოვის ფსევდონიმით იცნობდნენ. იყო მუშა-ზეინკალი. მუშაობდა ჯერ რკინიგზის სავაგონო დეპოში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, პენსიაში გასვლის შემდეგ — თბილისის ცენტრალურ ფოსტაში. გარდაიცვალა 1955 წელს.

როცა ეს ცნობები მოგვივიდა, იმის დასადასტურებლად, რომ ეს ჩრდილელი სწორედ სპარსეთის მოძრაობის მონაწილე ალექსანდრე იყო, მივაკითხეთ მის შვილს დიმიტრის, რომელმაც გვიამბო მამის მიერ შინ ნაამბობი ეპიზოდები 1907—1908 წლებში ირანის მოძრაობაში მისი მონაწილეობის შესახებ.

ოჯახში ახსოვთ, რომ ის ჯგუფი, რომელშიც ალ. ჩრდილელი მიდიოდა, ღამით გადასულა მდ. არაქსზე ნავტიკებით. მესაზღვრეებს სროლა აუტეხიათ მათთვის, მაგრამ ამის მიუხედავად ჯგუფის ყველა წევრს უვნებლად გადაუცურავს მდინარე.

ქართველი რევოლუციონერები, ალექსანდრეს მოგონებით, რევოლუციურ ბრძოლებში უშუალო მონაწილეობის გარდა სხვა დახმარებასაც უწევდნენ ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას. მაგალითად, ერთ საღამოს მათთან რაზმში მისულა სამი ადგილობრივი მწყემსი, რომლებსაც შეუტყობინებიათ, რომ მათ თავს დაესხნენ მძარცველები, წაართვეს ცხვრის ფარა და, უთხოვიათ დახმარება. ჯგუფის უფროსს გამოუყვია 15 ცხენოსანი მებრძოლი და დაუდევნებია მძარცველებისათვის, მათ შორის ყოფილა ალექსანდრეც. მძარცველები შაჰის ჯარების მიერ გაგზავნილი მზვერავები აღმოჩენილან, რომელთა მიზანი ყოფილა რევოლუციონერთა ჯგუფის გატყუება, მიყვანა ჩასაფრებულ შაჰის ჯარებთან და მოსპობა. მართლაც, როგორც კი რევოლუციონერთა მცირე ჯგუფი ჩასაფრებულ მტერს მიახლოვებია უკანასკნელთ ტყვია დაუშენიათ და რამდენიმე რევოლუციონერი იქვე დაცემულა უსულოდ, ცოცხლად დარჩენილები მყისვე ჩამოქვეითებულან, ამოფარებიან ლოდებს და დაუწყიათ მტრის მოგერიება, მაგრამ ალყისათვის მაინც ვერ დაუღწევიათ თავი. გამართულა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. იღბლად რევოლუციონერებს თან ჰქონიათ ბომბები, რომლის გამოყენებით მტერს უკან დაუხევია. ბომბის აფეთქების ხმას ზურგში დარჩენილ რევოლუციონერებამდეც მიუღწევია, რომლებიც მიხვედრილან, რომ ამხანაგებს უჭირდათ, წასულან მათ დასახმარებლად და იმ დროს მიუსწრიათ, როცა 15 კაციდან 4-ღა დარჩენილა ცოცხალი, რომლებიც მტერს ახლოს არ უშვებდნენ. მთელი რაზმი ჩაბმულა ბრძოლაში და შაჰის ჯარი გაუქცევიათ.

შესაძლოა ალ. ჩრდილელი იყოს ირანის რევოლუციის მონაწილეთა მიერ დასახელებული სანდროც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეფე გაბიჩვაძე

„კომუნისტმა“ რომ სპარსეთის რევოლუციაში მონაწილე ქართველებზე პირველი წერილი მოგვითავსა 1966 წლის 19 იანვარს, ამ ჩვენი კვლევით ტელევიზიაც დაინტერესდა და თავისი ტრიბუნა დაგვითმო 1967 წლის 17 თებერვალს. ამ დროისათვის სპარსეთში ბრძოლა-გამოვლილი ზოგიერთი რევოლუციონერის ვინაობა უკვე დადგენილი გვქონდა და კიდევაც გავაცანით ისინი ტელევიზიის ფართო აუდიტორიას. ამასთან ჩამოვთვალეთ იმათი გვარები და სახელები, რომელთა ვინაობა დასადგენი იყო და ვთხოვდით ტელემაყურებელს მოეწოდებინა მასალები მათ შესახებ. ამ დასახელებულთა შორის მოხსენიებული გვყავდა სეფე გაბიჩვაძე, რომელსაც ამ რევოლუციის მონაწილე ვიქტორ ნასარიძე ასახელებდა თავის ავტობიოგრაფიაში.

იმავე წლის 8 აპრილს გაგრიდან გამოგვეხმაურა სეფეს ძმისწული, გაგრის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე გალაქტიონ თადეოზის ძე გაბიჩვაძე, რომელმაც შეგვატყობინა, ზოგიერთი რამ თავისი ბიძის შესახებ და ისიც გვაცნობა, რომ სეფეს ორი და ცოცხალია, ამბროლაურის რაიონში ცხოვრობენ და მათ უფრო მეტი ეცოდინებათ თავის ძმაზეო. ჩვენც დავუკავშირდით სეფეს ორივე დას — ოლა არსენის ასულ ჭელიძეს სოფელ ძირაგეულში და ნატა დათუსანს — სოფელ ბოსტანაში.

გამოგვეხმაურა ოლა გაბიჩვაძე-ჭელიძე და მოგვაწოდა უკვე საკმაო ცნობები იმისათვის, რომ სათანადო გაანალიზების შემდეგ დაგვედასტურებინა სეფე არსენის ძე გაბიჩვაძის ჭეშმარიტი მონაწილეობა ირანის რევოლუციაში და ზოგიერთი სხვა ბიოგრაფიული ცნობებიც.

სეფე გაბიჩვაძე დაბადებულა ამბროლაურის რაიონის სოფ. ძირაგეულში 1886 თუ 1887 წელს, მშობლები ღარიბი მიწის მუშები ყოფილან, არ ქონიათ იმის საშუალება, რომ შვილებისათვის ფართო განათლება მიეცათ, რის გამოც სეფემ, ისევე როგორც მეორე ძმამ თადეოზმა, სოფლის დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ საშოვარზე სიარული დაიწყო მაშინდელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. სეფე, კერძოდ, სოფლის სხვა ბიჭებთან ერთად 1898 წელს წასულა თბილისში და შინამოსამსახურედ დამდგარა ერთ ოჯახში. მაგრამ მისი მოუსვენარი, ამაყი ბუნება ვერ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგებია შინამოსამსახურის დამამცირებელ შრომას და უფროსი ამხანაგების რჩევით ბაქოში წასულა 1899 წელს, სადაც იმ დროს ბევრი რაჭველი მუშაობდა, ზოგი რესტორანში, ზოგი თონეებში, ზოგიც მუშად ნავთსარეწებსა და რკინიგზის საწარმოებში.

როგორც გადმოცემით ვიცით, — იგონებს სეფეს და ოლა, — ბაქოში იმ დროს ბევრი რევოლუციონერი ყოფილა, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონიათ რაჭველ მეთონეებთან, მზარეულებთან და მებუფეტეებთან, რომლებთანაც ხშირად დადიოდნენ და თუ შეამჩნევდნენ სანდოობას, არ უმალავდნენ თავიანთ აზრებს. მეტად ცნობისმოყვარე, გონიერი და ფიზიკურად ძლიერი სეფე გაბიჩვაძე გაცნობია ლადო კეცხოველს, სტეფანე შაუმიანს, ალიოშა ჯაფარიძეს, უფრო დაახლოებია სერგო ორჯონიკიძეს, რომლის დავალებით ერთხელ ექსპროპრიაციულ აქტშიც კი მიუღია მონაწილეობა — გაუტაცნია სახაზინო ფული რევოლუციური მუშაობის საჭიროებისათვის.

სეფე იმდენად გაუტაცნია ამ დიდი რევოლუციონერების შეგონებას, რომ 1907 წელს მათი მოწოდებით ირანშიც წასულა, სადაც სათარ-ხანის ცხენოსან რაზმში ჩარიცხულა და უბრძოლია შაჰის ჯარების წინააღმდეგ.

სეფე სპარსეთში დარჩენილა 1910 წლამდე და იქიდან წასულა რუსეთში. ერთხანს უცხოვრია ქ. ჩიტაში, სადაც უმუშავია რესტორანში, უმუშავია აგრეთვე რუსეთის სხვა ქალაქებში.

მე არ ვიცი, ვისგან და სად ისწავლა, მაგრამ უკვე კარგად ლაპარაკობდა რუსულად, სომხურად და თათრულადო, — იგონებს მისი და. ძალიან ეჯავრებოდა ფეოდალები, ვერ იტანდა თავად-აზნაურებს, განსაკუთრებით ეზიზღებოდა პოლიციელები და ყოფილა შემთხვევები, როცა მისი მაგარი მუშტი მოხვედრია ერთსაც და მეორესაც.

რუსეთიდან სეფე შუა აზიაში გადასულა, 1923-დან 1937 წლამდე კი მუშაობდა მოსკოვში საზოგადოებრივ კვებაში. მოსკოვიდან დაბრუნებულა ისევ შუა აზიაში, დამკვიდრებულა ფერგანაში და იქვე დაუმთავრებია თავისი სიცოცხლე 1938 წელს.

კირილე ნადირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტერორისტის“ სახელით იცნობდნენ კირილე დავითის ძე ნადირაძეს 1905—1907 წლების რევოლუციაში. ამ შერქმეული სახელითვე იყო ცნობილი ირანში მებრძოლ ქართველ რევოლუციონერთა შორისაც ეს სამტრედიის რაიონის სოფელ გომის ღარიბი გლეხის შვილი.

იმ დროს, როცა საქართველოში შემოაღწია სამრეწველო კაპიტალმა, დასავლეთ საქართველოს ღარიბმა გლეხობამ ჭიათურას, ტყიბულსა და ბათუმს მიაშურა საარსებო პურის მოსაპოვებლად. ბათუმში იმ დროს ნავთის წარმოება იყო განვითარებული. როტშილდს, მანთაშევს, სიდერიდისსა და სხვა კაპიტალისტებს ნავთის ჩამოსასხმელი ქარხნები ჰქონდათ იქ, ბაქოდან გადმოქაჩულ ნავთს ბიდონებში ასხამდნენ, გაჰქონდათ საზღვარგარეთ და მილიონებს აგროვებდნენ პროლეტარიატის გაყვლეფის ხარჯზე. ამ ქარხნებში დიდძალი გურული და იმერელი გლეხის შვილები იყო წამოსული საშოვარზე და პროლეტარდებოდა. ამასთან მუშათა კლასის განმათავისუფლებელ იდეებსაც ითვისებდა და კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში დგებოდა.

ამ გზას ვერც ბათუმში როტშილდის ქარხანაში სამუშაოდ ჩასული ახალგაზრდა კირილე ნადირაძე ასცდა, სადაც იგი სამ წელს (1900 — 1903) მუშაობდა. ბათუმის მუშების 1902 წლის დიდი გაფიცვის შემდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა დიდძალი მუშების დათხოვნა, ქუჩაში გამოყრილი მუშები თავიანთ სოფლებს დაუბრუნდნენ და თან ჩაიტანეს მარქსისტული განმათავისუფლებელი იდეები.

ქარხნიდან დათხოვნილი კირილე ნადირაძეც დაუბრუნდა თავის სოფელს რევოლუციურ იდეებს ნაზიარები, რომელსაც ორგანიზაციის დავალებით ტერორისტულ აქტებშიც ჰქონდა მიღებული მონაწილეობა პროვოკატორებისა და ზოგი სადისტი მოხელის წინააღმდეგ. ამიტომ შეარქვეს მას „ტერორისტის“ სახელი.

ბათუმიდან სოფლად ჩასული მუშების გავლენით ახლა სოფლად დაიწყო მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო გლეხური მოძრაობა, რომელშიც ეს მუშები წამყვან როლს ასრულებდნენ.

ჩვენს ხელთ არის 1936 წლის 23 აპრილით დათარიღებული სამტრედიის რაიონის სოფელ გომის სასოფლო საბჭოს მიერ დადასტურებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახასიათება, რომლის თანახმად კირილე დავითის ძე ნადირაძე ამ მრძ-
რაობის ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლ-მონაწილედ ხასიათდება. ის
1904—1908 წლებში იბრძოდა გომის თემში სამსონ წითელაშვილის
ხელმძღვანელობით მოქმედ წითელ პარტიზანულ რაზმში, მას ამ რაზმში
შეუსრულებია არაერთი ტერორისტული აქტი და ხალხისათვის მოუშორე-
ბია შემაწუხებელი მეფის ჯალათები.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ბევრი „ცოდვების" გამო კირილე
ნადირაძე ვეღარ ახერხებს სამშობლოში თავის შენახვას და. პარტიის მო-
წოდებით 1908 წელს ირანში მიდის და „გურჯების" ჯგუფში, როგორც
მისი თანამებრძოლები იგონებენ, მნიშვნელოვან დახმარებას უწევს შაჰის
მძიმე უღლის გადასაგდებად ამხედრებულ სპარსელ ფიდაიებს. მას იქ ძა-
ლიან გამოადგა საქართველოში მიღებული გამოცდილება.

ჩვენ აღარაფერი ვიცით სად რას აკეთებდა ეს თავისუფლებისმოყვა-
რე და ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ვაჟკაცი
ირანიდან დაბრუნების შემდეგ. ის ვიცით მხოლოდ, რომ ის ჯერ ბათუმის
დეპოში მუშაობდა, ხოლო ბოლოს თბილისის დეპოში მემანქანის თანა-
შემწედ, გარდაიცვალა 1943 წელს.

ალექსანდრე ასათიანი

„კომუნისტში" ჩვენი პირველი წერილის გამოქვეყნებამ (1966 წ.
19 იანვარი) გამოავლინა ირანის რევოლუციაში მონაწილე კიდევ ერთი
ქართველი მონაწილე — ალექსანდრე (საშა) ივანეს ძე ასათიანი გეგეჭკო-
რის რაიონის სოფელ სერგიეთიდან. ეს ცნობა რომ გამოუგზავნა რედაქ-
ციას მისმა ძმამ მიხეილმა, იგი იმოწმებდა ალექსანდრეს მიერ ქ. ხოიდან
გამოგზავნილ მის წერილსა და სურათს, რომელზედაც აღბეჭდილი ყოფი-
ლა ირანის რევოლუციის ბელადი სათარ-ხანი რევოლუციონერებს შორის,
რომელთაგან ალექსანდრე ასათიანიც უცვნიათ. სამწუხაროდ, ოჯახს აღარც
ეს სურათი შეარჩინეს და აღარც წერილი. პოლიციელებს წაუღიათ ერთ-
ერთი გაჩხრეკის დროს.

როდესაც ირანში გენ. სრანსკის ჯარი შესულა, მაშინ იქ მყოფი რამ-
დენიმე ქართველი რევოლუციონერი შეუპყრიათ, მათ შორის ალ. ასათია-
ნიც, მაგრამ მას თავი დაუღწევია პატიმრობისაგან იმით, რომ ამ ჯარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩენილა მისი გვარის პოლკოვნიკი, რომელსაც გადაურჩენია ბაკუ. უკან დაბრუნებული ალ. ასათიანი ჯარში გაუწვევიათ და დაღუპულა პირველი მსოფლიო ომის პირველსავე წელს (1914) ქ. პერემიშლში.

ლუკა ქოიავა

რეშთის ბრძოლებში მონაწილე ქართველებს შორის მოხსენიებული ქოიავა აღმოჩნდა აბაშის რაიონის სოფ. ძველი აბაშის, ღარიბი გლეხის ნიტუს შვილი, დაბადებული 1888 წელს. ბეჯითი ბავშვი ყოფილა ლუკა. წარჩინებით დაუმთავრებია აბაშის ორკლასიანი სასწავლებელი. დიდი სურვილი ჰქონია გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ ძშობლების სიღარიბის გამო საწადელი ვერ აუსრულებია.

1902 წელს ლუკა თბილისში მიდის და თვეში 5 მანეთად უდგება ხელზე მოსამსახურედ ფოსტის ჩინოვნიკს. აქ ის უახლოვდება რევოლუციურ ახალგაზრდობას და იტაცებს მათი ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთ-ერთ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის მას იჭერენ და ორთაჭალის საგუბერნიო ციხეში ათავსებენ, საიდანაც მალე ახერხებს გაპარვას და ბაქოში აფარებს თავს. ბაქოში ებმება პროფკავშირულ მუშაობაში.

ამ პერიოდში (1907—1908 წწ.) გაისმის მოწოდება კავკასიელი რევოლუციონერებისადმი—მოხალისედ წავიდნენ ირანში და ძმური დახმარება გაუწიონ შაჰის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულ სპარსელ გლეხებს. ირანში გაგზავნილ კავკასიელ რევოლუციონერთა ერთ-ერთ ჯგუფს ლუკა ქოიავაც მიჰყვება და აპოლონ ჯაფარიძესთან და სხვა ქართველებთან ერთად მონაწილეობას იღებს რეშთის გუბერნატორის სასახლის აღებასა და იქ მოქცეული ტყვეების განთავისუფლებაში.

1909 წელს უკანვე ბაქოში ბრუნდება და განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას. ლუკა ხელთ ჩაუვარდათ მეფის ჟანდარმებს და გიორგევსკის ციხეში გადაგზავნეს, სადაც ადმინისტრაციისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო მეფის ჯალათებმა ის მოაკვლევინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მენაბდიშვილი

ხელთა გვაქვს აგრეთვე გიორგი ნიკოლოზის ძე მენაბდიშვილის (სპარსეთში იგი ცნობილი იყო გორიას შერქმეული სახელით) ავტობიოგრაფია, რომელშიც წერს, რომ დაიბადა 1884 წელს სოფელ პატარძეულში (საგარეჯოს რაიონი). მამამისი მიწის მუშა იყო, დედა—მეოჯახე ქალი. 11 წლისას მამა გარდაეცვალა. ობლად დარჩენილან 2 ძმა და 3 და. გიორგი მოჯამაგირედ იწყებს მუშაობას ხან ვისთან და ხან ვისთან. 1902 წელს ჩამოდის თბილისში და იწყებს მუშაობას შავ მუშად სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანაში, სადაც რევოლუციური მუშების თანამოაზრე და მათი დავალებების შემსრულებელი ხდება. ინახავდა და ეზიდებოდა იარაღსა და არალეგალურ ლიტერატურას. 1906 წელს მონაწილეობა მიიღო ტერორისტულ აქტში ნიკო ბილანიშვილთან ერთად — მილიუტინის ქუჩაზე თავს დაესხნენ შავრაზმელ მღვდელ გოროდცოვს, რომელიც ორი ტყვიით დაჭრეს, მაგრამ ვერ მოკლეს. ამ აქტის შემდეგ გიორგის სდევნიან. იგი იმალება. 1907 წელს კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით ირანში მიდის შაჰის ჩამოგდებაში ირანელი რევოლუციონერებისათვის დახმარების გასაწევად. „სპარსეთში, — იგონებს გიორგი,—ვიბრძოდი ვანო კარაპეტოვის, მიშა ძაგანიას, დათიკო კალანდარიშვილის, აპოლონ (პატარა მიშა) ჯაფარიძისა და სხვათა ჯგუფში. აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული ენზელის, რეშთისა და ყაზვინის აღებაში“. აპ. ჯაფარიძეც ადასტურებს ამას.

1910 წელს გ. მენაბდიშვილი თბილისში დაბრუნდა, სადაც დარჩა რამდენიმე თვე, მაგრამ პოლიციის მუდმივი დევნის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი და წასულიყო ვლადიკავკაზში (ორჯონიკიძე), სადაც მუშაობდა ღვინის საწყობში.

1918 წელს გიორგი ბრუნდება საქართველოში და 1923 წლამდე ეწევა სოფლის მეურნეობას თავის სოფელ პატარძეულში. ამასთან იბრძოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, ეხმარებოდა წითელრაზმელებს. 1925 წლიდან ისევ თბილისში სახლდება და მუშაობს სხვადასხვა საწარმოსა და დაწესებულებაში. ისიც მოესწრო საქართველოში მუშებისა და გლეხების ხელისუფლების დამყარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო ავლაბრელი

საქართველოდან ირანში წასულ რევოლუციონერებს შორის მოხსენიებული დათიკო ავლაბრელი აღმოჩნდა თელაველი დავით ნიკოლოზის ძე ქალანთაროვი, რომელიც კალანდარიშვილადაც იწოდებოდა. მისი ბიოგრაფიაც ისეთივეა, როგორც ბევრი მისი თაობის ღარიბი გლეხის ოჯახის შვილებისა, კერძოდ, გიორგი მენაბდიშვილისა. ლუკმაპურის გულისათვის ისიც თბილისში ჩამოსულა და მუშაობა დაუწყია ზოგჯერ ხელზე მოსამსახურედ, ზოგჯერაც დამხმარე მუშად საწარმოებში. გამოუჩენია ინტერესი რევოლუციური მოძრაობისადმი, რის გამოც მას სხვადასხვა მიზნებისათვის იყენებდნენ რევოლუციური ორგანიზაციები. როცა ირანში რევოლუციონერების გაგზავნის საკითხი დადგა, დათიკოსაც სურვილი გაუცხადებია და გორია მენაბდიშვილთან ერთად 1907 წელს წასულა იქ რევოლუციონერთა რიგებში საბრძოლველად. რევოლუციით მის გატაცებას უთუოდ ხელი შეუწყო მისმა მონაწილეობამ რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც რუსეთის ჯარის დამარცხებამ გამოიწვია მეფის რეჟიმის საწინააღმდეგო განწყობილებანი ჯარშიც.

დავითი მოესწრო ჩვენს დროს, გარდაიცვალა 1940 წელს 57 წლისა. ბოლო დროს მუშაობდა თბილისის პირველ ღვინის ქარხანაში მუშად. ყავდა ვაჟი სერგო, რომელიც დიდ სამამულო ომში დაიღუპა ნოვოროსიისკში.

აპოლონ კუჭავა და ავქსენტი ნადარეიშვილი

ირანში გადაღებულ ჯგუფურ სურათში, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ, ლუკა ქოიავასთან ერთად გადაღებული არიან აპოლონ კუჭავა და ავქსენტი ნადარეიშვილი.

აპოლონ კუჭავა ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის ღარიბი გლეხის შვილი იყო. იგი სოფელში აპოსტოს სახელით ახსოვთ, მაგრამ მისი რევოლუციური ბრძოლების დეტალებს ვეღარ იგონებენ. ოთხკლასიანი განათლება მიუღია და წასულა სოფლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გავიგეთ მხოლოდ, რომ მენშევიკებს დაუხვრეტიათ 1919 თუ 1920 წლებში.

ირანში მებრძოლ ქართველ რევოლუციონერთა შორის მოხსენიებული ავქსენტი გვარად ყოფილა ნადარეიშვილი აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოდან. მეფის მთავრობისაგან განუცდია რეპრესიები. ირანიდან აღარ დაბრუნებულა.

გიორგი ზარიძე, კაკო კორინთელი

აპ. ჯაფარიძე იგონებს, რომ მასთან ერთად ისინი ირანში გაგზავნა თბილისის ორგანიზაციამ.

გიორგი ზარიძეს აპოლონი გვიხატავს მაღალ, მოსულ, დიდულვაშა, შავგვრემან ვაჟკაცად. ხელობით წყალსადენის ზეინკალი ყოფილა, წარმოშობით — ტაბახმელიდან თუ შინდისიდან.

კაკო კორინთელიც იმავე ხელობისა ყოფილა. ცხოვრობდა თბილისში ვერაზე. კაკო თხელი, საშუალო ტანის ახალგაზრდა იყოო. ოთახში მისთვის ბომბები აღმოუჩენიათ. ორივე რეშთიდან დაბრუნებულან ბაქოში კომიტეტის გაწვევით და ამის შემდეგ აღარ დაბრუნებულან უკან.

თუ რა ბედი ეწია გიორგი ზარიძეს, ამის შესახებ უკვე მოვახსენეთ მკითხველს.

სანდრო ბერძენი

ბერძენი ამ შემთხვევაში გვარია. აპ. ჯაფარიძის ცნობით, იგი თბილისიდან ყოფილა, ცხოვრობდა ხარფუხში. ირანში ჩავიდა რეშთის აღების შემდეგ და მონაწილეობდა ყაზვინის აღებაში. მამაცი მებრძოლი ყოფილა. დაღუპულა ამ ბრძოლებში და იქვე სომხური ეკლესიის გალავანში დაუკრძალავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიკო

აპ. ჯაფარიძის მოგონებით ილიკოც, რომლის ვინაობაც დაუდგენელი რჩება, თბილისიდან ჩასულა რეშთში 10 კაცთან ერთად. ადრე სამხედრო რაზმს ამზადებდა, ტანად დაბალი აგებულებისა, ხელობით — მკერავი. (ეს იგ ილიკო — „მეჩოხე" შეიძლება იყოს, რომლის შესახებაც მიხეილ ბოგდანოვ-მარიაშკინიც წერს თავის მოგონებაში. — ა. კ.). ყველა ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა. ყაზვინის აღებისას ღამით წაწყდომია სპარსელ ჯარისკაცებს, რომლებსაც 2 ტყვიით დაუჭრიათ მკერდში. მ. ბოგდანოვ-მარიაშკინის ცნობით ილიკო დიდი პატივისცემით სარგებლობდა ამხანაგებში, ერთგულ ამხანაგად იცნობდნენ.

შესაძლოა ეს ილიკო ჩვენს მიერ მოხსენიებული ილიკო გაგოშიძეც იყოს.

გრიგოლ დუმბაძე

ჩვენს წერილში „ვაჟკაცური გული" („კომუნისტი", 1971 წ. 27 დეკემბერი) მოხსენიებული გვყავდა ვასო დუმბაძე.

კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ასეთ კაცს ირანის რევოლუციაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩანს, ვინც ეს ცნობა მოგვაწოდა, შეცდა სახელში. ნამდვილად ხსენებულ რევოლუციაში ვლადიმერ დუმბაძესთან ერთად მონაწილეობა მიუღია მის ბიძაშვილს გრიგოლ (გრიშა) ამბაკოს ძე დუმბაძეს, რომელიც აგრეთვე სოფელ შემოქმედიდან იყო და მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. რეაქციის გამარჯვების შემდეგ ერთხანს იმალებოდა ბუხარაში (უზბეკეთი), შემდეგ კი სპარსეთში წასულა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გრ. დუმბაძე მუშაობდა თბილისში სახელმწიფო ბანკის მმართველად. გარდაიცვალა 1961 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა ს ო

დაუდგენელია ვასოც. მხოლოდ მ. ბოგდანოვ-მარიაშკინის მოგონებიდან ვიგებთ, რომ ის ხელობით „მზარეული“ ყოფილა. ბაქოდან ჩაჰყოლია ირანში გაგზავნილ ქართველ რევოლუციონერებს. მან ერთბაშად მოგვხიბლაო, იგონებს მიხეილი, და დასძენს, რომ მასში დავინახეთ მებრძოლი ამხანაგი, თუმცა შესახედაობა ამას არ უმოწმებდა, ძალიან უბრალო, შოკრძალებული ახალგაზრდა იყოო, ხშირად დავდიოდით დაზვერვაში მასთან ერთად, უშიშარი იყო, არასოდეს არ ეპუებოდა ტყვიას. დიდი ნებისყოფისა ყოფილა რევოლუციის ჯარისკაცი ვასო, რომელიც საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდაო.

გ ი ო რ გ ი

მ. ბოგდანოვ-მარიაშკინი იგონებს აგრეთვე რეშთის ბრძოლაში დაღუპულ გიორგის, რომელიც არ ვიცით ვინ იყო. იცნობდნენ „ზინგერის“ შერქმეული სახელით. (შესაძლოა იმ ხანად განთქმული საკერავი მანქანების ფირმის ზინგერის სისტემაში მუშაობდა და ამიტომ შეარქვეს ეს სახელი. — ა. კ.). ბოგდანოვ-მარიაშკინი იგონებს: „ჯგუფი ჯერ კიდევ არ გაშლილიყო, ის იყო შეუტიეს გუბერნატორის სახლს, რომ მტრის გამოსროლილმა ყუმბარამ იმსხვერპლა ჩვენი „ზინგერი“. აღარ იყო ძალიან ლამაზი, ჩუმი, სასიამოვნო ახალგაზრდა. იგი თბილისელი იყო, ცხოვრობდა ვერაზე. მასთან ერთად დაიღუპა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ბაქოელი ფაშა-ხანი“.

გ ი ო რ გ ი „მ ე წ ა ღ ე“

მ. ბოგდანოვ-მარიაშკინი მოგვითხრობს აგრეთვე თბილისელ მეწაღე გიორგიზე, რომლის ვინაობაც აგრეთვე ვერ დადგინდა. იგი ყაზვინისათვის ბრძოლაში დაღუპულა.

გიორგი ღრმა იდეური ბოლშევიკი იყოო, იგონებს მ. ბოგდანოვ-მარიაშკინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა დოლიძე

გაურკვეველი რჩება რეშთის ბრძოლაში დაღუპული შალვა დოლიძის ვინაობაც.

მხოლოდ მისი დიდი პატივით დაკრძალვის ამბავი აქვს აღწერილი თავის ნარკვევებში „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ „გურჯი სერგოს“ გაზეთ „ახალი სხივის“ 1910 წლის 10 თებერვლის ნომერში.

საშა-ტატო ცქიმანაური

მისი დაწვრილებითი ვინაობის გარკვევაც არ მოხერხდა. მხოლოდ ის გავიგეთ, რომ წარმოშობით დუშეთის რაიონის სოფ. საშაბურიდან ყოფილა.

მარტინ ლოლაძე

ასევე, მხოლოდ მისი სადაურობა გავიგეთ, გორელი იყო.

გიგო გორელი

მის შესახებაც მხოლოდ მისი კასპელობა დავადგინეთ. ხუმარა, ხალისიანი ახალგაზრდა ყოფილა, წინწამოწეული ზედა კბილებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოთქმა

ეს გახლავთ, რის გარკვევაც და დადგენაც მოვახერხეთ.—ზოგისა უფრო სრულად, ზოგისაც ნაწილობრივად, გასარკვევიც ბლომად დარჩა. დასადგენი რჩება ვინაობა: სანდრო ვეშაგურისა, პეტრე ფოჩხუასი, კაკო და გიორგი გომელაურებისა, ნიკო მასხარაშვილის, გიორგი გიორგობიანის, ვასო დვალის, ვანო გოცირიძის, წვერავასი, მეუნარგიასი, კოლია მეგრელის, პლატონ სამხარაძის, მინა გოგოლაშვილის, სამსონ და ილიკო გაგოშიძეების, სვანიძისა (ბათუმიდან), ილიკო კახიანის, გიორგი მენაბდის, გოგია გურულისა...

ბევრი მათგანი თვით ირანის რევოლუციურ ბრძოლებში დაიღუპა ისე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო ამის შესახებ. განა არ იყო, მარანდის გუბერნატორმა სიჯაი დოვლემ ხუთ დატყვევებულ ქართველ რევოლუციონერს, რომ ჯერ თვალები დათხარა და შემდეგ მოაკვლევინა? ეს ამბავი, რომ გვაცნობა აწ განსვენებულმა ლევან გამყრელიძემ, ის ვეღარ დაგვისახელა, ვინ იყვნენ ამ სადისტური მხეცობის მსხვერპლნი, მხოლოდ ის დაგვიმოწმა, რომ შემდეგ ცოცხლად გადარჩენილმა რევოლუციონერებმა ჯალათ გუბერნატორზე შური იმით იძიეს, რომ მოტყუებით სასახლეში ბომბები შეუგზავნეს, ააფეთქეს დედა-ბუდიანად და თანაც თვით მარანდაც აიღეს.

ასეთნაირად ბევრი კავკასიელი, კერძოდ, ქართველი, შეეწირა ირანის 1905—1911 წლების რევოლუციას და მის შედეგად მოპოვებულ იმ კონსტიტუციას, რომლის გარკვეული სიკეთითაც სარგებლობს დღეს ჩვენი ყურის მეზობელი. ისტორიას ჩაბარდა ძველი სეფევიდებისა და ყაჯართა დინასტიებისდროინდელი შუღლი და მტრობა ჩვენს უძველეს ერებს შორის. დღეს სრული ნდობის, მეგობრობის, სოლიდარობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთდახმარების ატმოსფერო სუფევს საბჭოთა და

ირანის ხალხებს შორის, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი და საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის შედეგია.

ამ კეთილმეზობლურ ურთიერთობას გარკვეულად ხელს უწყობენ თანამედროვე ირანის მმართველი წრეებიც მოჰამედ რეზა ფეჰლევი-შაპის მეთაურობით, რომელსაც გარკვეულად პროგრესის გზით მოჰყავს მდიდარი კულტურით სახელგანთქმული თავისი ქვეყანა და გარკვეული პროგრესულ რეფორმებსაც ახორციელებს თავის ქვეყანაში.

ჩრდილოეთელი კეთილი მეზობლის — საბჭოთა კავშირის აქტიური სამეურნეო და კულტურული დახმარებით, ჩვენი მოსაზღვრე ეს უძველესი ქვეყანა დღეს დიდ ცვლილებებს განიცდის.

არც ისე შორეულ წარსულში უაღრესად ფეოდალური და აგრარული ირანი დღეს აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად ითვლება. ამის მიხედვით იცვლება მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების წეს-ჩვეულებანიც. ირანის ყველაზე დიდ სიმდიდრეს ნავთობს, რომლის შემოსავლითაც ახლო წარსულში ჯიბეს ისქელებდნენ უცხოელი მონოპოლიები, ახლა თვით სახელმწიფო განაგებს, თვითონ აწარმოებს ამოღებასა და გადამუშავებას. იზრდება სპილენძის ამოღება, მრავალნაირი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ერთი სიტყვით, ქვეყანა დამდგარია მრავალდარგოვანი ეროვნული მრეწველობის განვითარების გზაზე, რაშიაც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირი ეხმარება ირანს ათობით სამრეწველო ობიექტის მშენებლობაში. საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობამ სახე უცვალა ირანის უძველეს დედაქალაქს ისპაჰანს, მის გარშემო შეიქმნა მძლავრი ინდუსტრიული კვანძი, რომლის საფუძველს შეადგენს ისპაჰანის მეტალურგიული კომბინატი. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ძალით შლის ფრთებს და თვალსაჩინო ხდება საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის კეთილმეზობლური ხასიათი, აღმოცენებული მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის პრინციპებზე.

გარდაქმნები ხდება მიწათსარგებლობაშიც, ვითარდება სამიწათმოქმედო კულტურა.

მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობაში იყო და დარჩება მუდმივ პოლიტიკად და იგი სავსებით უპასუხებს ორივე ხალხის ინტერესებს, ამასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა შორის მშვიდობის საქმესაც ეხმარება. ხოლო თუ დღეს ჩვენ ვიხსენეთ ირანის თითქმის 70 წლის წინანდელი ამბები, როცა თავისუფლებისმოყვარე, ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ირანელმა ხალხმა, თავისი კავკასიელი ძმების დახმარებით, კონსტიტუტუციით შეზღუდა აბსოლუტიზმი, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ მოძრაობაში გაღებულ ერთობლივ მსხვერპლს და ერთობლივად დაღვრილ სისხლს უქმად არ ჩაუვლია. კონსტიტუციურმა ირანმა საგრძნობლად და თვალსაჩინოდ წაიწია წინ პროგრესის გზით და სიმბოლური ამაში ის არის, რომ თუ მაშინ კავკასიელები და, კერძოდ, ქართველები ეხმარებოდნენ ირანელებს კონსტიტუციური წყობილების დამყარებაში, დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები და მათ შორის ჩვენი თანამემამულენი აქტიურად ეხმარებიან პროგრესის გზაზე დამდგარ ირანს მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ეს არის 70 წლის წინათ ირანელი და კავკასიელი თავისუფლებისმოყვარე რევოლუციონერების ერთობლივი ბრძოლის შედეგი.

* * *

კვლევა ირანის 1905—1911 წლების კონსტიტუციურ მოძრაობაში მონაწილე ქართველი რევოლუციონერების ვინაობის დასადგენად ამით არ მთავრდება. იგი უნდა გაგრძელდეს. არ უნდა დარჩეს გამოურკვეველი არცერთი მათგანი. ისინი იმსახურებენ ამას, ღირსნი არიან იმისა, რომ მათი სახელები შემოენახოს შთამომავლობას.

ეს ჩვენი შრომა თუ ამ მხრივ ვინმეს აღუძრავს ამის ინტერესს, სიამოვნებით მივესალმებით და შესაძლებელ დახმარებასაც გავუწევთ. ჩვენც, რასაკვირველია, არ ვანებებთ თავს ამ მხრივ მუშაობას და ღრმა მადლიერების გრძნობით მივიღებთ ცნობებს, მოწოდებულს ამ კეთილშობილი ინტერნაციონალისტების შესახებ, ისევე, როგორც ყოველ შენიშვნას, რომელიც შეიძლება აღუძრას პატივცემულ მკითხველს ამ ჩვენმა შრომამ.

* * *

დაბოლოს მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც დახმარება გაგვიწია ამ ჩვენს შრომაში, საკუთრივ ჩემს მშობლიურ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასა და საქართველოს ტელევიზიას, ცალკეულ პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს, რომლებმაც მოგვაწოდეს ცნობები ირანის რევოლუციაში მონაწილე ქართველი მოხალისეების ვინაობის შესახებ. განსაკუთრებული მადლობის გრძნობით მინდა მოვიხსენიო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ნ. პლასტუნი, რომელიც გვეხმარებოდა ჩვენს კვლევაში ირანული წყაროების გაცნობით და გვიწევდა საჭირო კონსულტაციას.

* * *

ამ ჩვენს მოკრძალებულ შრომას ვუძღვნი იმ ვაჟკაცური გულის ადამიანების — ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი ინტერნაციონალისტების ნათელ ხსოვნას, ვინც მონაწილეობდა ირანის რევოლუციაში და თავი შესწირა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა 3

ქართველები სპარსელების დასახმარებლად
მიდიან 13

როგორ იყო 25

როგორ იყო აღებული რეშთი და
ყაზვინი 27

მანჯურიიდან სათარ-ხანთან 47

ვინ იყვნენ ისინი 63

სერგო ორჯონიკიძე 65

აპოლონ ჯაფარიძე 70

ვალიკო ბაქრაძე 73

ჩიტო 74

გრიგოლ ემხვარი 77

ვლადიმერ დუმბაძე 78

ივლიანე ნაცვალაძე 84

ვარდენ თიკანაძე 84

სილოვან ივანიაძე 87

ვიქტორ ნასარიძე 90

გიგო მათიაშვილი 93

ლაზარე გაჩეჩილაძე 97

კოლია ლორთქიფანიძე 100

მიხეილ ბოგდანოვ-მარიაშკინი 103

იაკობ მეტრეველი 106

სერგო გამდლიშვილი 108

მიშა ძაგანია 110

ვანო კარაპეტოვი 114

ვიქტორ მაღლაკელიძე 116

დავით ჯაფარიძე 118

ნიკოლოზ ტეტიუცკი 120

ლ ე ი ლ ა 122

სერგო გაგოშიძე 123

„პატარა დათიკო“ 124

პეტრე ოქროყანელი 126

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩრდილელი 128
სეფე გაბიჩვაძე 130
კირილე ნადირაძე 132
ალექსანდრე ასათიანი 133
ლუკა ქოიავა 134
გიორგი მენაბდიშვილი 135
დათიკო ავლაბრელი 136
აპოლონ კუჭავა და ავქსენტი ნადარეიშვილი . 136
გიორგი ზარიძე, კაკო კორინთელი . . . 137
სანდრო ბერძენი 137
ილიკო 138
გრიგოლ დუმბაძე 138
ვასო 139
გიორგი 139
გიორგი „მეწალე“ 139
შალვა დოლიძე 140
საშა-ტატო ცქიმანაური 140
მარტინ ლოლაძე 140
ვიგო გორელი 140
ბოლოთქმა 141

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი გ. ჯანგველაძე
გამომცემლობის რედაქტორი მ. ვარდოსანიძე
მხატვრული რედაქტორი ა. ბუაძე
ტექრედაქტორი ნ. ხელაშვილი

გადაეცა ასაწყობად 7/III-74 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 29/IV-75 წ. ქაღალდის ზომა 60×84 1/16
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10, სააღრიცხვო-
საგამომცემლო ფურცელი 7,72 შეკვ. № 976

ტირ. 10 000 უე 01891 ფასი 30 კაპ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14
Типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

K 288.664
3